



ინგლისურიდან

თარგმნა ფილიპე ბერიძემ

ელდორადო

ხალისიანი, მამაცი
რაინდი ლაღი, ლამაზი,
დღე, ღამე, რა გზით, რა დროს —
მოგზაურობდა, მიჰქროდა,
საგზლად იმედი მიჰქონდა,
ექებდა ელდორადოს.

მაგრამ გულადი რაინდი
დაბერდა, დრომ არ დაინდო.
დარდი დაჰყვება ლახვრად,
იარა, ბევრი იარა
და ელდორადო კი არა,
მსგავსიც ვერარა ნახა.

კაცი ბედს როგორ ენდობა? —
გატეხა უიმედობამ;
მგზავრის ლანდს ხედავს ამ დროს;
უთხრა: მითხარი, გამოტყდი,
სად არის იგი სამოთხე,
სად არის ელდორადო?

— მოვლე ურიცხვი მთა-ბარი,
მთანი მაღალნიც, დაბალნიც.



მთანი, მოსილნი ნისლით,
იყავი მხნე და მამაცი,
თუ გინდა, რომ არ დამარცხდე,
პოვნა თუ გინდა მისი.

უ ლ ი ა ლ ი უ მ

ზეცა აევსო მწუხრს და კაქშანს,
მჭკნარი ფოთლები თრთოდნენ საშინლად,
მჭკნარი ფოთლები თრთოდნენ საშინლად,
ოქტომბრის ღამემ გაითარეშა —
ისეც ნისლიან ტბაზე მაშინაც
სქელი და მღვრიე ნისლი დაეშვა,
ნოდის მხარეში¹ ნისლი გახშირდა,
ობერის ტბაზე ნისლი დაეშვა
და უღრან ნოდში ნისლი გახშირდა.

მივსდევ ხეივანს, დაღლილს უკანვე
მიმიტაცებენ კვიპაროსები,
გამიტყუებენ კვიპაროსები,
და გული ბორგავს, როგორც ვულკანი;
ლავისებური ცეცხლით ვივსები,
აუტანელი ცეცხლით ვივსები,
მთების ურაგანს ვერ გავუმკლავდი —
მომდევს მუქარით და შერისხვებით,
ჩრდილოურ ქარებს ვერ გავუმკლავდი,
მომდევენ წყევლით და შერისხვებით.

ქარებს მივენდეთ მთიდან მობერილს
და აღარ შეგვრჩია რწმენის მისხალი,
აღარც იმედის შეგვრჩია მისხალი,
აღარ გვახსოვდა არც ოქტომბერი,
არც წელი, არცა — ღამე გვიანი.
(ღამე მკაცრი და ღამე მრისხანე),
თვალწინ ღელავდა, თვალწინ ობერი
და არ გვახსოვდა მაინც ობერი,
არც ნოდის მხარე ყრუ და მრისხანე.

...ბნელ ღამეს ფერი ეცვალა მალე
და განთიადმა სჭექა მეხივით,

¹ ნოდის მხარე — მითიური ადგილი სამოთხის აღმოსავლეთით.

და განთიადმა სჭექა მეხივით,
 ნათელი დილა ახელდა თვალებს,
 შუქი თრთის, ნისლის სვეტზე შეხლილი,
 ფერდაკარგული ამოდის მთვარე —
 რქასავით მრუდე და მოგრეხილი,
 ამოსრიალდა ასტარტის¹ მთვარე,
 რქასავით მრუდე და მოგრეხილი.

მე ვთქვი: უფრო ხურს, ვიდრე დიანა,
 ცას სიამაყის შუქი აკადრა,
 ზეცას ამაყი შუქი აკადრა,
 ხედავს — ლაწვეები ჩემი მთლიანად
 როგორ დასერა ცრემლის ნაკადმა,
 მშვიდად გაცურა, გადაიარა,
 ლომის ვარსკვლავთა ხომლში ჩაქანდა,
 ვარსკვლავთა ხომლში მშვიდად ჩაქანდა,
 მშვიდად გაცურა, გადაიარა,
 ბრიალა თვალებს ზეცას აქადდა,
 ვარსკვლავთა ხომლი გადაიარა,
 ცეცხლოვან თვალებს ზეცას აქადდა.

ფსიქეა² სწუხდა და ფრთებს აქნევდა,
 თქვა: ვერ გავუძლებ მთვარეს საშინელს,
 მგლოვიარეს და ასე საშინელს,
 ჩქარა გავფრინდეთ, ჩქარა აქედან,
 თქვა და გაშალა ფრთები მაშინვე,
 ფრთებს დაეფინა მტვერი ლაქებად,
 მიფრინავს, ეგებ სხვაგან დამშვიდდეს,
 ფრთებს დაეფინა მტვერი ლაქებად,
 ფრთებს დაეფინა მტვერი ლაქებად.

— დაე შენ რისხვით გადაგვიარე,
 ვენდობი სხივებს წმინდას, კრიალას,
 სხივები მისი წმინდა, კრიალა
 ნუგეშს გვპირდება ადამიანებს,
 ნუგეშს, უბედურ წუთებს კი არა,
 იმედს, უბედურ წუთებს კი არა,
 შენც ენდე, ენდე, რად აგვიანებ?!
 ხედავ? — ცა როგორ ააბრიალა.

¹ ასტარტა — მთვარის, ნაყოფიერების, სიყვარულის და ქორწინების ქალღმერთი ძველ ფინიკიაში.

² ფსიქეა — ადამიანის სულის განსახიერება; ჩვეულებრივ ხატავდნენ პეპელას ან პეპელას ფრთებიანი გოგონას სახით.

ნუგეშს გვპირდება ადამიანებს
მისი სხივები წმინდა, კრიალა.

ვკოცნი, ვამშვიდებ და აღარ ვდაობთ,
ერთად მივდივართ, აღარ მემდურის,
ხეივანს გავცდით, აღარ მემდურის,
...და მივადექით ბნელ სასაფლაოს,
კართან შევდექი მე უბედური,
წარწერას ვხედავ მე უბედური,
— რა აწერია, კარს, ჩემო დაო?!
თქვი, ვერ გავუძლებ, დაო, შენს დუმილს.
— უღიალიუმ — და უბედური,
შენი ძვირფასი და უბედური.

დარდს ველარ ვძლიე სულში მოფენილს,
გულს დაეუფლა მწარე გოდება,
ვთრთი, დამეუფლა მწარე გოდება,
შევძახე: იყო თვე ოქტომბერის,
წელი წყეული, ო, მაგონდება,
ვეხეტებოდი ღამით როდესაც,
დავსერიწობდი ღამით როდესაც,
წყეული ღამე, ო, მაგონდება,
რამ მომიყვანა აქ საგოდებლად.

ო, მწარედ მახსოვს მე ტბა ობერის,
ნოდის უღრანი ტყეც მაგონდება,
რა მწარედ მახსოვს მე ტბა ობერის,
ნოდის უღრანი ტყეც მაგონდება.

□



რუსულიდან

თარგმნა მამუკა წიკლაურმა

კრეოლი

დაღლის ბულვარულ მოთხრობების ერთფეროვნება
და მობეზრდება ჰამაკებში წოლა ნებივრად...
გამოდის პორტში და გაჰყურებს — კარაველები
აფრების რწევით ბრუნდებიან სხვა ქვეყნებიდან.

მოაშრიალებს გრძელ, ოქროსფერ მოსასხამს ბინდში
და ისმის მქისე ხრახინში ღორღიან ქვიშის,
მიდის და ცისფერ დოღბანდიან პატარა ინდუსს
კაბის შლეიფი მიაქვს მისი კრძალვით და შიშით.

ზღვა გარინდულა... ალყირელი ბრიგანტინების
თეთრად მბზინავი დაჭიმული აფრა ტკარცალებს,
აგერ, ცეკვავენ ფარანდოლას და იფინება
ხმა ფლეიტების, ტამბურინი შეჰკვნესს ვარსკვლავებს.

გემბანებიდან ფისის სუნი იფრქვევა მკვეთრი
და აფრის თეთრი აბრეშუში წყნარ ღამეს ათევს,
მაგრამ მას უნდა ოდნავ მაინც შეეხოს ერთხელ
მულატ მეთევზეს, ახლა რომ ზღვას ესროლა ბადე...

სახლი კი ელის: ბროლის თეთრი ჩარდახი ელის,
ამური ელის — შადრევნებში სხივივით ბრწყინავს;
თვლემს გალიაში თუთიყუში წითელი ფერის
და უკუდებო მაიმუნებს ხეებზე სძინავთ.

უკრავენ მწვანე კალიები, ღამეს ხერხავენ
შეფარებულნი ფაიფურის ნაზ ყვავილებში...



და ანათებენ ღრუბლიანი ქედის ხერხემალს
მაღალი მთები, ლურჯ სივრცეში შეტყორცნილები.


როს მარმარილოს დერეფანში იმტრედისფერებს,
იკივლებს ღამის ფრინველი და ფრთას ფრთას შემოჰკრავს,
ის მარტოდმარტო მიაკითხავს ზღვის სანაპიროს,
ნაწვიმ სუროსთან დაესწრება დილის შემოსვლას...

ლურჯად შეღებილ ხეივანში, მოვერცხლილ ნისლში,
სადაც ვარდების ვნებიანი დგას არომატი,
შადრევნის ახლოს ჩალუნული მიჯნური იცდის,
კრეოლს გაჰყურებს გაცინებულ სახით მულატი.

და ის აკოცებს შემკრთალ ქალწულს, როცა ზღვის პირად
ცას უმღერიათ ვარდები და ტირის სიწყნარე...
ღრუბლებში — ცისფერ აბრეშუმში მიცურავს მშვიდად
და ორ მახვილ ფრთას აშრიალებს რიჟრაჟის მთვარე...

უ ქ ი ლ ო ბ ა

ვარსკვლავებით კი არა — გულისცემით ხვდები,
შუაღამე მოცურავს, შუაღამე დგება...
სარკმლებს იქით — ფიჭვების ჩაშაული ფრთები,
სარკმლებს იქით ძაღლები — კვამლის ნაფლეთები.
აი, რაღა შემორჩა!
კარგი! საკმარისია!
ჩემი სისხლი ნეტავი ხომ არ გაჩერებულა?
ანდა ჩემი ყურები აღარაფერს უსმენენ?
თითებს რა დაემართა, ხომ არ გახევებულან?
დათვის თანავარსკვლავედს ხელის გულზე ვხედავ,
თვითეული ვარსკვლავი მუშტისხელა ხდება!
ვოლგური ქარიშხალი — ბანჯგვლიანი დევი
მრისხანე იერიშით ჭალის სოფლებს დევნის.
აი, უკვე მინებსაც ავი სუნთქვა უბურავს —
ქარია და სიცივე, კატორღული ამინდი...
შავი შამბი აღელდა, დაემსგავსა ღრუბელს...
თითქოს შავი წყლების ხმები ისმის ღამიდან...
და ამ კუპრის წარდუნაში, ამ მრისხანე ღმუილში
აირივნენ ფიჭვები — აიშალნენ რისხვით...
იწყება გადაჩეხვა ნაკადების უხუილში,
თითქოს თვლების გაბმული დგარა-დგური ისმის.
თითქოს გემის ნიშნები ტივტივებენ წყალში,



საქართველოს
ლიტერატურის
აქადემია

ჯავრი ადულებულა, მინებს ბოდმა ანჯღრევს,
 წრიალებენ ძაღლები, ველარა სძლებს ძაღლიც...
 გაჰყმუიან მგლებივით, ეწევიან ჯაჭვებს.
 გადმოირღვა მესერი, გაიშალა უხეფები,
 დაცემული ტევრის ხმა შემოვარდა ზვაჟად,
 გადმოშვაჟდა ავდარი... და ფიცრული კედლები
 მოჭუტული თვალთ გაჰყურებენ წკვარამს.
 პირდაპირ ჭაობისკენ მიირეკავს იხვებს,
 პირდაპირ ტყეებისკენ მიირეკავს როჭოებს...
 აჰა, სახლიც დაიძრა და იშლება მყისვე —
 იფანტება მორები, ქვები ერთურთს მოშორდნენ.
 ეს შავი ზღვის ღამეა და მირეკავს საფარში
 ვოლოგდის ცის ვარსკვლავებს — ოქროს ყვითელ ბატკნებს,
 ეს შავი ზღვა წუხდება, ეს შავი ზღვა ბორგავს —
 ფიჭვებს მიატივტივებს, ღრუბელს ციდან აგდებს!..
 სახურავი მიფრინავს კლდეებზე და ხრამებზე,
 უკან გადაღრეცია საკვამური მილი,
 კვამლი — მიღზე შებმული ენიანი მათრახი
 შოლტავს გრიგალს ცოფიანს, რომ ჩაუკლას ყინი...
 ეს, ლიბოდან მოთხრილი, წელში გადამწყდარი,
 ეს, ფიცრული კედლების დაღმართებზე ტრიალით,
 მთაზე გადავარდნილი, ავსებული ქართ —
 სახლი მიექანება სიკვდილისკენ გრიალით.
 შესდექ! საკმარისია! ახლა მაინც გაჩერდი!
 ძნელია შეჩერება!
 ჯერჯერობით ისევ
 ასხამს კოკისპირულად, ტოტებს ღუნავს ფანჯრებთან
 და ავდარში ბალახი თავს მალლა ვერ იწევს.
 აღარ დგება გრიგალი, ისევ ებრძვის ხეივნებს,
 ვარსკვლავები ისევ გახვეულან შავში...
 შესდექ! საკმარისია! შესდექ! აჰა, ლეიბზე
 შემოთიდან ნასროლი ენარცხება ბავში...
 მიირწევა ნაძვნარი, თითქოს ფეხებს იდგამს,
 ნელა წვიმს და ნამავს, ჯერ ისევ ითქორება...
 გათელილი მორისგან, ჩაქოლვილი ქვისგან —
 აი, ჩემი მაგიდა, სახლი და შთაგონება!
 ...ყველაფერი მიჩუმდა, ჩაეძინა წიწვნარს,
 გაირინდა გარემო და მიჩუმდა ძაღლი...
 — საყვარელო! სადა ვარ?
 — მოსკოვში ვართ ისევ;
 სადგურიდან სულ ახლოს, გარეუბნის სახლში...



„შენ დიდი მსახიობი ხარ!“

ფრანგულიდან თარგმნა ლამარა ჩხეიძე

რობერ ფაბერი ყოველთვის საპირისპირო გრძნობებს იწვევდა ჩემში: ყველას და ყველაფერს დასცინოდა და ამას ვერ ვიტანდი, მაგრამ მისი მგზნებარება კი აღტაცებას მგვრიდა; აღშფოთებული ვიყავი მისი პიესებით, მაგრამ არ შემიძლო არ მეღიარებინა, რომ დრამატული სიძლიერე მართლა გააჩნდათ. მარტოდენ თავისი თავი ახსოვდა და ეს, რა თქმა უნდა, მაღიზიანებდა, მაგრამ რა წამსაც საიდუმლოს განდობას დამიპირებდა, იმწამსვე გულს ამიჩვილებდა ხოლმე. თითქმის ყოველ დილით მირეკავდა და გული გაწყალებული მქონდა, მაგრამ საკმარისი იყო სამი დღე არ გამომხმაურებოდა და უკვე მენატრებოდა.

ეტყობა, ძალიან ჩქარობდა და იმ დილით მოკლედ მომიჭრა:

— ჩემო ძვირფასო, რა კარგს იზამდით, სამუშაოს რომ მიატოვებდეთ და ჩემთან მოირბენდეთ. ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს.

— რას ბრძანებთ?! რობერ, მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი... კვირაში სამჯერ მაინც მაიძულებთ მოგისმინოთ. მეტწილად კი სულ ტყუილუბრალოდ მაკარგვინებთ დროს. ეს-ეს არის ერთი წერილი დავიწყე... მეც ხომ უნდა მივხედო ჩემს საქმეს.

ხუთწუთიანი კამათის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ტელეფონით მთელ დილას დამაკარგვინებდა და ისევ წასვლა ვამჯობინე. თანაც ჩემთან ახლოს ცხოვრობდა. თხუთმეტ წუთში უკვე მის კაბინეტში ვიჯექი. თავიდანვე ტკბილად დამიწყო ლაპარაკი. გამოცდილებით ვიცოდი, ფაბერი ქათინაურს ტყუილუბრალოდ არ დახარჯავდა; ნეტავ რა უნდა ეთქვა?

— ჩემო ძვირფასო, — მითხრა მან, — ეს-ეს არის წავიკითხე თქვენი წერილი მენეტრიეზე. საოცარი რამაა. ასეთი გემოვნება, სტილი! მსგავსი არაფერი წამიკითხავს. ჭეშმარიტად ჩვენი დროის ერთადერთი კრიტიკოსი ხართ.

— გმადლობთ. ვგონებ, რაღაც უნდა გეთქვათ ჩემთვის?

— აი, რა... არ ვიცი, იცნობთ თუ არა მაღამ ასტიეს... მაღამ ადრიენ ასტიეს.

— თქვენგან მსმენია, ძალიან ლამაზი ქალიაო.

— ნუთუ? მართალია, მდაბიო წრიდანაა, მაგრამ რა ღიღებული ქალია, რა ნაზი და თან ჭკვიანი; ჩემო ძვირფასო, რაღა ბევრი გავაგრძელო და ძალიან მომხიბლა.

— ორ თვეში თუ ორ კვირაში?

— დროს რა მნიშვნელობა აქვს... ეს კი ცხადია, რომ მის გარდა ამ წუთში სხვა არავინ არსებობს ჩემთვის ქვეყანაზე... ბედმა გამიღიმა, შემიძლია მასთან ერთად ესპანეთში ვიმოგზაურო... დიახ, მაღამ ასტიეს სურს ინახულოს ანდალუზია. ქმარი შორეულ აღმოსავლეთშია, უამრავი საქმე აქვს, ორ თვეს ვერ ჩამოვა... მაგრამ ოღეტა... ჩემი საბრალო პატარა ოღეტა... შევფიცე, აღდგომის დღეებს ერთად გავატარებთ-მეთქი ბოვალონში. უკვე სამი წელია, ჩემს ცოლ-შვილთან რამდენიმე დღე ზედიზედ არ დავრჩენილვარ... ამ ამბავს რომ გაიგებს, თავზარი დაეცემა.

— რასაკვირველია, მაგრამ მე რატომ მეუბნებით ამას?

— რატომ?... იმიტომ, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, ჩემო ძვირფასო, იგი დაარწმუნოთ და მიხსნათ... ვიცი, ოღეტას ძალიან სჯერა თქვენი... უნდა აუხსნათ, რომ ჩემი მომავალი პიესის მოქმედება ესპანეთში ხდება...

— და ფრანგი ქალიც იქ ამიტომ მიგყავთ? არა, ამის თქმას მე ვერ ვიკისრებ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე ოღეტას მეგობარი უფრო ვარ, ვინემ თქვენი. თუ შენდობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველთვის მისი ერთგული ვიყავი, თქვენ კი ღალატს მთავაზობთ.

— ღალატს! სრულიადაც არა, ჩემო ძვირფასო... პირიქით, მე ვფიქრობ, ამით თქვენ მეგობრულ სამსახურს გაუწევთ ოღეტას... აბა დაფიქრდით... ვთქვათ და იგი არ დამეთანხმა. მაშინ მხოლოდ უნდა გავიქცე, ოჯახი დავანგრიო. ჩემი საბრალო პატარა ოღეტა კი ამას ვერ აიტანს... მაშინ ვინ იქნება მისი მკვლელი? ვინ და თქვენ...

იგი თეატრის კაცი იყო და კარგად იცოდა, მოქმედება როგორ წარემართა. მალე მივხვდი, რომ ამჯერადაც უნდა დამეთმო მისთვის, თუკი სულიერი სიმშვიდე მინდოდა.

— კარგი... მე ვნახავ ოღეტას, მაგრამ ჩემი იმედი ნუ გექნებათ, უბრალოდ ყველაფერს ვუამბობ, ეს არის და ეს.

— იმედი მაქვს, უცხად არ მიახლით, აი. სწორედ ამას გთხოვთ. ახლავე დავუთახებ, მარტო დაგტოვებთ და თავისუფლად ელაპარაკეთ...

შევეცადე ეს საუბარი სხვა დროისთვის გადამედო, მაგრამ არაფერი გამივიდა. ფაბერი თავისი გმირებივით მოუთმენელი იყო. მან ხელი დააჭირა დილაკს, ყურმილი აიღო და მდივანს უთხრა: „სთხოვეთ მაღამ ფაბერს ახლავე ამოვიდეს ჩემს კაბინეტში“, შემდეგ ადგა და გავიდა. რამდენიმე წუთში ოღეტა შემოვიდა.

ოჰო! თქვენ აქა ხართ, ბერტრან? რარიგ მიხარია, არ მოგელოდით. რა იქნა რობერი? აკი ეს წუთია დამიბარა.

— დიახ, აქა ვარ, ძვირფასო ოღეტ, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ.

— ვილაპარაკოთ? რა საიდუმლო გაქვთ ასეთი! რობერმა ხომ არ დაგავალათ რამე?

— სწორედ ასეა.

მე თავს ძალა დავატანე, მინდოდა ისე მეთქვა ეს ცუდი ამბავი, გული ნაკლებად ტკენოდა. ვუთხარი, რობერი ძალიან გადაქანცულია, მისი ჯანმრთელობა ძალზე მაფიქრებს-მეთქი, ვუთხარი, პიესის დასამთავრებლად რამდენიმე კვირა უსათუოდ მარტო უნდა დარჩეს-მეთქი საკუთარ თავთან. ოდეტა ჯერ დიმილით მისმენდა, შემდეგ გულწრფელად გაიცინა.

— კეთილო ბერტრან! — მითხრა მან. — ნეტავ კიდევ რა ვერაგი განზრახვა გაუჩნდა? ან რა უნდა მაუწყოთ ისეთი, უბედური გული რომ არ მატკინოთ? ვიცი, თქვენ უნდა მითხრათ, რომ რობერს ესპანეთში გამგზავრება სურს თავის ახალ საყვარელთან ერთად და მე მარტო მტოვებს მთელი ერთი თვით!

— თქვენ საიდან იცით?

— არ ვიცოდი, მაგრამ მივხვდი, ისე გიმძიმთ ლაპარაკი, სათქმელს თავს ვერ აბამთ... მაშასადამე, ჩემი მოლოდინი გამართლდა... ჩემდა საბედნიეროდ! ისე რომ იცოდეთ, ბერტრან, მეც მჭირდება ერთი თვის თავისუფლება.

— ბოვალონში ბავშვები რომ წყაიყვანოთ?

— სრულებითაც არა... საბერძნეთის კუნძულებზე მინდა ვიმოგზაურო ერთ ჩემს ძვირფას მეგობართან ერთად. ბავშვებს დედას დავუტოვებ და გულმშვიდად დავტკბები ჩემი შვებულებით. ნუ მიყურებთ ასე გაოცებული, ბერტრან! განა მე არ შემიძლია ვინმე შევიყვარო?

— როგორ არა. მაგრამ მეგონა, რობერი თავდავიწყებით გიყვარდათ, რომ უსაზღვროდ ერთგული იყავით მისი.

— კი, დიდხანს ვიყავი და დღესაც ასე ვარ. მე ვაფასებ რობერს, მე მხიბლავს მისი ნიჭი, ნიჭი თუ არა, ხასიათი... მოთმინებით ვიტან მის ჭირვეულობას. მაგრამ ვფიქრობ, უფლება მაქვს სამაგიერო გადავუხადო. თქვენ არ გგონიათ?

• — ჰო... კი, რასაკვირველია... ნეტა ვინაა ის ბედნიერი თანამგზავრი?

— ძვირფასო ბერტრან, მე უფრო თავდაჭერილი ადამიანი ვარ, ვინემ ჩემი ქმარი.

— კი, მაგრამ რობერს რა პასუხი გადავცე?

— ამაზე ადვილი რაა, უთხარით, რომ ამ ამბავმა შემაძრწუნა, მაგრამ იქვე დასძინეთ, რომ მაინც მოახერხეთ ჩემი დანუგეშება და დარდის გასაქარვებლად მირჩიეთ ხმელთაშუა ზღვაზე ვიმოგზაურო ვინმე მეგობარ ქალთან ერთად, უთხარით ისიც, როგორ დამტოვეთ მოწყენილი, თვალცრემლიანი, ბედის მორჩილი...

— გგონიათ დამიჯერებს?

— დაგიჯერებთ. თანაც ისე ადვილად, გაგიკვირდებათ. ყველას დაუჯერებს, ოღონდაც კი ხელი არ შეეშალოს ჟინი მოიკლას.

ოდეტა მართალი აღმოჩნდა. რობერი მშვიდად შეხვდა ჩემს პასუხს, თან თითქოს გულიც აუჩუყდა. გულწრფელად, ლამაზად, გულისამაჩუყებლად გაითამაშა. ამტკიცებდა, ჩემი ცოლი გმირი ქალი არისო.

— საბრალო პატარა ოდეტა! იგი დიდბუნებოვანი ადამიანია. არა მგონია, ჩვენს დროში მოიძებნოს სხვა ქალი, ვისაც ესოდენ თავგანწირულად უყვარდეს ქმარი. არ დამიჯერებთ და ზოგჯერ იმასაც კი მეუბნება: „მითხარი რაიმე

იმ ქალზე, ვინც გიყვარს. ჩემთვის ყოველი წვრილმანი ძვირფასია, რაც შენ გეხება“. იცით, მე თითქოს უკვე ვხედავ მას ხმელთაშუა ზღვაზე, იგი სულ მარტო ზის გემის ქიმზე, გასცქერის ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას და ფიქრობს ჩემს ბედნიერებაზე... რაც გნებავთ ისა თქვით, ჩემო ძვირფასო, მაგრამ მე მირჩევნია ლამაზი გრძნობები აღვძრა, ვიდრე ძლიერი შური გავალვიძო.

— თქვენ ხომ ეჭვიანი ხართ? — ვკითხე მე.

— ძალიან.

იგი წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ განაგრძო:

— რა შესანიშნავი დასაწყისი იქნება პიესისათვის, არა? პირველი სცენა — ჩვენი საუბარი, მეორე — ოდეტასა და თქვენი. ბუნებრივია, პიესაში თქვენ ოდეტას საყვარელი უნდა იყოთ.

— ეს არც მიფიქრია.

— კარგად ვიცი... მაგრამ პიესაში...

ფაბერმა იმოგზაურა ანდალუზიაში, ოდეტამ ინახულა საბერძნეთის კუნძულები, საიდანაც მზემოკიდებული, გაბრწყინებული, ჯანღონით სავსე დაბრუნდა. მე ივნისში ორივენი ერთად ვნახე. საუზმის შემდეგ ფაბერმა თავის სამუშაო კაბინეტში წამიყვანა.

— გადაწყდა, მე ვწერ იმ პიესას, — მითხრა მან.

— რა პიესას?

— რა პიესასო!.. იმას, მე რომ გელაპარაკეთ, ოდეტასთან შეხვედრით იწყება-მეთქი... სათაურად „მსხვერპლი“ ექნება. პირველი მოქმედება მზადა მაქვს. უნდა გითხრა, რომ ადვილი დასაწერი გამოდგა. სინამდვილემ თითქმის ყველაფერი მომაწოდა.

— სინამდვილემ? ეს მეტად სახიფათო სინამდვილე იქნებოდა... ალბათ ცოტა გადააკეთეთ.

— რასაკვირველია... მე ვიცი ჩემი საქმე... გადაკეთება თავისთავად მოხდა... მე ვარ გმირი — დონჟუანი მხატვარი, თქვენ კი მგრძნობიარე, გულშემატკივარი მეგობარი, სახელად ბერნარი.

— ეს ხომ ჭეშმარიტება გახლავთ! თქვენ მართლაც დონჟუანი ხართ, მე კი თქვენი გულშემატკივარი მეგობარი.

— კი, მაგრამ ყველა წვრილმანი განსხვავებულია... სიძნელე იწყება მეორე მოქმედებიდან. იქ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვფიქრობ, ბერნარმა უნდა სცადოს ბედი, — ალბათ გამარჯვება არ უნდა გაუძნეოდეს, რადგან ჯულიეტა (იგივე ოდეტა) მოისურვებს ქმარს სამაგიერო მიუზღოს... შემდეგ, უკანასკნელ წუთში, ქალი გონს მოდის და, მიუხედავად გულში ჩამალული ღვარძლისა, სიყვარულს მაინც ვერ სწირავს.

— თქვენს სიყვარულს?

— ცხადია... მოითმინეთ მესამე მოქმედებამდე... ჯერ არ ვიცი, მაგრამ, მგონი, დამჭირდება საყვარელი და ქმარი შევახვედრო. ქმარმა რალაც უნდა მოიფიქროს შურისსაძიებლად. ამ დროს ჯულიეტა გაბედულად ჩავარდება მასსა და თავის ნამდვილ მეტოქე ქალს... ან კიდევ ქმარსა და გმირს შორის და ქმარს გადაარჩენს.

— ყოველივე ამას მელოდრამის სუნი ხომ არ უდის?

— თუ პიესა ისეთი იქნა, როგორც ახლა მოგიყევით, მაშინ კი... მაგრამ ყველაფერი მოქმედებით გადმოიცემა. ჩემი გმირები თანამედროვე ადამიანე-

ბია, ჩვენს ენაზე ლაპარაკობენ და ისე იქცევიან, როგორც მე და თქვენ მოვიქცეოდით. მელოდრამა და დახლართული ამბები... ეს არის სწორედ თეატრის დედაარსი... დიალოგი ყველაფერს იხსნის და, გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ დიალოგისათვის არავის დაგზოვავ.

ეს მართლაც ასე იყო, დიალოგისათვის იგი არავის დაინდობდა. ამასი სიამოვნებით დავეთანხმე. შემდეგ ვკითხე:

— მაღამ ასტრე?

— ვინ მაღამ ასტრე?

— ვინც გრენადაში გახლდათ და ვინც არის ამ პიესის შექმნის მიზეზი.

— აჰ, პეპიტა... ეს სახელი მე შევარქვი, ჩვენი ესპანეთში ყოფნის სამახსოვროდ. საუცხოო ქალი იყო.

— იყო? ახლა რა მოუვიდა?

— აბა რა ვიცი! ჩემი ცხოვრების ეს ამბავი დამთავრებულია... ვფიქრობ, რომ პეპიტა მონახავდა თავის პეპიტოს... მაგრამ იგი მუდამ იცოცხლებს „მსხვერპლში“... დაიცა, ალბათ დამჭირდება საბრალო პეპიტას ნახვა, რალაც-რალაცები რომ დავაზუსტო... ოჰ, რა მოხდენილად ისროდა ზოლმე ქოშებს ლოგინში ჩაწოლისას... მინდა ვთხოვო ერთხელ კიდევ მაჩვენოს, პიესაში იმ როლის შემსრულებელ მსახიობ ქალს ეს ძალიან გამოადგება.

გავიდა ზაფხული. ოქტომბერში გაზაფხე, რომ „მსხვერპლის“ რეპეტიციები დაწყებულიყო. ჯულიეტას თამაშობდა ჟენი სორბიენი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამორჩენილი მსახიობი. ფაბერი ხშირად მთხოვდა, რეპეტიციებს დაესწარიო, გარეშე თვალი ხარვეზს უკეთესად შეამჩნევსო. მე სიამოვნებით მივდიოდი, რადგან მიყვარდა თეატრი, კულისების ფუსფუსი და ორომტრიალი. იმ დღესაც წავედი საყურებლად, რეპეტიცია მეტად მღელვარე გამოდგა, იგი არ ჰგავდა არც ერთ იმათგანს, აქამდე რომ დავსწრებივარ. დიდ, ცარიელ, ოღონავ განათებულ დარბაზში ფაბერმა გვერდით მომისვა. იგი შეფიქრიანებული იყო.

— არ ვიცი, რა მოხდა, საქმე წინ ვერ მიდის და ვერა... ჟენის ადრე უთქმელად ესმოდა ჩემი, ახლა კი რალაც სისულელეებს როშავს... ღმერთმანი, საოცარია. აგერ შენ თვითონ ნახავ.

სცენაზე გამოვიდა ერთი მსახიობი კაცი, შილიფად ჩაცმული და მიუჭდა იმპერიის დროინდელ საწერ მაგიდას. იგი ფაბერის როლს თამაშობდა. მოკლე სცენა ჰქონდა თავის მდივანთან. მდივანმა მოიხსენია მსახიობი, რომელიც მე მასახიერებდა. ამ მსახიობის მოსმენით დავიტანჯე და მეტად სასაცილო შთაბეჭდილება დამრჩა. ფაბერს ზუსტად გადაეღო ჩემი ლაპარაკი და აჩვენა კიდევ შემსრულებელს ჩემი ზოგიერთი მიმოხვრა.

დიალოგი ბუნებრივი და სხარტი მეჩვენა. შემდეგ ჟენი შემოვიდა სცენაზე. მე ვუსმენდი დაძაბული და დაუოკებელი გულისყურით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ ვიყავი ერთი მონაწილე ამ უცნაური დრამისა და განსაკუთრებით კიდევ იმიტომ, რომ მაინტერესებდა, როგორ წარმოადგინა ფაბერმა ეს საუბარი. მე ვიცოდი, როგორც იყო ყველაფერი, თუმცაღა ფაბერს ეგონა, იმედდაკარგულმა ოდეტამ (უკეთ ჯულიეტამ) მტანჯველი მსხვერპლი სიყვარულის გულისათვის გაიღოო. აი, როგორი სცენა გაითამაშა ჟენიმ ჩვენ წინ: „თქვენ ამას ვერ გაიგებთ... მისი ბედნიერება ჩემი ბედნიერებაა, მისი სიამოვნება ჩემი სიამოვნება...“ ამბობდა პიესის გმირი ჯულიეტა და ეს სიტყვები მეტისმეტად ყალბად ჟღერდა. ფაბერმა ორჯერ თუ სამჯერ შეაჩერა ჟენი და

სთხოვა, მეტი გრძნობა ჩააქსოვეთო. იგი თითქოს შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, შემდეგ აღელდა და, ავტორის ხელახალ შენიშვნაზე გაბრაზებულ-ლი, წინ გამოვიდა, ხელი მოიჩრდილა, რათა რამპის შუქს თვალი არ მოეჭრა, და დარბაზში ფაბერი მოძებნა:

— თქვენ მანდ ბრძანდებით, რობერ?... ო! დიახ, მე გხედავთ... ვინ არის თქვენთან ერთად?

— ბერტრანი.

— ძალიან კარგი! ამობრძანდით ორივე... უნდა მოგელაპარაკოთ.

— რეპეტიციის შემდეგ, — უთხრა ფაბერმა... — განაგრძეთ.

— არა! არ იქნება რეპეტიცია. მე და ავტორს ზოგი რამ გვაქვს დასაზუსტებელი და მანამ არ ვითამაშებ, ვინემ არ აგვიხსნის.

— გაგიყდა! — დარწმუნებით გადმომილაპარაკა ფაბერმა.

— რამ გააგიჟა? ჟენი ყველაზე გონიერი და კეთილსინდისიერი მსახიობია პარიზში. ის, როსი თქმაც სურს, ალბათ ყურადსაღებია.

— რა უნდა ჰქონდეს სათქმელი? მან ისე უნდა ითამაშოს, როგორც წერია, ეს არის და ეს... მე ხომ დამწყები არა ვარ, შემსრულებელს რჩევა ვთხოვო.

სცენაზე კი ჟენი მოთმინებას ჰკარგავდა:

— მოდიხართ თუ არა? თორემ...

მე პირველმა ვუპასუხე.

— მოვდივართ, — და აბუზღუნებულ ფაბერს წავუბიძგე პატარა კიბისაკენ, რეპეტიციის დროს სცენას და დარბაზს რომ აერთებდა. მის ბოლოში ჟენი იდგა, თავისი როლი ეკავა ხელში და გველოდებოდა.

— რა იყო? — ჰკითხა ფაბერმა... — რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ არ შემიძლია ამ სიტყვების წარმოთქმა... კიდევ ის, რომ მაგ თქვენი გმირი ქალის სიკეთე საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. მისი არაფერი მესმის, ვერ ვითამაშებ მაგ როლს... როგორ! ქალს ეს-ეს არის პირში უთხრეს, თანაც დაურიდებლად, შენი ქმარი სხვა ქალთან ერთად მიემგზავრებაო, ქმარი, რომელსაც აღმერთებს, და პასუხად იგი მხოლოდ ამას ამბობს: „ძალიან კარგი... ოღონდ ის იყოს კმაყოფილი, და მეც კმაყოფილი ვიქნებიო“. ასე არ ხდება, ბოლოს და ბოლოს დაუკვირდით, რობერ. ღმერთმა იცის, რამდენ ქალს იცნობთ... განა ოდესმე შეგხვედრიათ თუნდაც ერთი ქალი, თუკი მას ნამდვილად უყვარს, ასე ცხვარივით თვინიერი რომ იყოს?

— მხოლოდ ერთი, — უთხრა ფაბერმა სიამაყით, — და სწორედ იგი გამოვიყვანე „მსხვერპლში“... ეს სცენა, თქვენ რომ საეჭვოდ მიგაჩნიათ, ნამდვილი ამბავია. მთლიანად ცხოვრებისაგან ვისესხე ყველაფერი. საბედნიეროდ, აქა მყავს უცილობელი მოწმეც. მეტსაც გეტყვით, სწორედ ბერტრანი ესაუბრა სინამდვილეში იმ ქალს, ვისაც თქვენ ანსახიერებთ.

ჟენი ჩემკენ შემობრუნდა.

— მაშ, ამ სისულელეების ავტორი თქვენ ბრძანდებით? — მკითხა მან, — თქვენ მოისმინეთ ეს სიტყვები?... შეუძლებელია... ან ქალი იყო ბრიყვი (მაშინ ეს ჩემი როლი არ არის) ან მან გაითამაშა კომედია, თავი მოგაჩვენათ დიდბუნებოვან ადამიანად მხოლოდ იმიტომ, რომ თავად მინიჭებოდა თავისუფლება. ამ შემთხვევაშიც იგი დიდად კაცთმოყვარე ქალი ყოფილა, მაგრამ ეს სულ სხვა პიესა გახლავთ.

აღარ ვიცოდი რა მექნა. შენი ასჯერ მართალი იყო; ქალი გუმანით მიხვდა, რომ ნამდვილი ჭულიეტა ცხოვრებაში სულ სხვაგვარად მოიქცეოდა. მე ყველაფრის თქმა არ შემიძლო, რადგან ეს რობერისა და ოდეტას მხილება იქნებოდა. გავჩუმდი.

— მიპასუხეთ ბოლოს და ბოლოს! — თქვა შენ. — იცნობთ თუ არა ამ ჭულიეტას? და თუ იცნობთ, მაშინ გამაგებინეთ, რა ხდება?

— თქვი, ბერტრან, — დაიჟინა ფაბერმა.

ხეირიანად არც კი ვიცი, რა ვუპასუხე. მაგონდება მხოლოდ, რომ ვიწყებდი და ვერ ვამთავრებდი წინადადებებს, რომ უშედეგოდ ვცდილობდი გამე-მართლებინა ჭულიეტა შენის თვალში ისე, რომ ფაბერის თვალშიც სახელი არ გატეხოდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს დამაჯერებელი არ იყო, რადგან შენ იმ ნიშნისმოგებით წამოიყვირა:

— ძალიან კარგი! ხომ ხედავთ, ბერტრანსაც ჩემსავით სჯერა ჭულიეტას სიმართლე და ბედის მორჩილება.

— მე, ეს არ მითქვამს.

— ვერ გაბედეთ თქმა, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი ნათელია.

ფაბერი უცბად ჩამოგვშორდა. რომ შევხედე, შემეშინდა. იგი წინ და უკან დადიოდა სცენაზე, მრისხანედ აქნევდა თავს, ზოგჯერ ხელს გადაისვამდა ლომის ფაფარივით ჩამოყრილ თმაზე, ხან კი გააფთრებით ფრჩხილებს იკვნეტდა. უეცრად ხელგამოწვდილი ჩემკენ წამოვიდა, საჩვენებელი თითი გამოიშვირა და მრისხანედ შემომხედა.

— მივხვდი! — თქვა მან, — შენი მართალს ამბობს. თქვენ იცრუეთ. მე ბავშვივით მოვიქეცი. შუაკაცობა, მხოლოდ მეგობარს რომ შეეძლო, ოდეტას საყვარელს ვთხოვე, მაგრამ თქვენი მჯეროდა, ჩემო მეგობარო...

ფაბერმა ისე გადაიხარხარა, თითქოს ცხენი ჭიხვინებოდა, ასეთი არტისტული სიცილი ფრედერიკ ლემეტრს ან გარიკსაც კი შეშურდებოდა. მე კი ჩემდათავად ძალიან გავბრაზდი.

— მე თქვენი მეგობარი ვიყავი და ვარ, მაგრამ ოდეტას მეგობარიც ვარ... მხოლოდ მეგობარი და არა საყვარელი... თქვენ ეს კარგად იცით... რა ჩემი ბრალია, თუ თქვენვე ჩამაგდეთ ასეთ დღეში?

— მაშ ალიარებთ, რომ ოდეტამ გულახდილად გითხრათ ყველაფერი, რაც მე დამიმალეთ?

— მე არაფერიც არ მილიარებია. მხოლოდ ისა ვთქვი, ორ ცეცხლშუა ვიყავი.

მაგრამ ფაბერი აღარ მისმენდა. იგი შუა სცენისაკენ წავიდა და თან ლაპარაკობდა. სიტყვები ვერ გავარჩიე. შემდეგ შენისა და ჩემკენ შემობრუნდა, პირისახე დაწყნარებული ჰქონდა, იღიმებოდა კიდევ. შენის მხრებზე დაადო თავისი უზარმაზარი ხელები და აღტაცებული სინაზით შეხედა.

— შენ დიდი მსახიობი ხარ, — უთხრა მან... — ძალიან დიდი... შენ არტისტული გუმანით მიხვდი, რომ რის თქმასაც ვთხოვდი, სიმართლისა არაფერი ეცხო... მე კი, თუმცა შენსავით დიდი მსახიობი არა ვარ, ჩემი შეგნების წინააღმდეგ და ჩემი სიამაყის მიუხედავად, მყის ვინიშნე სინამდვილე და კიდევ გავყვები შენს ნაჩვენებ გზას... ერთობ მშვენიერი რამ იქნება... მე გადავაკეთებ ამ პიესას და გპირდები, ამჯერად გექნება ისეთი როლი, შენ რომ გეყვარება.

— მჯერა, — უთხრა ადელვებულმა ჟენიმ.

— თქვენ კი, — მითხრა ფაბერმა მე, — თქვენ... კარგი, ამას თავი დავანებოთ!

ამ დროს თეატრის მეკარე გამოჩნდა და მორიდებულად მოახსენა ფაბერს:

— ქალბატონმა შემოგითვალათ, რომ კარებთან გიციდით მანქანაში. გაისმა ფაბერის სიცილი.

— ქალბატონი მანქანაშია?... სთხოვეთ ამოვიდეს.

წუთიც და ოდეტა გამოჩნდა, მეტად მხიარული.

— ოჰო! — თქვა მან, — რეპეტიციაზე შემომიშვეს?.. ბერტრანიც?.. ყველაფერი კარგად მიდის? გამარჯობა, ჟენი.

ფაბერი უყურებდა ცოლს და თავს აქნევდა.

— შენ ცოტა ცუდლუტი ხარ, — უთხრა მან... — მაგრამ მე ძალიან მიყვარხარ..... და შენც ძალიან გიყვარვარ... დიახ, გსურს თუ არა, მაინც მარტო მე გიყვარვარ. მალე უნდა დავწერო, ჩემო პატარა ოდეტა, მეტად მშვენიერი პიესა ჩემი ცხოვრებიდან.

— ვერ გავიგე, მაგრამ მჯერა შენი.

ფაბერი ცოტას მუშაობდა, იგი წელიწადში ერთ პიესას წერდა და სამოთხ კვირაში ამთავრებდა. მაგრამ როცა მუშაობდა, სხვა აღარაფრისთვის ეცალა. ჯერ შთაბეჭდილების მოსასინჯად ყველას უყვებოდა შინაარსს, ვინც კი შეხვდებოდა. იგი კარგად ჰყვებოდა, ხმით ბაძავდა პიესის გმირებს, ხელების მოძრაობით გადმოსცემდა გრძნობებს. თხრობისას აღმაფრენა ეუფლებოდა. როცა დარწმუნდებოდა, პიესა კარგი გამოდისო, ბოლოს ცემას მოჰყვებოდა და ისე კარნახობდა მდივანს, რომელიც მიჩვეული იყო სწრაფად დაეჭირა ყოველი მისი სიტყვა. ბოლოს თვალს გადაავლებდა შავად დაწერილს და ზოგჯერ რჩევას მკითხავდა. „მსხვერპლის“ ახალი ვარიანტი ძალიან მომეწონა. გასაოცარი გამბედაობით დასძლია მან მისთვის მძიმე გარემოება და შექმნა ძლიერი და ნამდვილი დრამა.

მე იქ არ ვყოფილვარ, როცა პიესა წაუკითხა ჟენის. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი:

— თქვენ წაიკითხეთ „მსხვერპლის“ ახალი ვარიანტი? — მკითხა მან... — მართლაც კარგია, არა?... ორი თუ სამი წელია, რაც ფაბერის პიესები აღარ მხიბლავს... ჩემი აზრით, მისი გმირები ნამდვილ ადამიანებს არა ჰგავდნენ. ეს პიესა კი მშვენიერია! ნამდვილი ცხოვრებაა... ცოტათი სტილიზებულიც.

— კმაყოფილი ხართ თქვენი როლით?

— მოხიბლული. და არც გამძნელებია.

რეპეტიციები ადვილად და სწრაფად მიდიოდა. ფაბერმა მეც მიმიწვია რამდენიმეჯერ და იქ ოდეტას შევხვდი. მას შემდეგ, რაც მისმა ქმარმა სიმართლე გაიგო, იგი მარტო აღარ მინახავს, — მუდამ ერთად იყვნენ თეატრსა თუ საზოგადოებაში, მეტად ბუნებრივი ჩანდნენ. გადაკრულადაც კი არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის იმ ამბავზე. მალე გამოცხადდა „მსხვერპლის“ გენერალური რეპეტიცია. პიესამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თეატრში ყველას სჯეროდა, პიესა რომ გაიმარჯვებდა.

წარმოდგენას დიდი მოწონება ხვდა. ჟენი შეიყვარა მაყურებელმა. მკაცრმა კრიტიკოსებმაც კი, ხშირად რომ საყვედურობდნენ ფაბერს, მეტისმეტად

მშვიდი გმირები გყავსო, აღიარეს, „მსხვერპლი“ ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯიაო.

როცა ფარდა თორმეტჯერ გაიხსნა და დაიხურა, მეგობრები კულიხებს მოაწყდნენ. მეც იქითკენ გავეშურე. ძლივძლივობით გავიკვლიე გზა გაჭედულ დერეფანში. ხალხი ყოველი მხრიდან მაწვებოდა. მესმოდა მათი ლაპარაკი პიესაზე, ბევრი ძალიან ამგვანებდა სინამდვილეს.

— გასაოცარია, არა?... ჟენი ზოგჯერ სულ ისე ლაპარაკობდა, როგორც ოდეტა ფაბერი.

— აო, მეტადრე, რომ ეს ორი ქალი ასე ცოტათი ჰგავს ერთმანეთს.

— ბერტრანი? დაუჯერებელი რალაცაა! სიარულიც რომ ისეთივე აქვს.

— ფრთხილად, ჩემო მეგობარო, იგი თქვენ უკან დგას.

მაღელვებდა ეს მითქმა-მოთქმა. ხოლო როცა ხალხის ტალღა მიაწყდა ჟენის საპირფარეოსს, სადაც რობერი და ოდეტაც იყვნენ, ერთმა წინდაუხედავმა თუ დაუნდობელმა მეგობარმა ქალმა ასე უთხრა ოდეტას:

— მე თქვენ გიცანით.

— მიცანით? — უთხრა ოდეტამ... — მე რა შუაში ვარ ამ ამბავში.

— არა?... მაშ ჯულიეტა?

— ჯულიეტა მე ისე მგავს, როგორც თქვენ ჰგავხართ ქალს კამელიებით.

შემდეგ მიუბრუნდა ფაბერს, გვერდით რომ ედგა გამარჯვებული და მშვიდად ისმენდა ქათინაურებს, და ჩაულაპარაკა:

— გაიგონე ეს სისულელე? ზოგს მართლა არაფერი გაეგება მხატვრული ნაწარმოების.

— ძვირფასო ოდეტა! — უთხრა ქმარმა, დაიხარა და აკოცა.

ქალბატონმა ასტიემ ამფითეატრის ორი ბილეთი მიიღო, მაგრამ წარმოდგენას არ დასწრებია, რადგან პარიზში არ გახლდათ მაშინ.



ტყვეს დაბრუნება

ფრანგულიდან თარგმნა ნინო ხვალაძემ

ეს ამბავი 1945 წელს საფრანგეთის ერთ სოფელში მოხდა. სოფელს შარდვი დავარქვათ, თუმცა ეს არაა ამ სოფლის ნამდვილი სახელი. მის ნამდვილ სახელს სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო ნუ მოვიხსენიებთ. მოხდა ეს ამბავი მატარებელში, გერმანიიდან ფრანგი ტყვეები რომ მოყავდა. ათკაციან კუბეში თორმეტი ყოფილი ტყვე შეყუჟულა. საშინ-

ლად დაქანცულნი, აღელვებულები და ბედნიერები ჩანან. ხუთი წელი ელოდ-
ნენ ამ დღეს და ახლა, როგორც იქნა, ნახავენ სამშობლოს, სახლს, ოჯახს.

თითქმის ყველა ცოლზე ფიქრობდა; ფიქრობდა სიყვარულით, სასოებით, ზოგ-ზოგის გულში ეჭვიც შეპარულა — ხომ არ შეიცვალაო ჩემი მეუღლე, ისევ ისეთი ერთგულიაო ჩემი? ამ ხანგრძლივი მარტოობის ყამს, ვინ იცის, ვის შეხვდა, რას აკეთებდა?.. გაუგებენ ნეტა ერთმანეთს? მამები ნაკლებად ღელა-
ვენ. მათი ცოლები, რა თქმა უნდა, შვილებზე ზრუნვაში ატარებდნენ დროს და ახლა, ამდენი ხნის უნახავებს კიდევ რომ ეუცხოოთ ერთმანეთი პირველ დღეებში, ისევ შვილები შეუმსუბუქებენ ყველაფერს.

კუბეს კუთხეში მაღალი, გამხდარი კაცი ზის. ესპანელს უფრო ჩამოგავს, ვიდრე ფრანგს. მას რენო ლემარი ქვია, წარმოშობით შარდეიდანაა, პერიგორის დეპარტამენტში რომ მდებარეობს. მატარებელი სიბნელეში მიქრის. ლემარი ეკითხება თავის მეზობელს.

— სატურნენ, ცოლი გყავს?

— კი... ომამდე ორი წლით ადრე ორი ბიჭუნა გაგვიჩნდა... ჩემს ცოლს მარტა ქვია, გაჩვენო?

სატურნენი პატარა, მხიარული კაცია, სახენაიარევი. გულის ჯიბიდან ძვე-
ლი საფულე ამოაქვს და ამაყად აჩვენებს გაცრეცილ სურათს.

— მართლა კარგია, — ამბობს ლემარი. — შენ რა, არ ღელავ?

— ვღელავ რომელია, სიხარულისაგან ლამის გავგიჟდე კაცი. თუმცა რა-
ტომ უნდა ვღელავდე?

— იმიტომ, რომ შენი ლამაზი ცოლი ამდენ ხანს მარტო იყო, გარშემო
კი, ხომ იცი, რამდენი მამაკაცია...

— რას ამბობ! მარტას კაცებისკენ არასდროს გაუხედავს, ჩვენ ბედნიერე-
ბი ვიყავით... შენ რომ მისი წერილები განახა ამ ხუთი წლის მანძილზე...

— ეჰ, წერილები არაფერს არ ნიშნავს... მეც მომდიოდა ლამაზი წერილე-
ბი, მაგრამ მაინც ვღელავ.

— არ ენდობი?

— კი... ადრე ვენდობოდი... ზედმეტადაც ვენდობოდი... ექვსი წლის წინ
დავქორწინდით და ერთი უსიამოვნებაც არა გვქონია.

— მაშ რაღა მოხდა?

— ყველაფერი, ჩემო კარგო, ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული. მე
არ მჯერა ბედნიერებისა. ჩემს თავს ყოველთვის ვარწმუნებდი, ელენი ძალიან
ლამაზი და ჭკვიანია... მოკლედ, ჩემთვის ძალიან კარგია-მეთქი, განათლებული,
ხელიდან ყველაფერი გამოსდის, კერავს, ისე მოაწყობს გლეხკაცის პატარა
სახლს, სამოთხე გეგონება. ომის დროს ჩვენთან ალბათ ბევრი ინგლისელი
და ამერიკელი შეაფარებდა თავს. ისინი კი აუცილებლად შეამჩნევდნენ სო-
ფელში ყველაზე ლამაზ ქალს...

— მერე რა? თუკი უყვარხარ...

— მართალია, ჩემო კარგო, მაგრამ გესმის კი, რას ნიშნავს ხუთი წელი
მარტო ყოფნა? შარდეი ჩემი სამშობლოა, მას იქ არავინ ჰყავს... ქალის შეცდე-
ნას კი რა უნდა...

— რას ამბობ! შენ ყოველთვის ცუდს წარმოიდგენ ხოლმე. ვთქვით და
მოხდა კიდევ რაღაც, განა რა მნიშვნელობა აქვს, თუ უკვე დაივიწყა და მის-
თვის მხოლოდ შენ არსებობ?.. მოიხედე, მე რომ მარტაზე რამე მითხრან, ასე

ვეტყვი, კრინტი არ დასძრათ-მეთქი! იგი ჩემი ცოლია, ომის დროს მარტო იყო, ახლა მშვიდობაა და ჩვენ თავიდან ვიწყებთ-მეთქი ყველაფერს.

— მე ასე არ შემიძლია, — ამბობს ლემარი. — რამე რომ გავიგო...

— რას იზამ, მოკლავ?.. შენ ხომ არ გაგიჟდი?

— არა, რა უნდა ვუქნა, საყვედურსაც არ ვეტყვი, სახლს და ფულს და ვუტოვებ, მე კი სახელს შევიცვლი და გადავიკარგები. ხელობა მაქვს, არაფერი არ მჭირდება... ახალ ცხოვრებას დავიწყებ... შეიძლება სისულელეა, მაგრამ ეგეთი ვარ და რას იზამ, ან ყველაფერი ან არაფერი...

ორთქლმავალმა დაუსტვინა, მატარებელი სადგურში შევიდა, ორივე გაჩუმდა.

შარდვის მერი სოფლის მასწავლებელი გახლდათ. პატიოსანი, გულისხმიერი, კეთილგონიერი კაცი იყო. როდესაც სამინისტროდან ცნობა მოვიდა — რენო ლემარი სამხრეთ-დასავლეთისკენ მომავალი ეშელონით მოემგზავრება და ოც აგვისტოს შარდვიში იქნებაო, გადაწყვიტა თვითონვე ეცნობებინა ეს ამბავი ქ-ნ ლემარისთვის. ქალი ბაღში დახვდა. მთელ სოფელში ეს ყველაზე ლამაზი ბალი იყო. ვარდის ბუჩქები კარის ორივე მხარეს ამშვენებდა.

— ქალბატონო ლემარ, მე კარგად ვიცი, რომ თქვენ იმ ქალების რიცხვს არ ეკუთვნით, ვისაც გაფრთხილება სჭირდება, ქმარი ჩამოგიდისო... უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი თავშეკავება აქ ყველას ძალიან მოსწონს. თვით ჭორიკანებმაც კი, არავის რომ არ ინდობენ, თქვენზე ვერაფერი ნახეს სათქმელი.

— სათქმელი ყოველთვის გამოინახება, ბატონო მერო, — ღიმილით უთხრა ქალმა.

— რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენ იოტისოდენა საბაბიც არ მიგიციათ... ვიცოდდი, გაგიხარდებოდათ და ამიტომ გაგაფრთხილეთ. მერწმუნეთ, ეს ჩემთვისაც დიდად სასიხარულოა. მე ვფიქრობ, ალბათ კარგ შეხვედრას მოუწყობთ... მართალია, თქვენც სხვებივით გიჭირთ, მაგრამ როცა ასეთი შემთხვევაა...

— მართალი ბრძანდებით, ბატონო მერო. მე რენოს კარგ შეხვედრას მოვუწყობ... მგონი, ოცშიო, თქვით არა? როგორ ფიქრობთ, რომელ საათზე ჩამოვა?

— სამინისტროდან იტყობინებიან, ეშელონი პარიზს ოცდასამ საათზე დატოვებსო. ეს მატარებლები ნელა მოძრაობენ... რენო ტივიეს სადგურში ჩამოვა და კიდევ ოთხ კილომეტრს ფეხით გამოივლის. დიდი-დიდი შუადღის თორმეტი საათისთვის იყოს აქა.

— მერწმუნეთ, ბატონო მერო, მას კარგი საუზმე დახვდება... მაპატიეთ რომ არ გპატიუებთ, იმედია, გამიგებთ. დიდად გმადლობთ, რომ მობრძანდით.

— თქვენ შარდვიში ყველას უყვარხართ, ქალბატონო ლემარ. მართალია, აქაური არ ბრძანდებით, მაგრამ ყველა თავისიანად გთვლით.

ოცში ელენ ლემარი დილის ექვს საათზე ადგა. მთელი ღამე არ უძინია. წინა დღით სახლი დაალაგა, ფილაქანი მორეცხა, იატაკი მოაპრიალა, ფანჯრებზე ფარდებს ზონრები შეუცვალა. შემდეგ თმის დასახვევად შარდვის დალაქ მარსიალთან წავიდა და, დილამდე რომ არ დაშლოდა, ბაღე წაიკრა. საცვლებიც გადაათვალიერა, აბრეშუმისა ამოარჩია, ერთხელაც რომ არ უხმარია ხანგრძლივი მარტოობის ყამს. რომელი კაბა ჩაიცვას? მის ქმარს ყველაზე მეტად თეთრზოლებიანი ლურჯი კაბა მოსწონდა, მაგრამ რომ გაისინჯა,

გული ეტკინა: ისე გამხდარიყო, ქამარი წარამარა ქვემოთ უცურდებოდა. არა, ისევ თავისი ხელით გამოჭრილ შავ კაბას ჩაიცვამს, ქამრით და ფერადი საყელოთი მორთავს.

ქმრის საყვარელი კერძები გაიხსენა... საუზმე ხომ უნდა გაემზადებინა? 1945 წელს საფრანგეთში არაფერი იშოვებოდა... შოკოლადი?... ჰო, რენოს ძალიან უყვარდა, მაგრამ შოკოლადი რომ არ იყო... ხაბედნიეროდ, ქათმების წყალობით რამდენიმე ახალი კვერცხი ჰქონდა... ქმარი ყოველთვის ეუბნებოდა, ომლეთი ძალიან გემრიელი გამოგდისო... მას ხორცი და შემწვარი გაშლი უყვარდა, მაგრამ შარდვის ყასაბმა ორი დღის წინ დაკეტა ჯიხური... გუშინწინ ქათამი დაკლა, შეწვა, მერე მეზობლისაგან გაიგო, უახლოეს ქალაქში ერთი მედუქნე შოკოლადს ჩუმად ჰყიდისო და წასვლა გადაწყვიტა.

„რვა საათზე თუ წავალ, ცხრისთვის დავბრუნდები... წასვლამდე ყველაფერს ისე დავტოვებ, რომ მერე მხოლოდ სამზარეულოში ვიტრიალო“.

ელენი უჩვეულოდ მხიარული და აღელვებული ჩანდა. მშვენიერი ამინდი იდგა, დილის მზე აცხუნებდა. იგი სუფრას შლიდა და თან ღიღინებდა. „თეთრუჯრედიანი წითელი სუფრა... სწორედ ეს სუფრა გვქონდა გაშლილი, როცა პირველად ვისაუზმეთ ერთად... ნახატებიანი ვარდისფერი თეფშები ... რენო ამ ნახატებით ერთობოდა ხოლმე. ერთი ბოთლი შუშხუნა... განსაკუთრებით ყვავილები უყვარდა. შენ ყველაზე ლამაზად აწყობო ყვავილებს, მეტყობა ხოლმე“.

მან სამფერი თაიგული შეკრა: თეთრი გვირილები, ყაყაჩოები და ღიღილოები შვრიის თავთავებთან ერთად. შემდეგ, სახლიდან წასვლამდე, ველოსიპედზე დაყრდნობილი ღია ფანჯრიდან დიდხანს უცქერდა პატარა ოთახს. დიახ, ყველაფერი მართლაც უნაკლო ჩანდა. ამდენი გაჭირვების მერე რენო, ცხადია, გაოცდება, როდესაც სახლიც და ცოლიც მხოლოდ ოდნავ შეცვლილი დახვდება. სარკეში თავის თავს ხედავდა. შეიძლება მეტისმეტად გამხდარია, მაგრამ ისეთივე თეთრია, ახალგაზრდა და თანაც შეყვარებული... ასე ეგონა, ბედნიერებისგან ლამის შეიშლებოდა...

„უნდა წავიდე, — გაიფიქრა მან, — რომელი საათია? უკვე ცხრაა. ამ ამბებმა გაცილებით მეტი დრო წამართვა, ვიდრე მეგონა... მაგრამ მერმა მითხრა, ეშელონი თორმეტისთვის მოვაო. ისე რომ ადრეც დავბრუნდები“.

ლემარების პატარა სახლი განცალკევებით იდგა სოფლის განაპირას. არავის დაუნახავს ბაღში შესული გამხდარი ჯარისკაცი. მას თვალები უბრწყინავდა, სინათლისა და ბედნიერებისგან გაბრუებული, ყვავილების სილამაზით მთვრალი ერთხანს ფუტკრების ბზუილს უსმენდა, მერე ხმადაბლა დაიძახა:

— ელენ!

ხმა რომ არავინ გასცა, კიდევ დაიძახა:

— ელენ!.. ელენ!..

სიჩუმემ შეაკრთო, სახლს მიუახლოვდა და ფანჯრიდან ორ კაცზე გაშლილი სუფრა, ყვავილები და ერთი ბოთლი შუშხუნა დაინახა.

ლემარს გული შეეკუმშა და კედელს მიეყრდნო.

„ღმერთო! — გაიფიქრა, — თურმე მართო არ ცხოვრობს!“

ერთი საათის მერე დაბრუნებულ ელენს მეზობელმა უთხრა:

— მე თქვენი რენო ვნახე, გზაზე გარბოდა, დავუძახე, მაგრამ არც კი მოიხედა.

— გარბოდა?.. საით?

— ტივიესკენ.

მარტა მერთან გაიქცა. მერმა არაფერი იცოდა.

— მეშინია, ბატონო მერო... ძალიან მეშინია... რენო ეჭვიანი და მგრძნობიარეა, ამავე დროს მტკიცე ხასიათი აქვს... ალბათ ორ კაცზე გაშლილი სუფრა ნახა, მაგრამ ვერ მიხვდა, რომ სწორედ მას ველოდი... თუ ახლავე არ მოვნახეთ, შეიძლება საერთოდ აღარ დაბრუნდეს... მე კი ძალიან მიყვარს!..

მერმა ტივიეს სადგურში ველოსიპედისტი გაგზავნა, ჟანდარმები ფეხზე დააყენა, მაგრამ ლემარი გაქრა. ელენი მთელი ღამე მაგიდასთან იჯდა, პირში ლუკმა არ ჩაუდია. სიცხე იყო და ყვავილები თანდათან დაჭკნა.

გავიდა ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე....

იმ უკუღმართი დღის მერე აგერ უკვე ორ წელიწადზე მეტია ელენს ქმარზე აღარაფერი გაუგია. ამ ამბავს იმ იმედით ვწერ, რომ იგი წაიკითხავს და დაბრუნდება.



ს უ რ ა თ ი

18 ... წელს სენტ-ონორეს ქუჩაზე მდებარე მალაზიასთან ერთი სტუდენტის შეჩერდა. ვიტრინაში სურათები გამოეფინათ, მათ შორის მანეს ერთი ნახატი—„შარტრის ტაძარი“. ამ დროისთვის მანეს მხოლოდ რამდენიმე მოყვარული თუ იცნობდა, მაგრამ გამვლელს კარგი გემოვნება ჰქონდა და ნახატის სილამაზემ მოხიბლა. რამდენიმე დღე ასე იარა სურათის სანახავად, ბოლოს გაბედა მალაზიაში შესვლა და ფასი იკითხა.

— სიმართლე გითხრათ, ეს სურათი დიდი ხანია დევს აქ. ორი ათას ფრანკად დაგიტომობთ, — უთხრა გამყიდველმა.

სტუდენტს ამდენი ფული არ გააჩნდა, მაგრამ მისი ოჯახი პროვინციაში საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. როცა პარიზს მიემგზავრებოდა, ერთ-ერთმა ბიძამ უთხრა: „მე ვიცი ახალგაზრდების ამბავი. თუ რამე დაგჭირდა, მომწერე“. მან გამყიდველს სთხოვა, სურათს რვა დღე ნუ გაყიდითო, და ბიძამისს წერილი მისწერა.

ახალგაზრდა კაცს პარიზში საყვარელი ჰყავდა, რომელიც ბევრად უფროს კაცზე იყო გათხოვილი და თავს მოწყენილად გრძნობდა. იგი საოცრად ლამაზი, მაგრამ ცოტა ტლანქი და საკმაოდ სულელი ქალიც გახლდათ. იმ საღამოს, როცა სტუდენტმა სურათის ფასი გაიგო, საყვარელმა უთხრა:

— ხვალ ტულონიდან ჩემი მეგობარი ჩამოდის. პანსიონში ერთად ვსწავლობდით. ჩემს ქმარს დრო არა აქვს, იქნებ თქვენ გაგვასეირნოთ.

მეორე დღეს მეგობარი ჩამოვიდა, მას კიდევ ერთი ქალი ახლდა. სტუდენტი იძულებული გახდა რამდენიმე დღე პარიზში ეტარებინა სამივე ქალი,

დაჰყავდა კაფეებში, რესტორნებში, თეატრებში, ასეირნებდა ეტლით და ფულიც უცებ შემოეღია. ამიტომ ამხანაგისგან ისესხა ფული. როცა წერილი მიიღო, გულმა უსიამო რეჩხი უყო, მაგრამ წერილში ორი ათასი ფრანკი იდო და ამან გაამხნევა. მან ვალები გაისტუმრა, ხოლო საყვარელს საჩუქარი უყიდა.

მანეს „ტაძარი“ კი ვიღაც კოლექციონერმა შეიძინა და კარგა ხნის მერე თავისი სურათები ლუვრს გადასცა.

სტუდენტი ახლა ცნობილი მწერალია. მოხუცდა, მაგრამ გული კვლავ ახალგაზრდული მგზნებარებით აქვს სავსე. ბუნების ლამაზი სურათი ან მშვენიერი ქალი ახლაც ძველებურად აღელვებს ხოლმე. სახლიდან გამოსვლისას ხშირად ხვდება ქუჩაში ერთ ხანშიშესულ ქალს, მეზობელ სახლში რომ ცხოვრობს. ეს ქალი მისი ძველი საყვარელია. სიმსუქნისაგან სულ შეცვლია სახე, ოდესღაც ლამაზ თვალებქვეშ პარკებივით ჰკიდია შეშუპებული უბეები, ზედა ტუჩი ნაცრისფერ ღინღლს დაუფარავს. ძლივს დადის, ისე დაუძლურებია ფეხები. მწერალი ესალმება, მაგრამ არ უჩერდება, ბოროტ ადამიანად მიაჩნია და საშინლად არ სიამოვნებს იმაზე ფიქრი, ოდესღაც რომ ეს ქალი უყვარდა.

ზოგჯერ მწერალი ლუვრში შედის, ადის იმ დარბაზში, სადაც „ტაძარია“ გამოფენილი, დგას დიდხანს, უცქერის სურათს და ოხრავს.

□



მონტრობა

რუსულიდან თარგმნა იროდიონ ქავჭავაძემ

ზეკარი თითქოს ახლო იყო. აღმართი თანდათან ივაკებდა, ბილიკი აღარ იკლაკნებოდა დათოვლილ, კლდოვან სერზე. მარჯვნივ რალაც რუხი აღმართულიყო, ალბათ სხვა უზარმაზარი მთა. მაშასადამე, უკვე უწიეს უნაგირას. ძველებურად ბობოქრობდა ქარი, მრისხანებდა და მთელ შემოგარენში, როგორც უხილავ, უზარმაზარ მილში, ისმოდა ბლავილი, კვნესა, რეკვაც კი. ან იქნებ ყურები უშხუოდა ასე. ეტყობა, სუსხი ძლიერდებოდა. ყველაზე მეტად ხელ-ფეხზე გრძნობდა სიცივეს. კიდევ კარგი, თოვლჭყაპი არ იყო, მშრალი ხორხოშელა ტანისამოსზე ფეხს ვერ იკიდებდა. ოღონდაც პირისახეს შოლტავდა ქარი მწარედ.

დასვენება კი იყო საჭირო, მაგრამ ივანე გრძნობდა, თუ დაჯდებოდა, ვეღარც ადგებოდა. ასე იჩანჩალა მთელი საათი თუ უფრო მეტი, ნელა მიიწევდა კლაკნილ ბილიკზე. ჯულია ეკვროდა — ივანეს გულში სითბოს უღვრიდა ქალის ყოველი მოძრაობა. საოცარია და, მიუხედავად დაღლილობისა, მიუხედავად მათი წედანდელი უსიამოვნო ლაპარაკისა, ივანე მაინც კარგად გრძნობდა თავს. ოღონდ ძალა არ გამოლეოდა და მორჩილად მოტმასნებულ ჯულიას წაიყვანდა შორს, შორს...

მაგრამ აი, ფეხები ეკეცება უკვე. და როცა შეშინდა, არ დავეცეო, სწორედ მაშინ თოვლიანი ბობოქარი წყვდიადიდან ამოცურდა კლდის უზარმაზარი შავი კედელი. ივანემ ბილიკიდან გადაუხვია. ქოშები ქვებზე უსხლტოდა, და მაინც მიიწევდა კლდისკენ. ჯულია დუმდა, ლოყით მაგრად ეკვროდა მის კისერს. ლოდს რომ უწია, ივანე მიტრიალდა. ჯულიამ შეუშვა ნიკაპქვეშ ხელები და ივანესაც შეუმსუბუქდა მხრები. ახლავ იგრძნო, თურმე რა მძიმე ყოფილა ჯულია.

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე № 5.



- აბა, როგორა ხარ? გაიყინე?
- ნონ, ნონ.
- ფეხები?
- ჰო, — ჩუმად თქვა, — ფეხები კი.

ჯულია ახლა ისე უჩვეულოდ წყნარი ჩანდა, თითქოს მის წინაშე რაიმე დაეშავებინოს. ივანე გრძნობდა ამას და უნდოდა დაემშვიდებინა ქალი, ოღონდ არ იცოდა როგორ, სიტყვები ვერ მოეძებნა. ამიტომ გარეგნულად ისევ თავშეკავებული ჩანდა. მისკენ არ მიბრუნებულა, ფეხზე დაუსვა ხელი — მთლად გათოშოდა. ქალმა ფეხი მოარიდა და ხმადაბლა წამოიძახა:

— ოჰ, არ შეიძლება!

ეტყობა, ვერ მიხვდა კაცის საწადელს. მაშინ ივანემ მოხერხებულად დასვა ლოდზე და მიწიდან პეშვით თოვლი აიღო.

- აბა მოიტა, დაგიზილო.
- ნონ, ნონ.

— მოიტა, რა დროს „ნონ“ არის, — გულთბილად, მაგრამ მტკიცედ უთხრა ქალს, წამოუწია ცალი ფეხი, მუხლები ზედ ისე შემოაჭდო, როგორც შჭედლებმა იციან ხოლმე, როდესაც ცხენს ჰედავენ, და დაუწყო თოვლით ზელვა. ჯულიამ გაიბრძოლა, ოხვრა დაიწყო, აკვნესდა. ივანეს კი გაეცინა:

- რა, გელიტინება?
- მტკივა! მტკივა!
- მოითმინე. მე ნელა.

როგორც შეეძლო, სათუთად დაუზილა ჯერ ერთი, მერე მეორე ტერფი, ბავშვის ტერფს რომ მიუგავდა. თავიდან ქალიშვილი, ვაიო, იძახდა, მერე კი მიწყნარდა.

- აბა, გათბი? — წამოდგა ივანე.
- გავთბი, გავთბი! მადლობა.
- გაამოს!

ჯულიამ ქურთუკის კალთები ფეხებზე შემოიხვია. ივანე კი წუთით მიეყრდნო გაყინულ ლოდს, სუნთქვა დაიმშვიდა. მაგრამ რაკი არ მოძრაობდა, ერთბაშად შესცივდა, ქარი დაუშტრილობდა მსუბუქ ქურთუკში.

— პური გინდა? — ჰკითხა ივანემ. გაახსენდა, პურს რომ ითხოვდა ჯულია.

— ნონ, — მაშინვე უპასუხა ქალმა. — ჯულიას ნონ პური. ივან ესპენ პური.

— ჰოო? მაშინ შემოვინახოთ, გამოგვადგება, — ჩაილაპარაკა ივანემ და ორივემ თითქმის ერთდროულად გადაყლაპა ნერწყვი. კაცი გრძნობდა, რომ იყინებოდა. თავს ძალა დაატანა, ადგა და ჯულიას ზურგი მიუშვირა.

— აბა, მომეხვიე.

ჩუმად, დაუზარელად შემოხვია ქალმა კისერზე მკლავები, მიეხუტა და კაცმა მაშინვე იგრძნო სითბო.

— ივანე, — წყნარად თქვა ჯულიამ და სითბო ჩაჰბერა ყურში. — შენ ნონ ჯულიას დატოვება, ხომ? შენ ჯულიას შეშინება, ხომ?

ივანე დაიბნა, მერე ჩაიციხა და თითქოს თავის თავის დასარწმუნებლად წაილაპარაკა:

— ჰო, რასაკვირველია...

- ჯულია მძიმე არა?
- რას ამბობ! ბუმბულივითა ხარ.
- რა არის ბუმბული?
- აი, ჩიტის ფრთა.
- სულ პატარა, პატარა?
- ჰო!

ახალ დათოვლილზე ბილიკი კარგად ჩანდა. მიჰყვებოდა კაცი ამ ბილიკს და კისერზე სასაცილოდ უღიტინებდა ქალის თბილი სუნთქვა. უეცრად მისი მოქნილი, წვრილი თითები მკერდზე მიესათუთა და ივანე ცოტათი კიდევ შეაკრთო ამ მოულოდნელმა ალერსმა.

- მასწავლი შენი ლაპარაკი?
- ბელორუსული?
- ია.

კაცს გაეცინა, უცნაური ეჩვენა ეს თხოვნა.

- აუცილებლად, აი მივალთ ტრიესტში და დავიწყობ.

ამ აზრმა ივანეს უჩვეულო სიხარული მოჰგვარა. ნუთუ გაუღი-მებთ ბედი და ტრიესტამდე მიაღწევენ, მიაგნებენ პარტიზანებს? ეს თუ მოხ-და, არაფრის გულისათვის ერთმანეთს აღარ დაშორდებიან, ერთ რაზმში იქ-ნებიან ორივენი. რა კარგია, როცა უცნობ მიწაზე შენიანი გყავს გვერდით! ქალის თანხლება უკვე აღარ იყო ივანესთვის უამური და დამამძიმებელი. მასთან გატარებულმა ამ ორმა დღემ აგრძნობინა, თურმე რა ეულად უცხოვ-რია მთელი ეს ომის წლები. ჯარისკაცების ამხანაგობა აქ რა მოსატანი იყო. ჯულიას სიტბომ და თანაგრძნობამ მოაგონა ის, რაიც დისგან, დედისგან თუ უგრძნია მხოლოდ. მათთან არ იყო საჭირო განსაკუთრებული მოქცევა და ლაპარაკი. ქალის მღუმარე სიახლოვეც, მარტო მისი აქ ყოფნის შეგრძნებაც კი ასევე მშვიდი სიხარულით უვსებდა გულს.

უნაგირაზე გავიდნენ. ორივე მხარეს ფრიალო მწვერვალები აღმართუ-ლიყო. კიდევ ცოტა და ბილიკი დაბლა დაეშვა. ღამის წვდიადში კვლავ ცვი-ოდა მეჩხერი თოვლი.

- უღელტეხილი? — აფრთხილდა ჯულია.
- უღელტეხილი, ჰო.
- ოჰ, მადონა!
- შენ კი ამბობდი, კაპუტი! ხომ ხედავ, მოვედით.

კაცი შეჩერდა, რომ უფრო მარჯვედ მოეკიდებინა იგი ზურგზე, მაგრამ ქალმა ჩამოსვლა მოინდომა:

- ჯულია თვითონ, დანკე, გრაციე, მადლობა!
- რად ჩამოდიხარ?
- ნონ, ნონ, ივანე დაიღალა.
- კარგი, კარგი.

ვიდრე ჩამოხტებოდა, ჯულია ყელზე მოეხვია ივანეს, წამით ლოყა მიაკრა მის გაყინულ მხარს და დიდი ხნის გაუპარსავ ნიკაპზეც ხუმრობით მოუთა-თუნა ხელები.

- ოჰ, რიჩო? ზღარბი. იჩხვლიტება.

— ტრიესტში გავიპარსავ.

— ტრიესტე!.. ტრიესტე!.. — ოცნებით აიტაცა ქალმა. — პარტიჯან ტრიესტე. ივანე, ჯულია, ტედესკო ტრახ-ტრახ-ტრახ, ტრახ-ტრახ-ტრახ. ფაშისტი არამზადა! — ივანე უსმენდა ქალს და თავშეკავებით იცინოდა. გულმოდგინედ მიიკვლევდა გზას სიბნელეში. მაგრამ დაღმართზე დაშვება არანაკლებ ძნელი იყო, ვიდრე მთაზე ასვლა. ქოშები ხშირად უცურდებოდა, დაჭიმვისაგან მუხლები სტკიოდა, თუმცა სუნთქვა კი გაუადვილდა. შიში აჰკვიატებოდა, დავეცემიო. ხან ჩქარი ნაბიჯით, ხან კი სირბილით ეშვებოდა უტელთეხილიდან. მის ზურგზე მიტმასნილი ჯულია შეშფოთებული წამოიძახებდა ხოლმე:

— ვაი, ვაი, ივანე!

— არაფერია. გამაგრდი!

ქარი თითქოს მიწყნარდა და კიდევ დათბა. არ იცოდნენ, საით მიდიოდა ბილიკი, წინ რა ელოდათ, ამ სიბნელეში ვერაფერს ხედავდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ქარი თითქმის ჩადგა, თოვლის ფანტელების ციმციმი შეწყდა. ყველგან, სადამდისაც თვალი მიუწვდებოდათ, თოვლით დაფარული კლდეები შემოჯარულიყო. ბილიკი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ უხვევდა, უცნაურად იკლაკნებოდა. ფერდობებიც აქ უფრო დამრეცი იყო, ვიდრე უღელტეხილის მეორე მხარეს. ივანე მეტისმეტად დაიღალა და მაინც ჩქარა მიაბიჯებდა, უკან არ იხედებოდა, მხოლოდ ცდილობდა, ბილიკს არ ასცდენოდა. ჯულია რატომღაც დადუმდა. ივანემ სცადა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ქალმა არ უპასუხა. თურმე შეუმჩნეველად ჩასთვლემოდა და მშვიდად სუნთქავდა, ხელები მსუბუქად და ნაზად ეწყო კაცის მხრებზე. ეტყობა, ქურთუკი გაეხსნა — ივანემ იგრძნო, რა თბილი იყო მის გამხდარ ბეჭებზე მიხუტებული ქალის მკერდი. თითქოს ჯიბრზე კენჭი ჩაუვარდა მარჯვენა ქოშში. ერთ-ორჯერ დაუხრელად გაატოკა ფეხი, მაგრამ კენჭი ვერ ამოაგდო. სიარული ძალიან უჭირდა, და მაინც ჯულია არ გააღვიძა. უფრო ნელა ადგამდა ნაბიჯს და კიდევ კარგა ხანს იარა. თითქოს თვითონაც მოერია ძილი. უცებ ვერც მიხვდა, სად იყო და ვინ ჰყავდა ზურგზე მოკიდებული. რამდენიმე წამს არ მოსცილდა ეს შეგრძნება. მერე გამოერკვა, ჯულიას სუნთქვა იგრძნო და დამშვიდდა. გარშემო წინანდებურად შემოჯაროდნენ პირქუში ფრიალო კლდეები. ფერდობებზე აქა-იქ უკვე გამდნარიყო თოვლი. დაბლიდან სინესტემ ამოატანა, ზოგჯერ ფისის სუნიც მოდიოდა წიწვიანი ტყიდან. სადღაც შორს, ჩანჩქერი ჩხრიალებდა. ალბათ იქ ხეობა იყო.

განთიადზე უკვე მდელოებს მიადგნენ. გარშემო ერთბაშად გაქრა თოვლი, თითქოს გადნაო; ქვემოდან ამოცურებული ნისლის სველი ნაფლეთები მოფენოდა ლოდებს. უფრო დაბლა რომ ჩავიდნენ, ბალახების, ყვავილებისა და ფიჭვნარის სურნელება იგრძნეს და ივანე მიხვდა — უკვე მოეთავებინათ ყველაზე ძნელი სავალი. ბილიკი სადღაც დაიკარგა, მაგრამ სიარული გაადვილდა. მალე ხშირ, რბილ ბალახზე მიაბიჯებდა. ასე ეგონა, საცაა დავვარდებიო. მუხლებამდე ამოყელყელავებული, უამრავი კოკრით დახუნძლული ყვავილის ღეროები ფეხებს უწყებლავდა. ჯულიას მშვიდად ეძინა. ქალი რომ არ გაეღვიძებინა, ივანემ ნელა ჩაიჩოქა და ჯულია ფრთხილად დაუშვა ბალახზე. ჯულიას არ გაჰღვიძებია.

ამჯერად ივანეს აღარ უნახავს ის აბეზარი, მშფოთვარე სიზმარი. რამდენიმე საათი ეძინა ღრმა ძილით, მერე სიზმარ-ცხადი ერთმანეთში აერია.

ოცდახუთი წლის ასაკში ახალგაზრდობა უკვე ჩავლილია. ბევრ რასმე, რასაც უბრალო ადამიანური სიხარული ჰქვია, უკვე ველარ დაიბრუნებ და ველარც განიცდი, თუკი აღრე არ განგიცდია. ადამიანები ალბათ იმაზე მეტის ღირსნი არიან, ვიდრე ივანე ტერეშკას არგუნა ბედმა. თუმცა ივანე ამაზე იშვიათად დაფიქრებულა, ბედნიერების ძებნის დრო სად ჰქონდა! შინ როცა იყო, იმაზე უნდა ეზრუნა, როგორმე თავი გაეტანა, ფეხზე დამდგარიყო; მოგვიანებით, ომის დროს, ცხადია, ათასი სხვა, უფრო დიდი საზრუნავი გაუჩნდა. სიყვარულისთვის სად ეცალა, ქალს არ გაჰკარებია და მაინც, როგორც ეს ახალგაზრდებს სჩვევიათ, ქალ-ვაჟის ჩვეულებრივ ურთიერთობას ეჭვის თვალთ უყურებდა.

შარშანწინ, ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე, ივანე და მისი მეთაური (ივანე შიკრიკად იყო მასთან), უფროსი ლეიტენანტი გლებოვი ერთად დაიჭრნენ ტყეში, როცა გლებოვი პოლკის მეთაურთან მიდიოდა თათბირზე. ტერეშკამ ნამსხვრევით მხარგაჩეხილი მეთაური ცეცხლიდან გამოიყვანა, ჭრილობა შეუხვია, მერე თოვლში ხოხვა-ხოხვით გაიყვანა გზაზე. იქ კი ორივენი ოთხთვალაზე მოათავსეს. ივანე მსუბუქად იყო დაჭრილი და ტკივილი იოლად გადაიტანა, ხოლო ასეულის უფროსი თავს ცუდად გრძნობდა. ბევრი სისხლი დაჰკარგა, ხმას თითქმის ვერ იღებდა, მხოლოდ ის ითხოვა, პირდაპირ ჰოსპიტალში მიმიყვანეთო, სადივიზიო სანბატი არ მინდაო. შიკრიკი მიხვდა, ოფიცერს რა აწუხებდა: გლებოვს არ სურდა შეეწუხებინა ანიუტა — წერწეტა, დიდთვალეა ქალიშვილი, მათი ასეულის აღრინდელი სანიანსტრუქტორი, სანბატში ექთანად რომ გადაიყვანეს. ასეულში ყველამ იცოდა, რომ მათ ჭეშმარიტად უყვარდათ ერთმანეთი. სწორედ ამიტომ გადააყვანინა გლებოვმა ანიუტა სანბატში, იქ მეტი სიმშვიდე იყო, ვიდრე მოწინავე ხაზზე. ასეულის მეავტომატეებსაც თავისებურად უყვარდათ ეს გოგო — პატივს სცემდნენ მეთაურსა და მის გრძნობასაც. შიკრიკიც გულითადად ექცეოდა ქალს, ალბათ იმიტომ, რომ სულ გლებოვთან უწევდა ყოფნა. უმცროს დასავით შეითვისა ანიუტა, შეიძლება დაზე მეტადაც.

მაგრამ სანბატს მაინც ვერ აუარეს გვერდი. ან როგორ შეიძლებოდა დაჭრილის შორს წაყვანა, როცა ივანე იმასაც შიშობდა, ვაითუ სანბატშიც გვიანი იყოს მისი მიყვანაო. ცხენები სწრაფად გარბოდნენ მარხილებით გატკეპნილ გზაზე, ივანე წარამარა ეხმიანებოდა წამყვანს, დონდლო ჯარისკაცს, ორი ზედმეტი ფარაჯა რომ გადაეცვა ტანზე, ცხენები უფრო სწრაფად გარეკეო. გლებოვი გრძნობას ჰკარგავდა, ბოდავდა, იგინებოდა, შიკრიკს ველარ ცნობდა. ვერ იცნო ანიუტაც, კვილით რომ დაეცა მარხილს, როცა სანბატის ბრეზენტის კარავს მიუახლოვდნენ.

ივანეს სამუდამოდ დაამახსოვრდა ის საღამო, ყინვიანი, ვარსკვლავიანი ზეცა, პირქუში ნაძვნარი, კვამლის ნაცნობი სუნი, კარავში აჟრიამულელებული ხალხი. მაგრამ ყველაზე უფრო ანიუტას უნუგეშო მწუხარება ჩარჩა ხსოვნაში. საოპერაციოში არ შეუშვეს ივანე! შესასვლელთან იჯდა. საკუთარი ტკივილი დავიწყებოდა, გარეთ გამოსულ ექთანების ყოველ სიტყვას იტაცებდა,

მეთაურის მდგომარეობა რომ გაეგო. ვერ მოჰქონდათ სანუგეშო ცნობები — ოპერაცია მიძიმე იყო, დიდხანს გასტანა, სისხლი გადაუსხეს, ფიზიოლოგიური ხსნარის მოსატანადაც გაიქცნენ. ივანემ არ იცოდა, ანიუტა როგორ ენუგეშებინა, თავადვე სჭირდებოდა ნუგეში, იჯდა და თამბაქოს ეწეოდა, სანამ მთლად არ დააცარიელა ქისა.

გლებოვი ოპერაციის დროს მოკვდა, — ჭრილობების გაკერვაც კი ვერ მოასწრეს. ამ ამბავმა გულზე ცეცხლი წაუკიდა კაცს. არც კი ეგონა, ასე თუ დასტანჯავდა სხვისი სიკვდილი. ალბათ სხვისი მწუხარების შემხედვარეს უფრო გიმძაფრდება კაცს ტანჯვა. ანიუტას რამდენიმე დღე აღარ უმუშავნია, არც არავის გაუკიცხავს ამის გამო. პირიქით, უზარმაზარ კარავში საწოლ-საკაცეებზე მწოლიარე დაჭრილები თანაუგრძნობდნენ მის მწუხარებას. მხოლოდ ივანე დუმდა, ფიქრებში ჩაძირული. მიხვდა, რომ სულ სხვა გრძნობა ჰქონია თურმე ანიუტას მიმართ. არა, ეს ახალი გრძნობა არ იყო სიყვარული. ის, რასაც ქალისადმი გრძნობდა, პატივისცემა იყო და მეტი არაფერი.

მთელი ზამთარი სანბატში გაატარა და ამ უბოლოო საღამოების მანძილზე ალბათ გადაეჩვია ხუმრობას, ღიმილს; გაუთავებლად აბოლებდა წეკოს, შესცქეროდა რკინის კასრიდან შეკოწიწებულ ღუმელში მოლაპლაპე ალს. ისე ახურებდა ამ ღუმელს სანიტარი ახმეტშინი, რომ სულ წითლად გაჰქონდა ვარვარი. იმ საღამოს შემდეგ ანიუტას თითქმის არც დალაპარაკებია, უამისოდაც კარგად ესმოდათ ერთმანეთის სიმძიმე. ცოტა ხნის შემდეგ ანიუტა კვლავ შეუდგა მუშაობას, თუმცაღა დაჰკარგა ძველი სიმკვირცხლე, თავისი ასაკისათვის შეუფერებლად ჩაფიქრებული და თავდაჭერილი გახდა. საერთო მწუხარებამ დააახლოვა ისინი. ხანდახან, მასთან რომ იყო კარავში და საქმეში ეხმარებოდა, სიტყვაც კი არ წამოსცდებოდა ხოლმე თავის განცდებზე და ქალიც მადლიერი იყო მისი.

გვიან საღამოს, ანიუტა საქმეს რომ მორჩებოდა, საწოლზე ჩამოუჯდებოდა ივანეს და ივანეც ცეცხლს მიაჩერდებოდა მდუმარედ. ბნელ კუთხეში ვინმე ჯარისკაცი რაიმე ფათერაკს იხსენებდა, ან სამხიარულოსაც იტყოდა ვინმე, ომამდელ წარსულს გაიხსენებდა. კარგი იყო ეს ყოფა, მაგრამ დრო გადიოდა, სანბატში სხვა დაჭრილები მოჰყავდათ. ზოგიერთებს შორს გზავნიდნენ, ზურგში, ზოგიერთებს მოწინავე ხაზზე გასწერდნენ. და აი, ერთხელ, თითქოსდა ერთი შეხედვით უბრალო ამბავმა ერთბაშად დაარღვია პალატის მშვიდობიანი ცხოვრება.

სადილი რომ მოთავდა, ივანე კარდალების შეგროვებას შეუდგა, სამზარეულოში უნდა წაეღო გასარეცხად. უცებ პალატის შესასვლელთან ხმაური გაისმა, ატყდა ფეხების ბაკუნი, და ორმა სანიტარმა საკაცით შემოიყვანა დაჭრილი. საკაცეზე, ჯუბაჩის ქვეშ იწვა ვინმე ახალგაზრდა მეთაური (მერე აღმოჩნდა, იმ სატანკო ნაწილიდან ყოფილა, მათ დივიზიას რომ ეხმარებოდა). მაიორი კარვის კუთხეში დააწვინეს — თვით სანბატის კომისარმა გასცა განკარგულება. ივანე სამზარეულოში ეზიდებოდა ჭურჭელს და უნებურად უკვირდა, დაჭრილს ასეთ ყურადღებას რომ აქცევდნენ. როდესაც დაბრუნდა, მაიორი უკვე საკაცეზე იჯდა. დასცხა და უსახელო ტყაპუჭი გაიძრო, ტანკისტის ფართო მკერდზე ექვსი ორდენი გაბრწყინდა. მთელ პალატაში მიწყნარდნენ დაჭრილები, ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ ახალმოსულს.

მაიორი მკვირცხლი, ამოდ მოუბარი კაცი გამოდგა. ორივე ფეხში მსუ-

ბუქად იყო დაჭრილი. უაზროდ კი არ მისჩერებოდა ჭერს, როგორც სხვა დაჭრილები, — არა, მალე გაეცნო ყველა ჯარისკაცსა თუ სანიტარს, ექთანებსაც მაშინვე დაუმიეგობრდა. ხშირ-ხშირად დაუდიოდნენ მეგობრებიც — თანამებრძოლები. ზოგჯერ უფროსებიც მოინახულებდნენ ხოლმე, ხომ ასეთი გულდია იყო, მაგრამ მალე მოითხოვა, კუთხე გადამიტიხრეთო. ბიჭებს არ გააკვირვებიათ, — ის მაინც მაიორი იყო, ამიტომ მისი სურვილი — მებრძოლებს განცალკევებოდა, არ იყო საოცარი, თუმცა მსუბუქად დაჭრილებს არ ეკუთვნოდა ესეთი პატივი. მაიორს თხოვნა შეუსრულეს: მისი კუთხე ზეწრებით გამოაცალკევეს. ამის შემდეგ ყველაზე საინტერესო ამბები ამ თეჯირის უკან ხდებოდა. ივანე იღუშებოდა, არ ამჟღავნებდა თავის თითქოსდა უმიზეზო გაბოროტებას, მაგრამ სწყინდა კია, როგორ გამხიარულდა და გამოცოცხლდა ანიუტა, წამდაუწუმ როგორ იმიზეზებდა საქმეს და იმ ცალკე გამოყოფილ კუთხეში შერბოდა.

მაიორმაც შეამჩნია ეს მკვირცხლი ექთანი, ყოველნაირად ცდილობდა გამორჩეული ყურადღებით მოჰქცეოდა. ერთ საღამოს ჩვეულებრივზე მეტხანს დაყოვნდა ანიუტა მაიორთან. მაიორი რაღაცას უყვებოდა მუსიკაზე, ოპერაზე და ანიუტაც უსმენდა, ზოგჯერ რაიმეს შეეკითხებოდა ხოლმე, ძალიან აინტერესებდა მაიორთან საუბარი. მორიგესთან პატაკის ჩასაბარებლად მისვლაც დაავიანა და საყვედური მიიღო ამის გამო.

იმ საღამოს შემდეგ ქალი კიდევ უფრო გამხიარულდა, უდარდელად დაჰქროდა საკაცებს შორის, ეხუმრებოდა ჯარისკაცებს და ერთხელ კიდევ წაიმღერა „პატარა, ლურჯი თავსაფარი“. ალბათ ანიუტა ვერც მიხვდებოდა თავის გულნამცეცობას, იმ წუთს ივანესთვის რომ არ შეეხედა. ეტყობა, ეს მზერა ქალს შიგ გულში მოხვდა — ანიუტა დაიბნა, ბინტის გორგალი ხელიდან გაუვარდა, წამსვე აიღო და პალატიდან გავიდა. ივანემ, რა თქმა უნდა, სიტყვა არ უთხრა, ოღონდ ეგ იყო, გულში გაიფიქრა: ალბათ ვცდები და ყველაფერი მეჩვენება, თორემ ანიუტას რა აქვსო სამხიარულო. სხვისი სიყვარული განუკურნებელ ჭრილობასავით უწყლავდა გულს. ყოველნაირად უფროთხილდებოდა ამ სიყვარულს, იტანჯებოდა ისე, როგორც იქნებ თავისი სიყვარულისთვისაც კი არ დატანჯულიყო, სიყვარულისთვის, ჯერაც რომ არ განეცადა.

მაგრამ, ეტყობა, სცდებოდა, თავს რომ იმშვიდებდა. მალე შეამჩნია, რომ ანიუტა გაუბოდა მასთან შეხვედრას, თვალს არიდებდა, სულ იმ შემოფარგლული კუთხისაკენ მიუწევდა გული. ივანე გახდა, კიდევ უფრო გულჩახვეული შეიქმნა, იშვიათად წავიდოდა ხოლმე შეშის მოსატანად. ახლა სხვები, უკვე მოკეთებული დაჭრილები, ეხმარებოდნენ ახმეტშინს. ასე გაიარა კიდევ რამდენიმე თვემ. ერთხელ ანიუტა მაიორს ნემსს უკეთებდა. დილა იყო. პალატაში სუსტი შუქი იდგა. ივანე ნაძვის ტოტებისაგან შეკრული ცოცხით გასასვლელში სოხანეს ჰგვიდა, თან იმ მოფარებული კუთხისაკენ ჰქონდა თვალი. ანაზღად ზეწარზე ორი ჩრდილი შენიშნა. დაინახა, როგორ გაიბრძოლა ანიუტამ მამაკაცის მკლავებში, მაგრამ მიყუჩდა, არ დაიყვირა. ივანემ ასე თუ ისე გამოხვეტა სოხანე, მერე დაჰკარგა ყოველგვარი ხალისი, განაპირა ლეიბზე წამოწვა ბნელ კუთხეში და დიდხანს იწვა ასე, ფიქრებში ჩაძირული. დილის ფუსფუსი რომ მიწყნარდა, გამონახა თავისი ტანისამოსი, შეჰკრა ზურგჩანთა და, არავის გამომშვიდობებია, ისე გაუდგა გზას.

სადილობისას უკვე თავის ასეულში იყო. შემდეგი, მეორე დღეს სანბატ-

ში რომ გაემგზავრა მისი სასურსათო ატესტატის წამოსაღებად, დაბრუნებისას მოჰყვა ტერეშკას უცნაური საქციელის ამბავს. ბიჭებმა ცოტა ხანს აქილიკეს ივანე და თავი მიახებეს. ივანე კი კიდევ დიდხანს იჯდა მდუმარედ ბნელ მიწურში. განა ვის შეეძლო მიმხვდარიყო, გულში რა ცეცხლი უტრიალებდა. ჭრილობა მხარზე თანდათან უხორცდებოდა, სევდა კი სხვისი სიყვარულის წაბილწვის გამო არ უქარვდებოდა და არა. ამის შემდეგ იყო, სულ იმას ფიქრობდა, ქალებს არ უნდა ენდოო.

პირველი, რამაც ცხადს დაუბრუნა ივანე, სითბოს შეგრძნება იყო. სითბო კი არა, უფრო სიცხე ეთქმოდა, — ჩახუთულიყო ჰაერი. ეგონა, საკაცზე ვწევარ სანბატში, ღუმელის მახლობლად და ღუმელიც უზომოდ გაუხურებიაო ახმეტშინს. ოღონდ ფეხები კი არა, თავი და მხრები უხურდა. ოფლის წებოვან სისველეს გრძნობდა მთელ ტანზე. ბოლოს ნელ-ნელა გამოერკვა, გაიზმორა, ხელი გააქნია და მოულოდნელად ნამიან ბალახს შეახო. თვალი ძლივს გაახილა და პირველი, რაც დაინახა, წითლად მობრიალე ყვავილი იყო, მოკრძალებულად რომ მიეპყრო მზისკენ ოთხი განიერი კრიალა ფურცელი. ერთი ფურცლის ნაპირზე წითლად ლაჟღაჟებდა და ციმციმებდა ცრემლივით გამჭვირვალე, ჩამოსავარდნად მზა ნამის წვეთი. დილის მსუბუქი ნიავი არხევდა ყვავილის წვრილ, მაღალ ღეროს. სადღაც შორიახლოს, ხშირ ბალახში თვლემამორეულივით ბზუოდა კრაზანა. მაგრამ ზუზუნნი მალე შეწყდა, ახალა მიხვდა ივანე, რომ გარშემო სრული, ყოვლისმომცველი სიჩუმე სუფევდა. სიჩუმეს კი დიდი ხანია გადაეჩვია. შიში მოეძალა, არ იცოდა, სად იმყოფებოდა, წამოხტა ფეხზე, ფართოდ დააჭყიტა ნამძინარევი, დაწითლებული თვალები. სიხარული და გაოცება მოჰგვარა გარემოს ზღაპრულმა სილამაზემ. უზარმაზარ, მწვანედ მობიბინე ფერდობზე უღრტვინველად ბრიალებდა ალპიურ ყაყაჩოთა ზღვა.

ადამიანის ფეხით გაუთელავი დიდი, განიერფურცლებიანი ყვავილები, დედაბუნების სიუხვით გაზრდილნი, ლივლივებდნენ ნიავის მსუბუქ ტალღებზე, ლალად ეშვებოდნენ ქვევით, მდელოს ბოლომდე. ივანემ წინ გაიხედა, იქით, საითაც უნდა წასულიყო, და უნებური სიხარული გაუქრა. შორს, ველის გადაღმა ლურჯად მოჩანდა იგივე დათვისებური, ვეება ქედი. ეს ქედი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ის მწვერვალი, ასე გაჭირვებით რომ გადაიარეს. მისი უზარმაზარი ჩრდილი გამჭვირვალე, იასამნისფერ ფოშფოშად გადაჰფენოდა დიდ ველს. ახლა არაფერი ეფარებოდა ამ ბუმბერაზს და ისევე შორეული, მბრწყინავი და მიუწვდომელი ჩანდა, როგორც გუშინ.

შეკრთა ივანე. მხოლოდ ახლა ჩაწვდა მისი გონება ამ სიჩუმის შემაშფოთებელ მიზეზს — სად არის ჯულია? ისევ მიმოიხედა. არავინ იყო ირგვლივ, ახლოს კი გათელილ ყაყაჩოებზე, ობლად ეგდო ქურთუკი. მაგრამ შიში მალევე გაუქრა — დამბაჩა და გოგორა პურის მესამედი, ქურთუკის სახელოთი დაფარული, ბალახზე იყო. მაშინვე წამოხტა, თვალები გაფაციცებით შეავლო ფერდობს, სად არის? ნუთუ? გულში ახლა სხვა ეჭვმა გაკრა, მაგრამ არ დაიჯერა, რატომ, თვითონაც არ იცოდა. ჰოი, როგორ სწყუროდა მისი დანახვა,

შოსმენა, მისი სიახლოვე. მარტოობამ გააოგნა, არავითარი საფრთხე არ დაზაფ-
რავდა ამაზე მეტად.

ხელი დასტაცა დამბაჩას და პურს, ქურთუკი ილიაში ამოიღო და თავ-
ქვე დაეშვა. სველი კოკრები უწყებლავდა დასიებულ, დაყუჟილ ფეხებს. ქო-
შები გაახსენდა, მიიხედა, მაგრამ აღარსად იყო ქოშები. ისევ სირბილით გა-
უყვა მდელოს, ფეხებს მიაფლატუნებდა ყაყაჩოებში. საკმაოდ შორს წავიდა
და შეჩერდა — მის მიერ გადავლილ ნამიან ყვავილებს კვალი დამჩნეოდა. გარ-
შემო ხელუხლებელი. წითელი ზღვა გადაშლილიყო. რალაცას მიხვდა და სწრა-
ფად დაბრუნდა უკან. მართლაც ნამიან ბალახს სხვა კვალიც ემჩნეოდა. სირბი-
ლით მიჰყვა ამ კვალს, ტერფები და შარვლის ტოტები ნამმა დაუსველა. ყვავი-
ლების ძლიერი სურნელი თავს უბრუებდა, ძალიან შიოდა, მოთენთილობისა
და სისუსტისაგან თვალთ უბნელდებოდა. ეს იყო ძველი, ნაცნობი შეგრძნება.
ბუნებით მაგარი, ნაწრთობი სხეული ამ შეგრძნებას ეწინააღმდეგებოდა,
გრძნობდა, ძალ-ღონე ჯერ კიდევ არ გამოლეოდა.

სულში აღძრული შეშფოთების დასაძლევად შემოიბრინა ეკლიანი შქერ-
ბარდები, მუშტის ოდენა ყვავილებით მოჩითული. მალე ნამზღვლევის მიღმა
ჩანჩქერის ჩხრიალი მოესმა. მბრწყინავი ნაკადი შავი ლოდების ღარიდან გად-
მოქუხდა და კლდეზე იმსხვრეოდა. გარშემო წვრილი შხეფები იფანტებოდა,
გვერდით კი ნაირფეროვანი ცისარტყელა ეკიდა. ამ სილამაზემ გული ვერ შე-
უძრა ივანეს. სირბილით აიარა მალა, მაგრამ უეცრად შეჩერდა. ორმოცდა-
ათიოდე ნაბიჯის იქით ჯულია შემდგარიყო ქვაზე, ივანესაკენ ზურგი მოექცია
და ჩანჩქერის შხეფებში ბანაობდა.

მაშინვე იცნო იგი, თუმცა შიშველს გეფტლინგის წყეული სამოსი შემოს-
ცლოდა და სულ სხვა არსებად აჩენდა ახლა სრულყოფილი ქალწულებრივი
შშვენიერება. კაცს ვერ ხედავდა, გამხდარ მსუბუქ ტანს მოთმინებით უშვერდა
ნაკადის უხვ ჭავლებს. შხეფებისაგან გაბრწყინებულ სუსტ მხრებს მრავალფე-
როვანი ათინათი უციაგებდა. ივანეს სიხარული ჩაუდგა გულში, და თან შერ-
ცხვა, ნელ-ნელა დაეშვა ბალახზე, პირაღმა გაწვა. უსპეტაკესი უღრუბლო ცა
დაჰყურებდა თავზე, მათრობელა ლუდივით აბრუებდა მიწის ათასგვარი სურ-
ნელი. გრილ ბალახს მიეკრო და მოჭარბებული ბედნიერებისაგან წყნარად გა-
იციანა.

სულის სიღრმეში კვლავ უბუტავდა ის ძველი შიში. წინ ძნელად მისად-
გომი ქედი იყო, უკან... ცხადი იყო, უკან რაც ელოდათ. მაგრამ ამ სანუკვარ
კუთხეში, სადაც ჯულია იპოვა, ახლა ბედნიერად გრძნობდა თავს. მთელი
ტყვეობის მანძილზე არასოდეს ყოფილა ასე ბედნიერი! იწვა ბალახში, ტკბე-
ბოდა ამ მოულოდნელი სიხარულით და არც ცდილობდა გამოეცნო, საიდან
ეწვია ეს ბედნიერება; უბრალოდ, ბედნიერად გრძნობდა თავს, მორჩა და გა-
თავდა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ყველაფერი ეს ხანმოკლე იყო, რომ გულის
სიღრმეში მაინც არ ეშვებოდა მძიმე, შემაწუხებელი სევდა, თუ თავდავიწყე-
ბას მიეცა, მხოლოდ დროებით. და მაინც სიმშვიდე ჩაუდგა უეცრად გულში.
იწვა ყაყაჩოებში, არ დგებოდა, ერთხელაც არ გაუხედავს ჯულიასაკენ, კრძალ-
ვა, ზრდილობა არ აძლევდა ამის ნებას; პირქვე იწვა, ყაყაჩოებს წყვეტდა და
უნებურად თაიგულს ჰკრავდა. ასე ერთობოდა მშვიდი, მოკრძალებული სი-
ნაზით აღვსილი, სანამ აჩქარებული ნაბიჯების ხმა არ მოესმა. თავი ასწია.
ჩანჩქერთან არავინ იყო, — ჯულია მისკენ მიდიოდა და გზადაგზა იცვამდა ზო-

ლებიან ქურთუკს. ახლოს ჩაუბრინა, იქით მიისწრაფოდა, სადაც ივანე დას-
ტოვა. ვაჟმა დაინახა ქალის მოუსვენარი, შეწუხებული პირისახე, შორს მიპყ-
რობილი თვალები, გაეცინა წყნარად, მაგრამ არ გაეხშიანა, აიღო ქურთუკი და
ნელ-ნელა მიჰყვა მის კვალს.

სველი, კუპრივით შავი თმა მზეზე უბრწყინავდა ჯულიას, შქერს შემოტრ-
ბინა და, თითქოს წაიბორძიკაო, გათელილ ყაყაჩოებთან შედგა. შორიდანვე
ემჩნეოდა შიში და დაბნეულობა, აქეთ-იქით იყურებოდა, მერე მოწყდა და
ფერდობზე დაეშვა, მაგრამ იმწამსვე რაღაცამ უკან მოახედა.

— ივანე!!!

ამ შეძახილში ერთდროულად გაისმა შიში, შვება და სიხარული, ხელები
გამოიწვდინა და ჩიტივით მიაფრთხილა ივანეს. კაცი შედგა, ისეთი გრძნო-
ბა ჰქონდა, თითქოს მთელი საუკუნე არ ენახა ეს გაბრწყინებული თვალები,
შავგვრემანი, ნაზი პირსახე, მოკლედ შეჭრილი აბურდული თმის კულულები.
მთელი არსებით ქალისკენ ილტვოდა, მაგრამ თავს იკავებდა, ღუმდა. ჯულიამ
კი ქოშებით გადმოთელა ყაყაჩოები, ივანესთან მიიბრინა, ორივე ხელი კისერ-
ზე შემოჰხვია, ჩაეკონა, დამათრობელი კოცნით დააღა ვაჟი. ივანეს სუნთქვა
შეეკრა, ჯულია კი კვლავ ეხვევოდა, კისკისებდა, სიყვარულით შესციცინებ-
და. მისი მკვრივი ტუჩების შეხება სწვავდა ივანეს. მერე ჯულიამ ხელები ჩა-
მოუშვა, მსუბუქად მოიშორა ვაჟი და სიცილით დაეშვა ბალახზე. უჟუჟუნებ-
და თვალები, ნაპერწკლებს ისროდა. ერთ ღილზე შეკრული ქურთუკი გაეხს-
ნა და ლურჯი მინანქრის პატარა ჯვარი გაუბრწყინდა მკერდზე. ამ ჯვარმა წა-
მით თვალი მოსტაცა ივანეს. ჯულია მაშინვე გამოერკვა და მკერდი დაიფარა.
კვლავინდებურად უცინოდა თვალები, პირისახე, გაპობილი ბაგე, ქათქათა კბი-
ლები, ბანაობით გაგრილებული ნორჩი ტანის ყოველი ნაკვთი. მაგრამ ვაჟი
უეცრად მოიღუშა, დაიბნა, ნახევარ წუთს იდგა ასე და გრძნობდა, როგორ
ერღვეოდა რაღაც მთელ არსებაში, როგორ იმორჩილებდა მის ნებისყოფას
რაღაც უცნაური ძალა. ამ ძალას უკვე ვლარც ებრძოდა: სიხარულითაც ნებ-
დებოდა. ნაბიჯი გადადგა კიდევ ქალისაკენ, ჯულიამ უცბად კისკისი შესწყვი-
ტა და შესახვედრად წამოხტა.

— ივანე! — წამოიძახა, ხელში ყვავილები რომ დაუნახა. — ეს სინიორი-
ნას, ხომ? ხომ?

ვაჟმა ახლალა დახედა ყაყაჩოების თაიგულს, ანგარიშმიუცემლად რომ
დაუკრიფა, და გაეცინა. ქალსაც გაეცინა, დაჰყნოსა ყვავილები, თავისი პატარა
სანდომიანი პირისახე თაიგულში ჩამალა. მერე ბალახზე დადო და თვითონ
დაუწყო კრეფა ყაყაჩოებს.

— ჯულია მადლობა ივანეს, მადლობა, ძალიან, ძალიან...

— რისთვის, რას ამბობ! — სცადა შეპასუხება ივანემ.

— ძალიან, ძალიან მადლობა უნდა! ივანე შველის სინიორინას! რუსო
შველის იტალიანოს!.. ეს არის ბრავო! — აღტაცებით ამბობდა ჯულია და
კვლავ კრეფდა ყვავილებს. მერე ივანესთან მიიბრინა და ყვავილები მკერდზე
მიაცარა.

— აბა, ეს რაა! — გაოცდა ვაჟი. — რატომ?!

— ასე უნდა! უნდა! — არწმუნებდა ჯულია და ვაჟი იძულებული გახდა ყვა-
ვილებისთვის ხელი მიეშველებინა. ამ დროს ქალს ქურთუკში გახვეულ პურ-
ზე მოუხვდა ხელი, უეცრად დადინჯდა და წამოიძახა:

— პური!

— ჰო, ჰო, აბა, ვჭამოთ, — გამოცოცხლდა ივანე, ქურთუკი და პური მიწაზე დადო და თვითონაც ჩამოჯდა. ჯულიაც ხალისიანად მოუჭდა გვერდით.

— ნეტავი მთლიანად შეგვაჭამა, — თქვა ივანემ. გამხმარი პურის ნაჭერი კილოგრამი თუ იქნებოდა, ნასორსლი, ქერქშემოცლილი და მაინც მადის აღმძვრელი, სანატრელი. ორივე პურს შესცქეროდა, ნერწყვს ყლაპავდნენ.

— მთლიანად, მთლიანად, — გაიმეორა ჯულიამ. პურს თვალს არ აცილებდა. ივანემ შორეულ, დათოვლილ ქედს ახედა და ამოიოხრა:

— არა, მთლიანად არ შეიძლება.

— არა? ნონ?

— ნონ.

ქალიც მიხვდა, იმანაც ამოიოხრა. ივანემ ქურთუკი გაშალა და პურის ეს მცირეოდენი ნარჩენი ზედ დადო. ორ თანაბარ ნაწილად უნდა გაეყო.

გულმოდგინედ ანაწილებდა, აქეთ-იქით აწყობდა ნაჭრებს, გრძნობდა, ჯულია რომ მშვიერი იყო და თავს ველარ იკავებდა. ახლა სულ სხვა გრძნობა უღვივოდა გულში — ეს იყო ძმური, მამობრივი, კეთილი და დიადი გრძნობა. მისადმი პატივისცემითაც განიმსჭვალა: ვერ ეგუებოდა ქალი ომის საშინელებას და მტკიცედ მიილტვოდა თავისუფლებისაკენ, მოუსაზრებლად, ქვეცნობიერად, ვითარცა ფრინველი.

საგულდაგულოდ ყოფდა ივანე პურს. ყოველ პატარა ნაჭერს, ყოველ ნამცეცს სწონიდა მისი მახვილი თვალი. ერთი ნაწილი უფრო დიდი გამოიყვანა, რადგან მეორე ყუა იყო. ბანაკის ლოგიკის მიხედვით კი ყუა უფრო ძვირფასად ითვლებოდა, ვიდრე იმავე წონის სხვა რბილი ნაჭერი. გაყოფა რომ მოათავა, მთელი დარჩენილი პური, ორას გრამამდე, ივანემ ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო.

— ეს შენ, ეს მე, — თქვა კაცმა უბრალოდ და პურის ყუა ქალს გაუწოდა. ქალმა წარბები აძგინა:

— ნონ! ეს ივანეს, ეს ჯულიას, — ნაჭრებს ადგილი გადაუნაცვლა.

ივანემ შეხედა, გაუღიმა:

— არა, ჯულია, ასე არა. ეს შენ.

სწრაფად აიღო ქურთუკიდან თავისი ულუფა. ჯულია ყასიდად მოიღუშა, უცებ ქერქი მოატეხა თავის ნაჭერს და ივანეს ჩაუდო ხელში. ვაჟმა დაავლო ხელი ქერქს, ძალათი მიაწოდა ქალს, მაგრამ იგი შორს გაუსხლტა სიცილით, პურიანი ხელი მალა ასწია, ივანე რომ ვერ მისწვდომოდა. ივანე მაინც მისწვდა მის ხელს. ამ ძიძგილაობაში ქალი უნებურად მკერდით შეეხო ვაჟს და, რომ არ წაქცეულიყო, მხარზე ჩამოეკიდა. სიცილი უცებ შესწყვიტა. მოულოდნელმა სიახლოვემ გული აუჩქროლა ივანეს, დაიბნა, შეუცნობელი, ნეტარი აღტაცებით აევსო გული, მაგრამ სძლია თავს და განზე გადგა, მერე ქურთუკის კალთაზე დაჯდა.

— აიღე, ჭამე. ეს ხომ შენია, — უთხრა და პურის ქერქი კვლავ მიაწოდა ჯულიას.



— ნონ.

კვლავ ეშმაკური სიჯიუტე ედგა თვალეზში, უქათქათებდა თეთრ კბილები.

— გამომართვი, გეუბნები.

— ნონ.

— გამომართვი.

— არა, — არ ნებდებოდა ჯულია.

— ჯიუტო. აბა, როგორც გინდა, — თქვა ივანემ, აილო თავისი პური და ჩაკბიჩა. ჯულიამ უმაღლ შეჭამა თავისი ულუფა, არ ეყო, შეფარვით გადახედა ქურთუკის გამობერილ ჯიბეს. კაცი ნელა ღეჭავდა პურს. შეამჩნია ქალის მზერა, გაიფიქრა, ხომ არ შეევჭამოთო პური სულმთლიანად, ერთხელ მაინც ხომ არ გავიძლოთო კუჭი? მაგრამ ნებისყოფა დაძაბა და მოიცილა ეს ფიქრი. კარგად იცოდა პურის პაწაწინა ნაჭერის ფასი.

— კიდევ გინდა? — ჰკითხა ქალს ბოლოს, როცა ჭამას მორჩა. ქალმა მტკიცედ, თითქოს ეშინია, არ გადავიფიქრო, თავი გადააქნია.

— ესა? — მიუთითა ქერქზე.

— არა.

— მაშინ ასე: გავიყოთ.

— ვას ისტ დას გავიყოთ? — შეიჭმუხნა ქალი. მზე თვალეზში უჭყიტინებდა და ჯულიაც ისე მანჭავდა პირისახეს, თითქოს ხუმრობით ივანეს აჯავრებდნო. ივანემ პურის ქერქი გატეხა და ნახევარი ჯულიას მიაწოდა. იმან გაუბედვად გამოართვა, წუწნა დაუწყო.

— კარგი. გეფტლინგის ჩოკოლადი.

— ჰო, ასეთ ცხოვრებაში პურიც შოკოლადია.

— ჯულია გაიქეცი ნაპოლიდან — ჭამო ჩოკოლადი, პური ცოტა — ჩოკოლადი ბევრი, — ამბობდა და ღამესავით შავ თვალეზს ჭუტავდა.

ივანე ვერ მიუხვდა:

— ნეაპოლში გაიქეცი?

— სი. რომიდან გავიქეცი. მამას გავექეცი.

— მამას? რატომ?

— ა, უნა... ერთი ისტორია, — უხალისოდ უპასუხა, კიდევ უკბიჩა ქერქს, მოწუწნა, დიდი ყურადღებით დაუწყო ცქერა. — მამას უნდოდა ცუდი მარიტო, ქმარი.

ქმარი! ამ სიტყვამ უცებ კრიჭა შეუკრა ივანეს, მოიღუშა. ქალმა, ეტყობა, იგრძნო ეს ცვლილება, ეშმაკური თვალეზით ალმაცერად გამოხედა მოღუშულს, გაიცინა.

— ნონ მარიტო. სინიორი არ იყო ქმარი. ჯულიას არ უნდოდა სინიორი ძანგარინი.

ივანე ისევ იღუშებოდა, ჰკითხა:

— რატომ არ გინდოდა?

— ო, იგი იყო უნო სეგრეტო.

— როგორ, სეკრეტი?

ჯულია ხან აქეთ-იქით იცქირებოდა სასაცილოდ, ხან ქვეშ-ქვეშად გამოაპარებდა ვაჟისკენ მზერას, კვლავ წუწნიდა ქერქს. ივანე კი იჯდა, მიწას დაშტერებოდა და ბალახს გლეჯდა ფესვებიანად.

— ო, სეგრეტო! პატარა სეგრეტო. ჯულიას უყვარდა, უყვარდა... ეს როგორ ვთქვა რუსულად? უნო ჯოვინეტო, ერთი ბიჭი, მარियो.

— აი თურმე რა! — თქვა ივანემ და ამოფესვილი ბალახი მოისროლა. ქარმა მაშინვე ჰაერში გააბნია ბალახის ბრელო. ივანემ თავი მიაბრუნა, უკვე აღარ უნდოდა ჯულიასთვის ეცქირა, მხოლოდ მოწყენილი უსმენდა. ქალი თითქოს ვერ გრძობდა მის გულდამძიმებას, ასე ჰყვებოდა:

— კარგი ბიჭი იყო. ჯულიამ აიღო პისტოლია. გაიქცა ნაპოლი. ნაპოლი გუერო. ომი. იტალიანო შისენ დოიჩ, ჯულია შისენ, — ქალმა ამოიოხრა, — პარტიჯანო იტალიანო იყო ცოტა, ტედესკი ბევრი.

— რაო, გერმანელებს ებრძოდი? — მიხვდა ივანე.

— სი. ჰო.

— ოჰო! — თავშეკავებულად გაიკვირვა ვაჟმა და ჰკითხა: — სად არის აქლა შენი მარियो?

ჯულიამ მაშინვე არ უპასუხა, მკერდით მუხლებს დააწვა, მოქნილი ხელები შემოაჭდო თავის გრძელ ფეხებს, მუხლებს ნიკაპით დაეყრდნო და შორეთს გადახედა.

— მარियो ფუ უჩიზო.

— მოჰკლეს?

— სი.

დაჩუმდნენ. ივანემ უკვე დასძლია სიმძიმე, ჯიქურ შეხედა ჯულიას. ქალმა მზერა გაუსწორა, მერე თვალებში ნელ-ნელა ჩაუდგა სითბო, თუმც წამით ისევ გაუკრთა სევდა. ბოლოს გაიცინა.

— რატომ ივანე მიცქერი, მიცქერი?

— ისე.

— რა არის ისე?

— ისე არის ისე! აბა, გავწიოთ ტრიესტისაკენ.

— ო, ტრიესტე! — მსუბუქად წამოიჭრა ბალახიდან ჯულია. ვაჟიც ადგა, გამხნევებულმა, დაუდევრად გადაიკიდა ქურთუკი მხარზე. ყაყაჩოების უკიდევანო ველს დაუყვნენ.

მზეს მოემატა მცხუნვარება. ველზე თანდათან დამოკლდა ქედის ჩრდილი. შორს, მთის ძირებში თრთოდა ცხელი, ნაცრისფერი ბური, ფარავდა ტყიან ფერდობს. მარტოდენ თოვლიანი ქედები კაშკაშებდნენ მალლა, თავიანთ ჭრელ ფერდობზე თითქოს საჩვენებლად გამოეფინათ ყოველი მქრქალი წინწყალი.

— ტრიესტე კარგია, ტრიესტე პარტიჯანო! — ტიკტიკებდა ჯულია, მერე სიმღერა დაიწყო, მოზღვავებულმა სიხარულმა თუ აამღერა.

მირ პარ დი უდირე ანკორა,

ლია ვოჩე ტუა, იმ მეძო აი ფიორი.¹

ხმადაბლა, მაგრამ ძალიან სასიამოვნოდ მღეროდა, ივანეს არსად გაეგონა ეს სიმღერა. მისი ტკბილი ჰანგი ზღვის მშვიდ ღელვას ჰგავდა. რაღაც უღრტვინველი და კეთილი ხიბლავდა და იტაცებდა კაცის გულს...

პერ ნონ სოფრირე

პერ ნონ მორირე,

ნო ტი პენსო, ე ტი ეტი ამო...²

¹ დღემდე მესმის შენი ხმა ყვავილთა შორის (იტალ.).

² რომ არ ვიტანჯო, რომ არ მოვკვდე, მე შენზე ვფიქრობ და შენ მიყვარხარ... (იტალ.).



სულგანაბული უსმენდა ივანე უცხო სამყაროს ამ გამოძახილს, მაგრამ ქალმა სიმღერა შეწყვიტა და კაცს სთხოვა:

— ივანე! ჯულიას ასწავლე „კატუშა“!

— „კატუშა“?

— სი, „კატუშა“.

— რა-ა ასცეტალი იავინ ი გუში, პო-ო-პილი ტუანი ნად ეკოი...

თავაწეულმა წამოიმღერა. ვაჟს გაეცინა ჯულიას დამტვრეულ რუსულზე, თუმცა ჰანგი კი კარგად გამოუვიდა.

— რატომ ივანე იცინო? რატომ იცინო!

— რასცვეტალი იაბლონი ი გრუში, — გარკვევით წარმოთქვა ვაჟმა, — პოპლილი ტუმანი ნად რეკოი.

ქალი ღიმილით უსმენდა. თვალები უბრწყინავდა. თავი დაუქნია:

— კარგი მივხვდი... რა ასცეტალი იავინი ი გრუში.

— ასე სჯობია, — თქვა ივანემ. — მხოლოდ იავინი კი არა, იაბლონი, გესმის? ბალი, სადაც ვაშლებია.

— ჰო, მივხვდი.

და კვლავ გულმოდგინე მოწაფესავით დაიწყო ჯულიამ სიმღერა. საშინლად ამახინჯებდა სიტყვებს. ივანეს ეცინებოდა და უხაროდა, ასე ეგონა, მხიარულ, ალერსიან, დამჯერე ბავშვთან ვარო. მზარდამზარ მიჰყვებოდა ქალს, მშვიდი, ნათელი, ადამიანური სიხარულით გულსავსე. რა ხანია არ განუცდია ასეთი სიხარული! ვინ იცის, საიდან ან რატომ მოფრინდა ეს ტკბილი გრძნობა — ხომ არ მოუვლინა ამ ნათელმა ზეცამ, გულუხვმა მზემ, ან მთების ხატოვანმა სილამაზემ, ან ამ უბოლოო, ფართოდ გაშლილმა სივრცემ, ან იქნებ ყაყაჩოების უჩვეულო ზეიმმა, გასაოცარი სურნელებით რომ აევსო მთელი ეს ველი? თითქოს რაღაც სადღესასწაულო გულითადობით სუნთქავდა ყოველივე, რაც კი ამ მთებსა და მდელოებს შორის მოქცეულიყო. თითქოს აღარ არსებობდა არც საფრთხე, არც ტყვეობა, არც მდეგრები. თითქოს სიზმარი იყო ბანაკებში გადატანილი კოშმარი, ესესელები, სიკვდილი, კრემატორიუმების სიმყრალე და ნაგაზების საზიზლარი ყეფა. ხოლო თუ სინამდვილე იყო ეს ყოველივე, მაშ როგორ შეიძლებოდა ამ საშინელებებთან ერთად დედამიწაზე არსებულებიყო პირველყოფილი მადლი, ან რა ძალამ შეუნარჩუნა სიცოცხლეს სიწმინდე ამ ბოროტებისა და სიგიჟის გარემოცვაში? მაგრამ არა, სიზმარი არ იყო ეს კოშმარი, ზოლებიანი ტანისამოსი ყოველ წამს ახსენებდათ იმას, რაც იყო და რისგანაც ჯერ თავი საბოლოოდ ვერ დაედწიათ. აქ, ამ სურნელოვან, ამ წმინდა მიწაზე ივანეს ისე საზიზლარი ეჩვენა თავისი ჩაცმულობა, რომ ქურთუკი მოიცილა და ავსტრიელისთვის წართმეული კურტაკი წამოისხა. ჯულიამ სიმღერა შესწყვიტა, თვალი შეავლო კაცის ოდნავ მზემოკიდებულ ფართო მხარბეჭს და გაეღიმა.

— ერკოლე! ჰერკულესი! რუსო ჰერკულესი!

— რომელი ჰერკულესი, სული აღარ მიდგას, — წაილაპარაკა დარცხვენით ივანემ.

— ნონ, ნონ! ჰერკულესი!

ტიტველ ზურგზე ხუმრობით დაუტყაპუნა ხელი, მერე მკლავი გაუსინჯა და ხელი ხელზე მოუჭირა.

- ძლიერი, კარგი რუსო, რატომ ტყვედ წადი?
 — წადიო! წამიყვანეს, კი არ წავედი.
 — უნდა ვურტყათ ფაშისტებს! — ქალმა მალლა შემართა პატარა მუშტი.
 — ვურტყი, სანამ შემეძლო... და აი... — იდაყვი ასწია, გვერდი მოიწიშ-
 ვლა და ჯულიას მეტყველ პირისახეზეც მაშინვე აღიბეჭდა სიბრაღული, თით-
 ქმის შიში.
 — ოი, ოი! სანტა მარია!
 — ესეც შენი პერკულესი, — ამოიოხრა კაცმა.
 — გტკივა? — ქალმა სათუთად გაუსინჯა დიდი, ფართო ნაჭრილობევი,
 ხიშტის დარჩენილი კვალი.
 კაცმა თამამად მოუსვა ხელი ჭრილობას.
 — უკვე აღარ. გამიარა.
 — ვაი, ვაი!
 — ნუ გეშინია, პაწია სულელო, — ალერსიანად უთხრა კაცმა, — აბა,
 მაგრად მომკიდე ხელი.

ქალმა მაინც ვერ გაბედა ხელი ეხლო. მაშინ ივანემ ხელისგულზე და-
 იდო მისი წვრილი თითები, ღონივრად დაადებინა ნაჭრილობევზე. ჯულიამ
 შიშით შეჰყვირა და კაცს მიეკრა. ივანემაც მხრებზე მოხვია ხელი, მაგრამ
 უმალვე მოსცილდა. „არა, არ შეიძლება, არ შეიძლება ასე გათამამება! უნდა
 ვიჩქაროთ“.

— იცი რა, — წაილაპარაკა ივანემ და ჯულიას შეხედა. — უნდა ვიჩქა-
 როთ, გესმის, უნდა წავიდეთ!

— ია, — დაეთანხმა ქალი, ჩაიციხა და, რალაც იღუმალი, მშფოთვარე
 ფიქრით შეპყრობილმა, გამოჰხედა.

17

ფერდობს დაუყვნენ დაბლა. შუა ველზე აღარ ჩანთა იმოიანი ყაყაჩო, ახლა სხვა ყვავილები გახშირდა. აქა-იქ ლურჯად კიაფობდა პაწაწინა ბუჩქე-
 ბად ამოხეთქილი სურნელოვანი კესანე, ქარი არხევდა ბუსკანტურებს, ყვითე-
 ლი იელოს მძაფრი სუნი თავბრუს ახვევდა ივანესა და ჯულიას. ადგილ-ადგილ
 ბარდებში ჩანდა შიშველი ლოდები, ლოდებთან ღორღი ეყარა, ნემსებივით
 რომ ესობოდათ შიშველ ფეხისგულებში. ივანე ფრთხილად იკვლევდა გზას,
 სულ ერთთავად მიწას დასცქეროდა. უცებ წითელი წვეთი მოლანთა ბალახებ-
 ში, დაიხარა. დაკბილულ პატარა ფოთლებში ალისფრად ღუოდა მსხვილი მარ-
 წყვის ნაყარი. ქურთოკი ძირს დასდო და დაჯდა. ჯულიასაც აღტაცების შეჰა-
 ხილი აღმოხდა, ისიც შეუდგა მარწყვის კრეთას.

მარწყვი ბევრი იყო — მსხვილი, წვნიანი, მწიფე. ივანე და ჯულია კრეფ-
 დნენ და ხარბად, პეშვებით იყრიდნენ პირში, სულ დაავიწყდათ მდეგარი და
 საფრთხე. კარგა დრო გავიდა. მზე გადაიხარა და ახლა პირდაპირ დანათოდა
 წარათებიან ველს, ნაპრალებით დასერილ დათვის ქედს. ოფლად გაღვარული
 ივანე დაჩოქილი მიცოცავდა, ბალახს აქეთ-იქით სწევდა. ჯულიას ნაბიჯები
 მოესმა. მიიხედა, ოფლი შეიმშრალა, მიწაზე დაჯდა. ქალის ციმციმა თვალებში
 ეშმაკური ღიმილი მიჩქმალულიყო, სწრაფად მიეახლა ივანეს, ჩაიჩოქა და თა-

ვისი ქურთუკის კალთა გაშალა. მარწყვის წვენი გათხუპნულ კალთაზე მოეგროვებინა მარწყვი.

— ბიტე, რუსო ივანე, — მიიპატიჟა დიდი ამბით.

— აბა რატომ? მე უკვე გეახელი.

— ნონ, ნონ. ესენ! ესენ!

პეშვით აიღო ჯულიამ მარწყვი და თითქმის ძალით შეაჭამა ივანეს. მერე თვითონაც შეჭამა რამდენიმე ცალი და ისევ მიუტანა პეშვი პირთან. ჯულიას ხელით მიწვდილ მარწყვს რატომღაც სულ სხვანაირი გემო ჰქონდა. ივანემ მარწყვი გადაყლაპა და ხუმრობით ქალის სურნელოვან ხელისგულსაც ჩაავლო კბილი.

ჯულია კეკლუცად დაემუქრა:

— ნონ, ნონ!

დანარჩენი ერთად შეჭამეს. ივანე წამოდგა, აიღო ყაყაჩოებზე დაფენილი ქურთუკი.

— ჰაიდა?

— ჰაიდა, — ხალისით დაეთანხმა ქალიც. ერთმანეთით კმაყოფილნი გაუდგნენ გზას. ახლა თითქოს უფრო მეტად დაახლოებულიყვნენ. ჯულიამ ნდობით დაადო მხარზე ხელი.

— რა სჯობია მარწყვს, — წაილაპარაკა კაცმა და დააროგია მშვიდი, მაგრამ რატომღაც მაინც უხერხული დუმილი. — ომამდე ამით არა ერთ ზაფხულს გამიტანია თავი. მარწყვი და რძე.

— ო, რუსო, ვეჯიტარიანი!! — გაუკვირდა ქალიშვილს. — ჯულია ნონ ვეჯიტარიანი, ჯულია უყვარს ბივშტეჟი, სპაგეტი, ომლეტი.

— მაკარონი კიდევ, — დაუმატა კაცმა და ორივეს გაეცინა.

— ია, ია, მაკარონი, — დაუდასტურა ჯულიამ და ლაღბობით გააჯავრა. — რუსო კი მარწყვი.

— რას იზამ, როცა შიმშილი შეგაწუხებს, — უხალისოდ დაეთანხმა ივანე. ჯულიამ გაოცებით შეხედა.

— რატომ შიმშილი? რატომ შიმშილი? რუსლანდში როგორ შიმშილი? რუსლანდ ყველაზე მდიდარი? ხომ მართალი?

— მართალია, ყველაფერი მართალია.

— რატომ შიმშილი? მითხარი! — ივანეს სიტყვებით შემფოთებული ჯულია დაჟინებით მოითხოვდა პასუხს.

ივანე უხმოდ მიაბიჯებდა ბალახში და ყოყმანობდა, ეთქვა თუ არა ყველაფერი, რაც აწუხებდა. დარწმუნებული იყო, ჯულიას თბილი გული ყველაფერს გაუგებდა. რა ხანია სურვილი ჰქონდა გული გადაეშალა ვინმესთვის.

— როცა მოუსავლიანობაა, სხვა რა გზა გაქვს. ოცდაცამეტში, მაგალითად, ბალახს ვჭამდით...

— ვას ბალახი?

— ამ ბალახს!.. — დაიხარა და ერთი ბლუჯა ბალახი მოგლიჯა. — აი, ასეთ ბალახს. ყვავილს არა, რასაკვირველია. მამა შიმშილით მომიკვდა.

გაოცებული ჯულია შეჩერდა, მოიღუშა. გამომცდელი, დაეჭვებული მზერა მიაპყრო ივანეს, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ ხელი შეუშვა მის

ხელს. რატომღაც გულჩათხრობილი გახდა. უამური მოგონებით შეურვებულმა ივანემაც მოიწყინა და ხმისამოულებლად განაგრძო გზა.

ღიახ, შიმშილობდნენ, და არა მარტო ოცდაცამეტში. ჩვეულებრივ კარტოფილით გაჰქონდათ თავი, მაგრამ ახალ მოსავლამდე არც ის ჰყოფნიდათ. მამის სიკვდილის შემდეგ ოჯახში ოთხი ბავშვი დარჩა სარჩენი. ივანე უფროსი იყო, მეტი რა გზა ჰქონდა, და-ძმებისა და დედისთვის უნდა ეპატრონა, ერჩინა. ეჰ, ძნელი იყო ყველაფერი ეს.

ჩაფიქრებული მიდიოდა, დაბლა იცქირებოდა. ბალახში კრთოდა ჯუღიას ნაცრისფერი ქოშები და ნელა იძროდა, მიცურავდა ორი მოკლე ჩრდილი. ჯულია თანდათან ჩამორჩა. ივანემ იგრძნო, რომ გუნება შეეცვალა და ქალისკენ აღარ იხედებოდა.

— შენ ციმბირშიც იყო? ცუდი კოლმეურნე იყო? — მოულოდნელად ცივად, გამომწვევად ჰკითხა ჯულიამ ივანეს.

ივანე უცებ შედგა, თითქოს შეშინდაო, დაკვირვებით მიაჩერდა ქალს.

— შენ რა? ვინ გითხრა?

— ერთმა გლახა რუსომ მითხრა. შენ გინდოდა თქვა. მე ვიცოდი!

— მე?

— შენ! შენ!

— მე არაფერი მინდოდა. რა უნდა გითხრა?

— აბა, თქვი. ჯულია ნონ სიმართლე. ჯულია შეცდა.

ჯულია გაბრაზებული, გაბოროტებული უმზერდა, მკაცრად უბრწყინავდა თვალები. გაქრა ის სიახლოვე, სულ ახლახან რომ აკავშირებდათ. ივანე დაძაბულიყო, ცდილობდა გაეგო ამ ცვლილების მიზეზი, ვერა და ვერ ჩასწვდომოდა ამ უსიამო შეკითხვების აზრს.

— აბა თქვი! თქვი!

ეტყობა, მართლა მოესმინა რაღაც, შეიძლება ბანაკში უთხრა ვინმემ აუგი, იქნებ რომშიც. მაგრამ ახლა ვერაფერს აუხსნიდა და უკვე ნანობდა, შიმშილი რომ უხსენა.

იდგა ივანე, ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე იგდებდა ქურთუკს, აღვილზე ტოკავდა. მზემ გაუხურა კეფა და მხრები. ბევრი იფიქრა, მაგრამ მაინც ვერ გაისიგრძეგანა რა მოხდა, ან თვითონ რა ბრალი მიუძღვოდა. ალბათ სწობდა შიმშილობაზე არაფერი ეთქვა, იქნებ არც განკულაკება უნდა ეხსენებინა. თუმცა რა აზრი აქვს სიმართლის დამალვას! გული სტკიოდა, რომ ჯულიას ნდობა სწორედ მაშინ დაჰკარგა, როდესაც ამდენი რამ ერთად გადაიტანეს. როდესაც ორივეს არსებაში იბადებოდა ის ღიადი და მნიშვნელოვანი რაღაც, რის წინაშეც ყოველგვარი ანგარიშიანობა დამამცირებელი ჩანდა.

მაგრამ როგორ აღიქვამს ჯულია მიუკიბავ-მოუკიბავად ნათქვამ სიმართლეს? გაიგებს კია მთელ იმ სირთულეს იმ ამბებისას რაც მის ქვეყანაში ხდებოდა?

და მაინც ტყუილს არ ეტყვის, ყველაფერს ისე გადმოულაგებს, როგორც სინამდვილეში იყო. თუ გულისხმიერია, მიხვდება, რომ ვლასოველი არაა ივანე. მიხვდება, რომ იგი უკეთ მოპყრობის ღირსია და მისი ხალხიც პატივსაცემი ხალხია. ეს რომ გადაწყვიტა, შვევით ამოისუნთქა, დამშვიდდა, თითქოს მოგვარდა ყველაფერი და ახლა მხოლოდ შედეგებისთვის უნდა დაეცადა.

მაგრამ დასაცდელად მოთმინება არ ჰყოფნიდა. ჯულია ზურგმჯექტევიტ
იჯდა მოპორებით, ჩაფიქრებული ჩიჩქნიდა მიწას. ივანემ ერთხანს შეიცადა,
ნერცე ქუროუკი აიღო და ნკლი ნაბიჯით წავიდა მისკენ. ფეხის ხმა რომ მოეს-
მა, ჯულია შეკრთა, მწყრალად შეხედა ივანეს, მაშინვე წამოხტა და გაიქცა
ფერდობზე. ივანე აუჩქარებლად ავიდა მოტიტვლებულ ბორცვზე და შეჩერ-
და. არ იცოდა, რა ექნა, აქ დაეცადა თუ ქალს გასდევნებოდა. ჯულია ამა-
სობაში წვეტიან ლოდს მიეფარა, ბალახებიდან რომ ამოეშვირა უზარმაზა-
რი, უცნაური ეშვი. ივანემ ქურთუკი დააგდო ბალახზე, ზედ წამოწვა, გადა-
წყვიტა მოეთმინა, დალოდებოდა, რა მოხდებოდა.

ჩამოცხა. მზით გახურებულ კირქვიან მიწას, ხეშეშა ბალახით დაფარულს,
მტკრიანი აღმური ასდიოდა — სწორედ ისე, გახურებულ რუსულ ლუმელს
რომ ასდის ხოლმე. სიცხე და ოფლი უწვავდა მხრებსა და ზურგს. გარშემო ბა-
ლახბულახიდან წამოფრენილი მუმლი ირეოდა. ივანე დროგამოშვებით გახე-
დავდა ხოლმე იმ ლოდს, ჯულია რომ მოეფარა. ქალი არა და არ გამოჩნდა.
დაღლილობამ, შეხუთულმა ჰაერმა თუ ლოდინმა თვლემა მოჰგვარა ივანეს.
ეტყობა, მარწყვმა დაუოკა შიმშილი. მაინც წუხდა, გამიჩნდა რაღა ახალი
საზრუნავიო. უნდა ეჩქარათ, დროზე გადაელახათ ეს თოვლიანი ქედი, ეშოვათ
საჭმელი. მაინც რა მარჯვედ გაუსხლტნენ მტრებს! ძილს რომ არ წაერთვა
თავი, ივანემ ქვით მიწას ტკეპნა დაუწყო. საიდანღაც მის წინ დიდი, შავი
ხოჭო ამოძვრა, ვეება მარწყუხებით. არ ელოდა ხოჭო ამ შეხვედრას, გაკვირ-
ვებული შეჩერდა, დააცეცა კიბოსავით დაკუსული თვალები და მრისხანედ
დაარხია გრძელი, მოძრავი ულვაშები. ივანემ კენჭი მიაღო. ხოჭომ მაშინვე
გაფარჩხა თავისი ექვსი წყვილი ფეხი და ზურგზე გადაბრუნდა. ივანემ ხელი
ასწია, რათა წკიპურტი ეკრა და გადაეგდო ეს არცთუ ძალიან სასიამოვნო
ქმნილება. ამ დროს ზურგს უკან ნაბიჯების ხმა მოესმა.

მსწრაფლ შემობრუნდა და დაინახა, რა საოცარი სიმარდით გახტა განზე
ვილაც კაცი, თან რაღაც წამოიყვირა. თურმე უჩუმრად ზედ მიჰპარვოდა ივა-
ნეს ის ადევნებული გიჟი გეფტლინგი და, ყოველ წამს გასაქცევად მომზადე-
ბულს, შეშლილი თვალები მუდარით მიეპყრო ახლა ივანესათვის.

— სალამი! — დამცინავი ღიმილით მიესალმა ივანე. — ვცოცხლობთ, მაშ?
გაოცებული იყო კაცი, სრულიად არ მოელოდა აქ მის ნახვას. ისევ ისე
შემზარავი, გამოფიტული იყო გეფტლინგი. ოფლითა და ტალახით გაშავე-
ბულს არაადამიანური გამომეტყველება აღბეჭდოდა ჩამომჰკნარ პირსახეზე.
სულ მთლად დაგლეჯილი შარვალი ეცვა. თანაც კოჭლობდა, ცალ ფეხს ძლივს
ადგამდა. და მაინც მოჩანჩანლდა აქამდე ძალამიხდილი. სწორედ რომ შეშურ-
დებოდა კაცს მისი სიჯიუტე. მოჩვენებასავით მოჰყვებოდა თურმე მათ. ნეტა
რისი იმედი ჰქონდა!

— ბროტ! — წყნარად, მაგრამ სასოწარკვეთილი ხმით თქვა გერმანელმა.

— ისევ ბროტ? — გაოცდა ივანე. — შენ რა, ჩვენს კმაყოფაზე ხარ?

გიჟმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა გაუბედავად:

— ბროტ!

— აკი გესტაპოში მისვლას აპირებდი, იმ შენს ჰიტლერთან?

— ნიჭტს ჰიტლერ! ჰიტლერ კაპუტ.

— კაპუტ? ადრევე ასე ყოფილიყო.

გიჟს არც კი გაეგებოდა ივანეს ლაპარაკი, გაეშალა ძვალტყავა-ხელები, მოთმინებით, გაფაციცებით ელოდებოდა.

— კარგი, შე უბედურო ფრიცო!

ხელი ჩაიყო ქურთუკის უბეში და პური არც გამოუღია, ისე მოატეხა პატარა ქერქი. პური რომ დაინახა, გერმანელი გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, დაგლეჯილი სახელოებიდან გამოიწვდინა აკანკალებული თითები.

— ბროტ, ბროტ!

— დაიჭი! და აქედან დაიკარგე.

ივანემ გერმანელს პური გადაუგდო, მაგრამ გიჟმა ვერ დაიჭირა, დაუვარდა მიწაზე. თვითონაც დაჰყვა ქერქს; ორივე ხელი დასტაცა ბალახაკრულსა და მტვერში მოსვრილს, მერე წამოხტა, შეშინებულმა მოჰხედა ივანეს და ფერდობზე დაეშვა, თანდათან ააჩქარა ნაბიჯი, ეტყობა, ეშინოდა, არ დამედევნონო.

„ვინძლო ახლა ჩამოგვშორდეს,“ — გაიფიქრა ივანემ. ამ გეფტლინგს წინ რომ ევლო, საფრთხე ნაკლებ იქნებოდა მოსალოდნელი, ვიდრე ახლა, კუდად რომ ჰყავდათ გამობმული. ჩაფიქრებულმა ივანემ თვალი გააყოლა გაქცეულს და, როცა იგი კლდეში გაუჩინარდა, ისევ წამოწვა.

უკვე დაუცხრა გიჟის მიმართ გუშინდელი ბრაზი, თუმცა არც ებრალებოდა იგი, რადგან გონებიდან არ ამოშლოდა გერმანელთაგან დახოცილი ადამიანები. ეს შეშლილი იქნებ ანტიფაშისტიც იყო, თანამემამულეებს თავიანთი სისასტიკით პირუტყვის მდგომარეობამდე რომ მიეყვანათ, მაგრამ შეიძლება თვითონაც ნაციისტური ბანდის შერისხული წევრი იყო, ავაზაკურ სამსახურში ხელმოცარული. ასეთებიც იყვნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. ტყვეებმა რომ ყუმბარა ააფეთქეს ახლა და გამოიქცნენ, კომანდოფიურერ ზანდლერსაც (თუ ცოცხალი გადარჩა), თავზე ხელს არ გადაუსვამენ, ამის გამო შეიძლება მავთულხლართებშიც კი უკრან თავი იმათ ნაცვლად, ვისი დარაჯობაც მან ვერ შესძლო. იქნებ ისეც მოხდეს, მეთაურად დანიშნონ, კვლავ ძალაუფლება მიანიჭონ და რა ძალლიც ბრძანდებოდა, ისეთივე დარჩეს, ხოლო გეფტლინგებისადმი ზიზღი პირადი მარცხის გამო კიდევ უფრო გაუძლიერდეს, კიდევ უფრო გააწამოს ადამიანები.

ფაშისტებმა ბევრი სიავე ჰქმნეს დედამიწაზე. თუ მათი მხეცური სისასტიკე განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანთა მიმართ გასაგები იყო, ძნელი ასახსნელია მათი დაუნდობლობა თავისიანებისადმი, ვინაც უფროსებს რაიმეთი ვერ ასიამოვნა. სასჯელის შიში ამ ადამიანების მოქმედების ძირითადი მამოძრავებელი ძალა გახდა. სწორედ ამ შიშის გამო იყო, ასე დაუნდობლად რომ შურს იძიებდა ყველა, ვისაც კი ამის საშუალება ჰქონდა, საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილ ტყვეებზე, გეფტლინგებზე, ოკუპირებულ ხალხებზე. და შეიძლება იმიტომაც არ იბრძოდნენ გერმანელები ცუდად, რომ არჩევანი მხოლოდ ორი ჰქონდათ: ან სამხედრო-საველე სასამართლო, ან საბჭოთა ტყვია.

მაგრამ განა ეს გმირობაა? არადა, როგორ ყოყოჩობდნენ გერმანელები თავიანთი სიმამაცით. ივანე თავის თავს არასოდეს სთვლიდა არც გმირად, არც მამაცად.

უფრო მაგარი ვაჟკაცი რომ ყოფილიყო, ალბათ არც ტყვედ ჩავარდებოდა, უთუოდ რაიმეს იღონებდა იმ უკანასკნელ წუთს, მისი წარსული და მომავალი რომ გადაწყვიტა. ალბათ თავს მოიკლავდა... ერთ წამს შეხსიერებაში აღუდგა ის დღე და ის დანასავით ბრტყელპირა ხიშტი. მხოლოდ ეს ხიშტი, ბრეზენტის ყურიანი ჩექმა ახსოვს და ხელყუმბარის ტარი. მერე ყველაფერი დაავიწყა გვერდში შემონთებულმა ტკივილმა. რაღაცას უყვიროდა გაუპარსავი, გამტვერილი, უკეთური გერმანელი, ფეხებთან აბღურახმანოვის გასისხლიანებული სხეული ეგდო, შორიახლოს ტანკი გრუხუნებდა... და მაშინ იყო, წამით რომ დაჰკარგა ივანემ სულიერი ძალა და ეს წამი ძვირად დაუჯდა, ამ ერთი წამის კვალი სამუდამოდ დააჩნდა მის სულსა და ხორცს.

ივანე არაფრით გამოირჩეოდა თანაპოლკელთაგან. წინანდელი ბრძოლის გამო მადლობის სამი სიგელი ჰქონდა სარდლობისაგან მიღებული და ორი მედალი — „მამაცობისათვის“. ფიქრადაც არ მოსვლია, თუ უფრო დიდ რასმე შესძლებდა. და უკვე ტყვეობაში, სადაც გმირობისთვის არც არავინ აღაფრთოვანებდა და არც არავინ აძლევდა ჯილდოს, სადაც სულ მცირე ურჩობისათვის ტყვეებს სიკვდილით სჯიდნენ, ივანემ თავისთავად გამოამყდავნა შეუპოვრობა, კადნიერება და სიჯიუტე. აქ დაინახა ფაშიზმის ნამდვილი არსი და ალბათ პირველად მიხვდა, რომ ბრძოლის ველზე სიკვდილი როდია ყველაზე დიდი უბედურება. თურმე უფრო დიდი განსაცდელიც ელის ხოლმე კაცს.

— მიეცი პური? — ზედ ყურთან მოესმა ანაზღად ჯულიას ხმა.

ისე მოულოდნელი იყო ეს ხმა, ივანე შეკრთა და გახარებული სწრაფად მობრუნდა.

— მიეცი პური? — ეკითხებოდა ქალი, კვლავ წინანდელი დაძაბულობა აღბეჭდოდა პირზე. — ჩვენ ხომ ნონ მივდივართ ტრიესტე? ალეს ფინიტა? ხომ?

— რას ამბობ! — თქვა ივანემ ღიმილით. — მხოლოდ პატარა ქერქი მივეცი.

ჯულიამ შუბლი შეიჭმუხნა და გაფაციცებული მიაჩერდა. მაშინ ივანემ ჯიბიდან ამოიღო პურის ნარჩენი.

— აი, მარტო ქერქი, გაიგე?

ჯულიამ სძლია ეჭვს, არაფერი უთქვამს, შეჭმუხნული შუბლიც თანდათან გაშალა.

— ჩვენ მივდივართ ტრიესტე? მართლა?

— წავალთ, რასაკვირველია, ვინ გითხრა, არ წავალთო?

პირისახეზე ჯერაც ეტყობოდა შინაგანი ბრძოლის კვალი ჯულიას, მკერდზე ქურთუკს იწიწკნიდა, თითქოს რაღაც უნდა გადაეწყვიტა. უეცრად მიწაზე დაეშვა ივანეს გვერდით, მუხლებს დაეყრდნო და პირზე ხელები აიფარა.

— რუსო! შენ კარგი რუსო, — უთხრა მერე და ხელი ჩამოართვა. — ნონ ვლასოვი. ბუნო რუსო. ჯულია ცუდი.

— აბა, ამას რად ამბობ? — გულთბილად უთხრა ივანემ. — რატომ, ნუ იტყვი მაგას.

— ძალიან, ძალიან ცუდი, — ჯულია არ უსმენდა, განაგრძობდა ლაპარაკს. ალბათ რაღაცას ჩასწვდა და ახლა თხოვდა: — ივანე ნონ ბიოზე ჯულია...

— არაფერია, ყველაფერი კარგადაა.

მიწაზე მჯდომმა ივანემ ფრთხილად მოჰკიდა ორივე ხელი მის პატარა, აქერცლილ ხელს. ქალს ხელი არ წაუერთმევია.

— ნონ ბიოზე ივანე, — ჯულიამ პიროველად ახლა გაუსწორა თვალი. — ნონ ბიოზე ჯულია. ივანემ იცის სიმართლე. ჯულიამ არ იცის სიმართლე. ჯულია ძალიან, ძალიან პატივს სცემს ივანეს, უყვარს ივანე, — თქვა ქალმა და მის ხელზე მოჭერილი მამაკაცის ხელი ოდნავ შესამჩნევად შეთრთოლდა. საუბარი სხვა რამეზე რომ გადაეტანა, ივანემ ჰკითხა:

— შენ... არ გწყურია? წყალი?

ჯულიამ ამოიოხრა და გაჩუმდა, ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა. უსაზღვრო სითბო უღვივოდა მხერაში.

— წყალი? აკვა?

— ჰო, წყალი, — უპასუხა ივანემ, — აი იქ, მგონი, წყაროა, ჰაიდა!

სწრაფად წამოხტა. ჯულიაც ადგა, მკლავზე ჩამოეკიდა და ობოლივით მიაყრდნო ლოყა. ივანემ თავზე გადაუსვა მეორე ხელი, მაგრამ რომ იგრძნო, ჯულია შინაგანად დაიძაბაო, მაშინვე დაუშვა.

ასე ნელ-ნელა გაემართნენ მდელის განაპირა მხარეს.

19

ღელე პატარა იყო, მაგრამ ერთიანად შეფოთავდა. ყინულივით ცივი წყლის ნაკადი გაცოფებული მოჰქროდა, ყვითელ ქაფად ედებოდა ლოდებს და სველ რიყეს ასკდებოდა. ერთ-ერთ მოსახვევში ბალახოვან ნაპირს ფართო ზოლად გასდევდა ნარიყი. ივანე და ჯულია ამ ზოლს გაუყვნენ, პეშვით შესვეს წყალი და წყურვილი მოიკლეს. ქალი ნაპირთან მივიდა, ხოლო ივანემ დაიკარწახა ძაღლის კბილებით შემოგლეჯილი შარვალი და ღრმად გავიდა წყალში. სიცვი-საგან ტერფები ასტკივდა, ძნელი იყო ფეხის მოკიდება, შეიძლება წაექცია ნაკადს, მაგრამ ივანემ მაინც დაიბანა პირი, რადგან მთელი პირისახე ეწვოდა ოფლისაგან. წამოზრდილ წვერ-ულვაშზეც მოისვა ხელი, მერე წყალში ჩაიხედა, რომ თავისი სახე დაენახა, მაგრამ ამ გაცოფებულ ჭავლში რას დაინახავდა! „ეტყობა, მაწანწალასავით ვარ გაბურძგნილი“, — გაიფიქრა და შეურევებულმა გახედა ჯულიას.

— საშინელი სანახავი ვარ ასე გაუპარსავი, არა? — ჰკითხა ქალს, მაგრამ ჯულიამ ხმა არ გასცა, უძრავად იჯდა, ჩაფიქრებულიყო, ნაპირის რომელიღაც ერთ წერტილს მიჩერებოდა.

— მითხარი, საშინელი ვარ? ალბათ ბერიკაცს ვგავარ?

ქალი შეფრთხილდა, ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ, მაგრამ რა დაინახა, ივანე გაბურღულ წვერზე ხელს ითათუნებსო, უცბად მიხვდა:

— კარგია, ივანე. ძალიან ვუნდერშონ.

ბანაობდა ივანე და თან ფიქრობდა, რაღაც არისო ჯულიას თავს. ასე ღრმად ჩაფიქრებული მაშინაც არ ყოფილა, მდევრებს რომ გაურბოდნენ. თანაც მის ბუნებასაც არ შეეფერებოდა ეს ცხვირჩამოშვებული ყოფნა. მაშინ ივანემ აწყენინა რაღაც. მიუხედავად ამისა, ივანეს მაინც გაუხალვათდა გული, წინანდელი შეშფოთება გაუქრა. უხაროდა, ჯულია რომ გვერდით ჰყავდა, სურდა გაეფანტა მისი დარდი, ეხილა წინანდელი ჯულია — გულთბილი, მხიარუ-

ლი, მინდობილი. იქნებ უნდა მოფერებოდა, დაემშვიდებინა? მაგრამ ვერ ახერხებდა მათ შორის არსებული კედლის გადალახვას, თუმცა გულით ეწადა ეს. რაღაც მოკრძალებულ გრძნობას მოეცვა მისი არსება და ეს გრძნობა ჯულისას ელტვოდა. მაინც იკავებდა თავს, მერყეობდა, აყოვნებდა.

ბანაობას რომ მორჩა, წყაროს პეშვი მოუსვა და შორიდან ჯულისას შეაშხეფა. ქალი შეკრთა, გაოცებით გამოჰხედა და გაუღიმა. ივანემაც გაუღიმა — ფართო გაბურძღნული პირისახე მთლიანად გადაეხადრა.

— შეგეშინდა?

— ნონ.

— რას ჩაფიქრებულხარ?

— ისე.

— როგორ ისე?

— ისე, — მორჩილად თქვა ჯულიამ. — ივანე ისე, ჯულია ისე. — თუმცა გულდამძიმებულს, მაინც ახალისებდა ივანეს ლაღობა, თვალს ჭუტავდა, პირგაღიმებული შესცქეროდა.

— რა უცებ ეჩვევი ჩვენებურ ლაპარაკს, — უთხრა ივანემ. — ეტყობა, ნიჭიერი იყავი სკოლაში?

— ჰო, ვუნდერკინდი ვიყავი, — ხუმრობით თქვა ქალმა და უეცრად შეშფოთებულმა ხელი ხელს შემოჰკრა: — სანტა მადონა, სანგვე!

— რაო?

— სისხლი! სისხლი! ილ სანგვე!

ივანე დაიხარა: მუხლიდან სისხლის ვიწრო ზოლი მოცოცავდა, — ჭრილობა გახსნოდა. არა უშავს, აქამდე დრო არ ჰქონდა, ვერ მიხედა ჭრილობას. ახლა გვერდით მიუჯდა ქალს, შარვლის ტოტი აიკარწახა. მუხლს ზევით ღრმად გაეკრა კლანჭი ძაღლს. ჭრილობა წყალმა დაასველა და სისხლიც წამოვიდა.

ჯულია ისე შეშფოთდა, თითქოს ეს საშიში ჭრილობა ყოფილიყო. მისკენ გადაიხარა, ამოიოხრა:

— ოჰ! ივანიო! ივანიო! ძალიან გტკივა, ოჰ, მადონა! სად მიიღე ასეთი ტკივილი?

— ეს ძაღლმა გამკაწრა, — სიცილით უთხრა ივანემ. — როცა ვახრჩობდი, გამკაწრა.

— სანტა მადონა! ძაღლი!

სწრაფი თითებით უსინჯავდა ფეხს, სწმენდდა ახალგამოდენილ სისხლს, მიმხმარ ლაქებსაც ჰბანდა. ივანე იდაყვებზე წამოიწია, ესაღბუნებოდა მისი მოალერსე შეხება, სული დაუმშვიდდა. არც ისე ძალიან სტკიოდა იარა, მაგრამ შეხვევა მაინც საჭირო იყო. ჯულია წამოიწია, ჩაიჩოქა და ვაჟს უბრძანა:

— უცქირე, ნაჰ მთას, ნაჰ მთას...

ივანე მიხვდა, თავი უნდა მიებრუნებინა. ასეც მოიქცა. ქალმა ტანზე რაღაც შემოიხია და, როდესაც ვაჟი მისკენ მიბრუნდა, ჯულისას უკვე თეთრი სუფთა ნაჭერი ეჭირა ხელში.

— მედიკამენტოა საჭირო. მედიკამენტო, — თქვა და შეხვევა დაუწყო.

— აქ რა მედიკამენტია? როგორც ძაღლს, ისე შემიხორცდება.

— ნონ, ასეთი ტკივილი ძალიან ცუდი.

— ტკივილი კი არა, ჭრილობა! ჩვენებურად ჭრილობა.

— ჭრილობა, ჭრილობა, ცუდი ჭრილობა.

ვაჟმა მიიხედა და დაინახა მახლობლად რუხი ფოჩივით წამოზრდილი ბა-
ლახი, მრავალძარღვას რომ ჰგავდა. რამდენიმე წვრილი ფოთოლი მოს-
წყვიტა.

— აი მედიკამენტიც. დედა ყოველთვის ამით გვწამლობდა.

— ეს? ეს პლანტაგო მაიორ. ნონ მედიკამენტო, — თქვა ჯულიამ და ფოთ-
ლები გამოართვა, მაგრამ ივანემ ისევ წაართვა.

— რას ამბობ! ეს მრავალძარღვაა. იცი, ჭრილობას როგორ არჩენს?

— ნონ მრავალძარღვა. ეს პლანტაგო მაიორ ლათინურად.

— აჰ, ლათინურად. შენ ლათინურიც იცი?

ჯულიამ წარბები აძგობა.

— ჯულია ბევრი, ბევრი ლათინური იცის. ჯულია ბოტანიკას სწავლობდა.
ივანეც სწავლობდა ოდესღაც ბოტანიკას, მაგრამ უკვე აღარაფერი ახსოვ-
და და ხალხური წამლობისა სჯეროდა. მრავალძარღვას ფოთლები გასიებულ
ჭრილობაზე დაიდო. ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ მაინც შეუხ-
ვია. ივანემ პირველად იგრძნო ქალის უპირატესობა. ჯულია უდავოდ უფრო
განათლებული იყო. ამან უფრო მეტი პატივისცემით აღავსო ქალისადმი. ახლა
სხვა ყვავილების გაცნობაც მოუნდა. ხელი გადასწია და ერთი ღერო მოწყვი-
ტა, დაბლობის ჩვეულებრივ გვირილას, რომ მოჰგავდა.

— ამას რა ჰქვია?

ქალმა სწრაფად შეავლო თვალი ყვავილს.

— პერეტრუმ როზეუმ.

— ჩვენებურად კი ეს გვირილაა.

ახლა მეორე მოგლიჯა — პატარა, ლურჯი ყვავილი, დამჰკნარი ღიღილოს.
მსგავსი.

— ესა?

— ეს?.. ეს პრიმულა აურიკულატა.

— ესა?

— გენტინა პირენეიკა, — ქალმა გამოართვა უხეშ ღეროზე აზრდილი ორი
პატარა, ლურჯი ბუსკანტურა.

— ყველაფერი გცოდნია, ყოჩაღ, ოღონდ ეგაა, ლათინურად იცი.

ამასობაში ჯულიამ, როგორც იყო, შეუხვია ჭრილობა. ყავისფერმა ლა-
ქამ გამოყოფა ნახვევში.

— წოლა უნდა, წყნარი უნდა, — მოითხოვა ქალმა.

ივანე რალაცნაირი დაუდევარი შემწყნარებლობით დაემორჩილა ქალს,
ფეხი გამართა და მხართეძოზე წამოწვა, თან ჯულიას უყურებდა. ჯულიამ
მუხლები შემოიკეცა და მზისგან გაცხელებულ წვივზე დაადო ხელი.

— კარგი რუსო, კარგი, — ეუბნებოდა და ხელს სათუთად უსვამდა
ფეხზე.


— კარგიო, ამბობ, ჩემი კი არა გჯერა, ვლასოველად ჩამთვალე, — უსა-
ყვედურა ივანემ.

ჯულიამ ამოიოხრა და მშვიდად უპასუხა:

— ნონ ვლასოველი. ჯულიას სჯერა ივანიოსი. ივანიომ იცის სიმართლე.
ჯულიამ ნონ გაიგო სიმართლე.

ივანემ ჩაცხებით ჩახედა სევდიან თვალებში.

— რა გელაპარაკა იმ ვლასოველმა? სად მოუსმინე?



— ბანაკში მოვუსმინე, — მაშინვე უბასუხა ჯულიამ, — ვლასოველი თქვა: რუსო კოლმეურნეობა შიმშილი, კოლმეურნეობა ცუდი.

ივანეს ჩაეცინა:

— ვილაცა ნაძირალა ყოფილა, ალბათ კულაკი იქნებოდა ადრე. რასაკვირველია, ერთნაირად არ ცხოვრობს ყველა. მთლად სამოთხეც არ არის ჩვენთან. არ მინდოდა ყველაფერი მეთქვა შენთვის, მაგრამ...

— თქვი, ივანე, მართალი თქვი, — მოითხოვდა ჯულია. ივანემ გვირილას თავი მოაწყვიტა და ამოიოხრა.

— ჰო, იყო მოუსავლიანობაც. არ არის ტყუილი, მართალია. ყველა კოლმეურნეობაც არ იყო ერთნაირი. მიწაც ყველგან ერთნაირი როდია. ჩვენთან, მაგალითად, სულ ქვებია, ქვები და ტბები.

ჩვენც მივდიოდით, საცა კარგი მიწა იყო. ჭაობებიც აუარებელი ამოვაშრეთ. სოფლებში ტრაქტორები გაჩნდა. ნაირ-ნაირი მანქანები. საშველი დაადგა გლესს, შეხმატკბილებულად ვშრომობდით, მაგრამ ომმა შეგვიშალა ხელი.

ჯულიამ უფრო ახლოს მოიწია:

— ივანე მითხარი ციმბირი. ჯულია ეგონა ივანე ხუმრობდა.

— არა, რატომ, ციმბირიც იყო. კულაკებს გზავნიდნენ, შეძლებულები რომ იყვნენ, როგორც ბაუერები... სხვადასხვა ჯურის მტრებიც მოხვეტეს. ჩვენს ტერეშკაშიც იყო ერთი ოთხიოდე.

— მტრები? რატომ მტრები?

— ბურჟუებს მხარს უჭერდნენ. კოლმეურნეობის ძროხები ქოთაოთი დააჭირიანეს.

— ვაი, ვაი! როგორ ცუდი ადამიანი!

— მაშ! მაშ! ათ-ათი წელი მიუსაჯეს ოთხივეს, ტყუილ-უბრალოდ ხომ არ მიუსჯიდნენ. ციმბირში მიაბრძანეს.

— მართლა?

— აბა, შენ რა გეგონა.

ივანე კვლავ იწვა, ჩაფიქრებული გვირილებს წყვეტდა.

— ივანეს ძალიან უყვარს თავისი ქვეყანა? — მცირე ღუმულის შემდეგ ჰკითხა ჯულიამ. — ბელორუსიო? ციმბირი? თავის კარგი ადამიანები?

— აბა, სხვა ვინ უნდა მიყვარდეს? ადამიანებიც სხვადასხვანაირია ჩვენთან, კარგებიცაა და ცუდებიც. მაგრამ, მგონი, კარგები უფრო მეტია, აი, როცა მამა მომიკვდა, ძროხა აღარ იწველიდა, ძალიან გაგვიჭირდა, მარტო კარტოფილს ვჭამდით. ხან ერთი ბიცოლა მოგვიტანდა, ხან მეორე. მეზობელი, ოპანასი ერქვა, შეშას გვაძლევდა ხოლმე ზამთარში. დედაჩემი ქვრივი იყო, ეცოდებოდათ. სანამ წამოვიზარდე, ხელს უმართავდნენ. კარგი ადამიანებიც ხომ არიან, მაგრამ იყო ცუდი ხალხიც. არამზადებიც. მაგალითად, ჩვენს მასწავლებელს ანატოლი ევგენევიჩს რაღაცეები მოუგონეს და დაიჭირეს. პატიოსანი, ჰკვიანი კაცი იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სულ კრიჭაში ედგა, უწესრიგო ხარო, უყიყინებდა. ხალხისთვის გული შესტკიოდა. ვილაც მამა-ძაღლმა დაასმინა, მთავრობის წინააღმდეგი არისო, და ათი წელი მიუსაჯეს. შეცდომით, რასაკვირველია...

— რატომ არ დაიცვა პატიოსანი მასწავლებელი?

— დავიცავით. მთელი სოფელი წერდა, მაგრამ...

ივანემ ბოლომდე არ თქვა სათქმელი. ამ უნებურმა მოგონებამ არასასი-

ამოვნო ფიქრები გაუღვიძა. იწვა და მოგლეჯილი გვირილის ღეროს ღეჭავდა. ყურადქცეული ჯულიაც შეწუხებული იყო, შეხვეულ მუხლზე ეფერებოდა. ყველაფერი იყო, კარგიც და ცუდიც. ძველს ანგრევდნენ, ახალს ამენებდნენ — ეს ადვილად არ კეთდებოდა. ამას სისხლი და ოფლი უნდოდა. და მაინც სამშობლოზე უფრო საყვარელი არაფერია თურმე ამქვეყნად... ცუდს ივიწყებ ხოლმე, კარგი უფრო გამახსოვრდება, გგონია, იქ ზეცაც სხვაა, უფრო ალერსიანი, ბალახიც უფრო რბილია, მიწაც უფრო სურნელოვანი. ნეტავ ყველაფერი დაბრუნდეს და როგორმე გაუძლებენ ვაივაგლახს, უფრო სამართლიანიც იქნებიან, ოღონდ, ომი ნუ იქნება.

— რუსო ფენომენო. პარადოქსო. გასაოცარია, — ამბობდა აღგზნებული ჯულია. ივანემ ღერო გამოაფურთხა და შეაწყვეტინა:

— რა არის აქ გასაოცარი, ბრძოლა? ირგვლივ ბურჟუები გვეხვია. ამიტომ ჯარს ვაძლიერებდით.

— ო, არმატა როსა გაიმარჯვებს! — აღფრთოვანებით დაეთანხმა ჯულია.

— აი, ხედავ, რა დიდი ძალაა რუსეთი. ომის შემდეგ კი, თუ ეს ძალა მეურნეობას მოვახმარეთ, ოჰო-ჰო!

— ჯულიას ბევრი გაუგონია რუსეთზე. რუსეთი ყველაზე დიდი ძალა, — ქალი დადუმდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, სევდიანად გაიღიმა. — ჯულიას ეს სწამდა და ამიტომ გაექცა ფატერს, ლა პადერს, მამას. რომში მამა აკეთებდა ვერნისაჟს — ფირმის იუბილე. ბევრი სტუმარი იყო, ერთი „სდ“ ოფიცერი იყო. ოფიცერი იყო რუსეთში, ოფიცერი ილაპარაკა: რუსეთი გლახა, ღარიბი, რუსეთი ნონ კულტურა. ჯულიამ თქვა: ეს ტყუილი. რუსეთი გერმანიაზე უკეთესია, ოფიცერმა თქვა: ფროილენ კომუნისტი? ჯულიამ თქვა: ნონ კომუნისტი, მაგრამ ასე მართალია. ლა პადრემ დაარტყა ჯულიას, — ქალმა პირსახეზე მიიღო ხელი, — სილა დაარტყა. ჯულია გაიქცა ვერნისაჟიდან, გაიქცა მარიონაპოლი. მარიონ კომუნისტი. ჯულია ყოველთვის ფიქრობდა: რუსო — კარგი. ბანაკიდან ივანე გაიქცა, ჯულია ივანიოსთან გაიქცა. რუსო ივანე გმირი.

— აბა, მე რა გმირი ვარ! — იუარა ივანემ. — ერთი უბრალო ჯარისკაცი ვარ.

— ნონ უბრალო ჯარისკაცი! რუსო ჯარისკაცი — გმირი. ძალიან მამაცი, ძალიან ჭკვიანი. ძალიან... ძალიან... — აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ჯულია. დაეძებდა ნაცნობ რუსულ სიტყვებს. მის ლაპარაკში იგრძნობოდა ღრმა რწმენა თავისი იდეის სიმართლისადმი, არ ეთმობოდა სიმართლე. — ჩვენ ვნახეთ თქვენი გმირი ბანაკში. ჩვენ გავიგონეთ თქვენი გმირი ოსტფრონტზე. ჩვენ ვფიქრობთ, თქვენი ფატერლანდ ყველაზე ძლიერი, ყველაზე სამართლიანი...

— ეგ კი მართალია, — დაუდასტურა ივანემ. — აი, მე ტრაქტორისტობა ვისწავლე, უფასოდ... მერე ტექნიკუმში შევედი. მექანიზაცია. მასწავლებელიც რამდენი ვახდა ჩემისთანა. სუყველა გლეხთაგანი.

ქალს გაეხსნა ამდენ ხანს შეჭმუხნილი შუბლი, ისევ აუციმციმდა თვალები.

— საოცარია! ჯულიას უყვარს რუსო. რუსო ფენომენალურად. ჯულიას ყოველთვის უყვარს ფენომენალურად. ივან ფენომენო-ანომალი. რუსო კომუნისტი ივანე იხსნა ბურჟუა-მონარქია იტალიანო, იხსნა ჯულია.

— ჯერ ერთი, მე კომუნისტი არა ვარ, არ მოვმწიფებულვარ საამისოდ. მეორეც, რა გასაკვირია, მთელი საბჭოთა კავშირი ეხმარება იტალიასაც, საფ-

რანგეთსაც, გერმანიასაც... ბევრ სხვასაც, არადა, ყველა ბურჟუაზიული ქვეყნებია. აბა, ჩვენ გარდა ვინ შეაჩერებდა ჰიტლერს?

— სი, სი. ასეა...

ჯულიას იდუმალი ღიმილით აუთრთოლდა ტუჩები. კვლავ მოეფერა ფეხზე, მერე შიშველ გვერდზეც მოუსვა ხელი. ივანე შეცბა, ვუხერხულა ქალის ალერსი. უეცრად ჯულია დაიხარა და ტუჩებით შეეხო ვაჟის ფერდზე დამჩნეულ ხიშტიის ლურჯ ნაკვალევს. ივანე შეკრთა, თითქოს ხელახლა ჩაერჭო ხიშტი იმ ჭრილობაში, ხელი აუქნია ქალს. მაგრამ ჯულიამ მაჯაში სტაცა ხელი, მიწას დააკრა და რაღაც თავშეუკავებელი აღზნებით დაუწყო კოცნა თვითოეულ ნაიარევს: მხარზე — ნაღმის ნამსხვრევის კვალს, იდაყვს ზემოთ — ნატყვიარს, ფერდზე — ნახიშტარს. მერე ფეხზე შემოხვეულ ჩვარსაც აკოცა ფრთხილად. ქალის მღელვარებით გაოგნებული ივანე მიილუშა, ნაზი სიხარული ჩაუდგა გულში. ჯულია კი ისევ კოცნიდა და კოცნიდა. ივანე დაემორჩილა რაღაც უცნობ ძალას, ტალღასავით რომ აიტაცა იგი. თვითონაც აღელდა, იდაყვზე წამოიწია, მხარზე მოჰხვია ცალი ხელი, მსუბუქად მიიკრა მკერდზე ქალი, თვალელები დახუჭა და უჩვეულო ცხელ, მკვრივ ტუჩებს შეეხო. მერე გულაღმა გადაწვა ბალახში, ხელები გაშალა და გაეცინა, ვერ გაებედა დახუჭული თვალელების გახელა. როდესაც გაახილა, გაწეწილი თმის მზიურ შარავანდედში დახრილი ქალის პირსახე და მისი ოდნავ გაღებული, ქათქათა კბილებით გაბრწყინებული ბაგე დაინახა. პირველ წამს თითქოს სუნთქვა შეეკრა, სურდა რაღაცა ეთქვა, ვერ შესძლო, მხოლოდ თვალელები დააღო უფრო ფართოდ: გაოცება, სიხარული, უსაზღვრო ბედნიერება უკრთოდა თვალელებში. ჯულია ვაჟის მკერდს მიეხუტა, კისერზე ხელები შემოხვია და მხურვალედ ჩასჩურჩულა:

— ივანო!! ამიკო!.. — ყველაფერი, რაც ბოლომდე არ იყო თქმული და რაც მათ შორის ადრე გადაულახავ კედელს ქმნიდა, ახლა გადაილახა ბედნიერად და უმტკივნეულოდ, იმ წუთიდან დარჩა მხოლოდ მიწის ცხარე სურნელება, ყაყაჩოთა ბანგი და მაღალი ზეცის ბრწყინვალება. პირველქმნილ უსიერ მთათა შორის, ზედ სიკვდილის პირას იშვა რაღაც განუცდელი, საიდუმლო და მბრძანებლური გრძნობა, რაიც ძალუმად ფეთქავდა, ცოცხლობდა, სანატრელი იყო, ორთავეს აკრთობდა და ორთავეს მომავლისაკენ მოუწოდებდა. ბალახზე გაწოლილი ივანე ეფერებოდა ქალის სუსტ, მზით გამთბარ ტანს, ვაჟის მკერდს მიკრული ჯულიაც ცხელი ლოყით ნაზად ეხებოდა მის მხარს. ქალის ტუჩები რაღაც გაურკვეველს ბუტბუტებდა, მაგრამ ივანე ყველაფერს ხვდებოდა, ბედნიერი იყო, იცინოდა. მათ მაღლა ტრიალებდა მზით მთვრალი ზეცა, მიწაც თითქოს უზარმაზარი დაგვერდებული ლანგარიაო, ისე ქანაობდა. დრო თითქოს შეჩერდა, გაჰქრა საშიშროება. ზედ პირსახეზე დაციმციმებდა ქალის შავი, დიდრონი ცეცხლოვანი თვალელები. არც ტანჯვა-წუხილი ჩანდა ამ თვალელებში, არც ურჩობა, არაფერი, გარდა მბრძანებლური ხმობისა. რაღაც ამის მსგავსი უგრძვნია ივანეს უფსკრულის პირას, — ყოველთვის აშინებდა უფსკრული და ამავე დროს იზიდავდა კიდევ. ვაჟს ძალა არ შესწევდა, არ ძალუძდა წინააღმდეგობა გაეწია, არ იცოდა, საჭირო იყო თუ არა თავშეკავება. ტუჩებით ისევ მოძებნა ქალის სველი ბაგე, ქათქათა კბილები, ორივე ხელით მოიზიდა მისი ტანი და მიინახა. ყველაფერი მიწყნარდა და ამ სიმშვიდეში, თითქოს არყოფნიდან მარადისობაში იღვრებო, გუგუნებდა მთის ნიაღვარი. ივანესაც უნდოდა გათქვეფილიყო და გამქრალიყო ქალის ამ მთრთოლვარე

ხვევან-კოცნაში, მისცემოდა მარადისობის ამ ნიაღვარს, შეეწოვა მიწის ძალა და თვითონ გარდაქმნილიყო მიწიერ ძლიერებად...

დედამიწა კი ქანაობდა, ცა ტრიალებდა, ზედ წამწამებთან სულ ახლოს ხედავდა ვაჟი ქალის ნაზად მომრგვალებულ ლოყებს, მზეზე ოქროსფერად აბზინებული ღინღლით მობუსუსებულს. ვარდისფერად აშუქებდა ყურის თხელი ნიჟარა. უნებურად ჩისწვდა ივანე პატარა ბიბილოს, ზედ ოდნავ რომ აჩნდა საყურის ნაკვალევი, და ნელა მოუჭირა კბილები. ჯულია შეფრთხილდა, წამოიკივლა. ვაჟმა კბილები მოაცილა ყურს და იგრძნო, ბეჭებზე როგორ მოეხვია მისი სწრაფი, წვრილი ხელები. ქალის უმწეო შეყვირებამ ვაჟის არსებაში, ეტყობა, გააღვიძა უცნაური, თითქოსდა სხვისი ხმა, მყისვე რომ გაეხმაურა ქალის ამოძახილს. იგი უარობდა, რაღაცას უფრთხოდა. მაგრამ ივანე ცდილობდა არ მოესმინა, ჩაეხშო ეს უარი, ახლა არაფრის გაგება არ სურდა. მის გონებაში ბობოქრობდა, შხუოდა მთის ნაკადული, ბუბუნებდა დედამიწის მთელი წიაღი და მას მოძახილით ეხმაურებოდა სულის დაჟინებული და მბრძანებლური აღტყინება...

და დედამიწამ არ დაიშურა, დაათრო ვაჟი თავისი მარადიული შარბათით, დაუცხრომელი ძალით აღუვსო სხეული. სათუთად შემოჰხვია ქალს ხელები, და დედამიწამ და ზეცამ ადგილები იცვალეს. ახლა უკვე ყველაფერმა დაჰკარგა მნიშვნელობა — მას ხელთ ეპყრა სული, უცნაური და იდუმალი, ყაყაჩოთა კაშკაშა ნათებაში ჩაფლული, მიწყნარებული, პატარა, დასუსტებული და ასეთი მბრძანებლური — დედამიწისა, თავის თავისა და ვაჟის მპყრობელი.

სადღაც სულ ახლოს, მათ ქვეშ, დედამიწის შორეულ წიაღში, გუგუნებდა, ბობოქრობდა, მიჰქროდა დამთხვეული ნიაღვარი, უხმობდა ორთავეს, იტაცებდა შეუცნობელ შორეთში. ჯულია მიიკუნჭა ვაჟის ხელებში; მის ტუჩებზე იბადებოდა და კვდებოდა სიტყვები — უცხო, მშობლიური, ვაჟისთვის ესოდენ გასაგები სიტყვები. მაგრამ ახლა სიტყვებს რაღა მნიშვნელობა ჰქონდა. და დედამიწის მთელი წიაღიც, მთებიც, უამრავი ნიაღვრის ძალოვანი ჰიმნებიც ერთად, შეთანხმებულად მიწყნარდნენ და მხოლოდ ეს ორი არსება დარჩა სამყაროში.

ივანეს გაეღვიძა და მაშინვე ფიქრმა გაუელვა, ამ ძილში რაღაც უჩვეულო, დიდი და სასიხარულო რამ გამიქრაო. შეშინებულმა მაშინვე დაინახა ჯულია, მიხვდა, უსაფუძვლოდ შეშინებოდა და გაეღვიძა — არაფერი გამქრალა, არ დაკარგულა, არც რამ დასიზმრებია, სინამდვილე იყო ეს ყველაფერი. მრავალი წლის მანძილზე სინამდვილე მხოლოდ ახლა იყო ყოველ ბედნიერ სიზმარზე უფრო ბედნიერი.

ჯულია პირქვედამხობილი იწვა, თავი ბალახში გაწვდილ ხელზე ედო და ეძინა. მაგრამ მისი სუნთქვა არ იყო თანაბარი, როგორც მძინარე ადამიანს აქვს ხოლმე — ჯულია ზოგჯერ გარინდდებოდა, თითქოს რაღაცას ყურს უგდებდესო, ხან დროდადრო ამოიოხრებდა ძილში.

ოდნავ ღია ტუჩებს აცმაცუნებდა და უელავდა სველი კბილები. ვაჟმა ჯერ გაიფიქრა, რაღაცას ჩურჩულეხსო. მაგრამ სიტყვები არ ესმოდა, ტუჩები მხოლოდ სიზმრებს პასუხობდა და ლოყები და წარბები ოდნავ უთრთოდა. ყველა ეს სიზმრისეული განცდა აღსაგეს იყო სინაზით. ალბათ ნეტარ სიზმარს ხედავდა. დროთათრო წყნარი, მიმნდობი ღიმილი გაუაურებნოა ტუჩებს.

დიდხანს დარჩნენ ამ მდელით. მზე ცარგვალზე ჩაცურდა და მთების ჩაბ-

ნელეზულ ქონგურებს მოეფარა. დღისით საზეიმოდ გაბრწყინებული მღვლო ახლა, ამ მომძლავრებულ სიბნელეში ჩაფლული, უღიმღამოდ გამოიყურებოდა, თითქმის დაჰკარგოდა მთელი სიმყუდროვე. სქელი ნისლით იფარებოდა შორეთი. თვალსაწიერზე მოთეთრო ფოშფოში მოეფინა ლეგა ქედებს, ველი. დათვის ქედის ტყიანი მთისპირებიც ნისლმა დაფარა და ახლა მთელი ქედი თითქოს რუხ ნისლიან ზღვაში დაცურავდა. მხოლოდ ყველაზე მაღალი მწვერვალები კაშკაშებდნენ თვალისმომჭრელად და უჩინარ მზეს ირეკლავდნენ. ეს იყო დღის საბოლოო, უჩვეულო და გამოსათხოვარი სინათლე, ნანატრი საჩუქარივით მოულოდნელი. შორს, მკრთალი ცის ტატნობზე, უკვე აინთო და მშვიდად აციმციმდა სევდიანი ეული ვარსკვლავი.

ივანე კვლავ მიუბრუნდა ჯულიას. დრო იყო ამდგარიყვნენ და გზას გადგომოდნენ, მაგრამ ქალიშვილს ტკბილად ეძინა. ისეთი უმწეო, ძალღონემიხდილი იყო, რომ ვაჟმა ვერ გაუბედა გაღვიძება. ხარბად დააცქერდა მის მეტყველ პირისახეს, თითქოს პირველად ხედავსო. იმის შემდეგ, რაც მათ შორის მოხდა, ჯულიას ყოველი გაღვიძება, მისი ყოველგვარი გამომეტყველება განსაკუთრებულ აზრს მოიცავდა. ივანეს უნდოდა დიდხანს, თვალმოუშორებლად ეცქირა მისთვის, ცდილობდა შეჭრილიყო ძვირფასი ადამიანის იდუმალ სულში. ლამის სუნთქვა შეუკრა მის ცხოვრებაში ამ პირველმა დათრობამ. თუმცა თანდათან გამოფხიზლდა, ბედნიერების შეგრძნება მაინც უფრო გაუძლიერდა. და ასე უძრავად, ასე სრულყოფილ მარტობაში უწვდომელ საიდუმლოებასავით ერთთავად შესცქეროდა ქალიშვილს — ამ პატარა ადამიანურ საიდუმლოებას, რაც ასე დაგვიანებით და საბედნიეროდ აღმოაჩინა ცხოვრებაში.

ჯულიას კი კვლავ ეძინა. დედამიწის ფართო მკერდზე მიხუტებულს, დროდადრო სუსტად შეუთრთოლდებოდა ხოლმე თხელი ნესტოები. პატარა ჭიამია ააცოცდა სახელოზე, ზოლიან ნაოჭს გაჰყვია და ბეჭის თავზე მოექცა, გასაფრენად ფრთები გაისწორა, მაგრამ არ აფრინდა, კვლავ ცოცვა განაგრძო. ივანემ ფრთხილად ჩამოაგდო მწერი, სათუთად გაუსწორა ქალს ყელზე ჩამოკიდებული ჯვარი. მაინც არ გაეღვიძა ჯულიას, ამოიფშვინა მხოლოდ. მაშინ ვაჟმა ფრთხილად გაუსწორა ზურგზე ქურთუკის შეკეცილი კალთა და გაიღვიძა. ვინ იფიქრებდა, რომ ორ დღეში ასე სულზე უტკბესი გახდებოდა მისთვის ჯულია, ასე დაატყვევებდა? განა შეეძლო წარმოეოგინა, რომ მეოთხეჯერ გაქცევისას, როცა ძლივს გადაურჩა დაღუპვას, ასე მოულოდნელად შეხვდებოდა თავის პირველ სიყვარულს? როგორ აირ-დაირია ამქვეყნად ყველაფერი, როგორ დაიხლართა ყველაფერი! არავინ იცის, ვინ აურ-დაურია ყოველივე ეს, ადამიანმა თუ ეშმამ. აბა როგორ მოხდა, რომ ტყვეობაში, სიკვდილის პირას, სრულიად სხვა სამყაროდან მოსული უცხო, უცნობი ქალი ყველაზე ძვირფასი გახდა იმათ შორის, ვინც კი ოდესმე ცხოვრების გზაზე შეხვედრია?

გზა კი მაინც უნოა განეგრძოთ. მხარეთქობზე კოტრილის დრო არაა, უნდა გავაღვიძოთ, — გაიფიქრა კაცმა. მაგრამ თვითონ მოუწვა გვერდით, ფრთხილად მიუწვა, რომ არ გაეღვიძებინა. უსაზღვრო სინაზით მოაცილა ზედ თავზე ჩამოხრილი ყაყაჩოს ღერო, ხელი აუქნია თეთრ მოფარფათე პეპელას, თმაზე რომ უნოა დაფრენოდა მძინარეს. „ცოტა კიდევ იძინოს, — გაიფიქრა ივანემ და უფრო მარჯვეო დაჯოა ბალახზე. — კიდევ ცოტა, და გზას გავუდგებით, ქვევით დავეშვებით, ველისკენ...“

დათვის ქედი, დანისლულ უზარმაზარ მთებს რომ თავს დასდგომოდა, ნელა ქრებოდა საღამოს მშვიდ ცაზე. ქედის ციცაბო ფერდობებზე სულ მაღლა და მაღლა მიცოცავდა ღამის ლურჯი ჩრდილი და მწვერვალთა წვეროკინებზე თანდათან ილეოდა დაისის ვარდისფერი ათინათი. ბოლოს სულ ჩაქრა და ქედიც თითქოს დაიხარა, ჩამოწვა, ლეგა ბინდბუნდით შეიმოსა. ჯერაც ნათელ ცაზე პირველი ვარსკვლავები აკიაფდა. მაგრამ ივანე უკვე ველარ ხედავდა ვარსკვლავებს, ჩასძინებოდა და ბოლონდელი ფიქრი — უნდა ავდგეთო, ჩაპყოლოდა ძილში. იგი ჯულიამ გააღვიძა. ალბათ ქალი სიცივემ შეაწუხა და უფრო მჭიდროდ მიეკრა ვაჟს. მძინარე ივანემ მაშინვე იგრძნო ქალის სიახლოვე და გაეღვიძა. ჯულიამ ხელი შემოხვია და მგზნებარედ უჩურჩულა უცნობი, უცხო სიტყვები. ეს სიტყვები ადვილად გასაგები იყო ვაჟისათვის. მან კვლავ ჩაიხუტა ქალი, მათი ტუჩებიც ისევ შეერთდა.

უკვე სულ ჩაბნელებულიყო. აცივდა. მახლობელი მთების ერთი ნახევარი ვეება კუზებით წვდებოდა ცას. აქა-იქ მიმოფანტული ვარსკვლავები ციმციმებდა ცის კაბადონზე. ქარი სულ ჩადგა — ყაყაჩოებმაც კი შეწყვიტეს შარიშური. მხოლოდ ნაკადული ჩხრიალებდა თანაბრად და განუწყვეტლივ მახლობლად. ველის უამრავმა ყვავილმა ისეთი მძაფრი სუნი აუშვა, ივანე სულ გააბრუა. დედამიწა, მთები და ზეცა თვლემდნენ ამ სიბნელეში. ივანე წამოიწია, დაიხარა ქალისკენ და დიდხანს დასცქეროდა პირისახეზე — ახლა სულ სხვანაირს, ისეთს არა, დღისით რომ იყო, არამედ ღამესავით იღუმალს და თითქოსდა ცოტათი დაძაბულს. დიდრონი თვალები უციმციმებდა ქალს, მათ სიღრმეში კი ერთად ბრწყინავდა რამდენიმე ვარსკვლავი. ღამის გაურკვეველი ჩრდილები დაბორილობდა მის პირისახეზე. ხელებს ღამითაც შერჩენოდათ მთრთოლვარე სინაზე და სულ ეფერებოდნენ, ეალერსებოდნენ ვაჟის მხრებს, კისერს, კეფას.

— ჯულია! — წყნარად უთხრა ვაჟმა და გულში ჩაიკრა.

ქალიც წყნარად შეეხმიანა, ალერსიანი ერთგულება გაუკრთა ხმაში.

— ივანიო!

— არ მიჯავრდები?

— ნონ, ივანიო.

— მე რომ მიგატოვე?

— ნონ, ამიკა, ივანე ნონ დამტოვებს. ივანე — რუსი, კარგი, ძვირფასი.

სწრაფად და ფაქიზად, უჩვეულო ძალით ჩაიკრა მან გულში ივანე და გაიციინა:

— ივანე — მარიტო! ნონ სინიორ ძანგარინი, ნონ მარიო. რუსო ივანე — მარიტო.

ივანეს ფარული სიამაყე დაეუფლა, კმაყოფილმა ჰკითხა:

— გიხარია? არ ინანებ, რომ ივანე — მარიტო?

ჯულიამ ვაჟის დახრილი თავით დაჩრდილული ხშირი წამწამები აახამხამა, და ვარსკვლავები შეკრთა, აწრიალდა მისი თვალის გუგებში.

— ივანე კარგი, კარგი მარიტო. ჩვენ იქნება პატარა-პატარა ფილიე... როგორ, ეს რუსო, თქვი?

— ბავშვი?

— ნონ ბავშვი. როგორაა ეს პატარო რუსო?

— ჰო, ბიჭი, — მიხვდა ივანე, ცოტათი გაოცდა კია.

— ჰო, ბიჭი! ეს კარგი, ასეთი პატარ-პატარა, კარგი ბიჭი. ის იქნება ივანე, ხომ?

— ივანე? შეიძლება ივანეც იყოს, — დაეთანხმა ქალიშვილს და მის უკან აყუდებულ ქედს გახედა, ამოიოხრა.

ჯულია ჩაფიქრდა, წუთით ორივე დადუმდა, ფიქრებს მიეცნენ. გარშემო კი მშვიდად აღმართულიყო მთები, მქრქალად ციმციმებდა ვარსკვლავები. ყაყაჩოების მდელის წყვილიადა გადაეფარა. სიწყნარე, მხოლოდ სიწყნარე სუფევდა ირგვლივ. მარტოდენ ნიაღვარი ბობოქრობდა განუწყვეტლივ, მაგრამ სიჩუმეს არ არღვევდა მისი თქრიალი და ივანეს ეგონა, მთელ სამყაროში მხოლოდ ჩვენ სამნი ვართო, — მე, ჯულია და ეს ნაკადული. ქალის ბოლო სიტყვებმა ღიმილი თანდათან გაუქრო პირზე, გაჰქრა სიმსუბუქეც და ივანეს რაღაც მძიმე შეგრძნება დაეუფლა, პირველად აღმოაჩინა კიდევ ერთი დაბრკოლება. ჯულიამ კი, პირიქით, რაღაც იაზრა, კვლავ მხიარულად შეფრთხილდა და ვაჟი მაგრად მიიხუტა.

— ივანიო, ივანიო! ეს როგორ კარგი — ფილიე! ვაჟიშვილი! პატარა ბიჭი! — მერე ხელები გაშალა, ძირს დაიხედა — თვლებში ვარსკვლავები ჩაუქრა, ჩაეტეტკა პირისახე, ბინდბუნდში ძლივს შესამჩნევად უციმციმებდა თვლები. წუთიერი აღგზნება უცებ შეშფოთებად შეეცვალა.

— ივანიო, ჩვენ სად ვიცხოვრებთ? — ცოტა ხანს ჩაფიქრდა, — ნონ რომა. რომში მამა უფ ბიოზე! ტრიესტო?

— წინასწარ რატომ ვიმარჩიელოთ? — თქვა ივანემ.

— ო! — უცბად წყნარად წამოიძახა ქალმა. — ჯულიამ იცის. ჩვენ ვიცხოვრებთ ბელორუსიო. სოფელი ტერეშკი, ახლო-ახლო ორი ტბა... ხომ?

— შეიძლება, ვნახოთ...

უეცრად ჯულიას რაღაც გაახსენდა.

— ტერეშკო კოლმეურნეობა?

— კოლმეურნეობაა, ჯულია. რა იყო?

— ივანიო, ცუდი კოლმეურნეობა?

— აბა, რას ამბობ! მე ხომ გითხარი... კარგია, მხოლოდ ომმა შეგვიშალა ხელი. — კაცმა გაშლილი ვეება ხელით აუჩეჩა ხეშეში თმა, ქალიშვილმა კი თავი გაინთავისუფლა და ზედ ხელი გადაისვა.

— ჯულია დიდ თმას გაიზრდის. დიდი თმა ლამაზი, ხომ?

— ჰო, — დაეთანხმა კაცი, — ლამაზია.

ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე ისევ ადრინდელ საუბარს დაუბრუნდა:

— ივანე იქნება ლა გორარე ფერმა, პლანტაცია. ჯულია იქნება... ეს როგორაა? ვირტინ ვილა¹. ჩვენ გავაკეთებთ ბევრი-ბევრი ყაყაჩო. როგორც ეს მდელი.

— ჰო, ჰო, — ეთანხმებოდა ჩაფიქრებული ივანე. ფეხი ძალიან ასტკივდა, ხელახლა შეხვევა სჭირდებოდა, მაგრამ არ უნდოდა ისევ შეეწუხებინა ჯულია. ეგ იყო, ფეხი გამართა და უფრო მოხერხებულად დასდო ბალახზე. უგულისყუროდ უსმენდა ჯულიას, მის გვერდით მჯდარი ჯულია კი სულ ენად გაიკრიფა:

¹ ვილას დიასახლისი (იტალ.).

— ჩვენ ვიქნებით დიდი-დიდი ბედნიერი... მე ძალიან მინდა ბედნიერება. ადამიანი ხომ ბედნიერი უნდა იყოს, ივანო?

— ჰო, ჰო...

ჯულიას ალბათ ძილი ერეოდა, მისი ხმა უფრო ჩუმად და ჩუმად ისმოდა და მალე სულ მიუჩიდა. ვაჟმა წყნარად გადაუსვა ხელი მხარზე, გაიფიქრა: უნდა დავასვენო, უნდა გამოიძინოს, სულ ერთია, რაღა დარჩა, საცაა დამთავრდება ღამე, ხვალ კი გზას უნდა გაუდგნენ. ხოლო ვინ უწყის, რას უქადის მათ ხვალინდელი დღე?

ივანე დიდხანს შესცქეროდა ცას, უმზერდა ასობით დიდსა თუ ძლივას შესამჩნევ ვარსკვლავებს, ცაზე გადაჭიმული ირმის ნახტომის ვერცხლისფერ ბილიქს და შფოთიანი მოუსვენრობა სულ უფრო და უფრო ჯიუტად იჭრებოდა მის გულში. ომის წლებმა სულ გადააჩვია ბუნებრივ, ადამიანურ მოთხოვნილებებს. მთელ ძალას იმაზე ხარჯავდა, თავი როგორმე გადაერჩინა, არ დაღუპულიყო. რასაკვირველია, მოვა დრო და კაცობრიობა ფაშიზმს გაანადგურებს, ადამიანები ძმობის დიად სიხარულს, თავისუფალ, უსაზღვრო და შეუზღუდველ სიყვარულს ეზიარებიან. მაგრამ უწერიათ კი მას და ჯულიას ამ დღის გათენება? მოესწრებიან კი? ძალიან მალლა დაფრინავს ამ საყვარელი, სათნო გოგონას ოცნება; არ იცის, თუ რა მოელით ტრიესტისკენ მიმავალ გზაზე. ბანაკს რომ თავი დააღწია და ყვავილთა ამ საოცარ სამყაროში მოხვდა, ჯულიამ გადაწყვიტა, ყველა საშიშროება უკან დარჩაო. ოჰ, ნეტა ასე ყოფილიყო! მაგრამ დიდი ფიქრი არ სჭირდება იმის მიხვედრას, თუ რამდენი განსაცდელი მოელით კიდევ წინ: ველზე გატყორცნილი აჟრიამულეებული ავტოსტრადები, მთის მშფოთვარე მდინარეები, ხალხით დასახლებული ადგილები, საგუშაგოები, ძაღლები... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ უზარმაზარ, მიუვალ, თოვლიან ქედს როგორ გადალახავენ ტანმოშილიფებულნი, ფეხშიშველნი, მშიერნი? ხოლო რა მოელით მერე, თუკი ყველაფერს დასძლევენ, — ამაზე ფიქრიც არ უნდოდა. რა უდროოდ შეხვდნენ ამ ბილიკზე ერთმანეთს, რა უდროოდ შეუყვარდათ ერთმანეთი.

რატომ, რატომ არ შეუძლია ადამიანს ჰქონდეს ბედნიერების მოპოვების პატარა იმედი, რისთვისაც ამქვეყნად იბადება და რისკენაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მიისწრაფვის? რატომ არ უნდა ჩავიდეს ივანე თავის წყნარ ტერეშკში იმ ორ ლურჯ ტბასთან, თუკი ეს სურს, თუკი ჯულიაც ისე უყვარს, რომ ალბათ მთელ მსოფლიოში ვერც ერთ სხვა ქალს ვერ შეიყვარებს ასე?

თანაც — ეს კარგად იცოდა ივანემ — ჯულია იქნებოდა მსოფლიოში ყველა ცოლზე კარგი ცოლი.

რა საუცხოო იქნებოდა თავის სოფელში ჩაეყვანა ეს შავთვალწარბა კისკისა ქალიშვილი! განა არ შეიყვარებდნენ მას სოფელში, განა ჯულიაც არ მიუზღავს მათ სამაგიეროს? მერე რა, თუ მათ დიდი ცოდნა არა აქვთ და იქნებ არც ძალიან განათლებულნი არიან, სამაგიეროდ გულმართალი, კეთილი ადამიანია ყველა, გაჭირვებაში გულისხმიერნი, სიხარულში გულუხვნი — ასეთები რატომ არ უნდა შეიყვარო?

ივანეს ვერ წარმოედგინა ჯულიასთან დაშორება. სანამ ცოცხალია, მასთან ერთად უნდა იყოს, მერე კი, თუ კაცი მოკვდება, ჯანდაბას ყველაფერი. სიკვდილის არ ეშინია ივანეს, შეუძლია იბრძოლოს თავის გადასარჩენად, მით უმეტეს ახლა, როცა ორი ადამიანის სიცოცხლისთვის ბრძოლაა საჭირო. აბა,

ვინმემ სცადოს ჯულიას წართმევა! აი, ახლაც უშფოთველად ეძინა ქალს მის გვერდით, მუხლები შემოეკეცა. ივანე ადგა, მიმოიხედა და ისევ ახლოს დაუჯდა. მოღუშული და გაბოროტებული იყო, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან შიოდა, თანაც ფეხი სტკიოდა. ალბათ უსივდებოდა. სახვევი ძლიერ უჭერდა. ცოტა მოუშვა, ხელით მოისინჯა სიცხით გათაკარებული ფეხი, კანკალმა აიტანა. ამ საზიზღარი ზოლებით მოხატული ქურთუკი უნდა აედო და შემოეხვია, მაგრამ ახლა ესეც ვერ უთბობდა სხეულს. წუთის შემდეგ გაიფიქრა: „ავად გახდომალა მაკლდა, რა მომივა? ასე არ შეიძლება! — თავს იმხნევებდა. — გამაგრდი! რადაც უნდა დაგიჯდეს, გამაგრდი“.

მაგრამ რაღაც შეიცვალა მის არსებაში. ივანე ამას გრძნობდა და შეშფოთებამ ისე შეჟონა მის შეგნებაში, როგორც წყალი შევა ხოლმე გახვრეტილ ნავში. კარგია, რომ ჯულიამ ეჭვადაც არ იცის არაფერი, ტკბილად ძინავს. ივანე გვერდით დაუჯდა, შიშველი ფეხები იმ ქურთუკის კალთის ქვეშ შემალა, ადრე რომ ჯულიას გადააფარა. ღამეს მიაცქერდა. მალე ძილი მოერია, დაღლილობამ დასძლია. მაგრამ ჯულიას ეძინა და ივანე უნდა მჯდარიყო, მისთვის ედარაჯა!

გათენებისას ველარ გასძლო და შეუმჩნეველად ჩასთვლიმა, პირისახე მუხლებში ჩარგო. ძილში ანაზღად გულში გაჰკრა დღისით მიყუჩებულმა შიშმა. ივანეს ერთბაშად გაეღვიძა და იმწამსვე გაიგონა მახლობელი, გაუგებარი ძახილი:

— ვო ბისტ დუ, რუსე? ზი გაბენ ბროტ! ზი გაბენ ფილე ბროტ! ¹

თანდათან თენდებოდა, თუმცა მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო; მდებლობა კენ ღრუბელი მოიწევდა, მთები აღარ ჩანდა. გაწეწილი ნისლი ედებოდა და ნამულ, თავჩაკიდებულ ყაყაჩოებს, მოცოცავდა და მოცოცავდა ფერდობის გაყოლებით. ივანემ ხელი დასტაცა ჯულიას ფეხებზე დაფენილ ქურთუკს. ქალი წამოხტა, შეშინებული ბუტბუტებდა, ივანე კი, ჩაჩოქილი, თვალმოუშორებლად იცქირებოდა იმ მხარეს, საიდანაც მოესმა ძახილი. მიხვდა, ის გიჟი იქნებო, მაგრამ მაშინვე იგრძნო — იგი მარტო არ იყო, მასთან იყვნენ სხვებიც. და მართლაც მალე მოესმა გაბოროტებული, ყრუ შეძახილი:

— ჰელტს მაულ! ²

ჯულია ყველაფერს მიხვდა და ივანეს მიეჭრა. ჩაეჭიდა ქურთუკის სახელოში, გაფაციცებული ქვევით, ნისლში იცქირებოდა, სადაც რაღაც ჩრდილები რიალებდნენ. ივანემ ხელი ხელზე ჩასჭიდა ჯულიას, დაიხარა და ნაკადულისკენ გაიქცა. მეორე ხელში ქურთუკი ჰქონდა, ქოშები კი ყაყაჩოებში ღარჩათ. უჩუმრად გაიქცნენ ზევით, ნაკადულს აუყვნენ.

ივანე ჯულიას თითებს ხელს არ უშვებდა. გაოგნებული ქალი უკან იხედებოდა, ცდილობდა არ ჩამორჩენილიყო. ივანეს მეორე მხარეს გადასვლა ეწადა, შესაფერის ადგილს ეძებდა. იქ, კლდეებსა და შქერის გაუვალ ბარდებში შეიძლებოდა მიმალვა. მაგრამ ამ გაცოფებულ მთის მდინარეში შესვლა უაზრობა იყო. „რა კარგია, ნისლი რომ დგას! რა კარგია!“ ეს ფიქრი მანუგეშებლად ფეთქავდა მის გონებაში. ნისლის სწრაფი ნაფლეთები ჯერჯერობით ორივეს ფარავდა... „წყვეული გიჟი, რატომ არ მოგკალი? ისინი ყველანი არამზადები არიან, ერთი ჯილაგისაა ყველა!“ — ფიქრობდა სასოწარკვეთილი

¹ სადა ხარ, რუსო? ისინი მოგცემენ პურს, ბევრ პურს მოგცემენ (გერმ.).

² გაჩუმდი (გერმ.).

და ძალისძალად მიათრევდა ზევით ჯულიას. მდინარის მოსახვევი უკან მოიტოვეს, ფლატიან ნაპირზე აბობლდნენ, აქედან გაშლილი ადგილი იწყებოდა. წყალი ძალოვნად მიჰქროდა ქვებზე, ძნელი იყო გაღმა გასვლა, ხელი უნდა აეღოთ ამ განზრახვაზე. სანამ ნამიან მდელზე გაიმინდვრებდნენ, აქლოშინებულმა ივანემ ჩაიჩოქა და უკან მიიხედა. ნისლი შესამჩნევად შეთხელებულიყო, ყაყაჩოებს შორის უკვე გამოჩნდა შორეული ლოდები და ტიტველი გორაკი, სადაც გუშინ ჯულიას ელოდებოდა. სწორედ იქ დალანდა ნისლში რამდენიმე ჰიტლერელი, — გაშლილად მოდიოდნენ, იმ ადგილს უახლოვდებოდნენ, სადაც ივანემ და ჯულიამ გაათიეს ღამე.

ივანემ ჯულიას შეხედა. შიში და გაუსაძლისი დაღლილობა დასტყობოდა ქალის ნამძინარევი პირისახეს. „როგორმე გაძლოს! როგორმე ჯულიამ გაძლოს!“ ინატრა გამწარებულმა ივანემ. მათი გადარჩენა ახლა მხოლოდ მათივე ფეხებს შეეძლო და, ცოტა სული რომ მოითქვა, ივანემ კვლავ ჩასჭიდა ჯულიას ხელი. ქალი რის ვაივაგლახით მიჰყვა, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა. ძლივს აათავეს მდელი, ფეხები მუხლებამდე დაუსველათ ნამმა. მარჯვენა ფეხი სულ უფრო სტკიოდა ივანეს, უჩვეულოდ დაუმძიმდა, თითქოს სხვისი ფეხი იყო. ერთხანს ივანეს ეგონა, ჩათვლემილს თუ დამიბუჟდაო, მაგრამ უკვე აღარ ემორჩილებოდა ფეხი, მოუდუნდა, მუხლი საშინლად ასტკივდა. ჯულიამ მალე შეამჩნია კოჭლობა და შეშინებულმა ჩაავლო ხელი ივანეს.

— ივანო, ფეხი?

ივანე ფეხს მიითრევდა ბალახზე, ცდილობდა ფრთხილად დაედგა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მაშინ ჯულიამ უკან მიიხედა, მერე ივანეს წინ ჩაიჩოქა, რათა შარვლის ტოტი აეწია და ჭრილობისთვის დაეხედა.

— შეხვევა უნდა, ხომ? მე ცოტა შევხვიო, ხომ?

კაცმა მისი ხელები მტკიცედ მოიშორა.

— არაფერი არ უნდა. ჩქარა გავიქცეთ.

— გტკივა, ხომ? გტკივა? — ეკითხებოდა შეშფოთებული ჯულია და მზრუნველი თვალთ შესცქეროდა. ისე დაღლილიყო, ზოლებიანი ქურთუკის ქვეშაც კი ეტყობოდა, რა გამალებით უძგერდა გული. წარბებიც ნერვიულად ეჭმუხნებოდა.

— არაფერია, არაფერია...

ივანე ტკივილს ითმენდა, მიკელანობდა ძალისძალად. უნებლიეთ შეუშვა ჯულიას და მერე აღარც მოუკიდია ხელი, რადგან ქალი ჩამორჩენილიყო, წამდაუწუმ უკან იხედებოდა და ასე მიჰყვებოდა.

— ივანო, ამიკო, ჩვენ ცოცხალი? მითხარი, ცოცხალი? — ეკითხებოდა ივანეს და სასოწარკვეთილებისაგან ღამის გული გასკდომოდა. ივანემ მზერა შეავლო, არ იცოდა, რა ეთქვა. მაგრამ იმდენი მუდარა და იმედის მოლოდინი იყო ქალის თვალებში, რომ სასწრაფოდ ანუგეშა:

— ვიცოცხლებთ, რასაკვირველია, ოღონდ უფრო ჩქარა იარე...

— ივანო, მე ჩქარა, მე ჩქარა... მე კარგად ვარ...

— კარგია, კარგი.

უკვე აირბინეს მდელს ზედა საზღვრამდე. სადღაც ლოდებში აქ ბილიკი იწყებოდა, სწორედ ეს ბილიკი გამოიარეს ღამით. ვლდეებში ალბათ მოახერხებდნენ დამალვას. მაგრამ ღრუბელი უკვე გადაცოცდა მდელიდან, სინათლემ იმატა, ნისლი თვალდათვალ თხელდებოდა, აქა-იქ უკვე მოჩანდა

ნისლში გამომკრთალი ყაყაჩოები და ლოდები. „ჯანდაბას, ნუთუ თავს ვერ და-
ვალწევთ? ნუთუ დაგვინახავენ? არა, ეს არ მოხდება!“ — თავს იმშვიდებდა
ივანე და სულ უფრო და უფრო მიიწევდა მალლა. პირველად არ გამოქცევია
გერმანელებს, უკვე რალაც გამოცდილებაც ჰქონდა, იცოდა. რა გასაჭირიც აღ-
გათ და ისიც იცოდა, თუ გერმანელები იპოვიდნენ, ახლა კი ხელიდან ვეღარ
დაუსხლტებოდნენ.

მაგრამ ბილიკი არ ჩანდა. ალაღბედზე მიჰყვებოდნენ ბალახიან ფერდობს.
კიდევ კარგი, აღმართი არცთუ ისე ფრიალო იყო, მხოლოდ შქერის დაბალი
ტევრი აძნელებდა სვლას, ფეხებს უკაწრავდა გაქცეულებს. ოდნავ მალლა
ხშირი წიწვიანი ბუჩქნარი იწყებოდა, იქ უკვე დამალვას შესძლებდნენ.

ამაოდ შიშობდა ივანე, ჯულია არ ჩამორჩესო, ფეხშიშველა და ტერფებ-
დასისხლიანებული, ოდნავ წინ უსწრებდა კიდევ. ივანე დროდადრო თვალს
შეავლებდა ხოლმე და ისეთ სიმტკიცეს ამჩნევდა პირსახეზე, არასოდეს რომ
არ შეუძინებია, რაც ბანაკიდან გამოიქცნენ. ახლა იგი არც ლოდებს ეპუებოდა,
არც დაღლას, აღარც ეკლებს და კლდის ქიმებს. ძუ ვეფხვივით გაათრებული,
სიცოცხლისათვის იბრძოდა.

— ივანო! ჩქარა, ჩქარა... — ახლა უკვე თავად აჩქარებდა ვაჟს. ეს რომ
დაინახა ივანემ, კბილები გააკრაჭუნა, ეტყობა, თანდათან უარესდება ჩემი
საქმეო. ფეხი კიდევ უფრო დაუმძიმდა, მუხლი გაუსივდა, მალულად აიწია
შარვლის დახეული ტოტი და მაშინვე დაუშვა — მუხლი მორივით გაშეშებო-
და, გალურჯებოდა. „რა უბედურებაა, ნუთუ სისხლი მომეწამლა?“

ამასობაში ნისლის უკანასკნელი ნაფლეთებიც ავბედიტად გაცურდა გან-
ზე და თვალწინ ერთბაშად გადაეშალათ ყაყაჩოებით წითლად გაბრღვიალე-
ბული მდელო. ანაზღად ნისლში გერმანელების მუქი ნაცრისფერი სამოსი გა-
მოჩნდა, — ერთი, ორი, სამი... რვამდე იქნებოდნენ. დაღლილები მდელოზე
მოაბიჯებდნენ, ყვავილებს თელავდნენ და გულდასმით ათვალეირებდნენ ფერ-
დობებს.

ახლა უკვე დამალვა საჭირო აღარ იყო... ივანე დაჯდა, ქურთუკი დააგდო,
იქვე შეჩერდა თავდახრილი, გაოგნებული ჯულიაც. ისე დაღლილიყო, რამდე-
ნიმე წამს სიტყვაც ვერ ამოთქვა. მდუმარედ გასცქეროდნენ მდევრებს. ისინი
კი უცებ აყაყანდნენ, ვილაცამ ხელი აიქნია და მათკენ გამოიშვირა. მოისმა
მჭახე შეძახილები. გერმანელებთან ერთად ზოლებიანი ტანსაცმლით მოსილი
კაციც მოჩანჩალებდა, ხელები თითქოს ზურგზე ჰქონდა გაკრული. როცა შე-
ჩერდა, ორმა ბადრაგმა ზურგში უბიძგა: იცნეს: გიჟი გეფტლინგი იყო.

გერმანელები ერთბაშად გამოცოცხლდნენ და ყიჟინით გამოქანდნენ
აღმართზე.

— არა უშავს, — თქვა ივანემ, — შენ მხოლოდ არ შეშინდე. არ შეშინდე.
დაე, მოვიდნენ.

ქურთუკს რომ არ დაებრკოლებინა, სახელოებში ხელი გაუყარა და ჯიბი-
დან დამბაჩა ამოიღო.

ჯულიას უკვე სული მოეთქვა და წელანდელი შიშის სანაცვლოდ განწი-
რულების სევდალა შერჩენოდა თვალებში.

— წავედით! ირბინონ, გაიხვითქონ ოფლში!

— შისენ იქნება? — ჰკითხა გაკვირვებულმა ჯულიამ, თითქოს მხოლოდ
ახლა მიხვდა, რა ემუქრებოდათ.

— არა, სროლა ძნელია, შორსა ვართ. დაე, ისროლონ, თუ ვაზნები ბევრი აქვთ.

გერმანელები მართლაც არ ისროდნენ, მხოლოდ ყვიროდნენ: „ჰალტი!“ ლტოლვილები კი გამალებით მიიწევდნენ მალა, ბუჩქნარის ტევრისაკენ. პირველი შიში რომ დასძლია, ჯულიას კვლავ დაუბრუნდა ადრინდელი სიმკვირცხლე, ყურადღებიანი გახდა. ჩანს, ყველაფრისთვის მომზადებულიყო.

— დაე, შისენ! არ მეშინია. დაე, ისროლონ! — ამბობდა ქალი და წამდაუწუმ უკან იხედებოდა, მერე ივანესთან მიირბინა და კვლავ ხელი მოსჭიდა ხელზე. ივანემაც გულისხმიერად მოუჭირა ხელი მის ცივ თითებს და არ გაუშვა.

— ივანო, ესესმან შისენ — ჩვენ შისენ! ჩვენ ნონ ბანაკი, ხომ?

— რასაკვირველია. შენ მხოლოდ არ შეშინდე.

— მე არ შეშინდი! რუსო ივანე არ შეშინდი — ჯულიაც არ შეშინდი.

ივანეს არ ეშინოდა. იმდენი საშინელება ნახა ამ ომში, აბა ეს რას შეშინებდა. როგორც კი გერმანელებმა მათ კვალს მიაგნეს, ივანემ უცნაური სიმჩატე იგრძნო, სულიერი სიმხნევე მოიკრიბა, — ეშმაკობა უკვე არ სჭირდებოდა, ოღონდაც ღმერთს ძალა მოეცა, და რასაკვირველია, ჯულიაც გვერდით ჰყოლოდა. ამ წუთიდან იწყებოდა ორთაბრძოლა, სძლევდა ის, ვინც მეტ სისწრაფეს გამოიჩენდა, ვინც უფრო მარჯვედ ისროდა, ტყვიას არ ააცდენდა. უნდა გაქცეულიყვნენ, ძალა დაეზოგათ, სათოფეზე არ მოეშვათ გერმანელები, შეჭრილიყვნენ ღრუბლებში, მთის მწვერვალებს რომ უძრავად მოსდებოდა, ჩამოეცილებინათ მღვერები. სხვა გზა არ ჰქონდათ.

როგორც იქნა, ბუჩქნარამდე მიაღწიეს, მაგრამ იქ არ დამალულან — თავშესაფარი რას უშველიდათ. ქვიშა და ღორღი ეშლებოდათ ფეხქვეშ, ეკლიან ტოტებს ებლაუჭებოდნენ. ჯულია პირველი ავიდა ციცაბო ფლატეზე და შეჩერდა. ივანე გაჭირვებით მიადგამდა მტკივან ფეხს და ქალის კვალდაკვალ მიფოფხავდა. ავიდა მეტად ფრიალოზე და ხრამის პირას შეჩერდა. არც იცოდა, უსაშველოდ მტკივანი ფეხი სად მოეკიდებინა, როგორ ასულიყო ზევით. ქალმა ჩაიჩოქა და ვაჟს წვრილი, სუსტი ხელი გამოუწოდა. ივანემ დაუნახა მაჯაზე დამჩნეული ლურჯი ძარღვები და ერთხელ კიდევ სცადა როგორმე თვითონ აცოცებულიყო. განა შესძლებდა ჯულია მის აყვანას ზემოთ? მაგრამ ქალმა ერთმანეთში უცნაურად არეული იტალიური, გერმანული და რუსული სიტყვები მოიშველია დასაყოლიებლად, ჯიუტად ჩაავლო ხელი იღლიაში, და ივანემაც, როგორც იქნა, ხრამის კიდევ აიტანა თავისი დამძიმებული სხეული.

— ჩქარა, ივანო, ჩქარა! ესეს!

მართლაც, გერმანელები საცაა დაეწეოდნენ ლტოლვილებს. ყველაზე ყოჩაღებმა მდელი გადმოვლეს და უკვე ციცაბო კლდეზე მოფოფხავდნენ. სხვებიც ცდილობდნენ არ ჩამორჩენილიყვნენ. სულ ბოლოს ბორძიკით მოჩანჩალებდა ზურგზე ხელებგაკრული გიჟი, ჯიკავ-ჯიკავით აჩქარებდა მას ბადრაგი. გერმანელთაგან ერთი დაწინაურდა. მან შეამჩნია ბუჩქნარში მიმალული ლტოლვილები, დაიყვირა და ავტომატის ჯერი მიაყოლა. დილის ჰაერში აგრგვინებული სროლის ხმა ნახმევმა აიტაცა და გუგუნით მოჰფინა შორეულ ხეობებს. ივანემ მიიხედა — გერმანელებამდე საკმაოდ დიდი მანძილი იყო, კვლავ გადადგა ნაბიჯი და კინალამ დაეჯახა ფერდობზე გაწოლილ ჯულიას.

— ნონ, ნონ! ნონ ერშისენ! — წამოიძახა ჯულიამ, ანთებული თვალები შეანათა ივანეს და კვლავ წამოხტა. ბოროტი სიხარულით შეფაკვლოდა პირისახე.

— არამზადები ესეს! — მჟღერი, მრისხანე ხმით დაუყვირა გერმანელებს.

— თარფლიუხტერ! შვან.

— კარგი, თავი გაანებე! — უთხრა ივანემ. უნდა დაეზოგათ ძალა. რა ხეირს მოუტანდათ მათი გაღიზიანება? მაგრამ ჯულიას არ ეწადა ასე ცუდუბრალო სიკვდილი — გაბოროტებამ და გერმანელთაგან ნაწვენევმა უამრავმა შეურაცხყოფამ გული აუბობოქრა და კეთილგონიერება ჩაუხშო.

— ჰიტლერ კაპუტ! ჰიტლერ კრეტინო! აბა, შისენ, აბა!

გერმანელებმა კიდევ რამდენჯერმე დაცალეს ავტომატი, მაგრამ ლტოლვილები მღვერებზე უფრო მაღლა იყვნენ. ივანემ იცოდა, რომ ბალისტიკის კანონის თანახმად ამ სიშორეზე გერმანელები მათ ტყვიას ვერ მოახვედრებდნენ. ეს ჯულიამაც იგრძნო, რადგან ერთ ტყვიასაც არ გაუწივლია მათ სიახლოვეს, ამან უფრო აღაფრთოვანა ჯულია.

— აბა, შისენ! შისენ! აბა! ფაშისტო! ბრიგანტი!

ქალი ერთიანად გაწითლებულიყო, ბოროტი ცეცხლით უელავდა თვალები, მოკლე სქელ თმას ქარი უფარფარებდა. ეტყობა, ამოსწურა სალანძღავი სიტყვების მარაგი, ქვა დაინახა და დასტაცა ხელი, უგერგილოდ გასტყორცნა, ქვა ხტუნვა-ხტუნვით ჩაგორდა დაბლა. ფლატის თავზე პირველი ივანე აცოცდა. რის ვაივაგლახით მიფოფხავდნენ ბუჩქნარის გასწვრივ. სულ უფრო ციცაბდებოდა აღმართი, ჭირდა ფეხისმოკიდება. ჯანდაბას გაბარდული ბუჩქნარი. კარგი იქნებოდა იქ, დაბლა ყოფილიყვნენ, იქ მოახერხებდნენ დამალვას, ახლა კი ძლივს მიაღწევდნენ ამ ბარდებს, იკაწრებოდნენ. საშინელება იყო ასეთ ტევრში გზის გაკვლევა, ისე მჭიდროდ ჩახლართულიყო მავთულივით ფშიკი, ფისიანი ტოტები. შეშფოთებული ივანე ერთთავად მაღლა იცქირებოდა, იქნებ უკეთესი გზა ვიპოვოთო, მაგრამ უკეთესი არსად ჩანდა. მაოლა კიდევ უფრო ფაშარი ფლატე ელოდებოდა. ივანე მიხვდა, იქ ასვლას ვერ შესძლებდნენ.

მაგრამ ჯულია ამას ვერ ხედავდა, არ იცოდა, რა დაბრკოლება ელოებოდა. გერმანელების გინებით გართული, მცირე მანძილით ჩამორჩა ივანეს და ახლა კვლავ აეჩქარებინა ფეხი. აქლოშინებული ივანე ლოდზე ჩამოჯდა და მტკივანი ფეხი გამართა.

— ივანო, ფეხი? — ამოსძახა შეშფოთებულმა ქალმა, მაგრამ ივანემ არაფერი უპასუხა.

— ფეხი? მიჩვენე ფეხი!

ივანე კვლავ არ გაეპასუხა, წამოდგა და ისევ მაღლა აიხედა, ფლატისკენ. ქალმაც იქით გაიხედა, ფაშარი კედელი დაათვალიერა და დაიძაბა.

— ივანო!

— კარგი. წავიდეთ.

— ივანო!

ქალს თითქოს ტკივილმა დაუძანა პირისახე, უკან მიიხედა. გერმანელები სწრაფად მოჰყვებოდნენ, კვალდაკვალ.

— ივანო, მორტო ვიქნებით! ნონ ტერეშკი! ალეს ნონ?

— აბა, უფრო სწრაფად! უფრო სწრაფად — მკაცრად შეუძახა ივანემ. სხვა გზა არ ჰქონდათ, ისევ ამ გაბარდულ ბუჩქნარში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ივანემ ბაგე მოიკვნიტა, თავი შერგო გაუვალ უღრანში. აქ შესვლას ალბათ მხეცებიც კი გაუბრუნდნენ. მაშინვე უამრავმა ეკალმა დაუჩხვლიტა ფეხები. მაგრამ ივანე ყურადღებას არ აქცევდა ეკლებს, მხოლოდ იმას ცდილობდა, მუხლი არ გაკაწროდა. ტკივილისა და დაღლილობისაგან შუბლი ცივი ოფლით მოენამა. ჭიჭურ მიძვრებოდა ეკლებსა და ლოდებში, ხრამისთვის უნდა შემოევლო. ბოლოს მაინც გაძვრა ბუჩქნარში.

— ვაი, ვაი! ვაი! — სასოწარკვეთით გაიძახოდა ჯულია და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ეკლებს ედებოდა, ეცემოდა. ივანე არ ანუგეშებდა, არც აჩქარებდა, — მარტოდენ ფლატეს მიჩერებოდა, საიდანაც ჰა და ჰა, გერმანელები გამოჩნდებოდნენ.

ამჯერად ლტოლვილებმა იმარჯვეს, თითქმის მიაღწიეს ტევრის ზედა საზღვარს. ამ დროს ქვევით ესესელი ამოსცდა კბოდეს. ახლა იგი უკვე საშიში იყო, რადგან თითქმის ერთ სიმაღლეზე იყვნენ. როგორც კი ესესელმა თავი ასწია, ივანემ სწრაფად დაუმიზნა დამბაჩა და ესროლა.

მთებში მოგუგუნე ექო დაირხა.

რასაკვირველია, ვერ მოახვედრა — შორს იყო, მაგრამ გერმანელმა, სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, მაინც ღებოდა თავი ნაზვავში. ამას მოჰყვა ავტომატის გრძელი ჯერი: „ტრ-რ-რ-რტ... რ-რ-რ-ტ... რ-ტ...“ მთებმა შორს გაიტაცა სროლის ხმა. როგორც კი ექო მიწყნარდა, ივანე და ჯულია კვლავ წინ გაიქცნენ უეცარმა გასროლამ გერმანელები დააფრთხო, ცოტა ხანს არავინ გამოჩენილა კბოდეზე. მერე ზოლებიანი ფიგურა ამოჩნდა ხრამიდან. იგი ჯულიამ დაინახა პირველმა.

— ივანო, გეფტლინგი!

გიჟმა ფეხები ფართოდ განზე გადგა, ნაზვავზე ბარბაცით ამოფოფხდა და საძაგელი ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა:

— რუსე! რუსე! ჰალტ! ვარუმ დუ გეისტ ვეგ? ზი ვოლენ ბროტ გაბენ! ¹

— ცურიუკ! ²

შეშინებულმა გიჟმა თავი დაღუნა და უკან დაიხია. ლტოლვილებს მოესმათ, როგორ დასწყვილეს გიჟს გერმანელებმა. ცოტა ხნის შემდეგ თითქმის ყველანი ერთბაშად გამოცვივდნენ ჩამონაქცევის მხრიდან. ეს უკვე საშიში იყო. მართალია შეეძლოთ უნაგირამდე მიეღწიათ, სადაც ბუჩქნარი მთავრდებოდა, მაგრამ იქ უკვე გერმანელების ტყვიაც დაეწეოდათ. აუცილებლად უნდა შეეჩერებინათ გერმანელები, როგორმე გადახვეწილიყვნენ უნაგირას გადაღმა. ივანემ ჩაიჩოქა, დამბაჩის ლულა ტოტებში გაჰყო და მეორედ გაისროლა, შემდეგ მესამედ. მერე დაიხარა და დაბალ ბარდებში ჩაიმალა.

ანაზდად ჯულია მიეჭრა:

— ივან, ნონ ვაზნა ალეს. ნონ ალეს! ³

ივანე მიუხვდა. მის მხარს შეეხო, დაამშვიდა ქალი. ორ ვაზნას, რასაკვირველია დაიტოვებს. საპასუხო სროლას ელოდა, მაგრამ გერმანელები დუმ-

¹ რუსო! რუსო! შესდექ! რატომ გარბიხარ? ამათ პური უნდა მოგცენ! (გერმ.).

² უკან (გერმ.).

³ ივანე, არა ყველა ვაზნა! არა ყველა! (გერმ.).

დნენ, ბუჩქნარში გაფანტულიყვნენ და ისე მოიწევდნენ. მაშინ ივანე წამოხტა, თავი დაღუნა, რომ არ დაენახათ, და კოჭლობით ხრამის კიდე-კიდე გაემართა უნაგირასკენ.

ეტყობა, გერმანელებიც შეცდნენ, ბუჩქნარში რომ შესდიეს ლტოლვილებს, ძლივს მიიკვლევდნენ გზას, თანაც მოწინააღმდეგის არც დანახვა, არც მიზანში ამოღება არ შეეძლოთ. სანამ ესესელები ბარდებში ჯახირობდნენ, ივანე და ჯულია მალლა მიიწევდნენ. სულ ელოდნენ, აი ახლა მოგვეწევასო ტყვია ზურგში, აი ახლაო. როგორც იქნა, ბუჩქნარიდან გამოხტნენ და, აქლოშინებულებმა, აირბინეს ვიწრო უნაგირა. იქ, ჩამოწოლილ ღრუბლებში ისეთივე კლდეები ამოჩხორილიყო, უკან რომ მოიტოვეს. სწორედ მათ ფერხით დაღმართი ეშვებოდა. ველის იქით კი იწყებოდა უფრო მოდაბლო მთის ნაოჭი. აქა-იქ მთების თავზე ცხვრის ფარასავით მოდიოდა თეთრი ღრუბლები. უფრო მალლა ღრუბლების მთლიანი ფარდა ეფინა თოვლიან მწვერვალებს.

როგორც კი უნაგირა გადაირბინეს, ჯულიამ მკერდზე ხელისგულები დაიწყო, დაიჩოქა და სწრაფად ააცმაცუნა ბაგე, ჩურჩულს მოჰყვა.

— რას შვრები? სწრაფად! — დაუყვირა ივანემ. ქალმა არ უპასუხა, კიდევ რამდენჯერმე ჩაიჩურჩულა რაღაც. უარესად დაკოჭლებული ივანე ამასობაში ქვევით ჩარბოდა. ჯულია წამოხტა, კვლავ წამოეწია.

— სანტა მარია გვიშველის. ძალიან შევევედრე, ძალიან.

ვაჟს გულწრფელად გაუკვირდა:

— თავი გაანებე! ახლა ვინღა გვიშველის!

არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ, აღმართზე ასვლა კი არ შეეძლოთ. ისევ ფერდობის გადასწვრივ დაეშვნენ ღარტაფში. ქვევით ჩარბენა უფრო ადვილი იყო, ტანი თითქოს თავისით მიისწრაფოდა წინ, მხოლოდ ეგ იყო, მუხლები ეკეცებოდათ დაღლილობისაგან. ივანე სულ უფრო ძლიერ კოჭლობდა. ჯულია წინ უსწრებდა, მაგრამ შორს არ მიდიოდა, ხშირ-ხშირად იხედებოდა უკან. ცხადი იყო, თითქმის ხელსა და თვალებს შუა გაექცნენ გერმანელებს. ჯულია კვლავ შეიპყრო დაუოკებელმა აღტკინებამ. გალაღებული მოჰხედავდა ხოლმე ივანეს, ტიტინებდა იმედითა და სიხარულით აღვსილი:

— ივანო, ჩვენ ცოცხალი, ცოცხალი, ივანო! ძალიან მინდა ცოცხალი! ბრავო ვიტა!¹

„ოჰ ნაადრევია. ნაადრევია ეგ სიხარული!“ — ფიქრობდა ივანე და უკან უკან იხედებოდა. მალე კიდეც დაინახა უნაგირაზე ამოსული პირველი ესესელი. გაჭირვებით გამოძვრა ლოდებიდან, მაღალი იყო, აჭიმული ბრიჯი ეცვა, მუნდირი გაეხსნა, პერანგი მოუჩანდა. არა, სროლას არ ჩქარობდა, თუმცა ლტოლვილები არცთუ ძალიან შორს, ბევრად უფრო დაბლა იყვნენ. იგი შეჩერდა, ერთ წუთს უმზირა ქალ-ვაჟს, მერე რაღაც გასძახა ალბათ უკვე მოახლოებულ თავისიანებს და გადაიხარხარა. დიდხანს იცინოდა, რაღაცას უყვიროდა ლტოლვილებს. მერე, იმის მაგივრად, რომ მათ დადევნებოდა, ქვაზე ჩამოჯდა და ქუდი მოიხადა.

— ივანო, ივანო, უყურე, იგი კეთილშობილი ტედესკოა! გაგვიშვა, უყურე!

ივანე ვერ მიმხვდარიყო, რატომ არ ესროდნენ, რატომ არ დაედევნენ.

¹ გაუმარჯოს სიცოცხლეს (იტალ.).

თითქოს თავი მიანებეს ორივეს, უნაგირაზე შეჩერდა ყველა. ერთი მათგანი განზე გადგა, ავტომატს აქნევდა. დაიყვირა?

— შნელერ! შნელერ! ლიაუფ შნელერ!¹

— ივანიო, ტედესკიმ გაგვიშვა! — გარბოდა და ტიტინებდა უეცრად გახარებული ჯულია, — ჩვენ ცოცხალი! ცოცხალი! ივანე დუმდა.

„ეს რა უბედურებაა? რა მოიფიქრეს?“ ვაჟს ღრმად სწამდა, ალბათ რაღაც მიზნით შეჩერდნენ ესესელები, ალბათ რაღაც განიზრახეს, კიდევ უფრო უარესი. მაგრამ რა?

ივანემ და ჯულიამ ღარტაფის ფსკერზე ჩაირბინეს, შქერის ბუჩქებს გაუყვნენ და მეორე მხარეს გავიდნენ. პატარა გორაკი დახვდათ. ძალაგამოლეულნი აპყვნენ აღმართს. გამოფიტულმა ქვიშაქვამ და დაბალი ბალახის ეკლებმა ფეხები სულ დაუჩხვლიტეს, მაგრამ ახლა აღარ გრძნობდნენ არაფერს. ჯულია ხან წინ გარბოდა, ხან მოუბრუნდებოდა და გერმანელებს გასცქეროდა. მისი სიხარული თანდათან იზრდებოდა, იმისდა მიხედვით, რამდენად უფრო შორდებოდნენ უნაგირას. მაგრამ ივანეს მოწყენილ, შეწუხებულ იერს ბოლოს და ბოლოს არ შეიძლება ჯულიას ყურადღება არ მიეპყრო.

— ივანიო, რატომ ფურიოზო? ფეხი, ხომ? — შეწუხებული ეკითხებოდა ქალი.

— ფეხი არა...

— რატომ? ჩვენ ცოცხალი, ივანიო. ჩვენ გაიქეცი.

მაგრამ ივანე უკვე მიხვდა, რა უბედურებაც დასტყდომოდათ თავს. ჯულიას არაფერი უპასუხა, აჩქარებით აიარა ბორცვი. აქედან მკვეთრად უხვევდა ბილიკი და გაქცეულებს გერმანელებისაგან იფარავდა. გასცილდნენ ბორცვს და ჯულიამაც, ეტყობა, რაღაც იაზრა, უეცრად შეჩერდა. ქალ-ვაჟის წინ თითქოს მთები გაირღვა და თვალუწვდენი სივრცით გალურჯდა ჰაერი. დაბლა პირქუში ხეობა იყო, საიდანაც ნისლი ბოლქვა-ბოლქვად მოცოცავდა ცისაკენ.

ორივეს გაუჩერდა გული. ჩუმად მიირბინეს ფლატემდე და უკან დაიხიეს. ფლატე ცერად ეშვებოდა დანისლულ უფსკრულში, სადაც რუხად მოჩანდა ლილოჭრელოები.

ჯულია იწვა კლდის ლავგარდანზე, ფლატესგან ხუთიოდ ნაბიჯზე, და ტიროდა. ივანე არ ამშვიდებდა, არ აიმედებდა, თვითონაც გვერდით ეჯდა ხავს-მოდებულ ქვაზე, თავი ხელებში ჩაერგო და ფიქრობდა, ალბათ უკვე გათავდაო ყველაფერი. ერთი მხრივ უფსკრულს დაეღო პირი, მეორე მხრიდან ღრუბლებით დაბურული ციცაბო აღმართი იწყებოდა, უკან კი, უნაგირაზე გერმანელები ისხდნენ. ჩინებული ხაფანგი გამოვიდა — რაღა მაინცდამაინც ასეთ ხაფანგში უნდა მოხვედრილიყვნენ!

აშმორებული სინესტე დიოდა უფსკრულიდან და გახურებულ სხეულს უყინავდათ; გარშემო მომდგარ კლდეებში, როგორც უზარმაზარ საკვამურში, ღმუოდა და ზუზუნებდა ქარი, მოღრუბლული და ჩაბნელებული იყო მთელი შემოგარენი. მაგრამ რატომღაც გერმანელები არ მოდიოდნენ, არ ისროდნენ, ზევით, უნაგირაზე შეჭგუფებულებიყვნენ. ზოგი იჯდა, სხვები იდგნენ, შემოხვეოდნენ ზოლებიანი ტანსაცმლით მოსილ შეშლილს. ივანე დაუკვირდა და მიხ-

¹ სწრაფად! სწრაფად! გაიქეცი! (გერმ.).

ვდა. ერთობოდნენ. თამბაქოს აბოლებდნენ და ანთებულ სიგარეტებს ასრესდნენ გეფტლინგს შუბლზე, კისერსა და ზურგზე. ხელებშეკრული გეფტლინგი სხმარტალებდა, ტლინკებს ჰყრიდა, გერმანელები კი ჭიხვინებდნენ და კვლავ დაღავდნენ გიჟს სიგარატებით.

— რუსე! რეეტენ! რუსე! ¹ — მოისმოდა შეშლილის შემზარავი ყვირილი. ივანე დაიძაბა. არამზადები! ეს კიდევ რა მოიგონეს? რატომ არიან ასე ულმობელნი, ასე არაადამიანურები თავისიანებისა თუ სხვების მიმართ — ყველას მიმართ?

გერმანელები თითქოს რაღაცას ელოდნენ, მაგრამ ივანე ვერ მიხვდა, რას. შეიძლება დამხმარეთ ელიან? უკვე რაღა ჰქონდათ საშიში — ახლა ნამდვილი ფინიტაა, როგორც ჯულია ამბობს. ეს მეოთხე გაქცევა, ეტყობა, უკანასკნელი იქნება მისთვის. მხოლოდ ეს პატარა სასწაული, ეს შავთვალა, ტიკტიკა გოგონა ებრალება. რა დამათრობელი და რა წუთიერი აღმოჩნდა მათი ბედნიერება. თუმცა ივანე მაინც უმადლოდა ბედს, ეს გოგო რომ მოუვლინა სიცოცხლის უკანასკნელ, მარად დაუვიწყარ ჟამს. უცნაური კია, მაგრამ ჯულიას გვერდით სიკვდილი უფრო ეადვილებოდა, ვიდრე კრემატორიუმის უძღებ ღუმელში დაფერფვლა.

ჯულიამ გამოიტირა თავისი ბედი, მხრები უკვე აღარ უთრთოდა, მხოლოდ იშვიათად შეაძაგდაგებდა სიცვიისაგან. ივანემ გაიხადა ქურთუკი, ქალისკენ მიიწია და სათუთად დაახურა. ჯულია შეიშმუშნა, თავს ძალა დაატანა და დასვრილი, დაჟეჟილი პატარა მუშტებით ნამტირალევი თვალები შეიმშრალა.

— ცუდია, ივანო. ვაი, ვაი, ცუდია!

— არაფერია, ნუ გეშინია! აქ ორი ვაზნაა, — უჩვენა მან დამბაჩა.

— ნონ ბედნიერება ჯულია. ფინა ვიტა ² ჯულიას, — სასოწარკვეთით წაილაპარაკა ქალმა. ივანე უძრავად იჯდა მიწაზე, თვალს არ აშორებდა გერმანელებს, გულს უფლეთდა მწუხარება და უიმედობა, იტანჯებოდა ჯულიას გამო, მაგრამ რა ექნა? სადმე ოდნავი ფეხმოსაკიდი მაინც ჰქონოდა ამ ფლატეს. ფსკერი არ უჩანს უფსკრულს, ამ ჩაბნელებულ ნისლში ნიაღვრის ხმაურიც კი არ ისმის. თანაც ეს ფეხიც აწამებს. განა შეიძლება ამ ციცაბოზე თავის შემაგრება? არა, მათი აღსასრული გარდუვალია.

— რუსე! რეტენ! რეტენ! რუსე! — ძლივს აღწევდა გიჟის ხმა უნაგირადან. ჯულიამ გახედა უნაგირაზე თავშეყრილ გერმანელებს, წამოიჩოქა და პატარა მუშტები მოუღერა:

— ფაშისტო! ბრიგანტი! არამზადებო! ნეიმან ზი უნს! ნუ? ³

ქარმა მოიტანა სიშორით მიყრუებული ხმა:

— ეი, რუს უნდ გურენ! ⁴ ჩვენ მოგკლავთ!

ახლა მეორემ დაიძახა:

— კომ ტყვე! მიატოვე ცივი მთა. შპაცირენ ცხელი კრემატორიუმ! ⁵...

— ნეიმ! ნეიმ! — უქნევდა მუშტებს ჯულია, — კომ ნეიმ უნს! ნუნ, გაბენ

¹ რუსო! მიშველე! რუსო! (გერმ.).

² სიცოცხლე დაუსრულდა ჯულიას (იტალ.).

³ წაგვიყვანეთ! აბა? (გერმ.).

⁴ ჰეი, რუსის კახპავ! (გერმ.).

⁵ წამო, ტყვევ! გაისეირნე კრემატორიუმში (გერმ.).

ზი ანგსტ!¹ — გერმანელებმა გაიგონეს ქარის მოტანილი სიტყვები და ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს უწმაწური გინება. ჯულია გულზე სკდებოდა, რომ არაფერი შეეძლო, მხოლოდ ტუჩებს იკვნეტდა. მაშინ ივანემ ქალს მხრებზე მოჰხვია ხელი და გულზე მიიკრა. ჯულიაც მორჩილად მიეხუტა და, სასოწარკვეთილი, ბავშვივით ატირდა.

— აბა, ნუ ტირი! ნუ ტირი, არაფერია, — ამშვიდებდა ივანე. ძლივს იკავებდა მოწოლილ ბოდმას.

ჯულია მალე მიწყნარდა. კიდევ დიდხანს ჰყავდა ივანეს გულში ჩაკრული, მწარედ ფიქრობდა, რა დიდებულად დაიწყო ყველაფერი და რა უაზროდ მთავრდებოდა. ეტყობა, სულ არა აქვს იღბალი, ყველაზე უბედური კაცი ყოფილა. თავის გადარჩენის ასეთი შემთხვევა მიეცა და ვერ გამოიყენა. გოლოდაი, იანუშკა და სხვები ამას უკეთესად მოაგვარებდნენ — უკვე ტრიესტს მიადწევდნენ და ფაშისტების ხოცვა-ჟლეტას შეუდგებოდნენ. თვითონ კი აქ გაეხირა, ამ წყეულ მთებში, თანაც მგელივით მოიმწყვდიეს ხაფანგში. ეტყობა, თვითონ მას უნდა აეფეთქებინა ის ყუმბარა, როგორც ითავა, დაე, სხვები გაქცეულიყვნენ. არადა, აი რა მოხდა... აქ კიდევ ჯულიაც დაღუპა, მიენდო, მასთან ერთად გამოიქცა, შეიყვარა ივანე... კარგად კი გაუმართლა იმედი!

გულში იხუტებდა ქალის ნამტირალევ პირისახეს, გრძნობდა მხრებზე მოხვეულ მის მკლავებს. თუმცა სასოწარკვეთილიყო, წინანდებური სინაზით ევსებოდა გული.

ქალიც მიეხუტა, ქარისგან გაწეწილ თმაზე გადაისვა ხელი.

— პატარა, პატარა თმა. ნონ დიდი თმა. არასოდეს!

ვაჟს კრიჭა შეკვროდა მწუხარებისაგან. მისი გონება ვერ ურიგდებოდა ამ გარდაუვალ დაღუპვას. მაგრამ რა ექნა? რა?

— ივანო, — უცბად გამოცოცხლდა ქალი. — მაჯარე, პური. გინდა პური?

ჯულიამ ამოიღო ჯიბიდან პურის ნარჩენი და ნამტირალევ თვალებში მოულოდნელი სიხარული აუკიაფდა. პური შუაზე გატეხა:

— ჰა, ივანო.

ვაჟმა აიღო დიდი ნაჭერი. ამჯერად აღარ გაათანაბრა ულუფა, ახლა ამას აზრი არ ჰქონდა. და ივანემ მომეტებული სიმძაფრით იგრძნო დასასრულის გარდუვალობა. უცნაურია, მაგრამ უკანასკნელ ლუკმასთან ერთად გაუქრა უკანასკნელი იმედიც გადარჩენისა. პური რომ შეჭამეს, ამით თითქოსდა შეაჯამეს მთელი ცხოვრება, ახლა დარჩათ მხოლოდ ერთი რამ — ამ რამდენიმე წუთს ეცოცხლათ და მომკვდარიყვნენ. ივანეს კვლავ მოეძალა სევდა, გაიფიქრა, რა რამოდენად დავხარჯე ამდენი ძალ-ლონეო. აღმოსავლეთში ბიჭებმა უკვე გაანთავისუფლეს მშობლიური მიწა, საბჭოთა კავშირის საზღვრები გადალახეს, აქეთ მოდიან. უკვე ვეღარ შეხვდება მათ, თუმცა შესახვედრად კი მიილტვოდა...

ჯულია ხშირად აპყრობდა სასოწარკვეთილ მხერას ჩაბნელებულ ხეობებს, გერმანელებსაც გაჰხედავდა დროდადრო. ისინი კი ისხდნენ, მათ უდარაჯებდნენ, არ ამოდიოდნენ ბორცვზე.

— ივანო! სად არის ღმერთი? სად არის მადონა? სად სამართალი? ფა-

¹ ინებეთ!.. ინებეთ! მოდიო, წაგვიყვანეთ! აჰა! გეშინიათ! (გერმ.).

შიზმი რატომ ნონ ისჯება? — ეკითხებოდა ჯულია ივანეს და, შეწუხებული წვრილ თითებს იმტვრევდა.

— არის სამართალი! — თითქოს გამოფხიზლდაო, წამოიძახა ივანემ. — მიუზღავენ სასჯელს! მიუზღავენ!

— სად სასჯელი, სად? ენგლიშ? ამერიკან? სოვეტ უნიონ?

— რასაკვირველია, საბჭოთა კავშირი! ის გადაუმტვრევს ხერხემალს ამ არამზადებს.

— სოვეტ უნიონ?

— ჰო, რასაკვირველია.

იმედით თვალეზგაბრწყინებული ჯულია ივანეს მიეჭრა:

— იგი კარგი? უკეთესი, უკეთესი ყველაზე?

ივანემ ვერ გაუგო, ჰკითხა:

— რაო?

— რუსეთი კარგი? სამართლიანი? კეთილშობილი? ივანო, გუშინ სიმართლე ლაპარაკი, ხომ? — და უეცრად თითქოს სრულიად სხვა თვალით დაინახა ივანემ ჯულიაც, თავისი თავიც და შორეული სამშობლოც — ის, რაც იყო იგი მისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე და რაც შეიძლება ყოფილიყო.

— დიახ, — მტკიცედ თქვა ივანემ. — რუსეთი საოცარია, კარგი, სამართლიანი ქვეყანაა. უკეთესი არ არსებობს! მერე და მერე კიდევ უკეთესი იქნება! ომის შემდეგ! როდესაც ჰიტლერს მოვსპობთ. აი ნახავ... ეჰ, ნეტამც კიდევ ერთი დღე მოგვცა! მხოლოდ ერთი დღე!

აღტკინება ვერ დაიოკა, მოჰგლიჯა ხავსის ხეშეში ბლუჯა. შორეული სამშობლოსადმი მწველი, მღელვარე სიყვარულით შეპყრობილს, მეტის თქმა არ შეეძლო, გრძნობდა, მზად იყო ეტირა, რაც არასოდეს მოსვლია. ჯულიაც მიუხვდა ალბათ, მტკივან ფეხზე მოუალერსა.

— ვიცი, — უთხრა გაუს; თვალეზში ცრემლი ედგა, მაგრამ მაინც ღიმილით გაშუქებოდა პირისახე.

— ვიცი, მწამს შენი. ვფიქრობდი, ივანე ცოტა არასიმართლე ლაპარაკი ვცდებოდი.

ჯულია როგორღაც ერთბაშად გამხნევდა. ციოდა, ხეობიდან გამჭოლი ქარი ქროდა. ქალმა ქურთუკის კალთები შემოიხვია ტანზე, მაგრამ გაწითლებულ, დასისხლიანებულ ტერფებს ვერაფერი დააფარა, სულ დაუსუსხა ცივმა ქვებმა. უცბად, თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოჯდა და უბრალოდ, წინასწარ არაფერი უთქვამს, წამოიმღერა:

„რასცვეტალი იავინი ი გუში,
პოპილი ტუანი ნად ეკოი...“

ივანე გაოცდა: ძალიან უადგილოდ ჟღერდა სიმღერა აქ, ამ სამარის პირას. დაინახა, როგორ გაშეშდნენ უნაგირაზე შეჯგუფებული გერმანელები, და თვითონაც ამღერდა. ეტყობა, გერმანელები გააკვირვა სიმღერამ, რაღაც დაიყვირეს. ივანეს არ ესმოდა მათი ყიჟინი. ამ უბრალო ჰანგმა ლტოლვილებს უცბად გაუქარვა სასოწარკვეთა და სხვა, ადამიანურ, უჩვეულო ნათელ სამყაროში გაიტაცა.

მაგრამ გერმანელებმა მალე დაიოკეს გაოცება. ერთმა მათგანმა ავტომატი ჩამოხსნა. ტყვიებმა ქვებზე აქა-იქ სწრაფად ააყენეს ბუქი. ივანემ ჯულიას

სტაცა ხელი, ქალიც უხალისოდ დაიხარა, ქვას მოაფარა თავი. „ისროლეთ, არამზადებო, ისროლეთ! დაე იმათაც გაიგონონ! — გაიფიქრა ივანემ, — საკონცენტრაციო ბანაკში მყოფ გერმანელებს გულისხმობდა, მუდამ რომ აყურადებდნენ მთებში გახმიანებულ გასროლას. — დაე, იცოდნენ, ჯერაც ცოცხლები ვართ!“ რამდენიმე წუთს ასე იწვნენ, ქვის ზღუდეს მოფარებულნი, ელობდნენ, როდის გადაიქუხებდა ხეობებში სროლის ხმა. გერმანელებს ალბათ მათი დაშინება უნდოდათ, რათა მორჩილებაში ჰყოლოდათ ორივე. მერე ავტომატები მიუყრდა. ნახმევი შორს გაიჭრა და ჯერ მიმწყდარი არც იყო, რომ საიდანღაც, მდელის მხრიდან ქარმა სხვა, ნაცნობი ხმები მოიტანა. ჯულიამ თავი წამოსწია. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ივანემ ანიშნა, გაჩუმდიო. მიაყურადეს იმ ხმებს, ერთმანეთს შესცქეროდნენ დაძაბულები და თუმცა ჯულია გვერდით იყო, ივანემ გაბოროტებით შეიგინა: ძაღლების ყეფა ისმოდა უნაგირას გადაღმა.

ამდენ ხანს დაგუბებულმა მრისხანებამ იფეთქა ივანეს გულში, ფართოდ გადგა ფეხები, გამძვინვარებული იყო, საზარელი სანახავი.

— მხეცებო! — დაუყვირა გერმანელებს. — მხეცებო! თვითონ გეშინიათ, თანაშემწეები მოგყავთ! სულ ერთია, ხელში მაინც ვერ ჩავვიგდებთ! გაიგეთ?

გერმანელებს ადვილად შეეძლოთ ესროლათ და მოეკლათ ივანე, მაგრამ არ ესროლეს. თითქოს უნდოდათ გაეგოთ, რას ყვიროდა იგი. ადგზნებული ივანე ერთიანად ცახცახებდა; ეტყობა, სიცხე ჰქონდა. მიმოიხედა ირგვლივ. თანდათან იმატა სინათლემ, დაფლეთილ ღრუბლებში ლაყვარდის გამონაშუქი გამოკრთა. საცაა დათვის ქედიც უნდა ამოცურებულიყო ღრუბლებიდან, სადამდეც ვერა და ვერ მიაღწიეს. ძალიან ეწადა ამ ქედისა და მზის ხილვა, მაგრამ ჯერ არც ქედი ჩანდა, არც მზე და ივანეს მწვავედ მოეწყლა გული.

ისევ მიწაზე დაეშვა. ის, რაც უნდა მომხდარიყო, უკვე აღარ აინტერესებდა, ყველაფერი წინასწარ იცოდა. არც კი გაუხედავს, როცა ძაღლები უნაგირაზე გამოჩნდნენ.

ჯულია მიეჭრა ივანეს, მიეხუტა, პირსახეზე ხელები აიფარა:

— ნონ ძაღლები! ნონ ძაღლები! ივანო, ერშისენ, მალე!.. ერშისენ! ¹

მრისხანება ერთბაშად დაუცხრა ივანეს, კვლავ დამშვიდდა. თავის მოკვლას ადვილია, უფრო საშინელი ის იყო, რომ ჯულიაც უნდა მოეკლა. მეტი გზა არ ჰქონდა. ესეველებს არ უნდა წააყვანიონ ცოცხლად თავი, რათა მერე ბანაკში ჩამოახრჩონ ორივე, — დაე, მკვდრები წაათრიონ. თუ ვერ იმარჯვეს და თავისუფლება ვერ მოიპოვეს, ესეველებს ცოცხალი მაინც არ დანებდებიან.

ამასობაში გერმანელებმა ძაღლები აუშვეს.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი ამაღი ნაგაზი, მიწას გართხმულნი, ფერდობზე დაეშვნენ. ივანე მიხვდა, საცაა აქ გაჩნდებიან ძაღლები. ხელი დაავლო ჯულიას. ქალი კისერზე ჩამოეკიდა, სლუკუნებდა სულშეგუბებული. ივანე გრძნობდა, რაღაც უნდა ეთქვა ახლა. მაგრამ სიტყვა ვერ დასძრა რატომღაც. ძაღლები კი წკავწკავით მოჰქროდნენ ლარტაფში. მაშინ ივანემ მკერდიდან მოიგლიჯა ჯულია და ხრამისკენ, ზედ უფსკრულის პირზე უბიძგა. ქალი არ გადალიანებია, სლუკუნებდა მხოლოდ, თითქოს სული ეხუთებო... თვალები

¹ მოკვლა (გერმ.).

უჩვეულოდ გაფართოებოდა, ცრემლები გაშრობოდა, მარტოდენ შიში უკრთოდა მზერაში. აღარც ყვირილი შეეძლო — შიშმა დაუხშო ყელი.

ივანე ხრამს მიადგა, სწრაფად შეათვალიერა და თვალით გაზომა უფსკრულის სიღრმე. უფსკრული წინანდებურად ჩაბნელებული, ნესტიანი და ცივი იყო. თუმცა შეთხელებული ნისლიდან აქა-იქ თეთრად გამოჩნდა თოვლის ლაქები. ერთ-ერთი ლაქა გრძელ ენასავით ამოწეულიყო. და ივანეს უცებ გონება გაუნათა, რაღაც აზრმა გაურბინა. ჯულიას არაფერი უთხრა, ძირს დაუშვა შემართული დამბაჩა და ქალი ზედ უფსკრულის პირთან მიაყენა.

— გადახტი!

შეშინებულმა ჯულიამ უკან დაიხია. „ჩახტი თოვლში! — ერთხელაც დაუყვირა ივანემ. მაგრამ ქალი მთელი ტანით უკან გადმოიზნიქა და პირისავე ხელებით დაიფარა.

ამასობაში ძაღლები უკვე გამოხტნენ ბორცვზე. ივანეს მათი მჭახე ყეფა უკნიდან შემოესმა. მაშინ დამბაჩა კბილებით დაიჭირა, ჯულიას მოულოდნელად მთელი ძალით ჩაავლო ხელი საყელოსა და შარვალში და, თვითონ როგორც მოეჩვენა, გაცოფებით გადაისროლა უფსკრულში. უკანასკნელ წამს თვალი შეასწრო, როგორ გაფრინდა ჰაერში მისი სხეული, მაგრამ ის კი ვეღარ დაინახა, თოვლზე დავარდა თუ არა. მიხვდა, თვითონ ვერ გადახტებოდა ასე მტკივანი ფეხით. ძაღლებმა დაინახეს ივანე, გაცოფებით იღმუვლეს. ივანე ორი ნაბიჯით მოსცილდა ფლატეს. ყველაზე წინ მკერდგანიერი ცალყურა ნაგაზი მოჰქროდა, ლოდებზე გადმოხტა და ყალყზე შედგა ივანეს ცხვირწინ. ივანეს არ დაუმიზნებია, მაგრამ აუჩქარებლად, თითქმის არაადამიანური ყურადღებით ნაგაზს ღია ხახაში ესროლა და თავი ვერ შეიკავა, მომდევნოსაც მიაჭედა ტყვია. ცალყურა ნაგაზმა კამარა შეჰკრა, ივანეს ჩაუქროლა და უფსკრულში გადაიჩეხა. მეორე ძაღლი მარტო არ იყო, კიდევ ორი მოჰქროდა მის კვალზე. ივანემ ვერ მოასწრო დაენახა, მოახვედრა ტყვია თუ ვერა.

გაცოფებული ძაღლი ძალუმად დაეტაკა მკერდზე. აუტანელი ტკივილი შემოენთო ივანეს ყელზე, წამით თვალი მოჰკრა მოღუშულ ცას და სამუდამოდ ჩაქრა ყველაფერი.

გვილით მარტო

„გამარჯობათ, ივანეს ნათესაებო, გამარჯობათ, ადამიანებო, ვინც მას იცნობდით, გამარჯობა, ბელორუსიაში ორ ლურჯ ტბასთან მდებარე სოფელო ტერეშკი! ამას ჯულია ნოველი გწერთ რომიდან, არ გაგიკვირდეთ, რომ თქვენთვის უცნობი სენიორა იცნობდა თქვენს თვისტომს, იცნობდა ბელორუსიაში ორ ლურჯ ტბასთან მდებარე ტერეშკის და დღეს, მრავალი წლის ძიების შემდეგ, გიგზავნით ამ წერილს.

რასაკვირველია, არ დაგვიწყებიათ ის საშინელი დრო, ის ბნელი დამეკაცობრიობისათვის, როცა ათასობით იხოცებოდნენ სასოწარკვეთილებით შეპყრობილი ადამიანები. სიკვდილს ისე ეგებებოდნენ, როგორც ნანატრ განთავისუფლებას ფაშის კომმარისაგან, ვაჟკაცობის უდიდეს მაგალითს უჩვენებდნენ კაცობრიობას და იღუპებოდნენ ისე, რომ მტრებსაც კი აოცებდნენ.

სწორედ ასეთი ადამიანი იყო თქვენი თანამემამულე ივანე ტერეშკაც, ვისაც განგების ძალამ შემახვედრა ძლევა მოსილი ბრძოლისა და უდიდესი ძნელობის გზებზე. მე მხვდა ბედნიერება მასთან ვყოფილიყავი მისი სიცოცხლის უკანასკნელ სამ დღეს — ტყვეობიდან გაქცევის, სიყვარულისა და წარმოუდგენელი ბედნიერების მარადისობასავით უსასრულო სამ დღეს... ბედისწერამ არ ინება მასთან ერთად მეც დავლუბულიყავ — განგებამ თუ თოვლის ჩვეულებრივმა ნამქერმა არ ინება უფსკრულში ჩავჩეხილიყავ. მერე კეთილმა ადამიანებმა მიპატრონეს — გამათბეს და გადამარჩინეს. რასაკვირველია, ეს მოხდა უფრო გვიან, იმ პირველ წამს კი, უფსკრულში დანარცხების შემდეგ, როცა თვალი გავახილე და მივხვდი, რომ ცოცხალი ვარ, ივანიო უკვე აღარ იყო ცოცხალი. მაღლა, ღრუბლებთან აღარ ისმოდა ძაღლების ღმუილი და მხოლოდ მისი ორი უკანასკნელი გასროლის ნახმევი შორს გრიალებდა ხეობაში.

თანდათან დავუბრუნდი სიცოცხლეს, თავდაპირველად, უმისოდ, ჩემთვის სრულიად უაზრო იყო ეს სიცოცხლე. ჩემი მარტოობის დაუსრულებელ თვეებს მხოლოდ იმ უბედურ და ბედნიერ დღეთა მოგონება ავსებდა, რაც მასთან ერთად გავატარე. მე შემეძლო თქვენთვის მეამბნა, როგორი ადამიანი იყო იგი, მაგრამ ვფიქრობ, თქვენ მას ჩემზე უკეთ იცნობდით. მინდა მხოლოდ გაუწყოთ, რომ მთელი ჩემი მერმინდელი სიცოცხლე მასთან იყო დაკავშირებული, ისევე როგორც ჩემი საზოგადოებრივი მოღვაწეობა — მშვიდობისათვის ბრძოლის კავშირი, პროფკავშირული გაზეთის გამოცემა, ბოლოს — ვაჟიშვილის, ჯიოვანის აღზრდა. იგი უკვე თვრამეტი წლისაა და ემზადება ჟურნალისტი გახდეს, სხვათა შორის ეს წერილი მან გადამითარგმნა რუსულ ენაზე. თუმცა მეც ვსწავლობდი თქვენს ენას, მაგრამ, რასაკვირველია, ისე კარგად ვერ დავეუფლე, როგორც ჩემი ვაჟი. ოთახში ახლაც მიკიდია რუკა ბელორუსიისა, რუკა იმ ქვეყნისა, ივანეს რომ ასე გულმხურვალედ უყვარდა. ვწუხვარ, რომ მისი სურათი არა მაქვს. ნეტავი კი მქონდეს — როგორიც უნდა იყოს: ბავშვობის, ჭაბუკობისა, ან კიდევ უკეთესი — ჯარისკაცობის დროინდელი.

ზოგჯერ, როდესაც ივანიო მომაგონდება, შიში ამაკანკალებს ხოლმე იმის გაფიქრებაზე, ხომ შეიძლებოდა მას არ შევხვედროდი, სხვა ბანაკში მოვხვედრილიყავი, არ მენახა მისი შეტაკება კომანდორფიურერთან, არ გავქცეულიყავი მასთან ერთად, სულ სხვა გზით მევლო ცხოვრებაში. მაგრამ მაღლობას ვწირავ განგებას, რომ ეს არ მოხდა, მაღლობელი ვარ ყველა იმ განსაცდელისა, რაც ბედმა მარგუნა, მაღლობელი ვარ იმ შემთხვევისა, მასთან რომ მიმიყვანა.

აი, ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა. ფინიტა. დიდი მაღლობა ყველას, ვინც გააჩინა, აღზარდა, ვინც იცნობდა ადამიანს, ჭეშმარიტად რუსს თავისი ვაჟკაცობით, ღირსს სიყვარულისა და აღტაცებისა. არ დაივიწყოთ იგი!

გმადლობთ, გმადლობთ ყველაფრისათვის.

თქვენი პატივისმცემელი

ჯულია ნოველი, რომიდან“.

დღის კარკერი

რეპორტი იქნა



მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ნანა ბუსრაძემ

ახალთახალ ცისფერ კოსტუმში გამოწყობილმა ვაჟმა პრილა ჩემოდნები ძლივს მოათავსა პულმანის კუბის ვიწრო კუთხეში.

მატარებელი მოსახვევში ისე სწრაფად უხვევდა და სწორეზე ისე ასკინკილით მიქროდა, წონასწორობის შენარჩუნებას მართლა ვაჟკაცობა უნდოდა. და ვაჟიც რის ვაივაგლახით აკავებდა თავის ბარგს, ხან ადგილს უნაცვლებდა, ხან არა ჩრიდა, მაგრამ რვა წუთი მაინც ბევრი იყო იმისათვის, რომ კაცს ორი ჩემოდანი და ქუდის ერთი კოლოფი ვერ დაებინავებინა.

ვაჟი ჩამოჯდა და დაძინებულ პლუშზე გადაწვა. მის წინ სავარძელში ქორფა გოგონა იჯდა, კვერცხის ნაჭუჭიდან თითქოს ეს-ესაა გამოჩეკილი. მის ახალთახალ ქუდს, ბეწვს, ღია ყავისფერ კაბასა და ხელთათმანებს სულ პრიალი გაჰქონდა, ცალი ყავისფერი ფეხსაცმლის კრიალა ძირს კი პაწაწინა თეთრი ოთხკუთხა ქალაღი შერჩენოდა, ფასი რომ ეწერა ზედ.

ქარისაგან ფერგადასული აბრები უფხო ვირთვეზასა და უყანგავ დამცველებს ისეთ ხოტბა-დიდებას ასხამდნენ, რომ ვაგონის სარკმელს მიჯაჭვული გოგონა მათი ცქერით ტკბებოდა. ვაჟი რომ ჩამოჯდა, იგი მაშინვე მოსცილდა სარკმელს, ჯერ გაღიმება სცადა, შემდეგ კი მზერა ვაჟის მარჯვენა მხარზე შეაჩერა.

„ძლივს არა!“ ჩაილაპარაკა ვაჟმა.

„რა არა?“ შეეხმინა გოგო.

„ძლივს არ გვეღირსა-მეთქი“, აუხსნა ვაჟმა.

„მართლაც და!“

„აქამდეც უნდა მოგვეხერხებინა“, განაგრძო ვაჟმა. „ძლივს არ ამოვიტყუთქეთ!“

„ეგა თქვი და!“ დაეთანხმა გოგო.

„ჰოო! ახლა შენ უკვე ჩემი ბებრუცუნა მეუღლე ხარ. თავს როგორ გრძნობ?“

„ოჰ, მაგას როგორ მეკითხები!“, თქვა გოგომ. „ღმერთო ჩემო, სულ რა-
ღაც სამი საათი არაა, რაც ვიქორწინეთ, ასე არ არის?“

ვაჟი თავის მაჯის საათს ისე დააშტერდა, თითქოს საათის ცნობა ხეირი-
ნად არც იცის და ახლა უნდა ისწავლოსო.

„ზუსტად ორი საათი და ოცდაექვსი წუთია, რაც ჯვარი დავიწერეთ“, მი-
უგო მან ბოლოს.

„ჰმ“, გაუკვირდა გოგოს, „ნუთუ ასე ცოტა დრო გავიდა?“

„რას ამბობ, ჯერ შვიდია ნახევარი არც კია“.

„მე კი მეგონა, უფრო გვიანი იყო. ალბათ იმიტომ, რომ ახლა ადრე ბნელ-
დება“.

„ამ დროზე ბნელდება ხოლმე“, თქვა ვაჟმა. „ახლა ღამე გადიდა. მე
მინდა ვთქვა, ახლა უფრო მალე ბნელდება-მეთქი“.

„დროზე წარმოდგენა დამეკარგა“, თქვა ისევ გოგომ. „ყველაფერი ისე
აირ-დაირია, არც კი ვიცი, სადა ვარ, ან რა მოხდა. ჯერ ეკლესია, შემდეგ სახ-
ლი, ამდენი ხალხი, ხელახლა გამოწყობა, მერე მილოცვები და რა ვიცა,
კიდევ რა. ღმერთო ჩემო, ნეტა როგორ აკეთებს ამას ყოველდღე ხალხი?“

„რას აკეთებს?“ დაეკითხა ვაჟი.

„რასა და რომ ქორწინდებიან-მეთქი“, მიუგო გოგონამ. „აბა, წარმოიდგი-
ნე, მთელ დედამიწაზე ყველა ისე ქორწინდება, ვითომც აქ არაფერიაო, გინდ
ჩინელები აიღე და გინდ სხვები; თითქოს ამაზე ადვილი არაფერი იყოს“.

„ჰმ, მოდი, ხალხს შევეშვათ, ან რაში გვეკითხება ჩინელების ამბავი. განა
უფრო უკეთეს რამეზე არ შეგვიძლია ვიფიქროთ?“

„ვიცი, მაგრამ რატომღაც სულ მაგათზე ვფიქრობ. ყველა ყველგან ყო-
ველთვის ქორწინდება, გესმის, არადა, ამას რამხელა თავი უნდა. თანაც რა
უცნაურად გეჩვენება ამ დროს ყველაფერი, როგორ გაფიქრებს! ისინი კი ისე
იოლად უყურებენ ყველაფერს, არც კი აწუხებთ, შემდეგში რა იქნება“.

„ყველამ თავის თავს მოუაროს, რა ჩვენი საქმეა! ჩვენ ხომ ძალიან კარგად
ვიცით, რაც გველის. ჰმ, ნახავ, რა კარგად აეწყოს საქმე. ჩვენ ხომ ბედნი-
ერები ვიქნებით?“

„ჰო, რასაკვირველია“, დაეთანხმა გოგონა. „მაგრამ სხვების ამბავი მაინც
გაფიქრებს! შემდეგ საკუთარ თავზე თვითონვე გეცინება. ქვეყნის ხალხი ქორ-
წინდება, ოჯახს ვინ არ მოჰკიდებია, მაგრამ ყველას როდი უმართლებს ბედი.
თავიდან კი ალბათ ყველას ჰგონია, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნებაო“.

„რა დროს ეგაა“, — წაილაპარაკა ვაჟმა. „თაფლობის თვეს ეგეთი ფიქ-
რები თავში არავის უტრიალებს. აი ჩვენ უკვე ვიქორწინეთ და ყველაფერი
უკან დარჩა, ჯვრისწერაც თუ სხვა რამეები“.

„ოჰ, რა კარგი იყო, არა?“ — გაეპასუხა გოგონა. „ჩემი ფატა მართლა
მოგეწონა?“

„გადასარევი იყავი, მართლაც გადასარევი“.

„უჰ, როგორ მიხარია! ელი და ლუსიც რა კარგები იყვნენ, არა? კიდევ

კარგი, რომ ბოლოს ვარდისფერი კაბები აირჩიეს. მართლა ძალიან უხდებოდათ“.

„ჰო, მართლა, როდესაც იმ დალოცვილ ეკლესიაში ვიდექი და გელოდებოდი, შენი მეჭვარეები დავინახე. ღმერთმანი, ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ლუსი ასე კარგი იქნებოდა. პირდაპირ თვალი ვერ მოვაშორე“.

„ჰოო? საკვირველია! რა თქმა უნდა, მისი კაბა და ქუდი ყველას მოეწონა, თუმცა ისიც თქვეს, ლუსი საკმაოდ მოტეხილათ. მე ყველას ვარწმუნებდი, მაგაზე ლაპარაკი საჭირო არაა-მეთქი. ან რა გასაკვირია, მოტეხილი იყოს, პატარა ხომ აღარაა, თუმცა ლუსის, თუ დასჭირდა, შეუძლია თქვას, ოცდასამისა ვარო. ისე კი კარგა ოცდაშვიდს უკაკუნებს“.

„ბიჭო, რა მაგარი იყო! ქორწილზე ყველა მაგას მიშტერებოდა“.

„აბა უყურე, როგორ მოსწონებიათ. ძალიან კარგი. ელიზე რაღას იტყვი?“

„სიმართლე გითხრა, ელისთვის არც შემიხედავს“.

„მართლა? ძალიანაც ბევრი დაგიკარგავს. რასაკვირველია, ამას საკუთარ დაზე არ უნდა გამბობდე, მაგრამ ელიზე ლამაზი დღეს, მგონი, არავინ იყო. თუმცა იგი ყოველთვის საყვარელი და გულდიაა. შენ კი ვერ ამჩნევ, ზედაც არ უყურებ. გგონია, ვერ ვხედავ? იმაზე საშინელი კი რა უნდა იყოს ჩემთვის, როდესაც ჩემს საკუთარ დას არაფრად აგდებ“.

„რას ამბობ“, — თავი იმართლა ვაჟმა, „მე ელი ძალიან მიყვარს! ლამის შევიშალო მაგ გოგოზე, გადასარევი ბავშვია“.

„ხომ არ გგონია, ელისათვის ეს რაიმეს ნიშნავს? მასზე ისედაც საკმარისად ბევრი გიჟდება. დიდი ამბავი, შენ მოგეწონება თუ არა! არ გეგონოს, შენს აზრს რაიმე ანგარიშს უწევდეს! ეს მხოლოდ მე მტკივა გული, ჩემი და რომ არ მოგწონს. წარმომიდგენია, რა დღეში ვიქნები მაშინ, როდესაც საბოლოოდ დავბინავდებით და ჩემი დაიკო ჩემს სანახავად მოვა. ხომ შეიძლება, ჭკუიდან გადავიდე, თუ ჩემიანები ჩემთან არ მოვლენ. ვიცი, არაფრად გეპიტნავენა, შეგატყვე, მაგრამ თუ ვინმეს რამე დააკლდება, ისევე შენ და არა სხვას. ნუ გეშინია, კარებს არავინ აგიტალახებს!“

„მოიცა! მოიცა! საიდან მოიტანე, რომ შენიანები არ მეპიტნავენა? ჰმ, ხომ იცი, როგორა ვარ მათთან. მე მიმაჩნია, რომ დედაშენი შესანიშნავი და დარბაისელი მანდილოსანია, ასევე ელი, მამაშენი. ეს რა ლაპარაკია?“

„კი, კი, მე ყველაფერი კარგად გავიგე. ხომ არ გგონია, შევცდი? ღმერთო ჩემო, ვინ არ ოჯახდება, ვის არა ჰგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ მერმე ყოველივე უკუღმა შეტრიალდება, იმიტომ რომ ადამიანებს ერთმანეთის ნათესავეები ვერ აუტანიათ! არ მითხრა, ტყუილიაო! მე მინახავს, რომ ასე მომხდარა“, ცხარობდა გოგონა.

„შენი ჭირიმე, გამაგებინე, რა მოხდა! ასე რამ გაგაბრაზა? ეს ხომ ჩვენი თაფლობის თვეა. რისთვის მეჩხუბები? აა, მივხვდი — შენ ცოტა გეშინია“.

„მე? რისა უნდა მეშინოდეს? ღმერთო ჩემო, სულაც არ მეშინია“.

„იცი, რამდენჯერ უთქვამთ, გოგოები შიშით აღარ არიანო, როცა წარმოდგენენ, ჰმ, რა ჰქვია — აი, სწორედ იმას, რაც ახლა თქვი; ჯერ ასეთი რიარია, ასეთი აურზაური, თუმცა შემდეგ ყველაფერი მიწყნარდება ხოლმე. გამიგე? ჰმ. შენ რაღაც ვერ ისვენებ. ქუდს ხომ არ მოიხდი, გენაცვალე? ჰოდა, მოდი, ნულარასოდეს ვიჩხუბებთ, კარგი?“

„ოჰ, ნეტავ რა მომივიდა, რამ გამაბრაზა?“ დაიწყო გოგომ. „ალბათ

მართლა რაღაც მაწუხებდა. ჯერ ამდენი ხალხი, მერე კიდევ ამ სიშორეს შენთან მარტოდ... ეს ისე უჩვეულოა, ჩემთვის ეს იმხელა რაღაცაა! მაგრამ განა შეიძლება კაცი ფიქრისათვის დასაჯო? ჰო, ნულარასოდეს ნულა ვიხსებებო, სხვებს ნუ დავემგვანებით, ჩვენ არც გულს ვატკენტ ერთმანეთს და არც არაფერი, ჰო?“

„შენს თავს ვფიცავარ, რომ არა“, დაამშვიდა ვაჟმა.

„ეს ოხერი ქული მოვიხადო ერთი, როგორ შემაწუხა! ზემო ბაღურაზე დადე, კარგი, ძვირფასო? მოგწონს ჩემი ქული, გენაცვალე?“

„შენ ძალიან გიხდება“, მიუგო ვაჟმა.

„არა, არა, მართლა მოგწონს თუ არა?“ აღარ მოეშვა გოგონა.

„ჰმ, რა თქმა უნდა, ეგ ქულები ახლა მოდაშია და ალბათ ძალიან ლამაზია. ხომ იცი, ეგეთ რამეებში ვერ ვერკვევი. მაგრამ მე ის ლურჯი ქული მიყვარს, წინათ რომ გეხურა. ვაჰ, რა ქული იყო!“

„მართლა? ჰმ, რა დიდებულია! რახან შენი ცოლი გავხდი, გგონია, ყველაფერი პირში უნდა მომახალო? პირველი, რაც შენ ჩემთვის გამოიმეტე, ისაა, რომ გემოვნებისა არაფერი მომეკითხება. რა კარგია, არა?“

„არა, ძვირფასო, ეგეთი რამე არ მითქვამს. მე მხოლოდ ვთქვი...“

„შენ ისიც არ იცი, რომ ეს ქული ოცდამეორე დოლარი ღირს“, გააწყვეტინა გოგონამ. „ის ქული კი, შენ რომ ასე გიყუდები, მხოლოდ სამი დოლარი“.

„ეგ სულაც არ მინდვლება. მე მხოლოდ ვთქვი, ის ლურჯი ქული მომწონს-მეთქი. თვალს რომ შევაჩვევ, ალბათ ეს ქულიც მომეწონება. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ასეთი ქული შენ არასოდეს გქონია. აბა, რა ვიცი, მოდაში რა არის. ქალის ქულებისა არაფერი გამეგება“.

„ძალიანაც ცუდია, თუ არ გაგეგება. ისეთი ვინმე უნდა შეგერთო, შენს გემოვნებას რომ დააკმაყოფილებდა. ნეტა რა ჰყრია იმ სამდოლარიან ქულებში? მე კი არადა, ლუსი უნდა შეგერთო. აკი თქვი, ძალიან ლამაზიაო. მისი ნაყიდი ქულებიც ნამდვილად მოგეწონებოდა. რატომ ის არ მოიყვანე ცოლად, რატომ?“ გაცხარდა გოგონა.

„აჰ, ახლა კი მოიცა, ღვთის გულისათვის, გაჩერდი“.

„რატომ ის არ მოიყვანე-მეთქი ცოლად?“ არ იშლიდა თავისას გოგო. „რაც ამ მატარებელში ფეხი შემოვდგით, სულ იმაზე ლაპარაკობ. მე კი ვზივარ აქ სულელივით და გისმენ. არც კი გრცხვენია, ასე უტიფრად რომ მიქებ პირში. რატომ მას არ სთხოვე, ცოლად გამომყევით? დარწმუნებული ვარ, ბევრი ხვეწნა არ დაგჭირდებოდა. თუ გგონია, იმდენი თაყვანისმცემელი ჰყავს, რომ აღარ იცის, ვინ აირჩიოს! ძალიან შეცდი, ის რომ არ შეირთე. იმასთან უფრო ბედნიერი იქნებოდი“.

„ნუ ბავშვობ ერთი. რახან ეგრეა, მაშინ რატომ თვითონ არ გაჰყევი ჯო ბრუკს?“ სიტყვა მოუჭრა ვაჟმა. „აი, ვინ გიყიდდა ოცდამეორე დოლარიან ქულებს“.

„შენ რა, გგონია, არა ვნანობ? ჯო ბრუკი განა იმას გააკეთებდა, რომ ამ დღეს ჩემთვის დაეცინა — გემოვნებით ვერ იცვამო? ჯო ბრუკი არც არასოდეს მაწყენინებდა, ჯო ბრუკს მე ყოველთვის ვუყვარდი. დიახ!“.

„უყვარდი, როგორ არა! ასე რომ ჰყვარებოდი, საქორწინო საჩუქარს მაინც გამოგიგზავნიდა. დახე, როგორ ჰყვარებიხარ ჯოს!“

„მე ნამდვილად ვიცი, რომ მაშინ ჯოს საქმე ჰქონდა და აქ არ იყო. როგორც კი დაბრუნდება, მაშინვე მიყიდის იმას, რასაც თითქმის დავადებ“.

„მომისმინე. ჩვენ მისი ნაყიდი არაფერი არ გვინდა. აბა ერთი რამე მოუტანია, მაშინვე ფანჯრიდან გადაგიყრი! ერთი ეს მითხარი, შენ საიდანღა იცი, სად იყო ჯო, ან მისი გეგმები ვინ შეგატყობინა? წერილებს გწერდა?“

„მე მეგონი, ამხანაგებს აქვთ იმისი უფლება, რომ ერთმანეთს წერილები სწერონ. არ ვიცოდდი, თუ ეს აკრძალული იყო“, განაცხადა გოგომ.

„ღიახაც, რომ აკრძალულია. ისღა მაკლია, ჩემს ცოლს ვილაც ვაჭრუკანამ დასტა-დასტა წერილები უგზავნოს“.

„ჯო ბრუკი ვაჭრუკანა სულაც არ არის. იცი, რამოდენა ხელფასი აქვს?“

„მართლა? ვინ გითხრა?“

„ვინა და თვითონ მითხრა“.

„მაშ თვითონ გითხრა? გასაგებია!“

„შენ, რა თქმა უნდა, უფლება გაქვს ილკპარაკო ჯოზე, შენ და შენს ლუსის. შენ ხომ სულ ლუსი გაკერია პირზე“, უსაყვედურა გოგონამ.

„ოჰ, ღვთის გულისათვის, რაში მენადვლება ლუსი? ვახსენე იმიტომ, რომ შენი ამხანაგი იყო, მორჩა და გათავდა. ეს რომ არა, საერთოდ ვერც შევამჩნევდი“.

„კი, როგორ არა! მაგის მეტი დღეს შენ არავინ დაგინახავს. თანაც როდის? ჩვენს ჯვრისწერაზე, როცა საკურთხეველთან იდექი. თვითონ არ მითხარი, ეკლესიაში რომ ვიყავი, სულ მაგაზე ვფიქრობდიო? იმის მაგივრად, სხვა რამეზე გეფიქრა, ლუსის მეტი არავინ და არაფერი გახსოვდა“.

„გამიგონე, გენაცვალე, ეს ისეთი უბრალო რაღაც იყო, შენთვის არც მინდოდა მეტქვა. კაცი რომ საკურთხეველთან დგას და ჯვარს იწერს, ათას სისულელეზე ფიქრობს. ვინ რა იცის, ამ დროს თავში რა აზრი მოუვა! იმიტომ გითხარი, რომ ამაზე ფიქრი მართლაც სისულელე იყო. მე მეგონა, გაგაციინებოდა“.

„ვიცი, დღეს მე თვითონაც აფორიაქებული ვიყავი. გითხარი კიდევ ყველაფერი ისე უცნაური იყო დღეს! იმდენი ხალხი, ისეთი რია-რია, შემდეგ აქ მარტოდ! გასაგებია, შენც აფორიაქდებოდი, მაგრამ როდესაც ლუსის ქებაში იყავი, მეგონა, ამას განზრახ, ჩემი გულის გასახეთქად ამბობდი“.

„შენი გულის გასახეთქად მე არასოდეს არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ ვთქვი. ვიფიქრე, გავაციინებ-მეთქი“.

„როგორც ხედავ, ვერ გამაციინე“, შეუბრუნა სიტყვა გოგონამ.

„ვიცი, ვერ გავაციინე, არადა, კი უნდა ვიცინოდეთ. ეს ხომ ჩვენი ბედნიერების დღეა, ჩემო სიცოცხლე, რა დაგემართა?“

„რა ვიცი, სხვა დროსაც ბევრჯერ გვიკინკლავია, მაშინაც, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, ნიშნობაზედაც, გახსოვს? მაგრამ ასე მეგონა, როგორც კი ჯვარს დავიწერთ, ყველაფერი შეიცვლება-მეთქი. ახლა კი შენთან ისე უცხოდა ვარ, ისე მარტო ვარ“.

„ჰმ, ჩემო სიცოცხლე“, დაიწყო ვაჟმა. „ჩვენ ჯერაც ვერ გამოვრკვეულვართ. მე მინდა ვთქვა, რომ, ჰმ, ყველაფერი შეიცვლება. ოჰ, დასწყევლოს ღმერთმა, რა დამემართა! ჩვენ ხომ ეს-ესაა ვიქორწინეთ!“.

„არა“, განაცხადა გოგონამ.

„ჰმ, ცოტა ხანიც და ყველაფერი მოგვარდება. ოც წუთში ნიუ-იორკში ვიქნებით. შემდეგ ვივახშმებით და რაც მოგვეპრიანება, იმას გავაკეთებთ. ამ საღამოს რამე სხვა გეგმა ხომ არა გაქვს?“

„რა?“ დაეკითხა გოგო.

„სანახაობაზე ან სადმე ხომ არ გინდა წასვლა“.

„როგორც შენ გინდა“, მიუგო გოგომ. „არ მეგონა, თუ ასეთ დღეს ვინმე თეატრში ან სადმე სხვაგან წასვლას იფიქრებდა. ჰო, არ დამავიწყო, ამაღამ წერილები უნდა დავწერო“.

„ოჰო, ამაღამ წერილების წერას აპირებ?“.

„იცი, ისე ავირიე, რომ ზრდილობაც გადამავიწყდა. საცოდავი მისის სპრეიგისათვის მადლობა არც გადამიხდია. მან ხომ მარწყვის ასაღები კოვზი მოგვართვა. ოჰ, ეს როგორ მომივიდა. ამაღამვე უნდა მივწერო“.

„წერილებს რომ მოათავებ, იქნებ კარგი ყურნალი ან პირის ჩასატკბარუნებელი რამე გიშოვნო“.

„რაა?“ გაიკვირვა გოგომ.

„რა ვიცი, იქნებ მოგწყინდეს“, დაიბნა ბიჭი.

„შენთან მომწყინდება? სულელო! ჩვენ ხომ ცოლ-ქმარი ვართ?! მოგწყინდებაო!“

„ეს როგორ ვიფიქრე?“ თქვა ვაჟმა. „მოდო, როცა ჩავალთ, ბილტმორში გავჩერდეთ, ბარგი დავტოვოთ, მყუდრო ოთახში პატარა სუფრა გავაშლევინოთ, შემდეგ რაც გვინდა, ისა ვქნათ. ჰმ, მოდო, სადგურიდან პირდაპირ იქ წავიდეთ“.

„კარგი, ეგრე გავაკეთოთ. ისე მიხარია, ბილტმორში რომ ვიცხოვრებთ! ჩემი საყვარელი ადგილია. ნიუ-იორკში ორჯერ ვიყავით და ორჯერვე იქ ვცხოვრობდით, მამა, დედა, ელი და მე. ოჰ, ისე კარგად მაგონდება! რომ იცოდე, როგორ მშვიდად მძინავს იქ. საკმარისია ბალიშზე თავი დავდო და უკვე სიზმრებს ვხედავ“.

„მართლა?“

„ზემო სართულზე მაინც ისეთი სიწყნარეა ხოლმე!“

„მოდო, სანახაობაზე დღეს არა, და, ხვალ წავიდეთ. ასე არა სჯობია?“

„ნამდვილად ასე სჯობია“, დაეთანხმა გოგო.

ვაჟი წამოდგა, წუთით ფეხზე გამაგრება მოახერხა, შემდეგ მეორე მხარეს გადავიდა და გოგონას გვერდით მიუჯდა.

„მართლა ამაღამ გინდა დაწერო ის წერილები?“

„ჰმ, გინდ ამაღამ დამიწერია, გინდ ხვალ. სულ ერთია, მისვლით მაინც ერთნაირად მივა“.

კუბეში სიჩუმე ჩამოვარდა. ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ.

„ხომ აღარ ვიჩხუბებთ, ჰა?“ ეკითხებოდა ვაჟი.

„არა, არა“, ამბობდა გოგო. „არასოდეს. მაინც არ ვიცი, რამ გამაგიჟა. ოჰ, რა აუტანელი, რა საშინელი იყო. სულ ის ხალხი მეღანდებოდა. მაინც რამდენი იყვნენ! ჯვარს იწერდნენ, შემდეგ ჩხუბობდნენ და მორჩა, ბედნიერება მთვარდებოდა. მათზე ფიქრმა სულ თავგზა ამირია. არა, მე არ მინდა იმათ ვგავდე. ჩვენ ხომ არ ვიჩხუბებთ, არა?“

„რასაკვირველია, არა“.

„თავი უნდა შევიკავოთ“, განაგრძობდა გოგო. „მაშინ არც ჩხუბი მოგვივა. ჩვენ სულ სხვანაირად ვიცხოვრებთ. ჩვენ ახლა ცოლ-ქმარი ვართ. ნახავ, რა შესანიშნავად ვიქნებით. ერთი ქული მომაწოდე. გმადლობთ. აჰ, როგორ მაკლია გულს, რომ ეს ქული არ მოგწონს“.

„რას ამბობ, ძალიანაც მომწონს!“ დაამშვიდა ვაჟმა.

„განა შენ არ თქვი, არ მომწონსო, შენ არ თქვი, ამაზე სამინელი არაფერი გქონიაო?!“

„მსგავსიც კი არაფერი მიფიქრია“, თავი იმართლა ვაჟმა, „გაგიჟებულხარ და ეგ არის“.

„ძალიან კარგი. შეიძლება გავგიჟდი კიდევ. დიდი მადლობა, ბატონო, თუმცა შენ სწორედ ეგრე თქვი. ოჰ, ეს არაფერია, რა თქმა უნდა, დიდი არაფერია, მაგრამ როგორი ასატანია, როდესაც საკუთარი მეუღლე გეუბნება, გემოვნებისა არაფერი გცხიაო, მერე კი მოგიბრუნდება და გეტყვის, გაგიჟებულხარო“.

„არა, მოიცა! ეგრე არ მითქვამს. თუ გინდა იცოდე, ეგ შენი ქული ძალიან მომწონს. რაც უფრო ვაკვირდები, მით უფრო მეტად მომწონს და მომწონს. შესანიშნავი ქულია“.

„შენ მაგას მხოლოდ ახლა ამბობ“, უსაყვედურა გოგონამ.

„შენი ჭირიმე, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, კარგი? რატომ გინდა, რომ თავიდან დავიწყოთ ყველაფერი? ძალიან მომწონს ეგ დალოცვილი ქული. მე ყველაფერი მომწონს, რასაც შენ ატარებ. მეტი რა გითხრა, ჰა?“


„მე ეგეთი ნათქვამი არა მჭირდება“.


„მე ვთქვი, რომ შენი ქული გადასარეგია. მეტი არაფერი მითქვამს“.

„მართლა ეგა თქვი?“ ჩაეკითხა გოგო. „არ მატყუებ? ოჰ, რა კარგია! ეგრე რომ არ გეთქვა, შეგიძულავდი, იცოდე, მერე კი ისე ცუდად იქნებოდა ყველაფერი!“

„ჰმ, რას ამბობ! ლამის შევიშალო, ისე მომწონს ეგ ქული. მადლობა ღმერთს, ქულის საქმე გავარკვიეთ. აჰ, რა ბავშვი ხარ, საყვარელი ბავშვი. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. მომისმინე — ეს ხომ ჩვენი თაფლობის თვეა. მალე ერთმანეთს უფრო შევეჩვევით. უფრო სწორად, ჰმ, სულ რამდენიმე წუთში ნიუ-იორკში ვიქნებით. მერე კი ჰოტელში წავალთ და ყველაფერი მოგვარდება. გამიგე? რა დროს, ჰმ, რა დროს ეგეთებია! ჩვენ ხომ ჯვარი დავიწერეთ. როგორც იქნა, გვეღირსა“.

„ჰო,“ დაეთანხმა გოგო. „როგორც იქნა“.





ქან-ქაკ რუსო

ქიული ანუ ახალი ელოიზა

თარგმნა ნიკა აბიაშვილმა

გამოჩენილი ფრანგი მწერლის ჟან-ჟაკ რუსოს (1712 — 1778) საქვეყნოდ ცნობილი რომანი „ქიული ანუ ახალი ელოიზა“ (1761) პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე. ვათავსებთ პირველი ნაწილის რამდენიმე თავს.

XI წერილი

ქიულისაგან

მოყვარეო ჩემო, დღითი დღე სულ უფრო და უფრო ძლიერ მედება თქვენი ტრფიალების ალი. უკვე აღარ ძალმიძს თქვენი მიტოვება; ხანმოკლე განშორებაც კი აუტანელია ჩემთვის. მინდა გიმზერდეთ, ანდა წერილსა გწერდეთ. მინდა სულ თქვენთან ვიყო.

ამრიგად, ჩემი სიყვარული იზრდება თქვენს ტრფობასთან ერთად; რამეთუ ახლა კი ვიცი, რომ გიყვარვართ, თქვენ ხომ გულწრფელად იშიშვით, ვაითუ მისი გული ვერ მოვიგოო, მაშინ როდესაც წინათ მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობლით თქვენივე მიზნის მისაღწევად. მშვენივრად ვხედავ, თუ რა ძალა მოიპოვა თქვენმა გულმა ვნებათაგან აღტყინებულ წარმოსახვაზე; ჩემი ფიქრით, თქვენს ამჟამინდელ თავშეკავებაში ასკეცად მეტი ვნებაა, ვიდრე თავდაპირველ მგზნებარებაში. მე იმასაც ვხვდები, რომ თუმცა თქვენი ყოფა სავალალოა, მაინც უსიხარულო როდია. ჭეშმარიტი მიჯნურისათვის მსხვერპლის გაღებაც კი სიამის მომგვრელია, — ეს მსხვერპლი გამოებრება მას და უპასუხოდ არ დარჩება მისი ტრფიალებით ღონებამიხდილ გულს. თუმცა, ვინ იცის, რადგან თქვენთვის კარგად არის ცნობილი ჩემი მგრძნობიარე გული, ხომ არ მიმართავთ უფრო მარჯვე ფანდებს ჩემს საცდუნებლად? მაგრამ არა, მე უსამართლო ვარ, თქვენ არ ძალგიძთ ჩემდამი გულმზაკვრობის გამოჩენა. ოღონდ, მე რომ კეთილგონიერი ვიყო, კიდევ უფრო მოვერიდებოდი სიბრაულულს, ვიდრე სიყვარულს. მე უფროისად ძლიერ მადელვებს თქვენი პატივის-

ცემა, ვიდრე აღტაცება და მეშინია, ვაითუ თქვენი ყველაზე უფრო უანგარო შემართება მეტისმეტად სახიფათო აღმოჩნდეს.

უნდა გამოგიტყდეთ და გამოვთქვა აზრი, რომლის სამართლიანობას მთელი ჩემი სულითა და გულით ვგრძნობ, — და თქვენი გულიც ამასვე გიკარნახებთ: თქვენი მდგომარეობის მიუხედავად, მშობელთა და თავად ჩვენი ბედნიერი საპარადჯამოდ დაკავშირებულია ერთმანეთთან და ახლა დღენიადაგ ერთად უნდა ვიყოთ — ბედნიერებაშიც და მწუხარების ჟამსაც. ჩვენი სულები, თითქოსდა ყოველნაირად ემთხვევიან ურთიერთს, და ჩვენ ყველგან ვგრძნობთ შეჭიდულობის ძალას (გამისწორეთ, ჩემო მეგობარო, თუ უადგილოდ მივმართავ თქვენს გაკვეთილებს ფიზიკიდან). ბედმა, ეგებ, დაგვაშოროს კიდევ, მაგრამ ვერასოდეს გაგვთიშავს. ამიერიდან ვიხარებთ ერთი და იმავე სიხარულით, ვიმწუხარებთ ერთი და იმავე მწუხარებით და, როგორც ლეგენდაშია, თქვენ რომ გიამბეთ, შეყვარებული ქალ-ვაჟი განიცდიდაო ერთსა და იმავე სულიერ მღელვარებას, თუმცა ძალზე შორიშორ იყვნენო ერთმანეთისაგან, — ასევე ჩვენც აგვალელებს იგივე განცდები, თუნდაც ორივენი ქვეყნიერების სხვადასხვა განაკიდეში ვიმყოფებოდეთ.

ხელი აიღეთ ყოველგვარ იმედზე, თუკი მოგეპოვებოდათ იგი, რომ ჩემი ბედნიერების ფასად შეძლებთ თქვენი კეთილდღეობის შექენას, ნუ იმედოვნებთ: უკეთუ დავკარგავ პატიოსნებას, ვერც თქვენ გაიხარებთ. თქვენ აღარ შეგეძლებათ მშვიდად უცქიროთ ჩემს გაწბილებასა და ცრემლებს. მერწმუნეთ, ჩემო მეგობარო, მე უფრო უკეთ ვიცნობ თქვენს გულს, ვიდრე თავად თქვენ. სათუთმა და გულწრფელმა სიყვარულმა უნდა ისწავლოს სურვილთა ალაგმვა. ოღონდ თუკი მაინცადამაინც დაიჟინებთ, თქვენ თავსაც დალუბავთ და ჩემი გაუბედურებით თქვენც უბედური იქნებით.

ჩვენი საერთო ხვედრის მოვლა-პატრონობა მე მომანებეთ — მინდოდა ჩამეგონებინა თქვენთვის, რა მრავალმნიშვნელოვანია ეს საქმე ორივესათვის. ნუთუ ეჭვი გეპარებათ, სიცოცხლეზე უფრო რომ მიყვარხართ. ნუთუ წარმოგიდგენიათ, ჩემთვის არსებობენ სიამენი, რომელთაც თქვენ არ გაიზიარებდით? არა, მოყვარეო ჩემო, მეც იგივე მისწრაფებები მამოძრავებს, როგორც თქვენ, მაგრამ ოდნავ მეტი გონება მომეპოვება, და შემიძლია მათი დაოკება. გეთანხმებით, თქვენზე ახალგაზრდა ვარ. მაგრამ განა არ შეგინიშნავთ, რომ, თუმცა დედაკაცის გონება ჩვეულებრივ ჩამოუვარდება მამაკაცისას ძალ-ღონეში და სწრაფად ჰკარგავს სიმახვილეს, სამაგიეროდ იგი უფრო ადრე ყალიბდება, ისევე, როგორც მუხაზე უმაღლ აღმოცენდება და ილუბება სუსტი და ნაზი მზესუმზირა. ჩვენ სიყრმიდანვე გვიხდება დაცვა იმისა, რისი დაკარგვაც ასე იოლია, და ეს საზრუნავი ადრე გვიღვიძებს კეთილგონიერებას: სულ მუდამ ხიფათის მომლოდინე რომა ვართ, ესა გვშველის, თვალწინ კარგად გავისიგრძეგანოთ ყველა შედეგი. რამდენადაც უფრო მეტად მაფიქრებს ჩვენი ამბავი, მით უფრო მკაფიოდ ვხედავ, თავად კეთილგონიერება რომ მოითხოვს თქვენგან მსხვერპლს, რასაც მე ვენუკვი სიყვარულის გამო. მაშ, ქედი მოუდრიკეთ მის ფაქიზ შეგონებებს და ნება დართეთ გაგიძღვეთ მეორისაკენ, ვაგლახ, რომ ბრმაა ისიც, მაგრამ მაინცადამაინც ჯერ არ დაუკარგავს საიმედო დასაყრდენი.

არ ვიცი, ჩემო მეგობარო, მოიპოვებენ თუ არა ჩვენი გულები ბედნიერებას, გაუგებენ თუ არა ერთიმეორეს და იზიარებთ თუ არა, ამ პწკართა წაკი-

თხვისას უნაზეს მღელვარებას, კალამი რომ ამალეზინა ხელში. არ ვიცი, რამდენად შეუხმატკბილდებიან ერთიერთმანეთს ჩვენ-ჩვენი მოსაზრებანი და გრძნობანი, ოღონდ ერთი კი ძალიან კარგად ვიცი: უმჯობესად უნდა მივიჩნიოთ ჩვენ ორთა შორის იმის მოსაზრება, ვინც თავის ბედნიერებას როდი გამოსთიშავს მეორის ბედნიერებისაგან.

XII წერილი

ქიულისადმი

რარიგად მხიბლავს თქვენი მიამიტი წერილი, ძვირფასო ქიული! როგორ იგრძნობა შიგ უმანკო არსების ნათელხედვა და სიყვარულის სათუთი მოამაგეობა! თქვენი აზრები ბუნებრივად და ლალად ჩქეფენ: ისინი ისეთ გასაოცარ ზეგავლენას ახდენენ გულის მიმართ, როგორსაც ვერასოდეს მოიმოქმედებენ მაღალფარდოვანი სიტყვები. თქვენ ისეთი უბრალოებით წარმოაჩენთ უცილობელ საბუთებს, რომ კაცი კარგად უნდა ჩაუფიქრდეს, რათა გაიგოს მთელი მათი ძალოვანება, და მაღალი გრძნობები თქვენთვის ესოდენ ბუნებრივი არიან, რომ თქვენი მოსაზრებები ადვილად გასაღდება საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებად. ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვმართებს განვაგოთ ჩვენივე ბედ-იღბალი, და ეს არა მარტო უფლებაა, რასაც გთავაზობთ, არამედ თქვენივე ვალდებულებაც არის, რომლისკენაც გიხმობთ. ეს სამართლიანობაა, რასაც გენუკვით, და თქვენმა გონებამ უნდა მომაგოს სანუქფო იმ ზიანის ნაცვლად*—ჩემს გონებას რომ მიაყენა. დღეის ამას იქით, სიცოცხლის დასასრულამდე, თქვენ განდობთ ჩემი ნება-სურვილის მოვლა-პატრონობას: მიმსახურეთ როგორც ადამიანი, ვისაც უკვე აღარა გააჩნია რა საკუთარი, და, ვისი მთელი არსებაც მხოლოდ თქვენ გეკუთვნით. ნუ გეეჭვებათ, სიტყვას არ გაგტებ, დავემონები თქვენს ყოველნაირ განკარგულებას. და სწორედ მაშინ ან მე გავხდები უკეთესი, ან თქვენ უფრო ბედნიერი, — და ასე მოხდება თუ ისე, მივიღებ საბოძვარს ჩემი მორჩილებისათვის. მაშ ასე, თამამად გაკისრებთ ჩვენი საერთო ბედნიერებისათვის ზრუნვას. შექმენით თქვენთვის ეგ ბედნიერება — ესაა ყველაფერი, რაც საჭიროა, ხოლო მე, ვისაც წუთითაც კი არ ძალმიძს თქვენი დავიწყება ანდა თქვენზე ფიქრი აღუტაცებლად, რაც გულში უნდა ჩავიკლა, ისღა მშთენია, მარტოდენ თქვენს უდრეკ ნება-სურვილს დავემორჩილო.

მთელი წლის მანძილზე მეცადინეობისას მხოლოდ იმას ჩავდიოდით, რომ სრულიად უსისტემოდ და თითქმის განურჩევლად ვკითხულობდით წიგნებს, ეს ხდება უფრო თქვენი გემოვნების საამებლად, ვიდრე მის გასაწვრთნელად. თუმცა ისეთ აფორიაქებულ გუნებაზე ვიყავით, რომ ჩვენთვის ძნელი იყო აზრის სიცხადის შენარჩუნება. თვალებს აღარ ძალუძდათ გულისყურით ჩაჰკირკიტებოდნენ წიგნს. ბაგენი წარმოთქვამდნენ სიტყვებს, მაგრამ ყურადღება გვეფანტებოდა. არც ისე უგულისყურო თქვენი დაიკო ხშირ-ხშირად გვისაყვედურებდა, არ შეგწევთ უნარი საგანს ღრმად ჩაუფიქრდეთო. გვაჯობა და გავვისწრო კიდევ, თან ამაყობდა ამ იოლი გამარჯვებით. იგი შეუმჩნევლად გახდა მასწავლებლის მასწავლებელი და თუმცა ზოგჯერ დავცინოდით კიდევ მის

თვითკმაყოფილებას, მაგრამ არსებითად ჩვენ სამთა შორის მარტო მან მიიღო ცოტაოდენი ცოდნა.

ამრიგად, დაკარგული დროის ასანაზღაურებლად (ეჰ, ჟიული, განა უფრო უკეთ დახარჯულა ის დრო ოდესმე!), მოვიფიქრე გეგმა და მეთოდიც ისეთი მარჯვე გამოვნახე, რომ მთლად ამოავსებს ჩვენი ცოდნის ხარვეზს, რაც უგულისყურობამ გვარგუნა. გიგზავნით ამ გეგმას; ძალიან მალე ერთად წავიკითხავთ მას. ჯერჯერობით მხოლოდ მცირეოდენ შენიშვნებს დავჯერდები.

ჩემო საყვარელო მეგობარო, ჩვენ რომ დაგვესახა მიზნად ჩვენ-ჩვენი ცოდნის საქვეყნოდ გამომზეურება და შეგვეძინა ცოდნა სხვებისა და არა საკუთარი თავისთვის, ჩემი მეთოდი არაფრად ეღირებოდა, ვინაიდან იგი ცდილობს მცირეოდენი რამ მიიღოს ბევრისაგან და მრავალ თხზულებათაგან ძირითადი ამოკრიფოს. მეცნიერება, უმრავლეს შემთხვევაში, ფულსა ჰგავს, რომელიც მთელი თავისი ღირებულებით ხელს უწყობს კეთილდღეობას მხოლოდ მაშინ, თუკი მას მოვიხმართ და გამოვიყენებთ, და მარტოოდენ ადამიანთა ურთიერთობისას თუ გამოდგება. აღუკვეთეთ ჩვენს სწავლულებს მსმენელთა წინაშე მსჯელობის სიამოვნება, და მეცნიერებას ზურგს შეაქცევინ. ისინი იძენენ დოვლათს თავიანთ კაბინეტებში ერთადერთი მიზნით — მოახმარონ იგი მსმენელებს; მათ მხოლოდ ერთი რამ სწადიათ — გაითქვან ბრძენკაცთა სახელი და, რასაკვირველია, ცოდნას აინუნშიაც არ ჩააგდებდნენ, უკეთუ თავყვანის-მცემლები აღარ ეყოლებოდათ¹. ჩვენ კი, როცა ვცდილობთ ვისარგებლოთ ცოდნით, ვიძენთ მას იმიტომ კი არა, გადავყიდოთ იგი, არამედ ჩვენდა სასარგებლოდ მოვიხმართ; იმიტომ კი არა, რომ შეგვაწუხოს, არამედ მოგვცეს ჩვენ საზრდელი. ვიკითხოთ ცოტა, მაგრამ ბევრი ვიფიქროთ წაკითხულზე, ანდა, უმჯობესია, ხანგრძლივ ვესაუბროთ ერთმანეთს — აი ის საშუალება, ცოდნის უკეთ ათვისებას რომ ემსახურება. როცა ადამიანს აქვს მსჯელობის ჩვევით განვითარებული ალღო, მაშინ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება თავისი ჭკვით ჩაწვდეს ყველაფერს, რისი პოვნაც წიგნებში შეიძლება. — ეს საუკეთესო ხერხი იქნება, თავის აზრთა წყობას შეუფარდოს ცოდნა და დაიუფლოს იგი! ხოლო ამის ნაცვლად მას, ამ ცოდნას, ვიძენთ მზამზარეულად და თითქმის ყოველთვის ჩვენთვის უცხო ფორმით. ჩვენ უფრო მდიდრები ვართ, ვიდრე გვგონია, მაგრამ, როგორც მონტენი ამბობს, ჩვენ გვაცმევინ ვალად აღებულ, სხვის ტანზე შეკერილ სამოსს. გვაჩვევენ სამოწყალოდ ვიცხოვროთ ნასუფრალით, და არა ჩვენ ჩვენი ავლადიდებით, ანდა უფრო სწორად, გამუდმებით ვიძენთ და ვიძენთ და ვერ ვბედავთ ხელი ვახლოთ რაიმეს, — ვემსგავსებით კრიჟანგებს, მხოლოდ თავიანთი ბედლების ავსებასლა რომ ფიქრობენ. ქერის ორმოში ყელამდე არიან ჩაფლულნი, და შიმშილით კი სული ღრძვებათ.

გეთანხმებით, ქვეყნის-ქვეყნად მოიპოვება მრავალი ადამიანი, რომელთათვის ფრიად საზიანო იქნებოდა ამ მეთოდით სარგებლობა და, პირიქით, ბევრი უნდა იკითხონ და ცოტა იფიქრონ. ჭკუაზე ცოტა ისე მწყურალად არიან და, რასაც თავად მოიფიქრებენ, იმაზე უხეირო აღარა იქნება რა. თქვენ კი სულ სხვა რამეს გირჩევთ — ხომ შეგიძლიათ წაკითხულს მიუმატოთ კიდევ თქვენი

¹ ასე ფიქრობდა თავად სენეკა. „ჩემთვის რომ მიენიჭებინათ ცოდნა, — ამბობდა იგი, — იმ პირობით, რომ არ გამომემყდარებინა ის, უარს ვიტყვოდი ასეთ ცოდნაზე“. ჰოი, დიადო ფილოსოფიაგ! აი როგორი ხარ სინამდვილეში!

უფრო უმჯობესი აზრი. და თქვენი გახსნილი გონება შექმნის თითქოსდა მეორე, ზოგჯერ საუკეთესო წიგნს. მაშ, გავუზიაროთ ერთმანეთს აზრები: მე მოგიტხოვრებ, თუ რას ფიქრობდნენ სხვები, თქვენ კი გვიამბობთ, თავად რას ფიქრობთ ამ საგანზე. და ხანდახან, როცა გაკვეთილს დავამთავრებთ, მე წავალ თქვენთან უფრო განათლებული, ვიდრე თქვენ ჩემგან.

რაც უფრო ცოტას იკითხავთ, მით უფრო გულდასმით უნდა შეარჩიოთ წიგნები. და აი, რას ემყარება ჩემი არჩევანი: მოსწავლეთა მთავარი შეცდომა, როგორც ახლა ვთქვი, ისაა, რომ ისინი მეტისმეტად ენდობიან წიგნებს, ნაკლებად იყენებენ თავიანთ ჭკუას, და ფიქრადაც არ მოუვათ, რომ ჩვენი საკუთარი ჭკუა თითქმის ყოველთვის უფრო ნაკლებ გვატყუებს, ვიდრე ყველა სხვა სოფისტი. როგორც კი ჩაუფიქრდები თავის თავს, უმაღვე შეიცნობ სიკეთეს და ჩაწვდები მშვენიერებას; ჩვენ როდი გვჭირია გვასწავლონ ამა თუ იმ ამბის გაგება, ვინაიდან ყოველი ჩვენგანი მხოლოდღა მაშინ ტყუვდება, როცა სურს მოტყუვდეს. მაგრამ სიკეთისა და მშვენიერების დიადი მაგალითები უფრო იშვიათად გვხვდება და უფრო ნაკლებადაა ცნობილი; ისინი უნდა ვეძიოთ ჩვენგან მოშორებით. პატივმოყვარეობის გამო მტკიცე ხასიათის ადამიანებს ჩვენი სისუსტის საზომით ვუდგებით და ფუჭი გამონაგონი გვგონია ის საკუთარი ღირსებები, რომელთაც არაფრად ვაგდებთ; სიზარმაცისა და ბედნიერების გამო ვამტკიცებთ, ეს მოჩმახულიაო, ხოლო, უმაქნისი ადამიანის აზრი ასეთია, რასაც ყოველდღიურად ვერ შეხვდები, მას ვერასოდეს ვეღარ გადაეყრებიო. აი სწორედ ეს ცდომილება უნდა აღიკვეთოს, მივაჩვიოთ ჩვენი თავი დიადის შეგრძნებასა და დანახვას, რათა აღვიკვეთოთ ხოლმე გამართულება იმისა, რომ არ ვბაძავთ ამ დიადს. სული მალდდება, გული მგზნებარებს ღვთაებრივ ხატებათა ჭვრეტისას; რამდენადაც უფრო მეტს ფიქრობ მათზე, მით უფრო ესწრაფვი, ემსგავსო მათ, და ყოველივე მდარე და უფერული უკვე შენს უსაშველო ზიზლსა და სიძულვილს იწვევს.

მაშ ნულარ დავიწყებთ წიგნებში დასაბამთა და განაწესთა ძიებას, რომელთაც უმაღ ჩვენს საკუთარ თავში ვპოვებთ. ნურაფრად მივიჩნევთ ფილოსოფოსთა ამ უსარგებლო ლაყაფს ბედნიერებასა და სათნოებაზე, ხოლო ის დრო, რასაც ისინი ჰკარგავენ მათი გზების ამო ძიებისათვის, მოვახმართ იმას, რათა გავხდეთ გულკეთილნი და ბედნიერნი. ვეცადოთ, მივბაძოთ დიად მაგალითებს და კუდში არ მივჩანჩალებდეთ უსარგებლო სისტემებს.

მუდამ ვფიქრობდი, სიკეთე — ეს არის მოქმედებაში ხორცშესხმული მშვენიერება-მეთქი, ისინი მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი და სრულქმნილ ადამიანურ ბუნებაში მათ ერთი და იგივე წყარო ასაზრდოებს-მეთქი. ასეთ აზრის შესაბამისად, გემოვნება უნდა გავიუმჯობესოთ იმავე საშუალებებით, როგორცაა წესიერება, და უკეთეს სათნოების მომხიბლაობა ძალზე ღრმად ზღდება და აღელვებს ადამიანის გულს, მაშინ ისინი თანაბრად გრძნობიარენი უნდა იყვნენ სილამაზის ყველა სხვა სახეობის მიმართ. ჩვენ ვწვრთნით როგორც მხედველობას, ისე გრძნობასაც; ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ზუსტი მხედველობა იგაგეა, რაც ფაქიზი და მახვილი გრძნობა. ასე, მაგალითად, როცა მხატვარი დაინახავს საუცხოო ლანდშაფტს ანდა მშვენიერ სურათს, მას აღტაცებასა გვრის ისეთი საგნები, რასაც ჩვეულებრივი მაყურებელი ყურადღებას არ მიაქცევს. რა ბევრი რამ აღიქვა მარტოოდენ გრძნობით, ამის წარმოდგენა შეუძლებელია! რაოდენ ბუნდოვან ელფერს ვამჩნევთ წამდაუწუმ მხო-

ლოდ და მხოლოდ გემოვნების მითითებათა მორჩილებისას! გემოვნება თავისებური მიკროსკოპია მსჯელობისათვის; მისი მეოხებით შეიძლება შევიცნოთ უკნინესიც კი, და მისი ზეგავლენა იწყება იქ, სადაც წყდება მსჯელობის მოქმედება. რა არის საჭირო გემოვნების დასახვეწად? იმგვარადვე უნდა ვისწავლოთ დანახვა, როგორადაც შეგრძნობა; მშვენიერებაზე მსჯელობა მივანდოთ მახვილ მზერას. ხოლო უკეთეს ვესურს სიკეთედ მივიჩნიოთ იგი — მაშინ ეს გრძნობას მივანებოთ. დიახ, ვადასტურებ კიდევ, ყველა გულს როდი შეუძლია იგრძნოს მღელვარება ჟიულის პირველივე დანახვისას.

აი ამიტომაც, ჩემო მშვენიერო მოწაფევ, ყველა ჩვენი მეცადინეობის დროს დავკმაყოფილდები კარგი გემოვნებით შერჩეულ, საზეო წიგნთა კითხვით. აი ამიტომაც, ჩემი მეთოდი იქნება თვალსაჩინოების მაგალითებით აღჭურვილი და დღეის ამას იქით იმას კი არ გასწავლით, თუ რა არის სათნოება, მხოლოდ სათნო ადამიანთა ზნე-ხასიათს დაგიხატავთ. არც სიტყვაკაზმულად წერის წესებით შეგაწყენთ თავსა და გირჩევთ იკითხოთ მხოლოდ და მხოლოდ კარგი ენით დაწერილი წიგნები.

ნუ გაიოცებთ, ზოგი რამ რომ ამოვიღე იმათგან, რასაც წინათ ვკითხულობდით; უნდა შევამციროთ წიგნთა რაოდენობა, რათა უფრო სარფიანად ვიკითხოთ, — ასეთია ჩემი შეხედულება; დღითი დღე აშკარად ვხედავ — მხოლოდ ის არის თქვენი შესწავლის შესაფერისი, რაც სულსა და გულს ესაღბუნება. ჩვენ ვაუქმებთ ენათა სწავლას და ვინარჩუნებთ მარტო იტალიურს, რადგან მას ფლობთ და გიყვართ. ხელი ავიღოთ დაწყებით ალგებრასა და გეომეტრიაზეც. გამოვეთხოვებოდით ფიზიკასაც, მაგრამ ძალა არ მეყოფა მოგაკლოთ ტერმინები, იმ ფიზიკიდან რომ იძენთ. ჩვენ სამუდამოდ ხელი ვკრათ ახალ ისტორიას, ჩვენი სამშობლოს ისტორიის გარდა, და ისიც იმიტომ, რომ ახლა ჩვენს ქვეყანაში სუფევს თავისუფლება და უბრალოება. რომ აქ, ჩვენს ხანაში, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ძველი დროების მკვიდრთა მსგავსად გამსჭვალულნი არიან სათნოებით. მხოლოდ ნუ დაუჯერებთ მათ, ვინც ამტკიცებს, თითქოს ყოველი ადამიანისათვის ყველაზე წარმტაცი მისი სამშობლოს ისტორია არისო. ეს სიცრუეა. არსებობენ ისეთი ქვეყნები, რომელთა ისტორიის წაკითხვა საერთოდ არ შეიძლება, თუკი, რასაკვირველია, კაცი ყეყეჩი და დიპლომატი არა ხარ. ყველაზე წარმტაცი და მიმზიდველი ის ისტორიაა, სადაც იპოვი კეთილ ზნე-ჩვეულებათა, ნაირფეროვან ზნე-ხასიათთა უფრო და უფრო მეტ თვალსაჩინო მაგალითს, — ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც ჭკუის სასწავლებელიცაა. მავანი და მავანი ასე გეტყვით, თითქოს ჩვენ არაფრით ჩამოუვარდებით ძველებს. ეს ტყუილია. მაშ გადაშალეთ ახალი ისტორია და, ვინაც ასე ლაპარაკობს, ხმას ჩაიწყვეტს. ჩვენს დროში ხალხები უპიროვნონი და უსახონი არიან. მათ არ სჭირდებათ ფერმწერები, ჩვენს დროში მმართველები უნებისყოფონი არიან, მათ არ სჭირდებათ ისტორიკოსები: საკმაოა იცოდეთ, თუ რა ადგილი და თანამდებობა უჭირავს ადამიანს, და წინასწარ განჭვრეტთ, რასაც ჩაიდენს იგი. გეტყვიან, თითქოს ჩვენ არ გვყავდეს კარგი ისტორიკოსები, მაგრამ ჰკითხეთ — ეს რატომო? ყოველივე ეს სიცრუეა. მოგვეცით საგანი კარგი ისტორიისათვის, და საუცხოო ისტორიკოსები გამოინახებიან. თქვენ, დაბოლოს, გეტყვიან, თითქოს ადამიანები ყოველ დროში ერთნაირები იყვნენ, ყველას ერთი და იგივე პატიოსნება და ერთი და იგივე ბიწიერება ჰქონდათო, ხოლო გარდასულ დროთა ადამიანებით იხიბლებიან,

რადგან ისინი ძველები არიანო. ესეც მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან ძველად მცირე რამ სახსრებით დიად საქმეებს აკვარახჭინებდნენ, ახლა კი პირიქით იქცვიან. ძველ დროთა დამიანები თავიანთ მეისტორიეთა თანამედროვენი იყვნენ და, მიუხედავად ამისა, მიგვაჩვიეს ალტაცებულნი ვიყოთ მათი საგმირო საქმეებით. უდავოა, რომ თუ ჩვენი შთამომავლობა ალტაცებული იქნება ჩვენი ისტორიკოსებით, ეს ჩვენგან როდი იქნება ნასწავლი. თქვენი განუყრელი დობილის გულის მოსაგებად დავტოვე ზოგი რამ თავშესაქცევარი წიგნაკი, — თქვენთვის მათ ვერ დავტოვებდი. პეტრარკას, ტასოს, მეტასტაზიოსა და დიდი ფრანგი დრამატურგების ქმნილებათა გარდა ჩემს გეგმაში არ მოიპოვება ლექსები. არ არის სამიჯნურო წიგნიც, როგორსაც ჩვეულებრივად აძლევენ წასაკითხად თქვენი სქესის წარმომადგენლებს. მერედა რას ვგებულობთ სიყვარულზე ამ წიგნაკებიდან? ეჰ, ქიული, ჩვენი გული უფრო მეტს ვვამცნობს, — მაღალფარდოვანი წიგნობრული ენა ცივია მიჯნურისათვის. ეგეც არ იყოს, ასეთი საკითხავი ამაოდ აღაგზნებს სულს, ააზიზებს მას და უკარგავს სიმტკიცეს. ხოლო ჭეშმარიტი სიყვარული, პირიქით — ყოვლისდამბუგველი ცეცხლია, რომელიც ააგიზგიზებს გრძნობებს და ახალ ძალ-ღონეს შთაბერავს მათ. აი ამიტომაც ამბობენ, სიყვარული გმირებს ქმნიდაო. ბედნიერია ის, ვისაც ბედმა არგუნა გახდეს გმირი და ვისი სატრფოც ქიული იქნება!

XIII წერილი

ქიულისაგან

ხომ გეუბნებოდით, ბედნიერები ვიყავით-მეთქი; და ამის უკეთესი საბუთია სევდა, რომელმაც შემიპყრო მცირე ხნის განშორებისას. უფრო მძიმე უბედურება რომ შეგხვედროდა, ნუთუ აგრე დავიტანჯებოდით ორი დღის განშორებით? ვამბობ, ჩვენ-მეთქი, რამეთუ ვიცი, ჩემი მეგობარიც ჩემთან ერთად რომ იზიარებს მოუთმენელ მოლოდინს; დიახ, იზიარებს, ამას ვგრძნობ, და ისიც გრძნობს: მისთვის რა ბედენაა ამის ლაპარაკი.

ჩვენ სოფელში ვიმყოფებოდით გუშინ საღამოს აქეთ, და ჯერხნობით არ დამდგარა ჩვენი ჩვეულებრივი შეხვედრის ჟამი. თუმცა თვით ადგილის შეცვლის გამო ჩვენი განშორება კიდევ უფრო აუტანლად მეჩვენება. თქვენ რომ ჩემთვის გეომეტრია არ აგეკრძალათ, ვიტყოდი, ჩემი სევდა-ნალველი პირდაპირ პროპორციულია ჩვენი გამთიშავი დროისა და ჩვენ შორის მდებარე მანძილისა-მეთქი; ვინაიდან, ვფიქრობ, რამდენადაც შორსა ვართ ერთიერთმანეთისაგან, მით უფრო მწარეა განშორება.

აქ ჩამოვიტანე თქვენი წერილი — გეგმიანად მეცადინეობისა — და გადავწყვიტე ჩავუკვირდე ერთსაც და მეორესაც, თან უკვე ორჯერ გადავიკითხე წერილი. უკანასკნელი ფრაზა უზომოდ ელხინება გულს. ვხედავ, ჩემო მეგობარო, რომ ჩვენი სიყვარული ჭეშმარიტი სიყვარულია, რადგან მან ვერ ჩამოგაცილა კეთილშობილურ საქმიანობას და თქვენს მგრძნობიარე გულს ჯერ ისევ შესწევს უნარი გაიღოს მსხვერპლი სათნოების გამო. მართლაც, განანათლო ქალი და ამავე დროს გასურდეს მისი გარყვნა, — უსაძაგლესი ცდუნებაა, ხოლო ვისაც რომანებით უნდა აქ ქალის გულის მონადირება, მას, ჩანს, არ შეუძ-

ლია საკუთარი ძალღონით ეწიოს საწადელს. უკეთუ თვისდა სასარგებლოდ შეგძლებოდათ ფილოსოფიის ახსნა-განმარტება, ან გესინჯათ თქვენთვის ხელსაყრელ პრინციპთა შთაგონება და გესურვათ ჩემი მოყივნება, წამსვე მივიწვევდებოდით ყოველივეს: მაგრამ ამას არ სჩადიხართ, ეს კი ყველაზე მეტად სახიფათოა და მაცდუნებელი. როგორც კი ჩემმა გულმა მოიწადინა მიჯნურობის ნექტარის შესმა და ვიგრძენი ლტოლვა სამარადჟამო სიყვარულისადმი, ვემუდარებოდი ზენას, შემაერთე არა უბრალო საყვარელ ადამიანებთან, არამედ მშვენიერი სულის მქონე ადამიანებთან-მეთქი, რადგან კარგად ვუწყი, ადამიანისათვის მომადლებული ყველა სიკეთისაგან მხოლოდ ეს გვიბრუნებს დაკარგულ რწმენას და პირდაპირობა და კეთილშობილება ამკობენ თანშეწყობილ ყველა გრძნობას. კეთილ სურვილთა ჯილდოდ, სოლომონ მეფის დარად, მომებოძა არა მარტო ის, რასაც ვითხოვდი, არამედ ისიც, რაც არ მითხოვნია. ეს კარგ ნიშნად მიმაჩნია ყველა ჩემი სასურველი გულის წადილისათვის და არ ვკარგავ იმედს, ჩემო მეგობარო, რომ ერთ დღეს გაგაბედნიერებ კიდევც, როგორც ეს შეგეფერებათ. ეს გზა გრძელია, ძალზე ძნელიც, უსწორმასწორო, დაბრკოლებაც უამრავია. ვერ გავბედავ მარჩიელობას, მაგრამ გჯეროდეთ: ყველაფერს მოიპოვებ, რის მოპოვებაც ძალუძს სიყვარულსა და მოთმინებას. თქვენ კი, უწინდებურად, ეცადეთ მოიგოთ დედაჩემის გული: ხოლო როცა მამაჩემი დაბრუნდება, ოცდაათწლიანი სამსახურის შემდეგ — დაბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა გადადგომა, — თქვენ უნდა აიტანოთ ძველი აზნაურის, ცოტა არ იყოს უკმეხი, მაგრამ კეთილშობილი კაცის ქედმაღლობა, — ის შეგიყვარებთ თქვენ ისე, რომ არ გამოამყდავენებს ალერსის სურვილს. პატივსა გცემთ, მაგრამ ამაზე ლაპარაკით ყურებს არ გამოგიჭედავთ.

შევწყვიტე წერილის წერა — მომესურვა ხეტიალი ჩვენი სახლის ახლოს მდებარე წარაფში. ოი, სასურველო მეგობარო! შენც თან წაგიტანდი — უკეთ, წავიღებდი გულით შენს ხატებას; ვარჩევდი ადგილებს, ორივენი რომ ვესტუმრებით. დავიგულელებდი ჩვენს შემფარველ კუთხეთ; ჩვენი გული წინასწარ აღივსებოდა აღტაცებით განმარტოების მომხიბვლელ თავშესაფარში, სადაც გაცილებით მალალობელი იქნებოდა ჩვენი შეხვედრის სიხარული; ხოლო ისინი, თავის მხრით, თანისთან წარმტაცი გახდებოდნენ, რადგან თავშესაფარს მისცემდნენ ჭეშმარიტად მოყვარულ გულებს და მე გაოცებული დავშთებოდი იმის გამო, თუ ამდენ ხანს რად ვერ ვაჩინევიდი იმ სილამაზეს, შენთან ერთად იქ შეფარებულმა რომ განვიცადე!

ამ საუცხოო მიდამოთ შორის მიმოფანტულ ბუნებრივ წარაფთაგან არის ერთი ყველაზე უცხო, სადაც უფროისად ელხინების სულს. და აი რა მოვიფიქრე: იქ ჩემს მეგობარს პატურპრიზი მოეღის. და ნუ დაიჟინებს იგი, მუდამ-ჟამს მოკრძალებული ვარო. მე კი არასოდეს გახლავარ სულგრძელი. დაე მან აქაც იგრძნოს, უხამს ცრურწმენათა მიუხედავად, რამდენად უფრო ძვირფასია გულით ნაბოძები საჩუქარი, ვიდრე იძულებით მოპოებული ნადავლი. თუმცა ვშიშობ არ გავანებივროთ თქვენი ნამეტნავად მგზნებარე ნდობა-სურვილი და გაფრთხილებთ, წარაფში „ჩემს განუყრელთან“ ერთად წავალთ.

დასტურ, აი რა გადავწყვიტეთ მე და იმან: თუ ძლიერ არ გეძნელება, გვინახულეთ ორშაბათს, დედაჩემი ეტლს გაუგზავნის დაიკოს; იყავით მასთან ათ საათზე; ის თან წამოგიყვანთ, მთელ დღეს ჩვენთან დაჰყავით და ყველანი ერთად დავბრუნდებით სამშაბათს, ნასადილევს.

დავწერე ეს სტრიქონები და ფიქრებმა წამიღო: როგორ გადმოგცეთ წერილი? აქ ეს ასე ადვილი როდია, როგორც ქალაქში. ჯერ ვიფიქრე, მეზალის შვილის — გუსტეხის ხელით ერთ-ერთ თქვენს წიგნს გავუგზავნი-მეთქი, წიგნში ბარათს ჩავდებდი და ყველაფერს ქალაქში შევფუთნიდი. ოღონდ, ძნელად თუ მიხვდებით და ძებნას არ დაიწყებთ, თანაც შიშტევებელი გაუფრთხილებლობა იქნებოდა საეგებიოდ გაგვეწირა მთელი ჩვენი ცხოვრების სვებედი. ამიტომ ორშაბათს შეხვედრისათვის ბარათის გამოგზავნას დავჯერდები, ხოლო წერილს დავიტოვებ და პირადად გადმოგცემთ. მასთან საზრუნავიც შემომცირდება: აღარ ვიდარდებ, ნეტავი რა გაიფიქრეთ წარაფში საიდუმლო სიურპრიზის გამო-მეთქი.

XIV წერილი

ქიულისადგი

ეს რა ქენ, ოი, აბა ეს რა ჩაიღინე. ჩემო ქიული! გინდოდა ჩემი წყალობით ავსება და ამის ნაცვლად — დამლუპე, ხომ! თავს რეტი მესხმის. უფრო სწორად, გონი დავკარგე. სული ამიფორიაქდა. ჭკუა დამეზნა და ყველაფერი შენი დამლუპველი ამბორის ბრაღია. და ამით გინებდა ჩემი ბოღმა-ნაღველის გაქარვება? ოი, შე უწყალო! ჩემი ტანჯვა-წამება კვლავ უფროისად გააარჯლე. ბაგეთა შენთაგან შევსვი სამსალა; იგი ბორგვნილსა მხდის, სისხლს მიჩქროლებს და სიბრაღული შენ სიკვდილს მიახლოებს.

ოი, წარუშლელი მოგონებავ იმ იგავმიუწვდომელი თავდავიწყებისა და აღტაცების ერთი წამისა! დიახ, აროდეს გაქრები სულისაგან ჩემისა, და, ვიდრე აქ აღბეჭდილია ქიულის მომაჯადოებელი ხატება, საწამ ბორგვნილი გული ძრწის და იტანჯვის, შენ იქნები ჭმუნვა და სიხარული ჩემი ცხოვრებისა.

ვაგლახმე! როგორ ვხარობდი ბედითი უშფოთველობით; ვემონებოდი შენს უზეშთაეს ნება-სურვილს. არ დამცდენია ბედის სამღურავი, რომლის მართვაც სულგრძელად იკისრე. მე დავიოკე თავხედური წარმოსახვის მგზნებარე კვეთებანი; აღვიხვენ თვალთა ჩემთა ნათელი და გულსაც ხუნდები დავადე; მივეჩვიე ჩემი მღელვარე ენამჭევრობის დაოკებას, რაზომც ძალმედვა გულშეჯერებით ვიყავი შთენილი. და აი ვღებულობ შენს უსტარს, მივექანები შენს მამიდაშვილთან; ჩვენ ჩამოვდივართ კლარანში. გხედავ შენ და გული ჩემი სიხარულით თრთის და ტოკავს; მესმის ხმათა შენთა უნაზესი ჟღერა და გული უფრო ძალუმად მიცემს; მოჯადოებულებით გიახლოვდები; და შენი მამიდაშვილი რომ არ მომშველებოდა, დედაშენი შეამჩნევდა ჩემს მღელვარებას. სამივენი დავსეირნობთ ბაღში, მშვიდად შევექცევით სადილს; შენ მალულად მაწვდი წერილს. მაგრამ ვერ ვხედავ საშიში მოწმის თვალწინ მის წაკითხვას; მზე დასალიერს უკვე ეშვება. მივეშურებით წარაფში, გვსურს იქ დავემალოთ მზის უკანასკნელ სხივებს. — და ჩემი გულმამიტი უფშოთველობით არ ძალმიძს წარმოვიდგინო ესოდენ სანეტარო ვითარების უტკბესი ამბავი.

ჯერ ისევ ტყის პარას ვიდექით, როცა აშკარა მღელვარებით დავინახე, რომ შენ და შენი მამიდაშვილი ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდით, იღიმებოდით, და ანაზდად დაწვნი ვარდისებრ მიმოგეფურცლა. შევედით წარაფში. და,

ჩემდა გასაოცრად, შენი დაიკო მომიახლოვდა და ხუმრობის კილოთი მთხოვა, მაკოცეო. სავსებით გაოგნებულმა ვეამბორე შენს უკეკლუცეს მამიდაშვილს. ოღონდ, რაც უნდა ლამაზი და მომხიბლავი იყოს იგი, მაინც გულისხმაგყავ მაშინ, სიყვარულის გრძნობას გული განკარგავს-მეთქი. მაგრამ რა დამემართა წამის უმალ, როცა ვიგრძენი... კალამი მიართის ხელში... ო, სანეტარო კრთოლვავ გულისა; ვარდის ფურცელთა დარი შენი ბაგენი... ჟიულის ბაგენი შეეხნენ და დაეკონენ ჩემთა ბაგეთ. შენ მომეკარი და მაგრად ჩამეხუტე! არა, ელვა არ გაიციალებს ისე ანაზდეულად და იმგვარი სიკაშკაშით, როგორც ის ცეცხლი, მეყვსეულად რომ შემომეგზო! მთელი არსებით ვიგრძენი შენი მომჯადოები სიახლოვე. აღმოდებულ ბაგეთაგან აღმოგვხდებოდა გულის გასაგმირალი ოხვრანი და ჩემი გული ითანგებოდა უსაზომო ნეტარებისაგან, როცა უეცრად დავინახე, ფერი მიგეხადა, დაგეშრიტა მწყაზარ თვალთა ნათელი და, შენო დაიკოს მხარს მიყრდნობილი, დაბნედას მიეწურე. შენს გამო შიშით შეპყრობილს მომეშთო განცხრომით აღვსილი სული, და იმედი გაქრა, ვით ელვათა კრთომა.

ვერ გამაგია, რა მემართება იმ საბედისწერო დღის შემდეგ. შთაბეჭდილება ღრმად დაეუფლა ჩემს ხსოვნას, და აროდეს წარიხოცება. განა ესაა მოწყალება?! არა, ეს არის უსაშველო ტანჯვა-წამება! მაშ ალარ მეამბორო ამიერიდან... ვერ გავუძლებ ამას... შენი ზმბორი ისე მიკოდავს გულს, შემსჭვალავს მას, ძვალ-რბილში იჭრება, იქ ყველაფერს ჰბუგავს და მაგიჟებს. შენმა ერთადერთმა კოცნამ გონება ამიმღვრია და განკურნებას ვერ ველირსები. ამჟამად უკვე ის ალარა ვარ, რაც წინათ ვიყავ და შენც სხვა ვინმე გახდი ჩემთვის. დიახ. ჩემთვის უკვე წინანდელი ჟიული როდი ხარ. ზვიადი და მკაცრი — ახლა წამდაუწუმ ჩემს მკერდთან გგრძნობ შენს თავს, განვიცდი შენს ჩახუტებას. მხოლოდ ერთ წამს რომ გაგრძელდა. ჟიული, რა სვებედსაც უნდა მიქადდეს ვნება, რის დაძლევაც ალარ ძალმიძს, რაოდენ მკაცრადაც უნდა მომექცე — უკვე ალარ შემიძლია ასე ცხოვრება და ვიცი, დადგება ჟამი, და სულს დავლევ შენს ფერხთით... ანდა შენთან ჩაკონებული...

XV წერილი

ჟიულისაგან

ჩემო მოყვარეო, დროებით უნდა განვშორდეთ ერთმანეთს, — ესეც თქვენი პირველი განსაცდელი; აბა ერთი ვნახოთ, იქნებით თუ არა ისე მორჩილი, როგორც აღმითქვით. დამიჯერეთ, რაკი მოვითხოვ ამას სწორედ ახლავე, მაშასადამე, მაქვს საფუძვლიანი საბუთი; მართლაც, ასეა საჭირო და თქვენც მშვენივრად იცით, საგანგებო მიზეზთა უმისოდ ამას არ გადავწყვეტი. თქვენთვის კი საკმაო მიზეზი უნდა იყოს ჩემი ნება-სურვილის გამომჟღავნება.

უკვე დიდი ხანია აპირებდით მოგზაურობას ვალეს მთებში. ჰოდა, მეც მსურს, დაუყოვნებლივ გაუდგეთ გზას აცივებამდე. აქ ჯერ ისევ შემოდგომის დარიანი დღეები დგას. მაგრამ, ერთი ნახეთ, დანდე — ჟამანის¹ მწვერვალი

¹ მაღალი მთა ვოს კანტონში..

უკვე თვითად შეიძლება. ხოლო თვენახევრის შემდეგ ნებას არ მოგცემთ, იმოგზაუროთ ასეთ მკაცრ მხარეში. ეცადეთ ხვალვე გაემგზავროთ; აუცილებლად მომწერთ წერილებს — ჩემ მისამართს თან ვურთავ. ხოლო თქვენ მე გამომიგზავნეთ, როცა სიონში აღმოჩნდებით. არასოდეს იშურებდით ვემცნოთ ჩემთვის თქვენი ამბავი. მაგრამ ახლა შორსა ხართ მშობლიური მხარიდან, თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ აქაც არ მოგეპოვებათ დიდი ავლა-დიდება; დიდი ხარჯი მოგდით აქ ყოფნითაც, სადაც ჩემი გულისთვის იმყოფებით. ამრიგად, ვფიქრობ, რაც ჩემს ქისაში ფული ძევს, თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ მისი ნაწილი. ამიტომ მის ანგარიშში გიგზავნით ცოტაოდენ ფულს; ოღონდ ნუ გაალებთ იმ ქისის კოლოფს შიკრიკის წინ. არა მგონია, უარი თქვათ: ესოდენ პატივსაცემთ, რომ არა მჯერა, თუ შეძლებთ ასეთი საქციელის ჩადენას.

გიკრძალავთ არამც თუ ჩემი ბრძანების გარეშე დაბრუნებას, არამედ გამომშვიდობებისათვის მოსვლასაც კი. მოსწერეთ წერილი დედაჩემს ანდა მე: საერთოდ გვამცნეთ, მოულოდნელი საქმის გამო უეცრად გამგზავრება რომ მოგიხდეთ. თანაც, გეთაყვა, მიმითითეთ, რა და რა წიგნები უნდა წავიკითხო თქვენს ჩამოსვლამდე. ეს უნდა ვთქვათ უბრალოდ და დაუფარავად. მშვიდობით, ჩემო მეგობარო; ნუ დაივიწყებთ, რომ თანვე მოგყვება: ქიულის გული და მოსვენება.

XV წერილი

პასუხი

გადავიკითხე თქვენი საშინელი უსტარი, და ყოველი ბწკარი თავზარსა მცემს. და ფარ-ხმალს ვყრი; დანაპირი უნდა აღსრულდეს, გემორჩილები, ოღონდ თქვენ არ იცით, უწყალო, ვერასოდეს ვერ გაიგებთ, რად უღირს ჩემ გულს ასეთი მსხვერპლი. ეჰ, აბა რად გინდოდათ წარათში გამოცდის მოწყობა, უიმისოდაც მსხვერპლი შემზარავი იქნებოდა; უკვე თქვენს მიერ დავიწყებული გაფაქიზებული გულქვაობა ველარ გააარჯლებდა ჩემს უბედობას.

ხელუხლებლად გიბრუნებთ კოლოფს. გულქვაობას კიდევ დამცირებასაც რომ დაუმატებენ — ეს უკვე მეტისმეტია! მე შემოგთავაზებთ განაგოთ ჩემი სვე-ბედი. მაგრამ არამცდაარამც ჩემი სახელი და ღირსება! ესაა უწმინდესი საუნჯე (ვაი, ერთადერთი, რომელიც მშთენია), და ჩემი სიცოცხლის აღსრულებამდე მას ვერავის დავუთმობ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რედაქტორი და თარგმანი

უარმანდელი წლის მიწურულს საქართველოს სსრ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ მოაწყო ფართო დისკუსია, რომლის თემა იყო „რედაქტორი და თარგმანი“. დისკუსიაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის მწერლები და მთარგმნელები, გამომცემლობებისა და რედაქციების მუშაკები, რედაქტორები.

ეურნალის რედაქცია მკითხველებს სთავაზობს ამ დისკუსიის მიმდინარეობის შემოკლებულ ჩანაწერს; ვიმედოვნებთ, რომ იგი საგულისხმო იქნება ყველასთვის, ვისაც კი აინტერესებს თარგმანისა და რედაქტირების როგორც ზოგადი პრობლემები, ისე ქართულ მთარგმნელობითს ლიტერატურასთან, ჩვენს საგამომცემლო პრაქტიკასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები.

კოლეგიის „მრგვალი მაგიდის“ გარშემო გამართული საუბარი-კამათი ძირითადად შემდეგი საკითხების განხილვას მიეძღვნა:

1. როგორ გესმით თარგმნითი ლიტერატურის რედაქტირების სპეციფიკა?
 - ა) აუცილებელია თუ არა რედაქტორისათვის ორიგინალის ენის ცოდნა?
 - ბ) უნდა იცნობდეს თუ არა რედაქტორი სათარგმნელი ავტორის ეპოქას, მისი ქვეყნის ლიტერატურის ძირითად თავისებურებას და ტენდენციებს?
2. როგორ უნდა წარიმართოს რედაქტირება?
 - ა) რედაქტორმა მთარგმნელს მხოლოდ მიუთითოს თუ თვითონ ჩაასწოროს შეცდომები?
 - ბ) უნდა გაითვალისწინოს თუ არა რედაქტორმა მთარგმნელის სტილისტური პოზიციები და თავისებურებები (მაგალითად, აქვს თუ არა უფლება მთარგმნელს ორიგინალის ტოლძალი ეფექტი შექმნას სხვა საშუალებებით, მაგრამ ზოგჯერ ტექსტს გადაუხვიოს და ა. შ.)?
3. რას ითვალისწინებს სარედაქციო სწორების კრიტერიუმი:
 - ა) როგორია სარედაქციო სწორების ფარგლები?
 - ბ) შესაძლებელია თუ არა სარედაქციო სწორებით თარგმანის დონის ამაღლება?
4. საჭიროა თუ არა გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირება?
5. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ამა თუ იმ გამომცემლობისა თუ რედაქციისათვის ნიშნული სტილის ერთგვარი უგულებელყოფის ტენდენცია?
6. როგორ გესმით ცნება „კარგი რედაქტორი?“



მთარ ნოღია (მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე): მხატვრული თარგმანის რედაქტირების საკითხები მეტად აქტუალური და საინტერესოა, ზოგჯერ მტკივნეულიც კი. ეს კამათს არ იწვევს, მხატვრული თარგმანის საქმეში ბევრი კვალიფიცირებული მთარგმნელი და ლიტერატორი, ბევრი მწერალია ჩაბმული. ისინი დიდ შრომას ეწევიან ლიტერატურის ამ სფეროში. ცხადია, თარგმანი არის ნამდვილად დიდი შემოქმედებაც. მხატვრული თარგმანისათვის, ისევე როგორც ორიგინალური მხატვრული ლიტერატურისათვის, რედაქტირება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია; და შესაძლებელიცაა, განსაკუთრებით ჩვენს პირობებში, აქედან დავიწყოთ ლაპარაკი ლიტერატორის ხარისხზე, მის წინსვლა-განვითარებაზე.

ახლა კონკრეტულად შევეხებით ამ საკითხებს. მაგრამ ჩვენს მიზანს არ შეადგენს საკითხების იმგვარი დეტალიზაცია, რომ ჩვენი დისკუსია ცალკეული კუროვნების დემონსტრაციად გადავაქციოთ. ჩვენ გვინდა პოზიტიური, საქმიანი ლაპარაკი. მით უმეტეს, რომ კუროვნების და ცუდი თარგმანების დასახელება საქმეს ვერ უშველის; ეს ლიტერატურის გარეთ მდგარი საკითხებია. თანაც კუროვნი ისეთი რამაა, რომ ყველას შეიძლება დაემართოს ან აღმოაჩინდეს. ამიტომაც გვსურს ჩვენ პოზიტიური ლაპარაკი, გარკვევა იმისა, თუ რა მდგომარეობაა ჩვენში ამ მხრივ. ამ საუბრის მიღმა თავისთავად უნდა იგრძნობოდეს პრაქტიკა, თავისთავად ეს განსჯა დაემყარება იმ პრობლემებს, რომლებიც დგას ჩვენს წინაშე მხატვრული თარგმანის რედაქტირების საქმეში. პრობლემა კი ბევრია. რამდენადაა შესაძლებელი რედაქტორული სწორებით ამდღდეს თარგმანის ლიტერატურული დონე, დაიხვეწოს და გამდიდრდეს ენობრივი ქსოვილი, როგორია რედაქტორის მუშაობის ხასიათი მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით? აი ის ძირითადი საკვანძო საკითხები, რომელთა ირგვლივაც უნდა გაიშალოს ჩვენი მსჯელობა.

თამაზ ჩხენკელი (საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის თავმჯდომარე): ამ კითხვარის ძირითადი აზრი ის არის, რომ ცხადყოფს:

1. რას ნიშნავს კარგი რედაქტორი (სავალ-

- დებულოა თუ არა მისთვის ენის ცოდნა და სხვ.);
- 2. როგორ უნდა წარმოებოდეს რედაქტირება (როგორია რედაქტორის უფლებათა საზღვრები);
- 3. როგორი უნდა იყოს მთარგმნელისა და რედაქტორის ურთიერთობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვიკითხოთ — ვინ არის რედაქტორი? თუ რეალურნი ვიქნებით, პასუხი ასეთი იქნება: რედაქტორია ის კაცი, ვინც არასრულყოფილ ან ნაკლებად ლიტერატურულ ნაშრომს შეძლებისდაგვარად აკონტროლებს, სრულყოფს და ხვეწს. როცა ეს ნაშრომი ზედმეტად ნაკლებადანია, რედაქტორი იძულებული ხდება კანტორული მუშაობა გასწიოს იმისათვის, რომ იგი ლიტერატურულ მასალას დაამსგავსოს. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქმის რედაქტორი მართო ასეონაირი (ე. ი. მდარე) მასალის გაუმჯობესებისათვის იყოს მოწოდებული. განათლებული, გარკვეული გემოვნების მქონე რედაქტორის უპრეტენზიო რჩევას, დაკვირვებულ შენიშვნასა და შეხედულებას ყოველთვის გულად იღებს გონიერი ავტორი.

არც ერთმა რედაქტორმა (და მთარგმნელმაც) არ შეიძლება იცოდეს უცხო ენა და ლიტერატურა უკეთ, ვინემ საკუთარი. მშობლიური ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნაა სწორედ გარანტია იმისა, რომ მან ასევე მაინც იცის რომელიმე სხვა ლიტერატურა. უცხო ენის ცოდნის ხარისხს მშობლიური ენის დაუფლების სავსება გამოავლენს მხოლოდ. ენის ცოდნა კი ამ შემთხვევაში ნიშნავს ლიტერატურის შინაგანი არსისა და წყობის, მისი იეროგლიფური ენის გაგებასა და გაცნობიერებას. მაშასადამე, რედაქტორი უნდა იცნობდეს სათარგმნელი ავტორის „ეპოქასაც, მისი ქვეყნის ლიტერატურის ძირითად თვისებებს და ტენდენციებსაც“.

მაგრამ შეუძლებელია რედაქტორმა ყველაფერი იცოდეს. იგი დასპეციალებული უნდა იყოს ლიტერატურის რომელიმე დარგში, ან რომელიმე კერძო პუნქტში. მაშინ მის სიტყვას მეტი წონა და ფასი ექნება. მე ვფიქრობ, რედაქტორს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი გემოვნება და თვალთახედვა. მაგრამ იგი ვალდებულია შეისწავლოს სარედაქციო მასალა.

ამას წინათ კოლეგიაში წავიკითხე თინა კოპლატაძის ჯერ გამოუქვეყნებელი სტატიადოსტოევსკის ქართულად თარგმნილ რომანზე. სტატიაში თვალნათლივ არის ნაჩვენები, თუ რა კოლოსალური სიძნელების გადალახვა უხდება მთარგმნელს. რედაქტორმა უნდა შეისწავლოს, გაიძინაგნოს და იდეალურ შემთხვევაში, გააღრმავოს მთარგმნელის მიერ ტექსტის დასაძლევად გამომუშავებული მუშაობის გეზი.

რაღა თქმა უნდა, რედაქტორმა თავს უფლება არ უნდა მისცეს თვითნებურად, ავტორის დაუკითხავად ასწოროს ესა თუ ის ნაშრომი. ეს ამკარა უტაქტობა იქნება. სასურველია, ავტორმა და რედაქტორმა წინასწარი მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ ეგრეთწოდებული „საბაექრო საკითხები“, რომლებიც უპირატესად ორთოგრაფიას, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას შეეხება.

განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოეპყროს რედაქტორი ლექსურ თარგმანებს, რაკი მათში „გადახვევათა ხარისხი“ გაცილებით დიდია, ვიდრე პროზაში. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თარგმნა ახლად ქმნა და არა ასლის აღება. თარგმნილი ლექსი, როგორც არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, იგივე „მეორე დედანია“.

არის კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხი: საჭიროა თუ არა გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირება? მე ვფიქრობ, საჭიროა. მაგალითად, „დონ კიხოტის“ მშვენიერ ქართულ თარგმანში გვხვდება სიტყვა „დესეტინა“; რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ამის შეცვლა? რედაქტირება სწორედ ცალკეულ სიტყვებსა და შეცდომებს უნდა შეეხოს. მცირე შეცდომების ჩასწორება დასაშვებია უნდა იყოს. რაც შეეხება კითხვას: რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ამა თუ იმ გამომცემლობისა და რედაქციისათვის ნიშნეული სტილის ერთგვარი უგულბეღელოფის ტენდენცია? — შემოქმედი მთარგმნელისათვის რაიმე ჩამოყალიბებული, „ნიშნეული სტილის“ თავზე მოხვევა დაუშვებელია. საქმე ისაა, რომ უღრმესი პიროვნულობით აღბეჭდილის (და ასეთია პოეტური სიტყვა) უპიროვნო ქმნადობა წარმოუდგენელია. «Сквозь образ переводимого поэта, как косточка сквозь винограднику проступает образ самого переводчика» (ლ. ოზეროვი). აი, სწორედ ეს „სახეა“ მთარგმნელის სტილი. არსებობს არა მარტო სტილი მთარგმნელისა, არამედ მსოფლმხედველობაც. მეტიც:

არსებობს „ორიგინალური“ მთარგმნელი. გოგოლს ჟუკოვსკის მიძარტ (მისი გერმანული თარგმანების გამო) ნათქვამი აქვს: «Этот поэт—Жуковский наша замечательнейшая оригинальность!» და ეს არის უმთავრესი პირობა მთარგმნელის პოეტური უშუამავლობისა. უკეთეს ლექსს არაფერი სცხია მთარგმნელის პიროვნულობისა, ის შთაგონებისაგან დაცლილი სიტყვების ფიტულს დაემსგავსება.

თინა კოპლატაძე: ამ საუბრის მოწყობა ძალიან დროული და აქტუალურია. აქტუალურია ის საკითხებიც, რომლებიც კოლეგიამ შემოგვთავაზა. განსაკუთრებით ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა საკითხმა, — ბატონმა თამაზმაც შეაჩერა მასზე ყურადღება.

კითხვარში ვკითხულობთ: „რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ამა თუ იმ გამომცემლობისა თუ რედაქციისათვის ნიშნეული სტილის ერთგვარი უგულბეღელოფის ტენდენცია?“.

ეს კითხვა, ჩემი აზრით, ცოტა ბუნდოვანია. მე ის ასე მესმის: გამომცემლობამ თუ ჟურნალის რედაქციამ თავის მუშაობაში შექმნა „ნიშნეული სტილი“ და ახლა საკითხი დგას, რამდენად შეუძლია მთარგმნელს ამის უარყოფა. გარკვეული, პირადული მიზეზების გამო, მე ასე წავიკითხე და მინდა ჩემ მიერ დასმულ კითხვას თვითონ გავცე პასუხი.

მე მეჩვენება, რომ გამომცემლობას და რედაქციას გარკვეული სტილის შექმნის უფლება არა აქვთ. მათ არ უნდა მოახდინონ მთარგმნელზე ზეგავლენა სტილის რაღაც ზოგადი ნიშნებით. ვთქვათ, რომელიმე რედაქციაში არ მოსწონთ ესა თუ ის კავშირი, წინადადების წყობის გარკვეული მოდელი. არ შეიძლება ამ დაწუნებისათვის კანონის უფლების მიცემა. ასეთი კანონი შორს არ იქნება აკვიატებისა თუ შაბლონისაგან.

ხშირად ქართულ ენას რაღაც ისეთს მიაწერენ, რაც მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამას წინათ ფოლკნერის თარგმანის განხილვისას ერთმა ახალგაზრდა რეცენზენტმა განაცხადა, ქართული ენა ვერ იტანს გრძელ წინადადებასო. ეს მცდარი დებულებაა. მაგრამ ავიღოთ ჩვენი ენის ისეთი დიდი სტილისტური მაღლი, როგორცაა ზმნის მრავალპირიანობა; მრავალპირიანობა შესაძლებელს ხდის, რომ ნაცვალსახელები იშვიათად, ნაკლებად ვიხმაროთ. ილია ჭავჭავაძეს თავის დროზე მაგალითად, მოჰქონდა ნაცვალსახელებით გადატვირთუ-

ლი წინადადება და სრულიად სამართლიანად იწუნებდა მას („ვიშ, ამ სიმრავლეს ნაცვალსახელებისა, რარიგ უხდება ქართულ ენასო“). მაგრამ იგივე ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ წერს: „...როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“. ეს მაგალითი იმის სათქმელად დამჭირდა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევას ცალკე უნდა განხილვა და სარედაქციო სწორების დროს მხოლოდ ზოგად კახონებზე დაყრდნობა არაა გამართლებული.

რაც შეეხება რედაქტორის საკითხს, სამწუხაროა, რომ ჩვენს გამომცემლობა-რედაქციებში არცთუ იშვიათად მუშაკის ღირსების შემოწმება მხოლოდ გარეგნული ნიშნით ხდება. ნამდვილი დისციპლინა, ვფიქრობ, არ ამოიწურება მხოლოდ დაგვიანება — დროზე მოსვლის საკითხით. დაწესებულების ხელმძღვანელებს უხდა აინტერესებდეთ, როგორ იზრდება მათი თანამშრომელი. სანიმუშოა ის თანამშრომელი, რომელიც დღეს უკეთესია, ვიდრე იყო გუშინ, და ხვალ უკეთესი იქნება, ვიდრე დღესაა. ამის შემოწმება რთულია, მაგრამ ესაა განმსაზღვრელი ნამდვილი დისციპლინისა. თავის დროზე ჩვენ, გამომცემლობის მუშაკები, ვოცნებობდით საბიბლიოთეკო დღეზე. ამას ვერ მივადწიეთ. დღეს მუშაობა უფრო გართულდა. მოვიდა მთარგმნელთა ახალი თაობა. მოდის ბევრი ახალი თარგმანი. როგორ შეიძლება რედაქტორს არ მიეცეს საშუალება, მოემზადოს ამა თუ იმ ტექსტის რედაქტირებისათვის? ნუთუ თომას მანის, მაქსიმ გორკის, დოსტოევსკის ნამდვილი რედაქტირებისათვის საჭმარისია დედნისა და თარგმანის სიტყვასიტყვით შედარება?! დოსტოევსკიზე არსებობს უზარმაზარი ლიტერატურა. რედაქტორს უნდა მიეცეს ერთი-ორი კვირა ამ ლიტერატურის გასაცნობად. გარკვეული მომზადების გარეშე მისი სარედაქციო შენიშვნები ვერ იქნება ფასეული. რედაქტორს, რა თქმა უნდა, მოეთხოვება დედნის სოლიდური ცოდნა და არა მხოლოდ შედარება და ხაზგასმა — აქ სწორია, იქ არ არის სწორი.

რამდენიმე სიტყვა რედაქტორისა და მთარგმნელის ურთიერთობაზე. მე ისეთი მთარგმნელიც მინახავს, რომელსაც მოუტანია გამომცემლობაში 30 ფორმა, განცხადება კი ვერ დაუწერია. ასეთი მთარგმნელი თანახმაა ყოველგვარ შესწორებაზე, მის ერთადერთ საფიქრალს თარგმანის დასტამ-

ბვა შეადგენს. მაგრამ თუ საქმე გვაქვს თავმოყვარე მთარგმნელთან, რომელსაც მი-აჩნია, რომ რაღაც ლიტერატურული შრომა გასწია, ყოვლად დაუძვებელია ფერადი ფანქრის ხმარება, განუკითხავი ჩანაცვლებანი, უბოდიშო ცვლილებანი. რედაქტორის ასეთი უტაქტობა იწვევს მთარგმნელის საპასუხო უტაქტობას და ეს დიდად აზიანებს საერთო საქმეს. რატომ არ შეიძლება რედაქტორ-მთარგმნელი შეთანხმდნენ ზოგად პრობლემებზე? რედაქტორმა რჩევა მისცეს მთარგმნელს და, თუკი აუცილებელია, თავისი ვარიანტი შესთავაზოს (და არა თავს მოახვიოს).

მე წავიკითხე ჩეხოვის მოთხრობის თარგმანი, ძალიან კარგი თარგმანია, მშვენივრად იკითხება. მე რომ ვყოფილიყავი რედაქტორი, ალბათ მთარგმნელს შევეკამათებოდი ერთი მოთხრობის სათაურზე: „Дамы с собакой“ თარგმნილია „ქალი და მისი ფინია“. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ის, რაზედაც შეიძლება კამათი, ხომ არაა აქ ხელყოფილი ჩეხოვის სტილი?

გვეკითხებიან, „შესაძლებელია თუ არა სარედაქციო სწორებით თარგმანის დონის ამაღლება?“ როცა თარგმანში ყველაფერი გასასწორებელია, ასეთი თარგმანი საფუძვლიან რეცენზირებას იმსახურებს. მისი გასწორება უფრო ძნელია, ვიდრე თავიდან თარგმნა. საერთოდ, რა საჭიროა ასეთი მდარე თარგმანების გამოსაცემად მომზადება?

„საჭიროა თუ არა გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირება?“ — ჩემი აზრით, ლაფსუსების გასწორება აუცილებელია, მაგრამ აქ სათანადო სიფრთხილე გვმართებს, გარდასულ მთარგმნელთა ნაშრომებში მთარგმნელობითი ოსტატობის გარკვეული დონეა შემონახული. ამას გაფრთხილება უნდა. ბატონი გერონტი ქიქოძე გარკვეული სტილის მთარგმნელი იყო, ცნობილია მისი დამსახურება. ამიტომ, ვფიქრობ, სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ მისი თარგმანების ხელახალი რედაქტირების დროს, თუკი ასეთი რამ საერთოდ საჭიროა.

ნანა ღარჩია (უფროსად „საუნჯის“ პასუხისმგებელი მდივანი): დავიწყებ ბოლო შეკითხვიდან — „როგორი უნდა იყოს კარგი რედაქტორი“.

კარგი რედაქტორობა, ჯერ ერთი, ნიშნავს, რომ ცოტათი მაინც გქონდეს იმის ნიჭი, არ გააფუჭო კარგი თარგმანი. ფანქარი

არ გქონდეს მომარჯვებული, რათა პირველივე წინადადებიდან დაიწყო სწორება, და უხერხულად არ იგრძნო თავი, როცა არაფერს გაასწორებ, თუ არ არის გასასწორებელი, ვაითუ დამწამონ, ცუდი რედაქტორი ყოფილა, არაფერი სცოდნიაო. „კარგი რედაქტორი“, ცხადია, უსათუოდ უნდა იყოს განათლებული, მწიგნობარი, ენების მცოდნე, ალლოიანი და ა. შ. მაგრამ ყველა ამ სიკეთესთან ერთად იგი მოწოდებით უნდა იყოს რედაქტორი.

არ შეიძლება კარგი რედაქტორი ერთბაშად ჩამოყალიბდეს. შეიძლება ერთი თარგმანი არ გამოგვივიდეს, მაგრამ მთავარია, გქონდეს თვისებები, რომ მომავალში შენგან კარგი რედაქტორი დადგება. თუმცა ამ ბუნებრივ ნიჭს განვითარება უნდა. დროთა განმავლობაში მოწოდებით კარგი რედაქტორი შეიძლება გაფუჭდეს და დაკარგოს ღირსებები. ეს მაშინ, თუ რაიმე არ შეიცვლება საგამომცემლო სისტემაში. რედაქტორობა ფეხში სულ ცოტა ათ თაბახს უნდა გაუკეთოს რედაქცია: ვიყოთ გულახდილნი და ვაღიაროთ, რომ ძალზე ბევრია ისეთი დაბალი დონის თარგმანი, ხელახლა რომ უნდა ითარგმნოს, რაც, რასაკვირველია, ამ დათქმულ ვადაში არ მოხერხდება. მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ ეს გახლავთ წყალში გადაყრილი შრომა, ამოაგარჯა. ცუდ თარგმანს ძაიხც ვერ უშველი.

ასეც ხდებოდა ხოლმე, რომ 37-თაბახიანი წიგნი ერთ კვირაში უნდა ჩაშვებულიყო წარმოებაში. ჩვენ ლამის კარგ თარგმანად მიგვაჩნდა ისეთი თარგმანი, სადაც „აქლემის“ მაგივრად „ვირი“ არ ეწერა. გვიდევს რუსული ტექსტი, სხვა ტექსტები, ვადარებთ და ვხედავთ, რომ ხელთა გვქონია დაუმთავრებელი ნამუშევარი — ცუდი თარგმანი. ეს ზოგჯერ პუკარედიც არ არის; ბუნებრივია, რომ ასეც იქნებოდა რადგან თარგმანს იწყებს ქართულისა და რუსულის, თუ სხვა უცხო ენის უცოდინარი ადამიანი — ვისაც საყველბუროდ თუ გამოადგება თავისი ცოდნა. ჩვენ გავიწაფეთ ამ შედარებასა და სწორებაში, სტილისტებად გადავიქცეთ. მომარჯვებული გვაქვს ფანქარი და ვასწორებთ და ვასწორებთ. რედაქტორის სტილისტად გადაქცევას კი მეტად სავალალო შედეგი მოაქვს: ამ მეთოდით ნასწორები სარედაქციო თარგმანები ერთმანეთს წყლის ორი წვეთივით ემსგავსება. ჩემის აზრით, დანაშაულია, როცა ასეთ თარგმანს ასწორებენ რედაქციაში, მაგრამ თითქოს რაღაცნაირი ჯადოსნური წრეა

შეკრული. ამ მთარგმნელს უკვე მოუსწრია ტომების გამოცემა, მწერალთა კავშირის წევრიც გამხდარა; უკვე იმდენად არის დარწმუნებული, რომ კარგი მთარგმნელია, ველარაფრით გადაარწმუნებ.

მე მგონი, ჩვენ უნდა დავიწყოთ იმით, რომ მოვითხოვთ კარგი თარგმანი, მოწოდებით მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი! აი ეს არის თავიდათავი. ბოლოს და ბოლოს ამ კაოგ თარგმანს ცუდი რედაქტორიც ვერას დააკლებს. როცა რედაქტორი მუშაობს კვალიფიციურ თარგმანზე, თვითონაც სწავლობს, თვითონაც იზრდება, გემოვნება ეხვეწება, ინტუიცია უვითარდება. სწორედ ასეთ თარგმანებზე მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდება ე. წ. „კარგი რედაქტორი“ და დისკვალიფიკაციის საფრთხეც გაქრება.

მთარგმნელმა უნდა იცოდეს ორივე ენა შესანიშნავად და, რასაკვირველია, უპირველესად ქართული უნდა იცოდეს. არსებობენ ერთი ტიპის მთარგმნელები, რომლებმაც ერთ-ერთი უცხო ენა შეისწავლეს და ახლა ამაყად აცხადებენ: ქართულზე არა მაქვს პრეტენზია, არ მეწყინება, გენდობით, როგორც გნებავთ, გაასწორეთ და გააკეთეთ, ულაპარაკოდ მივიღებო ყველაფერს.

აუცილებელია თუ არა რედაქტორისათვის ორიგინალის ენის ცოდნა? ცხადია, კარგია, როცა რედაქტორმა ორიგინალის ენა იცის, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ეს აუცილებელიაო, აქედან შეიძლება ვინმემ დაასკვნას, რომ ბერძნული ენის არმცოდნე რედაქტორს არ შეუძლიაო რედაქცია გაუწიოს ბერძნულიდან თარგმნილ წიგნებს. არადა სინამდვილეში ასე არაა; მე მგონია, რამდენიმე რედაქტორი მაინც იქნება საქართველოში, რომ არ იცოდეს ორიგინალის ენა. მაგრამ თარგმნის რედაქტირება კი შეძლოს.

„საჭიროა თუ არა გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირება?“ — როცა თარგმანი გარკვეულ დონეზე დგას, აქ არ არის საჭირო ხელახლა თარგმნა. ეს შთამომავლობისათვის, ბოლოს და ბოლოს, საჭირო იწება. ხომ უნდა ვიცოდეთ, რა გზა გავიარეთ.

მამუკა ცაცხლაძე. (კოლეგიის უფროსი მეცნიერ-რედაქტორი): ლაპარაკია რედაქტორისა და მთარგმნელის ურთიერთობაზე. მინდა ოცნების სფეროში გადავიღე როგორ წარმომიდგენია მათი ურთიერთობა? აუცილებელი პირობაა, რედაქტორსა და მთარგმნელს შორის.

გმნელს შორის იყოს ნდობა. თუ რედაქტორი მთარგმნელის აზრს თავიდანვე არ იცნობს და პატივს არ სცემს, მასთან მუშაობა გაუძნელდება. ურთიერთნდობა უნდა იყოს. რომელ ნდობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გამომცემლობაში ასეთი სისტემაა: წიგნი შედის გეგმაში რედაქტორის გარეშე. აქლევინ წიგნს რედაქტორს და ეუბნებიან: შენ უნდა გააკეთო ამ წიგნის რედაქციაო. აქვს თუ არა რედაქტორს საამისო მომზადება ან სურვილი, რომ იმუშაოს ამ წიგნზე, ამაზე არც არის ლაპარაკი. უბრალოდ წაიკითხავს რედაქტორი წიგნს, გაუსვამს ხაზებს, დაუძახებს მთარგმნელს და, რაღა თქმა უნდა, იწყება მათ შორის ბრძოლა; ან ერთი სჯობნის, ან მეორე, ან კიდევ გამშველებელს უხმობენ. ასეთ შემთხვევაში არავითარ ურთიერთპატივისცემაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ეს წესი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. წიგნი არ უხდა შევიდეს გეგმაში მანამ, სანამ რედაქტორი არ მოიწონებს მას, სანამ მთარგმნელი და რედაქტორი ერთმანეთს არ გაეცნობიან და არ გაარკვევენ, შეუძლიათ თუ არა მათ ერთად მუშაობა ამა თუ იმ წიგნის მოსამზადებლად და გამოსაცემად.

კვლამ ვიცით, რომ კარგი მთარგმნელი ბევრი არა გვყავს, მაგრამ რედაქტორებიც რომ არა გვყავს, ესეც ფაქტია. გამომცემლობაში რედაქტორი მოდის ყოველგვარი რედაქტორული გამოცდილების გარეშე. როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ რედაქტორთა კადრების მომზადებაზეც. უბედურება ის კი არ არის, რომ დღეს გამომცემლობა რედაქტორად იღებს პრაქტიკულად ყველას, ვისაც ამისი პრეტენზია აქვს, — უბედურება ის არის, რომ ეს „ყველა“, უკლებლივ ყველა ართმევს თავს ამ სამუშაოს. რატომ და როგორ? იმიტომ და იმნაირად, რომ გამომცემლობაში რედაქტორი დღეს ასრულებს სტილისტის (ხშირად ცუდი სტილისტის) ფუნქციას. თუ ვინმე რამეს აკეთებს ამაზე მეტს, მხოლოდ საკუთარი ინიციატივით.

პირველ ყოვლისა, რედაქტორიც მწერალი ან მთარგმნელი უნდა იყოს; თუ იგი არც წერს და არც თარგმნის — „პოტენციურად“ მაინც... როცა ვამბობ, მწერალი ან მთარგმნელი უნდა იყოს-მეთქი, პირობითად ვამბობ, რადგან კარგი მთარგმნელი იგივე მწერალია. გულახდილად თუ ვიტყვით, მთარგმნელობითმა საქმიანობამ მართლაც წინ წაიწია. მოვიდა თაობა, რომელიც თანამედევრულად ძლევს ათეული წლების და ხშირად საუკუნეების ჩამორჩენას ამ საქ-

მეში. ტექნიკა უფრო დაიხვეწა, თუმცა ხარისხობრივი მხარე ზოგ შემთხვევაში ტექნიკურ დახვეწილობას ჩამორჩება. ტექნიკურ დახვეწილობას მე დღეს მთარგმნელისა და რედაქტორის ერთობლივი მუშაობის წყალობად უფრო მივიჩნევ, რაც ხარისხობრივ მხარეს ნაკლებად ეხება... ჩემს მიერ აკვიატებული ეს „ხარისხობრივი მხარე“ სწორედ ის მაღლი გახლავთ, რაც მთარგმნელს მწერლის თანაბარ დონეზე აყენებს. აი, ასეთი ნიჭი ჰქონდა მომადლებული მთარგმნელობითს ლიტერატურაში ბატონ გერონტი ქიქოძეს, რომლის უდიდეს დამსახურებაზე ლაპარაკი აქ შედმეტად მიძახნია.

მაგრამ — ამას წინათ კიდევ ერთხელ მომიხდა მის მიერ თარგმნილი წიგნის (ახალი გამოცემა) გადაკითხვა. ხანდახან ამ დიდებულ თარგმანს როგორც რედაქტორი ისეც ვკითხულობდი და ვფიქრობდი, ამ წიგნის რედაქტორი რომ ვყოფილიყავი, აი ამას და ამას ასევე დავტოვებდი თუ არა-მეთქი? მოკლედ რომ ვთქვა, ბევრი რამ თვალში მეცა და ამ უადრესად მაღალი დონის თარგმანისათვის საჩოთიროდაც კი მეჩვენა.

პირადად მე ნიჭიერი მთარგმნელის ორი ტიპი მყავს შემჩნეული. პირველი — ერთნაირად კარგად არაიმევეს თავს როგორც პუშკინის პროზას, ისევე — გოგოლისას, ან — როგორც ხლებნიკოვის პოეზიას, ისევე — ბლოკისას. მეორე კი მაიხცადამაინც დოსტოვესკის პროზას ან პასტერნაკის პოეზიას თარგმნის კარგად. ე. ი. პირველი ტიპის ნიჭიერი მთარგმნელი „ვერსიფიკაციულ გარდასახვებს“ ადვილად ეგუება, მეორე კი — ვერა. ამ მეორე ტიპის ხიჭიერი მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი, მაშასადამე, მხოლოდ ამა და ამ მწერლის ინდივიდუალურ სტილს მიესადაგა... ამიტომ ამ მთარგმნელმა მხოლოდ ის მწერალი უნდა თარგმნოს, რომელიც „კარგად გამოუვიდა“. მაგალითისთვის, ვთქვათ, ასეთმა მთარგმნელმა თუ თომას მანის რომელიმე რომანი მაღალ დონეზე თარგმნა, განა არ აჯობებს, რომ მხოლოდ თომას მანის უზარმაზარი შემოქმედების თარგმნას მიჰყოს ხელი და იქ არ დაიხარჯოს, სადაც შედარებით ნაკლებად გამოჩნდა მისი ნიჭი და უნარი? თომას მანის შემოქმედების თარგმნას ხომ ერთი სიცოცხლეც არ ეყოფა? ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც ცხადია, რომ, როგორც მწერალს აქვს თავისი ინდივიდუალური სტილი, ასევე მთარგმნელსაც.

ზოთა სულაბერიძე (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ თარგმნითი ლიტერატურის რედაქციის გამგე): რა თქმა უნდა, საკითხი მთარგმნელისა და რედაქტორის ურთიერთობისა ძალიან საჭირობოროტო საკითხია. მტკივნეულია როგორც მთარგმნელთათვის, ასევე გამომცემლობის მუშაკებისთვისაც და ამაზე მსჯელობა და საუბარი დიახაც საჭიროა.

თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ მხატვრული თარგმანის საკითხზე „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამართული დისკუსიის მასალებს. ამ დისკუსიაში ცხობილი მწერლები, მთარგმნელები, კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები მონაწილეობდნენ. და ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ისაა, რომ თითქმის ვერ ნახავთ ორ წერილს მაინც, რომელშიც ერთნაირი თვალსაზრისი, შეხედულება იყოს გამოთქმული. ამისდა მიუხედავად მაინც შეიძლება ორი ძირითადი თვალსაზრისი გავარჩიოთ: თუ შეიძლება ასე ითქვას, ლინგვისტთა და ლიტერატორთა თვალსაზრისები. პირველი თვალსაზრისის მომხრეთა აზრით, თარგმანში უნდა ჩანდეს მხოლოდ ნაწარმოების ავტორის სტილი, რომ მთარგმნელმა მაქსიმალური საშუალებებით უნდა გადაიტანოს სათარგმნ ენაზე ნაწარმოების მხატვრული თავისებურებები და ა. შ. მეორე თვალსაზრისის მიმდევრები მთარგმნელის მუშაობას შემოქმედებითად მიიჩნევენ და ამბობენ, ნამდვილ თარგმანში უნდა ჩანდეს მთარგმნელის პიროვნება, მისი სტილი და ა. შ. დაახლოებით ასეთივე აზრთა სხვადასხვაობაა მხატვრული თარგმანის რედაქტორის მუშაობის ხასიათის, შინაარსის თაობაზედაც.

ამას იმისთვის ვიხსენებ, რომ მინდა ვთქვა: მთარგმნელისა და რედაქტორის მუშაობის შინაარსის, ხასიათის, თავისებურების საკითხზე ერთსულოვნება არ არის. ბევრი რამ არის სადაო და გასარკვევი და ჭერჯერობით კატეგორიულად, დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ამ საკითხთან დაკავშირებით, მე მგონია, მეტი რომ არა, დაუკვირვებლობა იქნებოდა. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენი დღევანდელი თათბირი უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება, თუ შეძლებისდაგვარად მოვერიდებით განყენებულ მსჯელობას და მყარ ნიადაგზე დავდგებით, რეალური ვითარების გათვალისწინებით ვიმსჯელებთ ჩვენთვის ამ საჭირობოროტო საკითხებზე.

მე მგონია, მთარგმნელისა და რედაქტორის საქმიანობა დღეს თითქმის იმავე ას-

პექტში უნდა განვიხილოთ, როგორც მაგალითად, სკოლის პედაგოგის ან ექიმის საქმიანობა. დამეთანხმებით, რომ პედაგოგობა ან ექიმობა არ არის ხელობა, ეს იგივე შემოქმედებაა. პედაგოგს, ექიმს, რა თქმა უნდა, სათანადო განათლება უნდა ჰქონდეს, მაგრამ კარგი პედაგოგი, კარგი ექიმი რომ იყო, განათლებასთან ერთად უნდა გააჩნდეს თანდაყოლილი ნიჭი, შინაგანი მოწოდება.

მაგრამ დღეს ამ პროფესიებს მასობრივი ხასიათი აქვს. ჩვენს ქვეყანას ახლა ასიათასობით, მილიონობით პედაგოგი, ექიმი ესაჭიროება. და, ცხადია, ყოველად შეუძლებელია, ყველა მათგანი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, შინაგანი მოწოდების მქონე ადამიანი იყოს. რაკი ეს პროფესიები ასე მასობრივი გახდა, ჩვენი მეცნიერების, უნივერსიტეტების, ინსტიტუტების, სამეცნიერო-საკვლევო ცენტრების, მეთოდური კაბინეტების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი დაწესებულებების, სპეციალური ჟურნალებისა და გაზეთების ვალია მისცენ ამ ადამიანებს სპეციალური ცოდნა, მოაწოდონ მეთოდური რეკომენდაციები და დაეხმარონ, რომ უკეთ აითვისონ პროფესია, კვალიფიციურად იმუშაონ და სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა გვაქვს დღეს მთარგმნელობითსა და სარედაქციო საქმიანობაშიც და სწორედ ამ რეალობას უნდა ვითვალისწინებდეთ, როცა ამ საკითხებზე ვმსჯელობთ. და თუ ამას გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, ჩვენს მთავარ საზრუნავად მთარგმნელთა და, განსაკუთრებით, რედაქტორთა კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული დაისტატება უნდა მივიჩნიოთ.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ მტკივნეულ გარემოებასაც — მთარგმნელისა და რედაქტორის ამბიციას. სამწუხაროდ, ეს ძალიან იგრძნობა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდანაც. მოვა, მაგალითად, ასეთი მთარგმნელი გამომცემლობაში და მოგიტანს არქაიზმებით, მაღალფარდოვანი ფრაზებით „გალამაზებულ“, „გაკეთილშობილებულ“ თარგმანს. და როცა ეუბნები, ამ მწერლისთვის საერთოდ უცხოა არქაიზმები და მაღალფარდოვნებაო, ქედმაღლურად გიპასუხებს — ეს ჩემი სტილია, ჩემი „ინდივიდუალობა“ და ამაზე ნუ შემომედავებითო. რა თქმა უნდა, ასეთ მთარგმნელთან ურთიერთობა, მასთან მუშაობა ძნელია. მაგრამ საქმისთვის უფრო საზიანოდ, მე პირადად, მაინც რედაქტორის ამბიცია მიმაჩნია. რაც არ უნ-

და იყოს, დღევანდელი რედაქტორი, კერძოდ, გამომცემლობის რედაქტორი, შეიძლება ითქვას, თანამდებობის პირია და, როგორც თანამდებობის პირს, გარკვეული უფლებამოსილება აქვს. ჰოდა, როცა ასეთი პირი ჭირვეულობას იჩენს, ზემოდან დასცქერის მთარგმნელს, უძალდეს ჭეშმარიტებად მიიჩნევს საკუთარ აზრს და უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს, მთარგმნელი ზოგჯერ ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს და ბევრ რამეს თმობს.

ერთი რამეც უნდა ვთქვათ: წლების მანძილზე შეიძლება ნიჭიერი რედაქტორიც კი ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს, პროფესიულად დაქვეითდეს, პედანტობის სენით დაავადდეს. იმ პირობებში, რა პირობებშიც ახლა გამომცემლობათა რედაქტორები მუშაობენ, სამწუხაროდ, ეს საფრთხით რეალური პერსპექტივაა. გამომცემლობის რედაქტორი ვალდებულია სამუშაო დღის განმავლობაში მაგიდას უჯდეს და რედაქტირების ნორმა შეასრულოს. საკუთარ თავზე მუშაობისთვის მას დრო აღარ რჩება. ეს ძალიან მტკივნეული საკითხია და, თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს რედაქტირების ხარისხის ამაღლება, სათანადო ორგანოებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ გამომცემლობათა რედაქტორებს შეუქმნან მუშაობის რეჟიმი, როცა მათ საშუალება ექნებათ სისტემატურად აიმაღლონ ცოდნა და კვალიფიკაცია.

აქ თამაზ ჩხენკელმა ერთი საგულისხმო აზრი გამოთქვა: სანამ რედაქტორი წიგნზე მუშაობას დაიწყებდეს, მთარგმნელი და რედაქტორი წინასწარ უნდა გაესაუბრონ ერთმანეთს და შეთანხმდნენო. ეს, რა თქმა უნდა, მარტო ტაქტის ამბავი არ არის. ეს, მე მგონი, პრინციპული საკითხია და უსაუბოდ გასათვალისწინებელია. მთარგმნელს (მე, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ნამდვილ მთარგმნელს, შემოქმედ მთარგმნელს, და არა „მოხალისეებს“, რომელთაც ელემენტალური წიგნიერება არ გააჩნიათ) შეუძლია ბევრი სასარგებლო ინფორმაცია მოაწოდოს რედაქტორს და ამით გაუადვილოს შრომა.

რუსულან ქეზულაძე („ურნალ „საუნჯის“ ლიტერატურული რედაქტორი): რედაქტორი, ვინც ფლობს ორიგინალის ენას და ამასთან ქართულიც კარგად იცის, ბედნიერი გამონაკლისია, მით უმეტეს ჩვენში. თუ თარგმანი საშუალოა (იგულისხმება, რომ რედაქცია უხეირო თარგმანს არ იღებს), ვფიქრობ, წიგნს უნდა დაენიშნოს

ორი რედაქტორი, ერთი ორიგინალის ენის მცოდნე, მეორე — ქართულისა, ვინაიდან თავიდათავი თარგმანისა ძაინც მისი ქართულად უღერადობაა.

რაც შეეხება პირველი კითხვის მეორე პუნქტს, რა თქმა უნდა, უნდა იცნობოეს. ეს არათუ რედაქტორს, მთარგმნელსაც მოეთხოვება; მაგალითად, მე ვიცნობ ერთ მთარგმნელს, ვინც ბრწყინვალედ თარგმნის, ქართული ენა მან დიდებულად იცის, მაგრამ მისი თარგმანები ყველა ავტორისა, მიუხედავად ეპოქისა, მიუხედავად იმ ქვეყნის სულ სხვა ლიტერატურული ტრადიციებისა, მიუხედავად თვით ეროვნული სხვაობისა, ყველა ერთმანეთს ჰგავს.

როგორი ბრწყინვალე რედაქტორიც არ უნდა იყოს, იგი ვერასოდეს ისე კარგად ვერ ჩაასწორებს თარგმანს, როგორც თვით მთარგმნელი მითითების შემდეგ, კარგი მთარგმნელისათვის მითითებაც საკმარისია. რედაქტორს შეუძლია მხოლოდ თავისი ვარიანტი მიაწოდოს და ამით უბიძგოს მთარგმნელს.

რედაქტორს მართებს და მოვალეც არის მთარგმნელის სტილი და თავისებურებანი გაითვალისწინოს. როგორი ცუდი თარგმანიც არ უნდა იყოს, მას ძაინც აქვს თავისი სტილი. სტილის დარღვევა იგივე ქსოვილის დარღვევაა. ჯვალს არ შეიძლება ფარჩა დაეკეროს, ისევე სჯობია, ჯვალთი დაკერდეს იგი. რაც შეეხება თავისებურებას, არ შეიძლება მთარგმნელმა იგი არ მოიშველიოს, არ შეიძლება ზოგჯერ არ გადაუხვიოს ტექსტს, თუკი ის ენა მოსთხოვს ამას, რაზედაც თარგმნის; მთარგმნელს არ ეპატიება მხოლოდ აზრის დამახინჯება, მთარგმნელს არ ეპატიება დაუკარგოს ნაწარმოებს თავისი სურნელი და კილო თხრობისა, ლაკონიურობა თუ, პირიქით, სიტყვამრავლობა. მთარგმნელს ისიც უნდა ახსოვდეს, რომ იგი ზოგჯერ კომენტატორიც უნდა იყოს ავტორისა, რათა ნაწარმოების მთავარი აზრი გამოიკვეთოს.

რედაქტორმა არამც და არამც არ უნდა დაარღვიოს მთარგმნელის სტილი, მხოლოდ იქ უნდა შეასწოროს, სადაც აზრი გაუგებარია, მხოლოდ იქ, სადაც ფრაზა ქართულად არ უღერს, ხელყოფილია ქართული სინტაქსი, აზრობრივი მახვილი სწორად არ არის დასმული. ჩასვას მხოლოდ ისეთი სიტყვა, რაც ზუსტად მოერგება დედნისას.

თარგმანი, რომლის დონეს სარედაქციო სწორება აამაღლებს, არ შეიძლება კარგ თარგმანად ჩაითვალოს. სარედაქციო სწორებანი მხოლოდ კოსმეტიკაა კარგა თარ-

გმანისათვის, ცუდ თარგმანს ვერავითარი რედაქცია ვერ უშველის. ისიც უნდა ითქვას, რომ კარგად მხოლოდ კარგი თარგმანი სწორდება.

არ მახსოვს რომელ წელს, მაგრამ მთარგმნელთა ერთ-ერთ მსოფლიო სიმპოზიუმზე გამოიჩინა აზრი, რომ თარგმანი ბერდება, დიდი-დიდი ორმოცდაათი წელი იცოცხლოს. ალბათ იმიტომ, რომ გარკვეულ ხანაში იცვლება ენობრივი ნორმები. ჩვენ ახლა ისე არ ვლაპარაკობთ და არ ვწერთ, როგორც ორმოცდაათი, ასი წლის წინათ. ჩვენ გვაქვს ზოგი ბრწყინვალე თარგმანი, შესრულებული რამდენიმე ათეული წლის წინ. და თუმცა დიდებულია ბათი სინტაქსი (სამწუხაროდ, ქართული ენის სინტაქსს ახლა დიდი საფრთხე ელის სხვადასხვა ენების სინტაქსის გავლენის წყალობით), ისინი მაინც მოძველებულად ჟღერენ. მაგალითად, იყვნენ ასეთი დიდებული მთარგმნელები — ივანე და ანა ახალშენიშვილები. მათ თარგმნეს ბრწყინვალედ გოგოლის „ტარას ბულბა“, დოსტოვესკის „დანაშაული და სასჯელი“ და სხვა. ჩემი აზრით, თუ ფრთხილი რედაქტორი ისე ჩაასწორებს, მოძველებული იერი დაუკარგოს და თანამედროვეობის ენას მიუახლოვოს ცოტაოდენ მაინც, ამ თარგმანებს კიდევ კარგა ხანს არ უწერიან სიბერე. ერთადერთი გამონაკლისი, რომლის ხელის ხლება, ვფიქრობ, არ შეიძლება, არის მაჩაბლის თარგმანები.

მრავალ და მრავალ ქვეყანაში უკვე არსებობს სახარებისა და ბიბლიის ახალ ენაზე თარგმანი. ასე რომ არა, ხომ დაიკარგა ეს დიდებული ძეგლები თანამედროვეთა მეტი წილისათვის. მათი წაკითხვა მხოლოდ ძველ ენაში მომუშავე ფილოლოგებს თუ შეეძლებათ.

მთარგმნელის სტილის ხელყოფის უფლება არავის არა აქვს. სტილის დარღვევას კარგი თარგმანისათვის დიდი ზიანი მოაქვს და ვერც უხეიროს შევლის.

კარგი რედაქტორი ის არის, ვინც თარგმანს ფრთხილად ეკიდება, ასწორებს ისე, რომ მისი ჩასწორებანი მთარგმნელის სტილს არ ვნებს, უშნო საკერებელივით არ აჩნდება, უდარებს დედანს, ამჩნევს ყოველ ნიუანსს, რაც მთარგმნელს დედნისთვის დაუკლია, დარაჯად უდგას დედნის სტილს, კილოს, სურნელს, არ აძლევს მთარგმნელს უფლებას უყურადღებოდ და უპატივცემულად მოექცეს ავტორს.

ელგუჯა მაღრაძე (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი): რო-

გორც ყოველ დისკუსიას, ამ დისკუსიასაც თავისი მიზანი აქვს — ერთმანეთს შეუპირისპიროს თარგმანის რედაქტირების მთელ რიგ საკითხებზე არსებული განსხვავებული აზრები და დაუახლოვოს ისინი ჭეშმარიტებას. მხატვრული თარგმანის რედაქტირებას, ცხადია, თავისი სპეციფიკა აქვს. სხვა მრავალ საკითხთან ერთად ისმის საკითხი: აუცილებელია თუ არა რედაქტორისათვის ორიგინალის ენის ცოდნა? რა თქმა უნდა, აუცილებელია. რედაქტორი ხომ მთარგმნელის დამხმარეა, შემწეა; იგი მიზნად ისახავს თარგმანის გაუმჯობესებას, ამა თუ იმ ხარვეზის შევსება-გასწორებას. გაუმჯობესებაზე ზრუნვა ორიგინალშიც ჩაახედებს რედაქტორს, ეს კი ორიგინალის ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ამავე საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული რედაქტორისათვის სათარგმნელ ნაწარმოებში ასახული ეპოქისა და სხვა თავისებურებათა ცოდნის აუცილებლობა. ერთი სიტყვით, რაკი მთარგმნელის ნამუშევრის შემოწმებას და მის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, რედაქტორი შეიარაღებული უნდა იყოს იმავე იარაღით, რაც მთარგმნელს უპყრია ხელთ.

რაც შეეხება რედაქტორისა და მთარგმნელის შემოქმედებითს ურთიერთობას, საკითხის ისე დასმა — თარგმანში მითითებაა საჭირო თუ ჩასწორებაო, ვფიქრობთ, მართებული არ არის. იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეცდომასთან გვაქვს საქმე, ზოგჯერ შეიძლება მითითებებიც დაგვკმაყოფილდეთ, ზოგჯერ კი ჩავასწოროთ კიდევ შეცდომა. როგორც ერთის, ისე მეორის შედეგი რედაქტორისა და მთარგმნელის საბოლოო შეთანხმებით უნდა გადაწყდეს: რედაქტორი დედანზე მუშაობისას სწავლობს მთარგმნელის სტილს, რათა მისი ყოველი ჩასწორება უხეშად კი არ ხვდებოდეს თვალსა და ყურს, არამედ ბუნებრივად ერწყმოდეს თარგმანის ენობრივ-სტილისტურ ქსოვილს. დღეს, როცა მხატვრული თარგმანის საქმე განვითარების რამდენადმე ფართო გზაზე დგას და ცოდნა-გამოცდილებაც საკმარისადაა დაგროვილი, აღარავინ სვამს საკითხს: სიტყვა-სიტყვითი თარგმანი სჯობს თუ ადექვატურობის, შესატყვისობის პრინციპზე დაფუძნებული თარგმანიო. მაგრამ ერთი რამ მაინც გასათვალისწინებელია. თუ ამის საშუალებას თარგმანის ენა იძლევა, მაინც უნდა ვეცადოთ, რომ თარგმანი ახლოს იყოს ორიგინალთან. მაგრამ არც ტექსტიდან გადახვევის შემთხვევებია გამორიცხული, თუკი ორიგინალის აზრის გად-

მოღება სხვაგვარად არ ხერხდება. ასეთ დროს ორიგინალის ტოლძალი ეფექტის შექმნა, ჩვენი აზრით, სავსებით გამართლებულია.

სარედაქციო სწორების კრიტერიუმზე ლაპარაკი რამდენადმე ძნელია. უდავოდ ჭირს სწორების რაღაც ფარგლების დადგენა, მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია: რედაქტირებისას თარგმანი ხელახლა არ უნდა სრულდებოდეს. რედაქტორი უნდა მუშაობდეს თარგმანის გაუმჯობესებაზე და არა ახალი თარგმანის შექმნაზე. თარგმანის გაუმჯობესება, თუკი ამის საშუალებას იძლევა მთარგმნელის ნამუშევარი, უნდა მოხდეს რედაქტორის რაც შეიძლება ნაკლები ჩარევის ხარჯზე, და თუ ასეთი ჩარევა ძალზე ხშირად საჭირო, მთარგმნელს ნამუშევარი უკან უნდა დაუბრუნოთ, როგორც დაბალ დონეზე შესრულებული, რადგანაც, ჩვენი აზრით, სარედაქციო სწორებით თარგმანის დონის ამაღლება შეუძლებელია.

ზედმიწვევით ფაქიზად უნდა მოვეკიდოთ გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ამ მემკვიდრეობის გამოცემისას რედაქტირების საკითხი ზოგჯერ შეიძლება დაისვას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მისი სწორება უნდა დაევალოს არა რომელიმე ცალკეულ რედაქტორს, არამედ სარედაქციო კოლეგიას.

ზემოხამოთვლილი საკითხები, და კიდევ ბევრი სხვაც, ნამდვილად ანგარიშგასაწევია მხატვრული თარგმანის რედაქტირებისას. კარგი რედაქტორიც იმას შეიძლება ეწოდოს, ვინც ზემოხამოთვლილ თუ ჩამოთვლელ საკითხებს წარმატებით გაითვალისწინებს მუშაობაში.

რევაზ თვარაძე: მივესალმები ამ დონისძიებას, რომელიც მოაწყო მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ. ეს დიდებული ამბავია. ამას პრაქტიკულ შედეგზე მეტი მნიშვნელობა აქვს. აქ შექმნილია ისეთი მორალური ატმოსფერო, რომ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ლიტერატურულ ცხოვრებაზე, საკმაოდ გულაცრუებულ, ინდიფერენტულად განწყობილ საზოგადოებაზე, მიახვედროს, რომ შესაძლებელია ისეთი სიმპოზიუმების ჩატარება, როცა ყელს არ ჭრიან ერთმანეთს და არ ფიქრობენ — მე ვარ და ჩემი ნაბადიო.

მე მესახება, რომ უნდა ამოვდიოდეთ იდეალური ვითარებიდან და არა კონკრეტულიდან. რას ვგულისხმობ? ჩვენ თუ იმის გამო გავმართეთ მსჯელობა, რა პირობებში

უხდება რედაქტორს მუშაობა, აქ იმდენი პრობლემა დაგვხვდება, რომ ჩიხიდან ვერ გამოვალთ.

მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა გამოვიდეთ ბოლო კითხვიდან — როგორი უნდა იყოს კარგი რედაქტორი? აი, აქ წამოიჭრება ერთი საკითხი. რამდენადაც ჩვენი სიმპოზიუმი მთარგმნელობითს საქმიანობას შეეხება, მთარგმნელისა და რედაქტორის საკითხები ერთიანობაში უნდა გახვიხილოთ. ერთის გაურკვეველად მეორეზე ლაპარაკი ძნელია.

მე ასე მესახება საქმის ვითარება: როგორც ორიგინალური ნაწარმოები, ასევე თარგმნილი, თუკი ის ჭეშმარიტი შემოქმედების ნაყოფია, უეჭველად არის ორგანული მთელი, ორგანული მთლიანობა. ორგანული და არაორგანული მთლიანობის შესახებ საუბრისას ამგვარი შედარება მოჰყავთ: ორგანული მთლიანობა არის, მაგალითად, ადამიანი, მისი სხეული; არაორგანულია ქვის გროვა. ესენი ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ ქვის გროვაში ნაწილები წინ უსწრებენ და განაპირობებენ მთელს, ხოლო ორგანულ მთლიანობაში მთელი უსწრებს წინ ნაწილებს, მთელი განაპირობებს ნაწილებს. ქვის გროვას ერთ ქვას თუ მოვაკლებთ, არსებითად არაფერი შეიცვლება. ორგანული მთლიანობიდან ერთი უმცირესი ელემენტის მოშლაც კი მთლიანობის მოშლას იწვევს. ასევე მესახება შემოქმედებითი აქტი. მწერალი ორგანულ მთლიანობას ქმნის. ხოლო თარგმნის დროს ჭეშმარიტი მთარგმნელი აბსოლუტურად სწვდება იმ პროცესს, რომელიც ავტორის ფსიქიკაში მიმდინარეობდა ნაწარმოების შექმნის დროს და მის ეკვივალენტურს, შესატყვისს ახორციელებს თავისთავში. ესე იგი, მთარგმნელიც ორგანულ მთლიანობას ქმნის. ამგვარი შედარება შეიძლება მოვიტანოთ: ოდისევსის სახე მთარგმნელმა უნდა წარმოიდგინოს, რომ ის ზევსია და ხელახლა ქმნის ოდისევსს. ოდისევსი უნდა იყოს ისეთი, როგორიც იყო მისი პირველსახე, ამავე დროს ისეთი უნდა იყოს, რომ ქართველ კაცს არ ეუცხოოს, ოღონდ არც ისე დაემსგავსოს ქართველს, რომ თვითმყოფადობა დაკარგოს. როცა თარგმანი ისეა განხორციელებული, რომ შექმნილია ახალი ორგანული მთლიანობა, მაშინ მასში ყველაფერი ისეა განაწილებული, რომ ერთი ელემენტის, ერთი სიტყვის, ერთი სახის შეცვლა იწვევს მთლიანობის დარღვევას. და იდეალური რედაქტორიც ის იქნება, ვინც ვიდრე დაიწყებდეს ნათარგმნის კითხვას, გამოვა იმ პოზი-

ციიდან, რომ საქმე აქვს ამნაირად შესრულებულ თარგმანთან და ყოველი სიტყვის გადასხვაფერება გამოიწვევს ორგანული მთლიანობის დარღვევას. სამწუხაროდ, ასე არ ხდება ხოლმე. რედაქტორი მეტწილად გამოდის კონკრეტული სიტუაციიდან: ეს ფრაზა, ეს სიტყვა ორიგინალში ასეა, ქართულში — ასე. ეს ვნებს საქმეს. თუ რედაქტორი შეძლებს გაიაზროს, როგორ იქმნებოდა ორიგინალი, როგორ შეიქმნა თარგმანი, მაშინ ის იქნება შემოქმედი რედაქტორი. ასეთნაირად მესახება კარგი რედაქტორი.

ჩვენ აქ მოვისმინეთ ქალბატონ რუსულან ქებულაძის აზრი, რომ სასურველია ორი რედაქტორი ჰყავდეს თარგმანს: ერთი — ორიგინალის ენის მცოდნე, მეორე — ქართლისა. ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. არ შეიძლება, ორიგინალის ენის მცოდნე ადამიანი ქართული არ იცოდეს და რედაქტორობა გაუწიოს თარგმანს. ერთდროულად უნდა იყოს ორიგინალის ენის მცოდნეც და თარგმანისაც. თუ ცალკეა თარგმანის რედაქტორი და ცალკე — ორიგინალისა, ეს გართულებას, გათიშულობას იწვევს და იძლევა იმ სამწუხარო შედეგს, რომელზეც აქ იყო ლაპარაკი: როდესაც კაცი თარგმანს მოიტანს და იტყვის — ორიგინალის მხრივ კარგად არის, ოღონდ ქართულზე თქვენ იზრუნეთო. წესიერი რედაქტირება უნდა ხდებოდეს ერთი პირის მიერ და ის უნდა იყოს წვდომილი შინაგან საიდუმლოს ნაწარმოების შექმნისა და შემდეგ მისი თარგმნისა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული თვალსაზრისით იმ საკითხს, რომელიც ქალბატონმა თინა კობლატაძემ წამოაყენა. რედაქტორს, ვიდრე რედაქტირებას შეუდგებოდეს, უნდა ეძლეოდეს ვადა საამისოდ მოსამზადებლად. არის შემთხვევა, როცა მთარგმნელები თვეობით წვალობენ ამა თუ იმ სიტყვაზე, ფრაზაზე და რედაქტორები ამ სიტყვებს თუ ფრაზებს დაუფიქრებლად ერთ წამში შლიან და ცვლიან. როცა რედაქტორს საკმარისი ვადა ექნება მიცემული, საგულდაგულოდ მოემზადება და ამგვარ შეცდომებს აღარ დაუშვებს.

ოღონდ აქ წამოიჭრება კიდევ ერთი რთული საკითხი: ვადის მიცემა და ეს მომზადება რედაქტორისა გულისხმობს, რომ ის უნდა სწვდეს იმ შემოქმედებითს პროცესს, რომელსაც ახორციელებდნენ ჯერ ორიგინალის ავტორი და შემდეგ — მთარგმნელი. ამდენ ვადას პრაქტიკულად ვერავინ მისცემს რედაქტორს. ერთი კვირის მეტს ვერავინ

ვერ მისცემს. სად არის გამოსავალი? რანაირად გავეცნოთ ეპოქას, გარემოს, ავტორის თავისებურებას, რასთანაც გვექნება საქმე რედაქტირების დროს?

გამოსავალია ის შემოქმედებითი უნარი, ალლო, ინტუიცია, როცა ადამიანი ახერხებს შინაგანად წვდეს ორიგინალს და თარგმანს. შემოქმედების დროს ძალიან ინტიმური პროცესები ხდება. თუ ჩაღრმავებული ფსიქიკის რედაქტორია, ის შოახერხებს ამგვარ წვდომას. ისევე როგორც პალეოზოოლოგიაში ხდება, ერთი ძვლით რომ აღადგენენ მთელი ცხოველის სხეულს. რაღაც ამდაგვარი ხდება ნაწარმოების გაცნობისას. ორგანული ერთი დეტალიც კი მიგვანიშნებს ხოლმე მთლიანობაზე. ერთი ქვით ქვის გროვას ვერ აღადგენ, მაგრამ ერთი ელემენტით მთლიანობის შეცნობა ხერხდება ხოლმე. პირველივე წაკითხვითაც შეიძლება მიხვდეს რედაქტორი იმ შინაგან მთლიანობას, რასაც წარმოადგებს ეს ნაწარმოები და ეს თარგმანი. იმასაც, რომ თარგმანი შესატყვისება თუ არა ორიგინალს. ეს ალლო თუ აქვს რედაქტორს, ის მიძაჩნია იდეალური რედაქტორის განსახიერებად. დავარქვათ ამას თუგინდ ალლო, თუგინდ გუმანი, წვდომა. მაგრამ ის, რომ მას შესატყვისი მოსამზადებელი დრო მიეცეს, ამის გარეშე არ შეიძლება. ქალბატონ თინა კობლატაძის აზრი შევიტანოთ წინადადებად გამომცემლობისათვის, რომ ეს დაინერგოს პრაქტიკაში.

კამილა კორინთელი (ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ განყოფილების გამგე): უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი დისკუსიის თემა მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია. ამიტომ ფრიად სასიხარულოა, რომ კოლეგიამ გადაწყვიტა ამ საუბრის ჩატარება.

ჩვენს რესპუბლიკაში მთარგმნელების, ასე ვთქვათ, ორი ჯგუფი არსებობს. ერთნი ისინი არიან, ვინც რუსულიდან, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ენებიდან და სხვადასხვა უცხო ენიდან ქართულად თარგმნიან, მეორენი კი ქართულიდან რუსულად მთარგმნელები არიან. მე ამ „მეორე ჯგუფის“ შესახებ, ისიც პროზის თარგმნის საკითხებზე ვილაპარაკებ. საერთოდ, რუსულად თარგმნისას ერთი დიდმნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ამ თარგმანთა მეშვეობით ეცნობა ჩვენი მშობლიური ქართული ლიტერატურის ნიმუშებს მრავალრიცხოვანი რუსი მკითხველი; შემდეგ კი — რუსული ენის შუამავლობით ითარგმნება

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ენებზე, არც ისე იშვიათად — უცხო ენებზეც კი. ასე რომ, ქართულიდან რუსულად თარგმნა, ასე ვთქვათ, საექსპორტო გახლავთ. დღეს ჩვენს მთარგმნელობითს პრაქტიკაში მომწიფდა ბევრი საკითხი, რომელიც მოითხოვს ობიექტურსა და კომპეტენტურ განხილვას და დროულ გადაწყვეტას. გარდა ამისა, კიდევ ერთი გარემოება გახაპირობებს ქართულიდან რუსულად თარგმნის თავისებურებას: ეს გახლავთ მისი განვითარების შედარებით ხანმოკლე პერიოდი.

როგორც ცნობილია, უცხო ენებიდან ქართულად თარგმნას თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინცა აქვს. ამერიკელი მწერალი ჰენრი ჯეიმსი ერთგან ამბობს: „...საჭიროა დიდი ხნის ისტორია, რათა წარმოიქმნას თუნდაც პატარა ტრადიცია. საჭიროა დიდი ტრადიცია, რათა ჩამოყალიბდეს მხატვრული გემოვნების თუნდაც მცირე ნორმები. საჭიროა მხატვრული გემოვნების ნორმების ხანგრძლივი განვითარება, რომ იშვას თუნდაც მცირე ხელოვნება...“

ამ ისტორიის მანქილზე ჩამოყალიბდა გარკვეული ტრადიცია და ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ დარგში ხელოვნების არსებობაზე. ქართულიდან რუსულად თარგმნა კი სულ რამდენიმე ათეული წლის ამბავია; მისი ფორმირება ჩვენი საუკუნის ოკდაათიან წლებში დაიწყო. ასე რომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენს დარგში ძალიან ბევრი რამ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების, შესწავლის, განსაზღვრის პროცესში ვიგულოთ, და ტრადიციებიც, ცხადია, ჯერ არ იყოს დამკვიდრებული.

თარგმნა შემოქმედებითი პროცესია, ხაზს ვუსვამ — ჭეშმარიტად შემოქმედებითი-შეოჩი, ხოლო მხატვრული პროზის მთარგმნელი კი — შემოქმედია, მწერალია, სიტყვის ოსტატია, რომელიც თავის ენაზე ზელახლა ქმნის ორიგინალის ავტორის, მწერლის მიერ ერთხელ უკვე შექმნილ სამყაროს. ამ აზრს თითქოსდა ყველა იზიარებს, მაგრამ თარგმნას ხშირად ეკიდებიან ადამიანები, რომლებმაც რუსული და ქართული კი იციან, მაგრამ არ არიან ნაზიარებნი თარგმნის მთელ სირთულეებს. საერთოდ ენის ცოდნის სიღრმე და ხარისხი სხვადასხვაგვარია: ჩვენ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ყოველდღიური სალაპარაკო ენის ცოდნა და სამწერლო ენის მთელი სიღრმით ფლობა; ეს ითვალისწინებს მხატვრული სახეებით აზროვნების ნიჭს, უნარს — გამოხატო ისინი იმ ენის მხატვრული ხერხების

მეშვეობით, რომელზედაც თარგმნი, ჩასწვდეს სიტყვის არსს და კიდევ ბევრ სხვა ფაქტორს, კომპონენტს, უროძლისოდაც ვერ იარსებებენ მწერალი და მთარგმნელი-მწერალი.

მინდა გამოვთქვა კიდევ ერთი მოსაზრება მთარგმნელის პიროვნებასთან დაკავშირებით: იგი გარდასახვის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული, თითქმის ისევე, როგორც მსახიობია, რადგანაც მას უხდება ორიგინალის სამყაროში შესვლა, მისი გაშინაგნება, ავტორის ემოციებით დაძუტვა, გარემოს დანახვა მისი თვალით; მან უნდა იფიქროს და იმსჯელოს ისევე, როგორც ფიქრობს და მსჯელობს ორიგინალის ავტორი თავის ენაზე.

ამასთან დაკავშირებით ისმის კიდევ ერთი საკითხი: ესაა თავისუფალი თარგმნის საკითხი, ნაწარმოებმა მეორე სიცოცხლე რომ მოიპოვოს, სხვა ენის სტიქიაში აქლერდეს და ხორცი შეისხას, მთარგმნელს არც ისე იშვიათად უხდება ორიგინალის ლექსიკური სფერუს დარღვევა. მან უნდა ეძიოს აზრთა და გრძნობათა გამოძხატველი საშუალებების არა ზუსტი, არამედ აზრობრივად ეკვივალენტური შესატყვისები, მათთვის დამახასიათებელი ყველა ელფერისა და ასოციაციის გათვალისწინებით. რამდენად თავისუფალია მთარგმნელი ასეთი საშუალებების არჩევაში?

თუ მთარგმნელს არ გააჩნია ზომიერების გრძნობა და თვითკონტროლის უნარი, ესე იგი არ შეუძლია ობიექტურად შეაფასოს თავისი ნათარგმნი, ან ორიგინალში ჩაქსოვილი აზრისა და მისი სულის წარმოსახვა არ ძალუძს იმის გამო, რომ არ უნდა, ან არ შეუძლია ასეთი შრომის გაწევა, ეს არის უპასუხისმგებლობა და დაუღვერობა, ცოტა არ იყოს თავხედური მიდგომა ორიგინალის და მისი ავტორის მიმართ.

მაგრამ ისეც ხდება, რომ მთარგმნელს გაიტაცებს რომელიმე ასოციაცია, მისთვის იმდენად ახლობელი და ხაცნობი, რომ იგი უნებლიეთ შორდება ორიგინალს და ქმნის უკვე ახალ, საკუთარ ნაწარმოებს ორიგინალის თემაზე. ამაში ძე პირადად ვერაფერს ვხედავ დასაძრახს და გასაკიცხს, პირიქით: ჩემის აზრით, ასეთი მოვლენა, თუკი ამ გზით შეიქმნა სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოები, საინტერესო და მისასალმებელი უნდა იყოს. მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია გავიხსენოთ და გავაცოცხლოთ ლიტერატურაში დიდი ხნის წინ ცნობილი ტერმინები: „თავისუფალი თარ-

გმანი“, „ამა და ამ პოეზიიდან“, „ამა და ამ თემაზე“... და სხვა.

თარგმანის კრიტიკის სრული უქონლობისა (მხედველობაში მაქვს პროზის თარგმანი) და იმის გამო, რომ ჩვენ ვერ ვახდენთ თარგმანის კვალიფიცირებას, მისი შეფასება ხარისხის მიხედვით ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მაგრამ მომავლისთვის ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ქართულიდან რუსულად თარგმნის განვითარება დღეს იმ სტადიაშია, როცა წინა პლანზე დგება არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. თარგმანის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს, უფრო მაღალ დონეზე უნდა ავიყვანოთ იგი, მეტი მომთხოვნელობაა საჭირო და მეტი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ ამ საქმეს.

რაც შეეხება რედაქტორისა და რედაქტირების საკითხს (მე აქაც ქართულიდან რუსულად თარგმნას ვუკავშირებ ამ პრობლემას) — ჩვენი ანკეტის პირველი კითხვაც ხომ ესაა: „აუცილებელია თუ არა რედაქტორისათვის ორიგინალის ენის ცოდნა?“ ვფიქრობ, რომ ეს სასურველიცაა და საჭიროც. აქვე იბადება მეორე კითხვა: შესაძლებელია, მისაღწეობა ეს თუ არა? რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუმცა ყოვეთვის არა.

სადავო არაა, რომ რედაქტორი ვალდებულია სრულყოფილად იცოდეს ის ენა. რომელზეც მუშაობს. სწორედ აქ ვხვდებით შეფერხებებს, იმიტომ, რომ ასეთი რედაქტორები, ჩვენდა სავალალოდ, ცოტაა გვყავს. ჩემის აზრით, რედაქტორი ერთგვარი მეტრიც კი უნდა იყოს ენის საკითხში. ნურავინ იწყენს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რისკენ მივისწრაფით, და ამავე დროს იმასაც უნდა გავუსწოროთ თვალი, თუ როგორია ჩვენი შესაძლებლობა. — უნდა ვეძიოთ გზები, არცაუ ისე სახარბიელო მდგომარეობიდან რომ გამოგვიყვანს. შეგახსენებთ, რომ აქაც, ისევე როგორც მხატვრულ თარგმანში, მთავარია არა სალაპარაკო, არამედ სალიტერატურო, მხატვრული ლიტერატურის ენის დრმა ცოდნა, მხატვრული ინტუიციის, გემოვნების, ზომიერების გრძნობის და მხატვრული აზროვნების შერწყმა.

შემდეგი კითხვაა: „ვალდებულია თუ არა რედაქტორი იცნობდეს სათარგმნელი ავტორის ეპოქას, მისი ქვეყნის ლიტერატურის ძირითად თავისებურებას და ტენდენციებს?“ მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელია, მით უმეტეს იმ რედაქტორისათვის, რომელიც ქართულიდან რუსულად თარგმნაზე მუ-

შაობს. იგი უნდა იცნობდეს ავტორის ეპოქასა და მისი შემოქმედებითი სტილის თავისებურებებს, მთელი ავტორისეული ჩანაფიქრი მისთვის — ნათელი და გარკვეული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქტირების დროს უეჭველად დაუშვებს უხეშ შეცდომებს. როგორც კონტექსტს მოწყვეტილი ფრაზა, ისევე ნაწარმოები — მისი ავტორის, ეპოქისა და შემოქმედებითი თავისებურებების, მისი მშობლიური ლიტერატურის კარდინალური ტენდენციების გათვალისწინების გარეშე — ცასა და მიწას შუა იქნება გარჩენილი.

შემდეგ დასმულია კითხვები, რომელთა პასუხი თითქმის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვანაირი იქნება. მაგალითად: „რედაქტორმა მთარგმნელს მხოლოდ მიუთითოს თუ თვითონ ჩაასწოროს შეცდომები?“ უპირველეს ყოვლისა, ეს დამოკიდებულია შეცდომების ხასიათზე, რაოდენობაზე. ზოგჯერ კი მთარგმნელს არ შეუძლია შეცდომის გასწორება, ახდა თავის შეწუხება ეზარება. მე ხშირად ძომისმენია მთარგმნელისაგან: „რაც საჭიროდ მივაჩნიათ, შეასწორეთ“. ვფიქრობ, აქ ისევ მთარგმნელის დაუდევრობა იჩენს თავს. რედაქტორმა უნდა მიუთითოს მთარგმნელს სტილისტურ, ფაქტობრივ უზუსტობაზე, შეცდომაზე, მთარგმნელმა კი თვითონ, ანდა ზოგ შემთხვევაში რედაქტორთან ერთად უნდა ჩაასწოროს იგი. მაგრამ ეს იდეალურ შემთხვევაში ხდება. უფრო ხშირად კი თვით რედაქტორს უწევს ყველა ამ სიძნელის დაძლევა და მუშაობის ხარისხი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კლასის რედაქტორია და როგორი გულისყურით მოეკიდება ხელნაწერს.

რაც შეეხება უხარისხო თარგმანის რედაქტირებას, ჩემი პირადი და სხვისი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ყოველი ცდა მისი მხატვრული დონის ამაღლებისა ამაოა! მართალია, სტილისტური სწორებით და გულმოდგინე რედაქტირებით შეიძლება ოდნავი გაუმჯობესება, მაგრამ მხატვრული დონის ამაღლება ცუდი, არაპროფესიული თარგმანისა შეუძლებელია.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქართულიდან რუსულად მთარგმნელთა კადრები მეტისმეტად მცირეა. რასაკვირველია, ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. მთარგმნელი მოწოდებით უნდა გახდეს მთარგმნელი, მაგრამ შესაძლოა, — და მე მგონია, რომ ასეც არის, — ჩვენ არ ვიჩენდეთ ამ მხრივ სათანადო ყურადღებას. ეს საქმე კი მეტ

დაკვირვებას, გულისყურს და ზრუნვას მოითხოვს.

ორიოდ მოსაზრება გარდაცვლილი მთარგმნელების ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ, უფრო სწორად—მათი თარგმანების რედაქტირების შესახებ. რამდენად მიზანშეწონილია და აუცილებელია ამ სამუშაოს ჩატარება? საკითხი მეტად რთული და ფაქიზია, მაგრამ გადაწყვეტას მოითხოვს. ვინ არ იცის, რა სიძნელეების გადალახვასთანაა დაკავშირებული ყაძირის გატეხა, და რა სამსახური გაუწიეს ქართულ ლიტერატურას იმ ადამიანებმა, რომლებმაც პირველებმა თარგმნეს ქართული პროზის ნიმუშები რუსულ ენაზე. მაგრამ დღევანდლობამ თარგმანს ახალი მოთხოვნები წაუყენა; ამჟამად უკვე სხვა კრიტერიუმები და ეტალონები არსებობს, სხვა საზომით ფასდება მისი ღირსებები და იმ ძველი თარგმანების დიდი ნაწილი აშკარად უკარგავს ჭეშმარიტ ფასს ორიგინალს. ასე რომ, ვფიქრობ, მიზანშეწონილია და საჭიროცაა სპეციალური შემფასებელი კომისიის შექმნა, რომელშიც შევლენ კომპეტენტური და ობიექტური ლიტერატორები. ამ კომისიას უნდა დაევალოს ძველი თარგმანების შესწავლა და სწორი შეფასება, კვალიფიცირება. რასაკვირველია, ეს საქმე ადვილი არ არის, მაგრამ მეტისმეტად საჭიროა. დარწმუნებული ვარ—და ამას ვამბობ არა აპრიორულად,—რომ ბევრი ნაწარმოები ხელახლა უნდა ითარგმნოს, მცირე ნაწილს კი მხოლოდ რედაქტირება დასჭირდება—მეტად ფაქიზი და გულმოდგინე ერთსა და იმავე დროს.

ნატო ჩხეიძე: არსებობს აზრი, რომ მთარგმნელიც ისეთივე შემოქმედელია, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი, რომ თარგმნისას იგი იმავე გზას გაივლის, რომელიც ავტორმა გახვლო ორიგინალის შექმნის პროცესში.

მხატვრული თარგმანი რომ შემოქმედების დარგია, ამაზე ჩვენს დროში აღარავინ დავობს. თუმცა ისიც უდავოა, რომ ეს ორი ლიტერატურული პროცესი ძირითადად განსხვავდება ერთმეორისაგან.

მწერალი თავის ნაწარმოებში ასახავს გარემომცველ სინამდვილეს, მთარგმნელს კი ეს ნაწარმოები გადააქვს ახალ ენობრივ გარემოში.

თარგმნის პროცესი ორი ენობრივი საწყისის ბრძოლაა; ეს ბრძოლა ზოგჯერ სასტიკიცაა, ვიდრე მშვიდობიანად არ დასრულდება ახალი ტექსტის შექმნით; თარგმანი კი

ორივე ენის ეროვნული სპეციფიკისა და ავტორისა და მთარგმნელის თავისებურებათა სინთეზია მოცემული. ამ სპეციფიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თარგმანის რედაქტორს, ისევე როგორც თვით მთარგმნელს—ან იქნებ უფრო მეტადაც,—უნდა ჰქონდეს სიტყვის, როგორც სტილის ელემენტის, განსაკუთრებული გრძნობა, მან ღრმად და ძირფესვიანად უნდა იცოდეს ის ენები, რომელთა სფეროშიც მუშაობს. აქედან კი თავისთავად გამომდინარეობს პასუხი კითხვაზე—აუცილებელია თუ არა რედაქტორისათვის ორიგინალის ენის ცოდნა?

მაგრამ თუ რედაქტორმა ორიგინალის ენა არ იცის—ასეთი რამ კი ხშირად ხდება ჩვენს პრაქტიკაში,—მაშინ მით უფრო აუცილებელია მის მიერ იმ ქვეყნის ყოფაცხოვრების, კულტურის, ლიტერატურული ტენდენციებისა და ეპოქის შესწავლა, რომელშიც ცხოვრობს და ძოღვაწეობს ორიგინალის ავტორი.

მთარგმნელისათვის იდეალურია ის რედაქტორი, რომელიც მკაცრ კრიტიკასთან ერთად მის თარგმანს აღიქვამს, როგორც განსაზღვრული შემოქმედებითი კონცეპციის ნაწარმოებს და მიუთითებს რა ცალკეულ შეცდომებზე, თვითნებურად არ ჩაერევა ტექსტში. ასეთი რედაქტორი სამწუხაროდ ბევრი არაა.

ძალზე ძნელია იმ რედაქტორთან ურთიერთობა, რომელიც, მართალია, სამტროდ არ არის განწყობილი, მაგრამ ბუნებრივი ალღო აკლია. იგი ცალკეული სიტყვების სიზუსტის დევნაში ხშირად არღვევს ნაწარმოების ინტონაციურ უღერადობას. ცნობილია, რომ პოეზია ახლოს დგას მუსიკასთან. ამავე დროს, თითქმის არ არსებობს პროზაული ნაწარმოებიც, რომელსაც არ ჰქონდეს თავისი შინაგანი, დაფარული, ზოგჯერ კი მკვეთრად გამოხატული მუსიკალობა. მით უმეტეს ეს შეიძლება ითქვას ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც უხვადა შეიცავს ხალხურობის ელემენტებს, შემოქმედებითად ითვისებს დიალექტიზმებს.

თარგმნის ხელოვნების განსაკუთრებული სირთულე ისაა, რომ მთარგმნელი, როგორც სიტყვის ოსტატი, თავისუფალია თავის შემოქმედებაში, მაგრამ ამავე დროს შემოფარგლულია ორიგინალის მხატვრული სამყაროთი. სწორედ ამ მოქმენტთანაა დაკავშირებული ჩვენი ანკეტის კითხვა: აქვს თუ არა უფლება მთარგმნელს, როდესაც იგი ორიგინალის ტოლძლოვან ეფექტს ქმნის, ზოგჯერ გადაუხვიოს დედანს? ეს საკითხი

დღემდე დავის საგანია, თხუთმეტიოდე წლის წინათ ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ საინტერესო კამათი გაიმართა ამის თაობაზე.

ეს დავა, როგორც ჩანს, პოეზიასა და პროზაში განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

ორიგინალიდან გადახვევა თარგმნის პროცესში არამც თუ შესაძლებელია, ზოგჯერ აუცილებელიცაა ამ პროცესში მონაწილე ორი ენობრივი სტრუქტურის ზემოხსენებული განსხვავების გამო.

მაგრამ ჩვენს კითხვარში, როგორც ჩანს, დასმულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ წყდება თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა — გახსაკუთრებული ნიჭის მქონე მთარგმნელის ხელოვნებაში: იცავს თუ არა იგი იმ შიჯნას, რომელიც საჭიროა თარგმანის, როგორც ავტორისა და მთარგმნელის თავისებურებათა სინთეზის შესაქმნელად, თუ სცილდება ამ საზღვარს და თვითგამოხატვას ესწრაფვის? არავინ ედავება სიტყვის ნიჭიერ ოსტატს ამის უფლებას, მაგრამ უფრო სწორი იქნება, როგორც აქ უკვე ითქვა, ასეთ სამუშაოს დავარქვათ არა თარგმანი, არამედ თავისუფალი თარგმანი, ანდა ვარიაცია ორიგინალის თემაზე.

ის ფაქტი, რომ ჩვენს პრაქტიკაში პირველად შევიკრიბეთ, რათა ვიმსჯელოთ ისეთ მტკიცებულ საკითხზე, როგორცაა მთარგმნელი და რედაქტორი, ბევრ რამეს მეტყველებს. ორგანიზაციულ-შემოქმედებითი მხარე ყოველთვის უსუსტესი რგოლი იყო მხატვრული თარგმანის გახვითარებაში, რის შესახებაც ბევრჯერ გვქონია საუბარი როგორც აქ, თბილისში, ისე მოსკოვში ჩატარებულ თათბირზეც. დღეს უკვე შეგვიძლია ჩვენი საქმის გასაჭირისა და პერსპექტივების შესახებ სავსებით რეალურ საფუძველზე და სახელმწიფო მნიშვნელობის მასშტაბითაც კი ვიმსჯელოთ. ორი წლის წინ მე გახლდით მოწმე, თუ რა ინტერესით შეხვდნენ მოსკოვში, მხატვრული თარგმანის საბჭოს პლენუმზე ოთარ ხოდიას მოხსენებას თბილისში ახალი ტიპის ორგანიზაციის — მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის შექმნის შესახებ. მას შემდეგ კოლეგიაში მრავალი სამუშაო ჩატარდა და ამ მუშაობისადმი ინტერესი ლიტერატურული საზოგადოებრიობის მხრივ დღითიდღე იზრდება.

ამჟამად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დაისვას საკითხი კრიტიკის ჩამორჩენის შე-

სახებ ჩვენს დარგში. ვიძელოვნებთ, რომ ეს მტკიცებულ საკითხიც უახლოეს ხანში ფართო ლიტერატურული საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად იქცევა.

ნოდარ რუხაძე: მე მსურს აზრი გამოვთქვა მთარგმნელისა და რედაქტორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგაგების შესახებ. პირადად მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რომ ამა თუ იმ თარგმანს რედაქტორი დაენიშნოს, გამომცემლობის მიერ შერჩეული პიროვნება. ე. წ. შინა რედაქტორი, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მან ორიგინალის ენა. ჩემის აზრით, „სხვა თვალი“ ყველა თარგმანს სჭირდება, ამაში ჩემმა პირადმა პრაქტიკამ დამარწმუნა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი და რედაქტორის ურთიერთობა როდისმე გამწვავებულიყოს. მაგრამ თუკი საქმე ოდნავ მაინც გამიმწვავდა, ეს ისევე უცხო ენის არმცოდნე რედაქტორი ყოფილა, რომლისთვისაც, ცხადია, ორიგინალის როლს რუსული თარგმანი ასრულებდა. აი ის „უბრალო“ დეტალები, რომელთა გამო გაუგებრობა მომხდარა: რუსი მთარგმნელები სათარგმნ მასალას თავისუფლად ექცევიან, ხშირ შემთხვევაში ისინი „სხვისი თვალისთვის შეუმჩნეველად“ რალაცას იღებენ, ანდა უმატებენ ორიგინალის ტექსტს; და მეორეც, რაც თითქოსდა უმნიშვნელო რამაა (მაგრამ, არც ასეა საქმე): მათთან თითქმის აუცილებლობადაა ქცეული ორიგინალის აბზაცების სურვილსამებრ გაკეთება, ან მომეტებულად დაშლა, ანდა დიალოგების შეერთება და სხვა.

ამ დროს, ცხადზე ცხადია, სჯობს ორიგინალს მივყვეთ, ყოველნაირად პატივი ვცეთ ავტორის ხელიდან გამოსულ ტექსტს, თუნდაც სადღაც ან როგორღაც შევცოდოთ. მე, პირადად, ჩემი უნებლიე თუ შეგნებული შეცდომა მირჩევნია, ვიდრე შეცდომის შეცდომა.

უცხო ენის არმცოდნე რედაქტორმა ისარგებლოს რუსული თარგმანით, თუკი, სხვა საშველი არაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მან არ უნდა „მოარგოს“, ზემოთ ჩამოთვლილი დეტალების მიხედვით, ქართული თარგმანი რუსულ თარგმანს, რადგან საბოლოოდ ამით ბევრი რამ შავდება.

რუსულ ლიტერატურას უმდიდრეს ტრადიციებთან ერთად თარგმნის უდიდესი კულტურაცა აქვს; უამრავი ლიტერატურა ითარგმნება რუსულად, კერძოდ, ჩემს დარგშიც — გერმანისტიკაშიც. დასამალი არა-

ფერია და თუკი გერმანულენოვან სამყაროს საქართველოში ასე კარგად იცნობენ, ამაში დიდი წვლილი რუს გერმანისტებსა და მთარგმნელებს მიუძღვით, თორემ რამდენიმე წლის წინ გერმანულ ორიგინალს საქართველოში ასე ადვილად როდი იშოვიდით, თუნდაც ბიბლიოთეკაში დამჯდარიყავით (მახსოვს, ამ ოცი წლის წინ, როდესაც პ. ბიოლის შემოქმედებას გავეცანი, თარგმანისთვის მისი რომანისა და ყველა მოთხრობის გადაწერა მომიხდა, რადგან მაშინ ფოტოასლებზეც უარი მიიხრეს, ლაბორატორია ძალიან გადატვირთულიაო. ასე დიდხანს გრძელდებოდა, გამონაკლისისაგან არც ახლავართ დაზღვეული). და რაც მთავარია, ხომ არის მთელი არმია მკითხველებისა, რომლებმაც ენა არ იციან და ბევრ, ძალიან ბევრ, ლიტერატურას რუსული ენის მეშვეობით ეცნობიან; და კიდევ, სადა გვყავს ჩვენ ინდური, ჩინური, იაპონური და აზიის სხვა ხალხთა ენების მცოდნეები, ამ ლიტერატურებზე კი ჩვენთან კამათობენ და ხშირად გამოკვლევებსაც წერენ. რისი და ვისი წყალობით? რუსული ენისა და რუსი მთარგმნელების წყალობით.

რადგან რედაქტორთან (ან, თუ გნებავთ, წინასწარ რეცენზენტთან) აუარება განსხვავებული მასალა იყრის თავს (სხვადასხვა უცხო ენიდან თარგმნილი წიგნები), რედაქტორს საქმე აქვს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და სხვადასხვა ეპოქის მწერლობასთან, რისი არცოდნაც ბოლოს ვერავითარი შეღავათებით ვერ ანაზღაურდება, ამიტომ ხომ არ იქნებოდა უკეთესი, რომ მთარგმნელი თვითონ დაეხმაროს რედაქტორს, წინასწარ რეცენზენტს, გამომცემლობას? რითი და როგორ? ახლავე მოგახსენებთ!

მაქსიმ გორკი დაბეჯითებით აცხადებდა, როცა მთარგმნელი ამა თუ იმ მწერლის რომელიმე ნაწარმოების თარგმნას ჰკიდებს ხელს, ინებოს, იმ მწერლის ყველა ნაწარმოები გადაიკითხოს და შეისწავლოსო. კარგად დააკვირდით, როგორი კატეგორიული მოთხოვნაა! გორკის ამ აზრს ასევე კატეგორიულად ვუჭერ მხარს და აი რატომ: უცხოელებთან, კერძოდ გერმანელებთან, მათ მწერლებთან, მთარგმნელებთან, შემდგენლებთან და გამომცემლებთან ურთიერთობის მრავალი წლის პრაქტიკამ ერთი რაიმის აუცილებლობაში დამარწმუნა, რაც შეიძლება ჩვენც გადმოვიღოთ და დავნერგოთ ჩვენში.

ამ ათიოდე წლის წინ ჩემს გერმანელ

კოლეგასთან ერთად სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებულის გამოცემა განვიზრახეთ. როცა პწკარედების გაკეთებას შევუდექი, მეგობარმა წერილობით შემატყობინა, მანქანაზე ნაბეჭდი 7—8 გვერდიანი ექსპოზე გამომიგზავნე სიმონ ჩიქოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებო. ამ ექსპოზეში დასაბუთებული უნდა ყოფილიყო ს. ჩიქოვანის წიგნის გერმანულად გამოცემის საჭიროება, რაც გამომცემლობას საშუალებას მისცემდა გეგმაში შეეტანა წიგნი.

მოგეხსენებათ, ასეთი წერილის დაწერა უკვე გულისხმობს ს. ჩიქოვანის შემოქმედების ცოდნას. ეს წერილი დავწერე და შემდეგ ს. ჩიქოვანის წიგნიც გამოვიდა, რომელშიც 1000 სტრიქოხია შესული, სულ ორმოცი ლექსი, რომელიც რვა სხვადასხვა გერმანელმა პოეტმა თარგმნა (ცხადია, ასეთი ექსპოზეები უცხოელ, ე. ი. არაგერმანელ ავტორებზე იწერება).

ხომ არ იქნებოდა საჭირო (მე პირადად აუცილებლადაც მიმაჩნია), ჩვენმა მთარგმნელებმაც დაწერონ ასეთი ექსპოზეები უცხო ავტორების თარგმნისას? ამით ხომ არ გაუადვილდებოდა მუშაობა გამომცემლობებსა და მათ აპარატს? და კიდევ, რაც, ჩემის აზრით, მთავარზე მთავარია, ხომ არ ჩამოვიცილებდით ამით ზოგიერთ მთარგმნელს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ დადარაჯებულნი არიან „გასავლიან“ და „შემოსავლიან“ წიგნებზე? ჩვენ დარწმუნებულები ვართ, ასეთმა მთარგმნელებმა არათუ მწერლის შემოქმედება და ეპოქა არ იციან, არამედ მწერლის სახელისა და გვარის გამოთქმაც უჭირთ! ყველა ყველა და არა მგონია, ექსპოზეების დამწერი რეპეტიტორებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც მთარგმნელებს გამომცემლობაში მისატან ექსპოზეს უკარნახებენ.

ეს წერილობითი ახსნა-განმარტებები, ექსპოზეები ამა თუ იმ უცხოელ ავტორზე უნდა ერთვოდეს იმ ორწინადადებიან განცხადებას, რომლითაც დღეს კმაყოფილდებიან გამომცემლობები. თუმცა აქ ერთმა კოლეგამ აღნიშნა, მგონი, ზოგიერთი მთარგმნელი იმ ორწინადადებიან განცხადებასაც ვერ წერს ნათლად და გასაგებადო.

მანია ბირუკოვა (გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი): ჩემის აზრით, რედაქტორის მუშაობა ბევრად უფრო ადრე უნდა იწყებოდეს, ვიდრე იგი უშუალოდ ტექსტის „სწორებას“ შეუდგებოდეს.

მიმდინარეობს ურთულესი პროცესი. ნა-

წარმოები სიცოცხლეს იწყებს მეორე ლიტერატურაში. რედაქტორი აუცილებლად ღრმად უნდა იცნობდეს ორივე ლიტერატურას, რომელთა დაკავშირებაც ხდება თარგმნილი თხზულებით. ნაწარმოები ამორჩეული და შეფარდებული უნდა იქნეს იმ ლიტერატურის მოთხოვნილებებთან, რომლის ენაზეც ვთარგმნით.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მთარგმნელის შერჩევა. ვის უნდა მივმართოთ? უნდა მოვიზიდოთ ის მთარგმნელი, რომელსაც შესაბამისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა აქვს, და გავუღვიძოთ ინტერესი მთავარი სათარგმნი ნაწარმოების მიმართ. მთარგმნელის ან სათარგმნი ნაწარმოების შერჩევა მეტად მნიშვნელოვანი ამბავია. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადიც კი არის. თუკი გათვალისწინებული იქნება ყველა წინასწარი პირობა, შეიძლება აცილებული იქნეს ის მდგომარეობა, როცა თარგმანი რედაქტორისაგან ძირეულ გადამუშავებას მოითხოვს; ყოველივე ამის შესახებ ვრცლად ილაპარაკეს მომხსენებლებმა.

მე ერთხელ კიდევ ხაზს გავუსვამდი იმ მომენტს, რომ საჭიროა უაღრესი გულისხმიერება და კეთილშობილება, როცა თარგმანი რედაქტორის მაგიდაზე დაიდება. რედაქტორმა შეიძლება ძიილოს ან არ მიიღოს თარგმანი, გადაწყვიტოს, ესადაგება თუ არა იგი სადღეისო მოთხოვნებს, მაგრამ აუცილებლად უნდა გაუფრთხილდეს თარგმანს.

აქ უკვე იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თარგმანი ძველდებაო; მაგრამ მხატვრული თარგმანიც ხომ ლიტერატურის ნაწილია და მაშასადამე იგიც უნდა ემორჩილებოდეს იმ კანონებს, რომელთაც ორიგინალური ლიტერატურა ემორჩილება. ძველდება უნიჭო, საშუალო ნაწარმოები, ხოლო კარგი თარგმანი სიცოცხლეს დიდხანს ინარჩუნებს. ზოგი ძველი თარგმანი, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა, დღესაც სრულფასოვანი სიცოცხლით ცხოვრობს და თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ისეც ხდება, რომ ახალი თარგმანი თითქოსდა ჩრდილავს ძველს, მაგრამ შესაძლოა მომავალი თაობები კვლავ ადრეულ თარგმანს დაუბრუნდნენ. შესაძლოა ეს თარგმანი კვლავ ახმიანდეს.

რაც შეეხება იმ ენის ცოდნას, რომლიდანაც ვთარგმნით, მკრეხელობა იქნებოდა თქმა, მთარგმნელი ენას არ უნდა ფლობდესო. ცხადია, უკეთესია, რომ რე-

დაქტორმაც იცოდეს ენა. მაგრამ ეს ერთადერთი პირობა ვერ იქნება მთარგმნელისა და რედაქტორის წარმატებითი მუშაობისათვის. ამ პირობათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაინც, ჩემი აზრით, არის გულისხმიერება სიახლისადმი, საინტერესოსადმი.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ გამომცემლობებს ჰქონდეთ საკუთარი თვალსაზრისი სათარგმნი ლიტერატურის არჩევაში. რედაქტორი აქაც მხარში უნდა ედგას გამომცემლობას, რათა სათარგმნი ლიტერატურის შერჩევის ხაზი გახუხრელად ხორციელდებოდეს.

რომან მიხინოზვილი: მხატვრული თარგმანის რედაქტორმა უნდა იცოდეს ორიგინალის ენა. იგი ხომ თარგმანის პირველი შემფასებელია და როგორღა შეაფასებს, რაც არ იცის? მან არა მარტო ენა უნდა იცოდეს, არამედ საკმაოდ ძველი წარმოდგენა ჰქონდეს სათარგმნელი ავტორის ეპოქაზეც, მისი ქვეყნის ლიტერატურის ძირითად ტენდენციებზე და თავისებურებებზე. ესეც არა კმარა! იგი მთარგმნელთან ერთად უნდა გრძნობდეს მშობლიური ლიტერატურის სადღეისო მოთხოვნებს და სწორად შეეძლოს განსაზღვრა, თუ რას მოუტანს ლიტერატურას ახალი თარგმანი.

როცა რედაქტორზე ვლაპარაკობ, არ ვგულისხმობ მაინცდამაინც გამომცემლობის რედაქტორს, არ მოვიტხოვ მისგან უნივერსალიზმს, პოლიგლოტობას. პოლიგლოტი ყოველთვის როდია იმაზე უკეთესი სპეციალისტი, ვინც მასზე ნაკლები ენა იცის. როცა საჭიროა, წიგნს ორი რედაქტორი ჰყავს, რომელთაგან ერთი სწორედ იმიტომაც მოწვეული, რომ ორიგინალის ენა იცის.

მოვიყვან ორიოდე მაგალითს. ავიღოთ ჰომეროსის პოემები. მათში წარმოდგენილია პოეტური სამყაროს მთელი კომპლექსი, რომელიც გულისხმობს არა მარტო სიტყვებს და სიტყვებისგან მიღებულ ეფექტს, არამედ მდიდარ მუსიკას და აგრეთვე შესრულების მომენტსაც, რაზედაც ჩვენ მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა გვაქვს. ამიტომ ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი ლიტერატურული ნაწარმოებისა, რომელიც წინ გვიდევს წერილობითი სახით, ვერ შექმნის ეფექტს, რასაც თავის დროზე ჰომეროსის პოემები ახდენდა.

მაშასადამე, მთარგმნელმა კიდევ რაღაცით უნდა მოახდინოს დაკარგული ეფექტის კომპენსაცია, მხოლოდ ზუსტი ლიტერატურუ-

ლი თარგმანი ამის გარანტიას ვერ მისცემს.

ჰომეროსი იმიტომ კი არ მოვიყვანე მაგალითად, რომ მის პოეზებს კარგად ვიცნობ (ჩემთვისაც და, ალბათ, ყველასთვის ეს მეტად თამამი აზრი იქნებოდა!); არამედ იმიტომ, რომ მის მაგალითზე ნათლად ჩანს, რაც უნდა მეტყვა. როგორც „ილიადა“ არის იმავდროულად სიტყვა, მუსიკა და სპექტაკლი, ე. ი. სრულ ეფექტს იგი შესრულების მომენტში ქმნის, ისევე ყოველ შემოქმედს აქვს თავისი პოეტური საქარო, რომელიც მხოლოდ სიტყვათა შეთახხმებით და შინაარსით არ გამოიხატება. ეს არის მშობლიური ენის წიადი, რომლის გადანერგვა სხვა ნიადაგზე არ შეიძლება, ეს არის ეპოქა, მსოფლმხედველობა და სხვა კომპონენტები.

სწორედ ამიტომ ზუსტი თარგმანი კიდევ არ ნიშნავს კარგ თარგმანს, ზოგჯერ საჭიროა ტექსტიდან გადახვევაც, რათა თარგმანი უფრო ახლოს მივიდეს ორიგინალთან. ტექსტიდან გადახვევა ყოველთვის არ ნიშნავს ორიგინალის დაღატაკებას, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ორიგინალი მარტო ტექსტი როდია!

„ილიადას“ თარგმანში მაქვს ასეთი ფრაზა — „ყვავ-ყორანთა დასაყივარად!“ ბერძნულ ტექსტში კი წერია „სხვადასხვა ფრინველისთვისო“. მეც და რედაქტორმაც — ბ. ბრეგვაძემ, რა თქმა უნდა, ვიცით, ეს ტექსტიდან გადახვევაა, არავითარ ყივილზე და მაინცდამაინც ყვავ-ყორანზე არ არის ტექსტში ლაპარაკი, მაგრამ ნათქვამია, რომ გმირთა გვამები უპატრონოდ ეყარა სხვადასხვა ფრინველისთვისო. განწყობილება, სურათი, რაც ორიგინალში შექმნილია, გულისხმობს სწორედ იმას, რაც ქართულ თარგმანში გამოიხატა. ამიტომ არ გამოუწვევია ამ ფრაზას რედაქტორის გაკვირვება. მე არ ვიცი, კარგად გამოვიდა თუ არა, ამისათვის არ მომიყვანია ეს მაგალითი. მინდოდა მეტყვა, რომ ასეთი გადახვევები აუცილებელი ხდება ზოგჯერ, რათა შეიქმნას ორიგინალს მიმსგავსებული ეფექტი.

მეორე მაგალითი. რუსთაველს აქვს შესანიშნავი ტაეპი: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა“. ალბათ, შეუძლებელია ამის თარგმნა. გაბედული ექსპერიმენტი ჩაატარა შალვა ნუცუბიძემ. მან ასე თარგმნა: «Солнце блещет, тинатинясь, но бледней, чем Тинатин», ფორმა «тинатинясь» გაუგებარი როდია მკითხველისთვის, კაცი თუ დააკვირდება, შინაარსსაც გამოიტანს, შეიძლება გამართლებულ სიტყვაწარმოებადაც კი მიიჩნიოს, მაგრამ პირ-

ველი შთაბეჭდილება იქნება უსიამოვნო გრძნობა წაბორძიკებისაგან და სავსებით დაიკარგება ეფექტი, რასაც რუსთაველმა მიაღწია. გარდა ამისა, „თინათინებდა“ ხომ მარტო იმას არ ნიშნავს, რომ „თინათინს ემსგავსებოდა“, „თინათინობას ცდილობდა“. ამავე დროს იგი მზისთვის ბუნებრივ მოქმედებასაც მოასწავებს: თინათინებდა, ანუ ციმციმებდა, საგნებზე აირეკლებოდა, სხივებით თამაშობდა, მზის ათინათი ეფინებოდა ქვეყანას. ამ სიტყვის თამაშშია მისი განუმეორებელი სილამაზე; «Солнце блещет, тинатинясь...» ერთად არ აღიქმება, ამ ორ სიტყვაში ორი სხვადასხვა მოქმედება გამოიხატება. რუსთაველურ ტაეპში ამ სიტყვის თამაშის წყალობით გადმოიცემა ორი მნათობის საოცარი შეჯიბრი, ვერც გაიგებ— ვინ ვის სჯობს. თინათინ მზეს სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობას ცდილობდა, ამავე დროს ქვეყანას ანათებდა!

რა თქმა უნდა, თუ მთარგმნელი შეძლებს ასეთივე ეფექტის მოხდენას სათარგმნელ ენაზე, მას უნდა ეპატიოს ტექსტიდან გადახვევა.

რედაქტორს მართებს მთარგმნელთან ერთად ასეთი საკითხების გათვალისწინება. ეს არ ნიშნავს, რომ რედაქტორმა უკეთ უნდა იცოდეს ენაც და მწერალიც. რედაქტორი ოსტატი არ არის და მთარგმნელი — შეგიძლი. ისინი უნდა იყვნენ ღირსეული პარტნიორები. მეურვეობამ მხოლოდ ზიანი შეუძლია მოუტანოს მთარგმნელობითს საქმიანობას.

ამავე საკითხს უკავშირდება კითხვა, რომელიც ჩვენს თათბირზე დაისვა: აქვს თუ არა უფლება რედაქტორს, თვითონ ჩაასწოროს ტექსტი, თუ უნდა შეუთანხმოს მთარგმნელს?

რედაქტორის ყოველი შენიშვნა მთარგმნელმა უნდა გაიაზროს. რედაქტორს შეუძლია შესთავაზოს მთარგმნელს თავისი ვარიანტი, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს, რომ რაც უნდა კარგი მთარგმნელი იყოს თვითონაც, იგი რედაქტირების დროს გამოცდილებით თუ გუმანით იგრძნობს თარგმანის უხერხულობას, სტილისტურ თუ მხატვრულ ხარვეზს (მე არ ვლაპარაკობ შეცდომებზე), მაგრამ ვერ ჩასწვდება იმ მექანიზმს, იმ ფარულ ძალას, რომელიც მთარგმნელის შემოქმედებითს პროცესს წარმართავს, რასაც ხარვეზი და ზოგჯერ შეცდომა მოჰყვება ხოლმე. ამიტომ არ უნდა სცადოს გარეშე ძალის საშუალებით ამ მექანიზმის მართვა. თუ რედაქტორის ვარიანტი მთარ-

გმნელის გემოვნებას მიესადაგება, ხომ კარგი, თუ არა და თვით მთარგმნელმა ხელმეორედ უნდა განიცადოს შინაგანი შემოქმედებითი წვა, რამაც იგი ახალ, უკეთეს ვარიანტამდე შეიძლება მიიყვანოს.

ეს, რა თქმა უნდა, არ ხიშნავს, რედაქტორი პრინციპული არ უნდა იყოსო. მაგრამ ტექსტის რედაქტირებისას შემოქმედებითი თანაქრომლობა აუცილებელია.

სარედაქციო სწორების ფარგლების ზუსტად მოზომვა ძნელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ რედაქტირებით თარგმანის დონის ამაღლება შეუძლებელია, თუ ეს დონე თავისთავად დაბალია. მხოლოდ კარგი თარგმანი იგებს კარგი რედაქტორის ხელში.

გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ორთოგრაფიულ ჩასწორებას (ისიც დასაშვებ ფარგლებში და კომენტარის დართვით), მე მკრეხელობად მიმაჩნია. რედაქციას, ცხადია, უფლება აქვს თარგმანს აახლოს შენიშვნები, მაგრამ ტექსტი არ უნდა შეიცვალოს. რა გამოვა, თუ ჩვენ რედაქციას გავუკეთებთ ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირის, თუ გნებავთ, ივანე მაჩაბლის თარგმანებს? მაშინ ორიგინალური მწერლობაც უნდა ვასწოროთ. მაგრამ ჩვენ ხომ არ ვუსწორებთ რუსთველს ფორმას „დაიჭირავს?“

მთარგმნელი შემოქმედი. ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ მისი სტილის და ენის საკითხს. სტილი თვით ადამიანის სულის გამოვლინებაა. თუ არა ვართ დარწმუნებულნი, რომ ეს სტილი არ მიესადაგება ორიგინალს, მასზე ჩვენი სტილის მიხედვით არ უნდა ვიმსჯელოთ. რედაქტორის ხელოვნებაც ეს არის!

ცისანა ჯაფარიძე (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორი): აუცილებელია თუ არა რედაქტორმა იცოდეს ორიგინალის ენა? ვფიქრობ, სასურველია. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა, რედაქტორისათვის აუცილებელია ქართული ენის ცოდნა! უხდა გაეცნოს თუ არა რედაქტორი სათარგმნელი ავტორის ეპოქას, მისი ქვეყნის ლიტერატურის ძირითად თავისებურებას და ტენდენციებს? — რასაკვირველია.

რაც შეეხება რედაქტირებას და მთარგმნელთან რედაქტორის ურთიერთობას, ეს დამოკიდებულია მათს კვალიფიკაციაზე. ნიჭიერ მთარგმნელს რედაქტორი ფაქიზად

უნდა მოექცეს, თავისი აზრი არ უნდა მოახვიოს. რედაქტორმა მთარგმნელს უნდა მიუთითოს და თუ უკეთეს ვარიანტს სთავაზობს, ჩაასწოროს კიდევ. პირადად მე რასდენიმე ვარიანტს ვთავაზობ და თვითონ მთარგმნელი ამოირჩევს, ან შეიძლება უკეთესი ვარიანტი თვითონ მომაწოდოს. რედაქტორსა და მთარგმნელს შორის ურთიერთგაგება უნდა იყოს.

რას ითვალისწინებს სარედაქციო სწორების კრიტერიუმი: როგორია სარედაქციო სწორების ფარგლები? შესაძლებელია თუ არა სარედაქციო სწორებით თარგმანის დონის ამაღლება? ამაზე ძიხდა გიპასუხოთ პირადი გამოცდილებით; ჩემი აზრით, თარგმანის დონის ამაღლება შეუძლებელია!

როგორი უნდა იყოს „კაოგი“ რედაქტორი? კარგი რედაქტორი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს რედაქტირების საკითხს. არ უნდა დაუწყოს კირკიტი ყოველ ფრაზას, როგორც ეს ზოგიერთ არაკვალიფიციურ რედაქტორს სჩვევია. რედაქტორმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს, თუ როგორ მთარგმნელთან აქვს საქმე.

კარგ თარგმანს დახვეწილი რედაქტორის ხელი სჭირდება. კარგ რედაქტორს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს მთარგმნელს სანიმუშო წიგნის გამოცემაში.

ნათელა ლორთქიფანიძე (გამომცემლობა „ნაკადულის“ რედაქტორი): წლების მანძილზე მიღებული გამოცდილებიდან უნდა ვილაპარაკო აქ დასძულ კითხვებზე. პირველი კითხვა ასეთია: როგორ გვესმის თარგმნის სპეციფიკა. აუცილებელია თუ არა რედაქტორისათვის ორიგინალის ენის ცოდნა? რა თქმა უნდა, სასურველია, საჭიროც არის და ეს ოცნებად მიმაჩნია.

ყველა გამომცემლობაში და მათ შორის ჩვენთან მსოფლიო ხალხთა ლიტერატურის ნიმუშები გვაქვს და ვერ წარმომიდგენია ადამიანი, რამდენიმე ენას რომ ფლობდეს. რამდენი ხალხის ცხოვრება, რამდენი მწერლის შემოქმედება უნდა იცოდეს.

როცა რედაქციაში თარგმანი შემოდის, ვცდილობთ, მივცეთ იმ რედაქტორს, ვისაც შედარებით უკეთ ხელეწიფება მისი რედაქტირება.

რედაქტორმა უნდა მიუთითოს მთარგმნელს, თუ თვითონ ჩაასწოროს შეცდომები? თუ ორიგინალიდან გამომდინარეობს თავისებურება, უნდა მიუთითოს სტილისტურ შეცდომებზე. კარგი მთარგმნელი ჩანს ყველა თარგმანში. რედაქტორი მოვალეა

გაითვალისწინოს ავტორის და მთარგმნელის სტილისტური თავისებურებანი.

როგორია სწორების ფარგლები? რედაქტორი უნდა ცდილობდეს, რომ მთარგმნელმა თავად შეიტანოს ყველა ჩასწორება. როცა გამომცემლობაში შემოდის თარგმანი, ვცდილობთ დროზე გავცეთ პასუხი მთარგმნელს და დაიწეროს დასკვნა. როცა რედაქტორი დასკვნას წერს, იმასაც უთითებს. რამდენად მოერევა სარედაქციო სწორება ამ თარგმანს. სამწუხაროდ, ყოველთვის კარგი თარგმანი არ შემოდის, რადგან მოგვსენებათ, კარგი მთარგმნელები არც ისე ბევრი გვყავს. მარტო კარგ თარგმანზე რომ ავაგოთ მუშაობა, ჩვენი სარედაქციო პორტფელი დაცარიელდება. არ მახსოვს კარგი თარგმანი შემოსულიყოს და შეფერხებულიყოს. ზოგჯერ ძალიან დაინტერესებულები ვართ რომელიმე წიგნის გამოცემით, რადგან მოგვწონს ეს წიგნი, იგი კი თარგმნილია ისეთი ენიდან, რომელიც ბევრმა არ იცის, მაგრამ თარგმანი არ არის დამაკმაყოფილებელი. ასეთ შემთხვევაში რედაქტორის მუშაობა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე უნდა იყოს.

რაც შეეხება გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახლა რედაქტირებას, რა თქმა უნდა, ამ დროს შესწორებები ხდება, ისეთი, რაც აუცილებელია თანამედროვე თვალსაზრისით.

ჩემი აზრით, მთარგმნელი ვალდებულია, ზუსტად გადმოსცეს ორიგინალი, არც მეტი, არც ნაკლები. ყველა წიგნი ხომ მაღალმხატვრულად არ არის დაწერილი!

რედაქციაში იყო ასეთი შემთხვევა. ერთი უპრეტენზიო ავტორის სადად დაწერილი წიგნი შემოვიდა, ძალიან კარგად იყო თარგმნილი, მაგრამ ამდღეებულ სტილში, ხოლო როცა ორიგინალს გადავხედეთ, მას თარგმანის სტილი არ შეესატყვისებოდა, მე ასე თარგმნაც შეცდომად მიმაჩნია. ეს უკვე თარგმანი არ არის. მთარგმნელი ვალდებულია მწერალი წარმოადგინოს.

შ. სულაბერიძე: „ნაკადულმა“ გამოსცა „ტარტარენ ტარასკონელი“. წიგნის მეორე ნაწილი ნინო ანანიაშვილის ნათარგმნია. ანანიაშვილს ვიცნობთ და დიდ პატივს ვცემთ. ვიცით, როგორი კვალიფიკაციის და პათოსის მქონე ლიტერატორი იყო. დიდი განსხვავებაა მაჭავარიანის თარგმანსა და ანანიაშვილის თარგმანს შორის. ანანიაშვილი თარგმნის დიდი სიზუსტით, მიკროსკო-

პიულად არის ამოკითხული შინაარსი და არ არის საჭირო შედარება ტექსტთან, ორიგინალთან, მაშინ, როცა მაჭავარიანის თარგმანი იკითხება დიდი სუსხევეთ, პირდაპირ მოდის, მოლეღავს ფრაზები, ანანიაშვილის თარგმანში იგრძნობა სიმძიმე. სიზუსტის დაცვამ რალაცნაირად ავნო.


პაპაი ბრეგვაძე (გამომცემლობა „ნაკადულის“ რედაქტორი): ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“ „ნაკადულში“ გამოვიდა. მთარგმნელები არიან ივანე მაჭავარიანი და ნინო ანანიაშვილი. ამ ორი შესანიშნავი მთარგმნელის თარგმანი თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაჭავარიანმა, ვფიქრობ, მოძებნა დედნის შესატყვისი ენობრივი ფორმა, მისი თარგმანი მსუბუქია და ლაღი, ნ. ანანიაშვილისა კი — შედარებით მძიმე. ქალბატონმა ნინომ რედაქცია გაუკეთა მაჭავარიანის თარგმანს და რედაქტირებული თარგმანი თავისივე თარგმანს დაამსგავსა. გამომცემლობამ გადაწყვიტა ივანე მაჭავარიანის თარგმანი უცვლელად დაებეჭდა. ეს გადაწყვეტილება, ვფიქრობ, სწორია, ვინაიდან არ შეიძლება გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის რედაქტირება.

თარგმანი უნდა შეესატყვისებოდეს ორიგინალს აზრობრივად და სტილისტურად.

მთარგმნელმა ანგარიში უნდა გაუწიოს დღესდღეობით არსებულ პუნქტუაციას და ორთოგრაფიას, თუ ყველა მთარგმნელმა თვითნებობა გამოიჩინა, პირველ რიგში მკითხველს დავაბნევთ.

ზურაბ კიკნაძე: მინდა დავსვა ერთი საკითხი, რომელსაც არ ექცევა სათანადო ყურადღება.

რა განსხვავებაა თარგმნილსა და ორიგინალურ — არ ვგულისხმობ სათარგმნელ ტექსტს — ნაწარმოებს შორის? ამკარად არავის უთქვამს, მაგრამ ისეთი აზრია შექმნილი, თითქოს თარგმნილი ლიტერატურა სხვა იყოს, ორიგინალური სხვა და თითქოს მათ განსხვავებული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ. ჩემი ფიქრით, განსხვავება მხოლოდ ერთ რამეშია — შემოქმედებით პროცესში. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს პროცესი დასრულდება და ტექსტი მზად არის, იგი ენობრივი თვალსაზრისით არ უნდა განსხვავდებოდეს ორიგინალური მწერლობის ნიმუშებისაგან. როგორც კარგი თარგმანი, ისე ორიგინალური ტექსტი უნდა



აკმაყოფილებდეს ერთსა და იმავე მოთხოვნას: მათში მთელი სისავსით და გამომსახველობითი შესაძლებლობებით უნდა იყოს წარმოდგენილი ქართული ენა. ხშირად აკრიტიკებენ სუსტ თარგმანებს, უფრო მეტად, რა თქმა უნდა, ენობრივი თვალსაზრისით (თორემ სათარგმნელ ტექსტს არავინ დაუწყებს კრიტიკას), მაგრამ რატომღაც ამ კუთხით არავინ განიხილავს ორიგინალურ ნაწარმოებს. აქ მხოლოდ ერთი კრიტერიუმი ამოძრავებს კრიტიკოსს — იდეურ-მხატვრული სახე ნაწარმოებისა. ჩვენ კი ვიცით, რომ არა მხოლოდ ბევრი უვარგისი თარგმანი არსებობს, არამედ არსებობს ბევრი მდარე ენით დაწერილი ორიგინალური ნაწარმოები. რას ვხედავთ ჩვენს კრიტიკაში? თავს ესხმიან ცუდ თარგმანს, მაგრამ ღუმილით უვლიან გვერდს ენობრივად უბადრუკ ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც შეიძლება სუსტ თარგმანზე გაცილებით დაბლაც იდგეს.

აღბათ სწორედ იმის გამო, რომ ჩვენში ზემონახსენები აზრია გამეფებული, აქ ახსენეს გ. ლეონიძის „ნატურის ხე“ და დასვეს კითხვა, შეუძლია, აქვს თუ არა უფლება მთარგმნელს გამოიყენოს იმგვარი ლექსიკა, რომელიც თავისებურ კოლორიტს ანიჭებს ამ ენობრივად საოცარ ნაწარმოებს? მე ვიტყვი, არათუ შეუძლია, არამედ ვალდებულიც არის თავად გაჰყვეს მთარგმნელი ლეონიძის გზას და ქართული ხალხური ენის წიაღიდან წამოიღოს ენობრივი მასალა და ლიტერატურულ ფაქტად აქციოს. არსებობს ბევრი უცხოური ნაწარმოები, რომელთა თარგმნისას ეს ფაქტი აუცილებელია; ასე მოიქცნენ „დონ კიხოტის“, „ულენშპიგელის“ და სხვა მსგავს კოლორიტიან ნაწარმოებთა მთარგმნელები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაუტოლდება თარგმნილი ლიტერატურა ორიგინალურს. ჩვენში კი უფრო ხშირად სხვაგვარად ფიქრობენ, განსაკუთრებით ზოგიერთი რედაქტორი; მათი აზრი, ზოგჯერ არაცნობიერი, ასეთია: რაც ორიგინალისათვის დასაშვებია, თარგმანისთვის დაუშვებელია. ლათინური ანდაზის არ იყოს, რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს. რედაქტორი იტყვის: „მე ეს სიტყვა არ გამიგია“. მაგრამ იგივე რედაქტორი ამას ვერ ეტყოდა ლეონიძეს, თუმცა „ნატურის ხის“ ლექსიკა პირველად ამ წიგნიდან ექნებოდა გაგებული. საერთოდ, ამგვარი კრიტერიუმი საჩუქარი მუშაობისას — „მე ეს არ გამიგია“ — გაუგებრობაზეა დამყარებული. რედაქტორი, მართლაც, შეიძლება

დაეჭვებული იყოს ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის არსებობაში, მაგრამ რომელ ადამიანს, რედაქტორს თუხდაც მწერალს ან ენათმეცნიერს შეუძლია ძოცივას თავის „ენობრივ ცნობიერებაში“ ენის, შეიძლება ითქვას, ამოურწყავი მარაგი? მარაგი, რომელიც განაწილებულია ამ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდებში მათი განვითარების, წარმომავლობის და სხვა რამ პირობების მიხედვით? რაც ერთს არ გაუგია, სხვისთვის შეიძლება ბუნებრივი იყოს. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს რედაქტორმა, იგი უნდა ენდობოდეს მთარგმნელს ან მწერალს. მაშინ იქნება ის კარგი რედაქტორი. სხვაგვარად წარმოუდგენელია რედაქტორისა და მწერლის თანამშრომლობა.

თარგმნის უპირველესი მიზანია — უცხო ნაწარმოები გახდეს ლიტერატურული ფაქტი, თუმცა რაღაც ძაინც უცხოური დარჩება მასში. სული ექნება უცხოური, ეს თავისთავად მოხდება, მაგრამ იგი ქართული ნაწარმოები უნდა იყოს.

როგორი უნდა იყოს იდეალური რედაქტორი? უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა იყოს საუკეთესო ლიტერატორი, ფართო განათლებისა და ფართო გემოვნების ლიტერატორი. კიდევ უკეთესი, თუ რედაქტორი თავისი განათლებით და მხატვრული გემოვნებით აღემატება მთარგმნელს და თუნდაც ორიგინალურ მწერალს. ეს იდეალური შემთხვევა იქნება. თუ მთარგმნელი ხშირად ვალდებულია დაიოკოს საკუთარი, ინდივიდუალური სტილი და „გარდაისახოს“ სათარგმნელ მწერლად, ასევე რედაქტორსაც ევალება თარგმანის შეფასებისას და რედაქტორობისას იყოს უკიდურესად ობიექტური და არ მოახვიოს მთარგმნელს საკუთარი ინდივიდუალური გემოვნება. თუ მთარგმნელი თავისი გემოვნებისა და ინტერესების მიხედვით ირჩევს სათარგმნელ ავტორს ან რომელიმე ერის მწერლობას, ასევე რედაქტორსაც უნდა ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული ინტერესების სფერო. შეიძლება მან უცხო ენა არც იცოდეს, მაგრამ კარგად ერკვეოდეს მისთვის საინტერესო ეპოქასა თუ მწერლობაში. მხოლოდ ასეთი რედაქტორი გაუწევს ნამდვილ სამსახურს მთარგმნელს, მათ შორის გაუგებრობა გამორიცხული იქნება. რედაქტორთან ისეთი მწერლის თარგმანი უხდა ხვდებოდეს, რომელიც მის ინტერესთა სფეროშია მოქცეული. როგორც აქ გაირკვა, ჩვენს რედაქციებში ასეთი რამ არ ხდება. ეს სამწუხაროა.

დაისვა კითხვა: საჭიროა თუ არა გარდაცვლილი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირება? ამის თაობაზე ერთი რამ შეიძლება ითქვას: არსებობს თარგმანები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით ორიგინალური მწერლობის ტოლფასია. ასეთია მაჩაბლისეული შექსპირი. ჩემის ფიქრით, როგორც მე-19 ან ნებისმიერი საუკუნის ორიგინალური მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირებაა გაუმართლებელი, ასევე გაუმართლებელი უნდა იყოს, ეს კერძო შემთხვევა რომ ავიღოთ, მაჩაბლისეული შექსპირის შესწორება, თუნდაც მინიმალური დონით. თუ იგი მოქველდა, ხელახლა უნდა ითარგმნოს; ხოლო თუ შევეცდებით და რაიმეს შევცვლით მისეულ თარგმანებში, ამას ვერ მოვახერხებთ იმ ორგანულობის დაურღვევლად, რაც ყველა მაღალმხატვრულ თარგმანს (და ლიტერატურულ ნაწარმოებს ზოგადად) გააჩნია, რის თაობაზეც რევაზ თვარაძემ ილაპარაკა. შეიძლება მაჩაბელს ბევრი ხარვეზი და უნებლიე ლაფსუსი აღმოეჩინათ, მაგრამ ეს მისი ხარვეზები იქნება, როგორც შემოქმედისა, განპირობებული იმ გარემოთი და იმ ეპოქის კულტურული დონით, როცა მას უხდებოდა მოღვაწეობა. ყოველივე ამას, ბოლოს და ბოლოს, ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. დიდი შემოქმედის შეცდომაც ძვირფასია ზოგჯერ. თუ რედაქტორი—სპეციალისტი სკრუპულუზურად მიუდგა საქმეს, დამერწმუნეთ, სწორებებს ბოლო არ ექნება. მაჩაბელიც დაიკარგება და შრომაც ფუჭად ჩაივლის. მაჩაბლის თარგმანი მაჩაბლისადვე უნდა დარჩეს. თუ ახალი თარგმანი აუცილებელია, და, მე მგონი, აუცილებელიც არის, ხელახლა უნდა ითარგმნოს ის რვა ტრაგედია. მით უმეტეს, რომ ჩვენი ხანა ახლა სხვაგვარად უყურებს შექსპირს და ამ ახალმა თვალსაზრისმა არ შეიძლება განხორციელდეს არ პოვოს ახალ თარგმანებში.

ოთარ ზელიძე (კოლეგიის გამოცემათა რედაქციის გამგე): პარალელური ფორმები ყოველთვის ამდირებენ ლიტერატურას. არ უნდა შევიზღუდოთ. სცენაზე რომ გამოდის მსახიობი, თუ არ დელავს, ვერც მაყურებელს ააღელვებს. ფოლკნერიც დელავდა და ამიტომ ააღელვებს სხვებსაც. ი. კაშვინი ამბობდა, სახამ დელვაში არ შევდივარ, ვერ ვთარგმნიო. ეს წმიხდა შემოქმედებითი პროცესია, აქ პარალელურიც იჩენს თავს. ლაკონიზმის გულისათვის შე-

იძლება დიალექტის მოშველიებაც. ოსტატობის შემდეგ იწყება ხამღვილი შთაგონება. მაგრამ დილექტანტიზმი მეფობს რატომღაც. მწერლის და მთარგმნელის მოვალეობაა, ძირითადად ცოცხალ ენას არ დაუკარგოს თრთოლვა, ცოცხალ ენას შერჩეს თავისი სურნელება. პრინციპში თუ ეს მიზანი მიღწეული იქნება, მაშინ თარგმანი იმარჯვებს. თარგმანში არ უხდა დაიკარგოს ის სიცინცხალე და თავისთავადობა, რომელიც ამა თუ იმ მწერალს ახასიათებს.

ბაჩანა ბრეზვაძე (კოლეგიის „რუსთაველის ბიბლიოთეკის“ რედაქციის გამგე): ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით მართებულ ფორმად მიჩნეულია „თითოეული“ და არა „თვითეული“, მაშინ როდესაც ქართული ენის გახმარტებითი ლექსიკონი ორივე ამ პარალელურ ფორმას დასაშვებად მიიჩნევს. იქვე „თვითეული“ ილუსტრირებულია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თხზულებებიდან მოტანილი მაგალითებით. ჩემი აზრით, განმარტებითი ლექსიკონის პოზიცია უფრო მართებულია. რატომ უნდა ვაქვით უარი „თვითეულზე“? რატომ უნდა უკუვადოთ ყველასათვის გასაგები ფორმა? ასეთი რიგორიზმი ლექსიკურ ფორმათა უნიფიცირების საკითხში, ალბათ, უფრო მეტ ზიანს მოუტანს ქართულ ენას, ვიდრე სარგებლობას.

გივი შაჰნაზარი (კოლეგიის უფროსი მეცნ. რედაქტორი): ჩვენ აქ მთარგმნელები და რედაქტორები ვართ. ყველა ჩვენთაგანს ჩაუხედავს საკუთარ სულში და ისიც კარგად ვიცით, თუ როგორ მიმდინარეობს შემოქმედებითი პროცესი: რომელ წიგნს როგორ ვრედაქტორობთ. რას რა პრინციპით ვთარგმნით... ისიც ვიცით, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი ლიტერატურას ვერასოდეს შექმნის! მაგრამ გამსახურდიას სტილი და ენა თუკი მ. ჯავახიშვილის სტილსა და ენას განსხვავება (და ამავე დროს ერთიცა და მეორეც უაღრესად ქართულია, ჩვენი სისხლხორცეული), აბა, რას ეძგვანებოდა ერთი მთარგმნელის თარგმნილი ეს ორი მწერალი, თუ მთარგმნელი ერთს თავისას არ მიაგებდა და მეორეს კიდევ მისთვის დამახასიათებელსა და მისეულს?.. კარგი თარგმანი მაღალი ორიგინალური ლიტერატურის დონეზე უნდა იდგეს, „თავისუფლად“ უნდა იკითხებოდეს... შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ თარგმნისას რაც უფრო „თავისუფლად სუნთქავ“, ხშირად

მწერალთან დაახლოებას მით უფრო უკეთ ახერხებ.

უზანო რიჟინაშვილი (კოლეგიის ინფორმაციის რედაქციის გამგე): ერთ საკითხზე მინდა შევჩერდე, რადგანაც მას პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებ. წინასიტყვაობა და კომენტარი აუცილებლად უნდა ახლდეს კარგ თარგმანს, შეიძლება ეს აპარატურა არ გააჩნდეს ორიგინალს, თარგმანს კი აუცილებლივ უნდა ჰქონდეს. ვინ უნდა გააკეთოს ეს? რაღა თქმა უნდა, ეს მთარგმნელის ფუნქციაა. იმიტომ რომ, იგი მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებითს თარგმანს კი არ ასრულებს, არამედ ანალიტიკური, წმინდა მეცნიერული სამუშაოს შემსრულებელიცაა და ეს თავისებურება უეჭველად უხდა აისახოს გამოცემულ წიგნში. მე მაინტერესებს თვით შემოქმედებითი პროცესი. ეს პრინციპული საკითხია. როდესაც მთარგმნელი არჩევს სათარგმნ ლიტერატურას, ის უპირატესობას ანიჭებს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მისი პირადი ინდივიდუალობისათვის არის მნიშვნელოვანი. მთარგმნელმა უნდა გაამართლოს ეს არჩევანი. უნდა დაგვანახოს როგორ აღიქვა ეს ეპოქა და რა ადგილი უჭირავს ამ ნაწარმოებს ეპოქის მთლიანობაში — თუ ეს არ ხდება, მკითხველი ვერ მიიღებს სრულყოფილ ტექსტს.

საკმარისი როდია, მთარგმნელმა მხოლოდ რეალიები ახსნას ან გეოგრაფიული დასახელებები განმარტოს. შეუძლია ეს ან გააკეთოს, ან არა, მაგრამ კომენტარი და წინასიტყვაობა წარმოადგენს ორიგინალის მთარგმნელისეულ ინტერპრეტაციას. ან გავებას იმ მხატვრული ინტერპრეტაციისა, რომელიც მან თარგმანის მეშვეობით მოგვაწოდა. არასოდეს არ უნდა ჰგავდეს ერთმანეთს ორიგინალისა და თარგმანის წინასიტყვაობა. წინასიტყვაობაში უნდა ჩანდეს მთარგმნელის პოზიცია: რამ აიძულა მთარგმნელი მოეკიდა ხელი ამ ნაწარმოებისათვის? როგორ ესმის და აღიქვამს იგი იმ ეპოქას, რომელშიც ეს ნაწარმოები შეიქმნა? კომენტარი უნდა იყოს სუბიექტური, ის მთარგმნელის პოზიციასა და მიდგომას უნდა გამოხატავდეს. ერთი და იმავე ნაწარმოების მრავალგვარი ინტერპრეტაცია არსებობს; ეს აუცილებელია. მთარგმნელმა თავისი პოზიცია მრავალმხრივ უნდა გამოამყდავნოს ტექსტის წინასიტყვაობაში და კომენტატორის დონეზე; ეს უფლება მან უნდა მოიპოვოს, და ამის უფლება კი მაშინ ექნება,

თუ იგი შემოქმედებითს და ანალიტიკურ მუშაობას ეწევა. ამის საშუალებას კი ხშირად არ ვაძლევთ.

თარგმანს სჭირდება ანოტაცია. მასში უნდა იყოს აღნიშნული, ეს ნაწარმოები ორიგინალის ენიდანაა თარგმნილი თუ თარგმანის თარგმანს წარმოადგენს. ამ მეცნიერულ აპარატში შემოქმედებითი ელემენტი უნდა შემოვიტანოთ, რადგანაც იგი მთარგმნელის შემოქმედების გარკვეულ ნაწილს შეადგენს. რა გამოდის: მთარგმნელი ეწევა უზარმაზარ შემოქმედებითს და მეცნიერულ სამუშაოს მოსამზადებელ პერიოდში, მკითხველისათვის კი იგი ფაქტიურად დაკარგულია.

მე მხარს ვუჭერ ბაჩანა ბრეგვაძეს, როცა იგი ითხოვს თაბახებს წინასიტყვაობის ხარჯზე და ამით მკითხველს აცნობს თავის შემოქმედებითს ლაბორატორიას, უადვილებს ეპოქის, მწერლის აღქმას. ეს მნიშვნელოვანი ლაბორატორია მკითხველს არ უნდა დავუკარგოთ, თუ საქმე ეხება ნამდვილ ლიტერატურას და ხამდვილ თარგმანს. მე არ ვგულისხმობ იმ ლიტერატურას, რომელსაც გეგმის შესრულებისთვის ვუშვებთ ნაკადურად, იმას, რასაც არ სჭირდება არავითარი კომენტარი. ყველამ ვიცით, რომ ამ თარგმანებს არც ესთეტიკური, არც ეთიკური ღირებულება არ გააჩნია.

უნდა იცოდეს თუ არა რედაქტორმა ორიგინალის ენა? თითქოს პარადოქსია, მაგრამ რედაქტორს ენის ცოდნა ხშირად ვნებს, იგი ხშირად სიზუსტეს მოითხოვს, რომელიც არ არის ესთეტიკური სიზუსტე, ცოდნას ხმარობენ იხდულგენციასათვის: რადგან ენა ვიცი, სხვა არაფერი მომეთხოვებაო. ეს მაგნე მოვლენაა, ამიტომ, ვფიქრობ, რედაქტორი უნდა მიუდგეს ნაწარმოებს თავისი ენის პოზიციიდან და არ უნდა გამოეკიდოს ტექსტის ბუკვალისტურ გადმოტანას. სპეცრედაქტორმა, რომელსაც არა აქვს პრეტენზია გაასწოროს თარგმანი, შეუძლია დაამტკიცოს თავისი უფლება ამ ტექსტის გაგებისა იმით კი არა, რომ რაღაც შეცვალოს, თავისი სისტემა და პრინციპები შესთავაზოს მთარგმნელს, მას მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება უნდა ჰქონდეს: მრჩევლის როლში გამოდიოდეს.

ენის ცოდნა თუ არცოდნა არ არის გადამწყვეტი. ერთუღირებული, დახვეწილი გემოვნების მქონე რედაქტორი ცოტაა, ენის მცოდნენი კი ბევრნი არიან.

ნონა კალანდარიშვილი (გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი):

კარგი წიგნი არასოდეს არ გამოდის უკომენტაროდ, უწინასიტყვაობოდ, მაგრამ ყველა წიგნზე ამის გაკეთება შეუძლებელია. ჩვენთვის კარგია ფინანსური თვალსაზრისით წინასიტყვაობის და კომენტარის დართვა, მაგრამ ყველა წიგნს ეს არ შეეფერება. უნდა იყოს მაღალი დონის მწერალი და წიგნი (ცხადია, ასეთ წიგნს კარგი მთარგმნელ-კომენტატორიც სჭირდება!)

რა მოცულობის უნდა იყოს წინასიტყვაობა და კომენტარი? წინასიტყვაობა შეიძლება ვრცელიც იყოს. მთარგმნელი არ არის შეზღუდული.

თქვენ, ალბათ, იცით, რომ 1978 წლიდან რესპუბლიკის გამომცემლობები უდოტაციოდ იმუშავენ და უნდა გამოდიოდეს აუცილებლად ისეთი წიგნი, როგორიც სჭირდება ქართველ მკითხველს და ურომლისოდაც იგი ვერ გაძლებს.

ოთარ ნოდია: გასაგებია ის სიძნელებები, რაც თან ახლავს რედაქტორის მუშაობას. გასაგებია ისიც, რომ არსებობს გარკვეული კანონები. „გამსახკომს“ მუშაობას თავისი დადგენილი წესი და პრაქტიკა აქვს, ჩვენც უნდა ვეცადოთ პროგრესის გზით წავიყვანოთ ჩვენი საქმე. ამისათვის ზოგჯერ საჭიროა დავარდვიოთ ჩვეული პრაქტიკის ჩარჩოები არსებული კანონების ფარგლებში.

მეც, როგორც ერთ-ერთი მონაწილე, მოგახსენებთ ჩემს აზრს აქ დასმულ საკითხებზე.

აქ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს რედაქტორი, ითქვანის ცოდნაზე, სპეცრედაქტორას საჭიროებაზე და სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე.

რედაქტორის მიერ ენის ცოდნას მაშინ აქვს ფასი, როცა ის ნამდვილად რედაქტორია, გარკვეული პიროვნებაა და შეუძლია წიგნის რედაქტირება. სარედაქციო საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა რედაქტორის მორალურ-ეთიკურ მხარესაც აქვს. როგორც მწერალი და მთარგმნელი ვლინდება თავის შემოქმედებაში, ასევე რედაქტორი ვლინდება თავის მუშაობაში. მისი პიროვნული დონე, სტილი, მთელი არსი აქ იჩენს თავს. აქ მეღაწენდება კავშირი რეალურსა და იდეალურს შორის. თუ იდეალისკენ არ ვისწრაფვით, მაშინ რა გამოგვივა? გამოდის, რომ ყველაფერი დავტოვოთ ისე, როგორც არის, ამას კი არ შეიძლება შევუპირებოდეთ. არ შეიძლება საკითხის გაუბრალოება — აქ

დასმული კითხვები მთელი სიგრილე-სიგანიოთ ეხება მხატვრული თარგმანის და რედაქტირების პრობლემებს. ჩვენ თითქმის ყველამ ვიცით, რომ რედაქტორი კარგი ადამიანი უნდა იყოს, პიროვნება უხდა იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სინამდვილეში ხშირად ფორმალურად ვიფარგლებით მწერლური და რედაქტორული სფეროთი და არ ვითვალისწინებთ, რომ რედაქტორის პიროვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მძიმის დასასმელად რედაქტორი რომ მთელ გვერდზე ჩამოუსვამს ხაზს, ამაში, რა თქმა უნდა, რედაქტორის ხასიათი, მისი პიროვნება ჩანს. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა რედაქტორი „ვერ ზომავს“ თავისი „სიტყვის ძალას“, შეაკრთობს ავტორს, ლამისაა „გაჭყლიტოს“ კიდევ იგი. რედაქტორს სახელმწიფო გამომცემლობითა აქვს ზურგი მაგარი და მისი საპირისპირო, თუნდაც მცდარი აზრი გამოუცდელი ავტორისათვის კანონის ძალას იძენს. რედაქტორი უნდა იყოს ფაქიზი, დელიკატური და ამავე დროს პრინციპული. ყველა თავის უბანზე უნდა აკეთებდეს იმას, რაც ევალება. უნდა ჰქონდეს სულში ის ცეცხლი, რაც აიძულებს რაღაცას არ დაეთანხმოს, რაღაც მნიშვნელოვანი საკითხი თვითონვე დააყენოს. ძნელი დასაჯერებელია, რომ არსებობდეს ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც რედაქტორი მიმართავს კონკრეტულ საქმეზე, ეს დაუშვებელია, ამის გაკეთება არ შეიძლება, და მან, ხელმძღვანელმა, ანგარიში არ გაუწიოს რედაქტორის, რა თქმა უნდა, დასაბუთებულ მოსაზრებებს.

ადამიანს არ უნდა ეშინოდეს, ეს მისი ღირსების, პასუხისმგებლობის საქმეა — თუ არ შეუძლია გარკვეული ნაწარმოების რედაქტირება, არ უნდა დათანხმდეს, არ უნდა მოინდომოს და არც გამომცემლობამ უნდა დააძალოს, იყავი რედაქტორიო.

ზოგჯერ რედაქტორული მუშაობა სცილდება რედაქტორობის საზღვრებს. ეს არ უნდა ხდებოდეს. რედაქტორული „ჩარევა“ და სწორება, როგორც ცნობილია, ვერ შეველის სუსტ თარგმანს, რომ არაფერი ვთქვათ რედაქტორის იხტერესებზე, მის მიერ ზედმეტად დახარჯულ შრომაზე; რედაქტორი მაშინაა საჭირო, როცა თარგმანი „კონოიციამოეა“ მიყვანილი. ეს კი მომავალში ბევრად იქნება დამოკიდებული კოლეგიის მიერ თარგმანების რეცენზირების პრაქტიკაზე. კოლეგიის თანამშრომლები ცდილობენ კეთილსინდისიერად და მაღალ დონეზე შეასრულონ ეს საქმე; არ დაუშვან

არც ერთი ფაქტი კომპრომისისა ხარისხის საკითხში. ამასთანავე მათი პოზიცია სარეცენზიო ნაწარმოებისადმი არის თავისთავად მეტად კეთილმოსურნე, ობიექტური და კორექტული.

მეტად საინტერესო საკითხი დააყენეს „მრგვალი მაგიდის“ მოხაწილეებმა იმის თაობაზე, რომ რედაქტორს ჰქონდეს საშუალება ნაწარმოების გაცნობისა და თარგმნელთან მუშაობისა; ამისთვის ორი კვირა მაინც უნდა ეძლეოდეს. ეს საკითხი შესწავლას და მოგვარებას მოითხოვს. შესაძლებელია საკითხის გადაწყვეტა ისე, რომ რედაქტორის შრომა გახდეს უფრო პროდუქტიული. დრო, გამოყოფილი რედაქტირებისათვის, მოხმარდეს დავალების შესრულებას და არა სხვა საქმეს.

ჩვენს შეკრებაზე არავითარი ქარაგმები არ გამოთქმულა, არავითარი წყენა არ მოგვსვლია. საქმიანი, კარგი საუბარი გვექონდა. რედაქტორი კი თვითონ უნდა გახდეს ცენტრალური ფიგურა; თუ ყველა თავის მოვალეობას კარგად შეასრულებს, საქმეც განუზომლად მოიგებს.

რედაქტორი არ უნდა იდგეს კორექტორის დონეზე. ასეთი რამ კი ხშირად ხდება. ცხადია, უკეთესია, კორექტორი იყოს რედაქტორის დონეზე.

კოლეგიაში ჩამოყალიბებულია რედაქტორთა საბჭო. საბჭო მოწოდებულია დახმა-


რება გაგიწიოთ თქვენ და ეს მუშაობა უნდა წარიმართოს ნდობის საფუძველზე. აქ დააყენეს ნდობისა და ამბიციის საკითხი. ამბიცია უნდა მოვიცილოთ, ნდობა კი აუცილებელია საერთო საქმის გასაკეთებლად. ამ საბჭოს შეუქმლია სარგებლობის ქოტანა, თუ გამომცემლობის ხელმძღვანელები მოინდომებენ მის მუშაობაში მონაწილეობას, ხელს შეუწყობენ მის მოღვაწეობას. თუ არ მოინდომებენ და, ვერც საბჭო შეძლებს მუშაობას.

მთარგმნელთა დასახმარებლად განზრახული გვაქვს რიგი ღონისძიებების ჩატარება, სპეციალური ლიტერატურის შომზადება და გამოცემა. ასევე კოლეგია ეცდება შესაბამის დაწესებულებებთან ერთად ხელი შეუწყოს სხვადასხვა სახის ლექსიკონის შომზადებას და გამოცემას.

კ. კორინთელმა დააყენა საკითხი ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა რუსული თარგმანების შესაფასებლად კომისიის შექმნის თაობაზე. კოლეგიას ეს საქმე დიდი ხანია დაწყებული აქვს. ამჟამად მთავრდება რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიის შედგენა, რის შემდეგაც მოხდება ამ თარგმანების რეცენზირება-შეფასება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც დაესწრო ჩვენს „მრგვალ მაგიდას“ და მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში.





ჯარჯი ფხოველი

„ხელისგულისოდენა მოთხრობები“

მეოცე საუკუნის იაპონია დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების შეხვედრისა და შერწყმის გზაჯვარედინად იქცა. ამ დიდი და უძველესი ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანამ ბევრი რამ მიიღო დასავლური ლიტერატურების (განსაკუთრებით პროზის) მიღწევებიდან, გადახარშა, გაითავისა ისე, რომ თავისი სახე არ დაუკარგავს. პირიქით: იაპონური ლიტერატურის ყოველ სიახლეს ღრმად ეროვნული იერი და ფერი დაჰკრავს. იგი სხვა ენათა და ერთა ქაოსში არ აგვერევა. ეს ნაციონალური გამორჩეულობა და განსხვავებულობა სწორედ სანიშნო კავაბატას შემოქმედებაში. ამ ნიშნით მიანიჭეს მას ნობელის პრემია 1968 წელს — „ოსტატობისათვის, რითაც კავაბატა გამოხატავს იაპონური ცხოვრებისა და აზროვნების ხატს“. სწორედ ესაა საერთო ნიშანი, რაც აერთიანებს თანამედროვე იაპონიის ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილ სხვა მწერლებსაც: კობო აბეს, კენძაბურო ოეს, მისიმას, ტამიკო ჰარას, ენდოს და სხვებს, რომელთა თითო-ორი ნაწარმოებიც უკვე ითარგმნა რუსეთში. ჩვენ კი თანამედროვე იაპონელი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანებით განებივრებულნი როდი ვართ, მაგრამ გამონაკლისი შემთხვევები მაინცაა ხოლმე და აი, სასიამოვნო გამონაკლისიც: „იასუნარი კავაბატა. ხელისგულისოდენა მოთხრობები“. 1977 წელი. გამომცემლობა „ნაკადული“. მთარგმნელი იზა გოცაძე“. მკითხველს თავიდანვე ვაუწყებ, რომ თარგმანი რუსულიდანაა შესრულებული, მაგრამ მთარგმნელის თავგამოდებას თავისი უქნია და ხელთ გვაქვს რიგიანად თარგმნილი წიგნი იაპონური მოთხრობებისა. ეს მოთხრობები ჩვენს თვალსა და სმენას თითქოს სულის იმ დაფარული მხრისაკენ ახედებენ. რომლის ჰვრეტა და აღქმა, როგორც ჩანს, იაპონური ყოფიერების ყოველდღიურობის ნაწილია, იქაური ქცევისა და აზროვნების ნიშანია. ამ მცირე ფორმის მოთხრობებში ილანდება ძენ-ბუდიზმის ესთეტიკის ანარქიკი. ესთეტიკისა, რომლის იდუმალი კანონების გავლენითაც შეიქმნა იაპონური

პოეზიის მშვენიერი ფორმები — ხოკუ და ტანკა...

წიგნში დასტამბულია შვიდი მცირე მოთხრობა და ორი ნოველა. თითქმის ყველა მოთხრობას ახლავს ოსტატის ხელით შექმნილი შუქ-ჩრდილოვანი ფონი. ამ შუქ-ჩრდილოვანი რელიეფის მოძრაობა ხან აძლიერებს ამპის შთამბეჭდაობას, ხან კი სულ ქრება და მკითხველი თხრობის ამარა რჩება... და კვლავ მოულოდნელად გაილანდება ეს მეორე საწიერი, გაცნაურდება შუქ-ჩრდილთა თამაში და თხრობაც უფრო ძალმოსილი და პოეტური ხოიბა...

აი, დედაბერს თავისი ქალიშვილი დიდ ქალაქში მიჰყავს საროსკიპო სახლში მისაბარებლად. „მთაში მიმავალი გზა ოღრო-ჩოღრო იყო. გოგონა მძლოლის უკან იჯდა და პირდაპირ უყურებდა მის სწორსა და ფართო მხრებს, ნაშუადღევის მზით განათებულ მხრებს, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ რომ იხრებოდა ციცაბო მოსახიევებში. ყვითელ კიტელში ამოზნექილი ზურგი ისე ფართო ეჩვენებოდა. როგორც მოელი სამყარო. და ეგონა, თითქოს ეს მხრები მიარღვევო დახვეული გზის ორსავე მხარეს გადმოკიდებულ მთებს“. „არიგატო! არიგატო!“ — ისმის თავაზიანი მძლოლის შეძახილი, როცა შემხვედრი მანქანა გადაუხივს თა ჩამოეცლება. სწორედ ამ გზაზე ისახება პატარა და ნაღვლიანი ისტორია, დედაბრის ამ სიტყვებით რომ მთავრდება: „მოძისმინეთ, — მიმართა მან მძლოლს, — ჩემი გოგო თქვენზე ამბობს, შემეყვარდაო. არაფერია გასაკვირი!.. აბა, რა მოეთხოვება საბრალო სოფელს გოგოს! ძალიან გთხოვ... თეხაში გიგებით.. ხელონდელ დღიდან ათასი ხვადაგისა და მამაძალოს სასიერო გახდება“... მეორე დღეს კი სამივენი: მძლოლი, დედაბერი და გოგო მგზავრებთან ერთად კვლავ სოფელში ბრუნდებიან. „დაე, ცოტა ხანს იყოს შინ, ვიდრე დათბებოდეს, მერე კი, გინდა არ გინდა, სხვა გზა არ არის“. — ამბობს დედაბერი და ყველაფერი ნათელია: გოგონას ბედის ვარსკვლავი დროებით უღიმის... ამას ხაზს უსვამს მოთხრობის ფინალიც: „წლეულს მთაში მშვენიერი შემოდგომა იდგა და

ხურმის მოსავალიც დიდებული მოვიდა“...

აი, კიდევ ურიუ-სანის ცხოვრების არა-ჩვეულებრივი ამბავი: ეს ულამაზესი მამრი ქალად „გადაიქცევა“ ჯარში გაწვევისაგან თავის არიდების მიზნით და მოხეტიალე დასში ქალთა როლებს ასრულებს... „ქალად ვიქცი, — წაიბურტყუნა ურიუმ, — კაცი მომოსუკე გაჰქრა და“... „ურიუმ ქალიშვილივით მჭიდროდ შეატყუბა მუხლები, წარბები კუშტად შეჰკრა. შავი თვალები შემომანათა და დაუმატა: — მეც ძალიან მომინდა დავბრუნებოდი ბუნებრიობას და ბუნებას. ამიტომაც წამოვედი დასიდან და მარტო ვცხოვრობ... ომის დამთავრების შემდეგ ის დასი, სადაც მსახიობ ქალად ვიყავი. დაიშალა. მამაკაცის სახე კი დავიბრუნე, მაგრამ ისევ ქალთა როლებს ვასრულებ...“

წიგნში დასტამბულ მოთხრობათაგან, ჩემი აზრით, ყველაზე საუკეთესოა „ბამბუკის ხმა, ატმის ყვავილი“.

„ეს როდიდანაა, ბამბუკის ხმა და ატმის ყვავილი რომ შეიგრძნო მან თავისთავში? ახლა უკვე მარტო ესმოდა ბამბუკის ხმა — უმზერდა კიდევ ამ ხმას, და ატმის ყვავილსაც შორიდან აღარ ესიყვარულებოდა — თავად მასში ახმინებულყო ატმის ყვავილი“.

ასე იწყება ეს მშვენიერი მოთხრობა. ამ მოულოდნელი დასაწყისით გაიბა ძაფი კიდევ მოულოდნელ და მისტიურ ამბავთან, ბოლომდე რომ გასდევს მოთხრობას... ხისაო მიაკავამ „შარშანდელ გაზაფხულს იხილა თავისი სახლის მახლობლად ბორცვზე მდგარ ფიჭვის ხეზე შემომჯდარი შევარდენი და ეჩვენება, თითქოს ახლაც ხედავდეს მას...“

„დაბალი მთაგრეხილი ზედ მიაკავას სახლს უკან მთავრდება ამალღებული ბორცვით, ისე, როგორც სინათლეზე ჩამონადგენთი წვეთი შემძივდება ხოლმე ბოლოში. ბორცვისძირა ტყვისფერი კლდეები სულერთიანად ტროპიკულ გვიმრნარს და უფარავს. ფერდობზე ერთი მალალი ხეც არა დგას. ისეა იქაურობა გაუალტამებული, კაცს ფეროობი კი არა. მუქ-მწვანე თეჯირი ეგონება მხოლოდ მწვერვალზე ზეობს გოლიათი, ხმელი ფიჭვის ხე. მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ეს მარტოხელა გოლიათი გახმა. სულერთიანად დასცვივდა წიწვები, ჩამოეშალა წვრილ-წვრილი ტოტებიც და დარჩა მარტოდენ აჩხვერილი ზრო, რამდენიმე მომსხო ტოტითურთ. იმ ტოტებსაც ჩამოსტყდათ ბოლოები. ახლა დგას ისე, თითქოს შერჭვიანო ზეცას“...

ეს ვრცელი ციტატა იმის დასტურად მოვიტანე, რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს, თუ რა გულმოდგინებით შესლოგომია მთარგმნელი ამ მოთხრობის გადმოქართულებას, რა მშვენიერად გადმოუღია ეს ფერწერული პეიზაჟი და რა კარგად აქლერებულა ქართულ ენაზე ეს „თავიდან ბოლომდე“ იაპონური მოთხრობა.

სწორედ იმ გამხმარ ფიჭვზე დაინახა მიაკავამ შევარდენი. „ეს ამბავი რაღაც სასწაული ეგონა, მაგრამ შევარდენი მართლა იჯდა ხის წვეროზე. მამაცი, ძალოვანი ფრინველი... იგი უძრავად იჯდა, ამაყად წამოეჩინა გულბოყვი. მიაკავა ტკბებოდა მისი მზერით და გრძნობდა, როგორ ეღვრებოდა ტანში შევარდენის ძალოვნება“.

მიაკავამ ირწმუნა, რომ შევარდენის მოფრენა კეთილის მომასწავებელი ნიშანი იყო. ამაყი ფრინველის ხილვამ კვლავ სიცოცხლის ძალმოსილებით აღავსო მისი ბებერი სხეული. თანაც შევარდენი ხომ იმ ფიჭვის ხეზე იჯდა, მიაკავას მთელ სახლელულს ოჯახის მფარველ ღვთაებად, კერძის ანგელოზად რომ მიაჩნდა. შევარდენის ხილვამ მიაკავას გაახსენა ფიჭვის ხის მთელი ცხოვრება, მისი სიბერე და გახმობის ამბავი. ეს ცხოვრება მიაკავასიც იყო, რადგან „დიდხანია, რაც ბორცვზე ახევებული ფიჭვის ხე შეიგრძნო თავისთავში“. და ყველაფერი — შევარდენის ხილვა და ფიჭვის ხის გახმობის ამბავი მოხუცის ცნობიერებაში გადაინასკვა როგორც იღუმალი რამ, ტაბუთადებული და გაუმხელელი. ამიტომაც „გულში მტკიცედ ამოიჭრა, არავისთვის არაფერი ეთქვა“...

ზოგ მოთხრობაში (მაგალითად: „კაცი, რომელიც არ იცინის“, „კამელია“...) სტილისტურად დაუხვეწავი ადგილებიც გვხვდება (მაგ.: „შესახვევს გაუყყვეთ. საწვრილმანო ფარდულები უკვე დაეკეტათ“... „ყველა გავაფრთხილეთ, ვიდრე ხელებს არ გაიპრიალეებდნენ, ნიღბებს არ მიკარებოდნენ“... „ზედ მედიდურად იჯდა უშვილებელი ფრინველი“...). ხსენებულ მოთხრობებს, ჩემი აზრით, მთარგმნელი ხელახლა უნდა მიუბრუნდეს, დაამუშაოს და დახვეწოს...

მაგრამ ამ პატარა წიგნის ნაკლი უმნიშვნელოა და სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ მთარგმნელმა შესძლო ქართველი მკითხველისათვის ეჩვენებინა ანარეკლი იმ „ოსტატობისა, რითაც კავაბატა გადმოსცემს იაპონური ცხოვრებისა და აზროვნების ხატს“.

როჟე ბუსინო

უფროსის ცხვირი

ერთ-ერთი ამბავი, რომელსაც ხშირად ყვებოდა ცნობილი კლოუნი რუმი.

ი, რა მიაგზო რუმმა ერთ შობა ღამეს ხეივანში სეირნობისას. რუმს მეტად უცნაური ჩვევა ჰქონდა, მუდამ ცდილობდა თანამოსაუბრეებში რაიმე სასაცილო დაენახა. ცირკის არენაზე გაწაფული და სახელმწიფო რუმი ყოველივე ამას ისე ზუსტად აღხუსხავდა, როგორც ბარომეტრი ამინდის უმნიშვნელო ცვლებადობას.

ეს ამბავი შეემთხვა სან-ფრანცისკოს „საერთაშორისო ბანკის“ ერთ საწყალ თანამშრომელს, შობის წინა დღეს, 24 დეკემბერს.

ჯონ ბრაუნი ორმოცი წელი მუშაობდა ამ ბანკში და, როგორც ამერიკელები ამბობენ, არავისი ვალი არ ემართა, ცხოვრების გზა თვითონ გაიკაფა. მეწადის სახელოსნოში დაბადებული ბრაუნი მუდამ ემადლიერებოდა საკუთარ აღდგომს, რომლის წყალობითაც სძლევდა სოციალური კიბის საფეხურებს. 1908 წელს იგი ხელზე მოსამსახურე იყო, მერე შიკრიკი გახდა, ცოტა ხნის შემდეგ — კანცელარიის მსახური, დაბოლოს, ორმოცდაათი წლის ჯონ ბრაუნმა, უფროსი შიკრიკის ძალად თანამდებობასაც მიაღწია; ეს თახამდება მას თვით უფროსმა უბოძა.

ხშირად ეუბნებოდა ჯონ ბრაუნი თავის ცოლ-შვილს, მოლისა და ჰერბერტს, რომ ყველა ამერიკელს ძალუძს მიაღწიოს ჯონ სმიტ ბრაუნისნაირ წარმატებებს, თუკი წესებსა და კანონებს კეთილსინდისიერად დაცავსო. მოლი თვინიერად უქნევდა თავს, ვინაიდან თავადაც იცავდა ყოველგვარ წესებს. ჰერბერტი კი უაზროდ ცმუტავდა და აინუნშიაც არ აგდებდა მშობლის დარიგებას. ისედაც ვინ მოსთვლის რამდენი უსიამოვნება შემთხვევია ბრაუნს შვილის წყალობით. მისტერ ბრაუნი ხშირად საკუთარ ბავშვობასაც იხსენებდა, ნუთუ ასეთი მოუსვენარი ვიყავიო? და მუდამ არიგებდა ჰერბერტს: „შვილო, შენი ხნისა, უკვე სახელოსნოში ვიჯექი და დილიდან საღამომდე ტყავის ნაჭრებს ვახარისხებდიო“.

ზოგჯერ მისტერ ბრაუნი უთვალთვა-

ლებდა კიდეც ვაჟიშვილს. ჰერბერტი იჯდა და თავისთვის ყვებოდა რაღაც საოცარ ზღაპრებს. თვალეები ეშმაკურად უკიაფებდა. როგორც კი მოჰკრავდა თვალს მამას, მაშინვე შესწყვეტდა ოცხებას. ბრაუნს ძალზე აწუხებდა შვილის ამგვარი საქციელი. უფრო მეტიც, შვილზე დარდმა და ფიქრმა გადაიყოლა, თავზარდამცემმა შიშმა შეიპყრო იგი, საოცრად ძხვალი გახდა. და ახლა, როცა უფროსმა კაბინეტში მიიხმო და თავისი სურვილი გაუძხილა, ბრაუნი გაასკეცებით შეეცადა, როგორმე დაეფარა თავისი შიში.

მისტერ ბრაუნმა ბანკის ბუფეტში თვალის დახამხამებაში გადასანსლა სენდვიჩი და ერთი ჭიქა რძე. მთელი ორმოცი წლის მანძილზე ასე საუზმობდა იგი. საუზმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, გადათვალა თორმეტი ნაბიჯი ლიფტამდე, ორ-ნახევარი ლიფტში შესვლისას, კიდეც ორ-ნახევარი—ლიფტიდან გამოსვლისას და ოთხი ნაბიჯი—უფროსის კაბინეტის კარამდე.

აი, უფროსმაც დარეკა ხარი, შემოვიდესო.

— ჯონ, — უთხრა მან თავაუღებლად (ორმოცი წელი იყო, რაც ბრაუნი ამ ბანკში მსახურობდა და მეტად სიამოვნებდა, როცა უფროსი უბრალოდ, სახელით მიძართავდა), — რას აპირებთ ამ საღამოს, ჯონ?

მისტერ ბრაუნს მოულოდნელობისგან სუნთქვა შეეკრა.

— ჰა, თქვენ გეკითხებით, რას აპირებთ-მეთქი ამ საღამოს? — უკვე თავი ასწია უფროსმა.

შავი დღე აღგა უფროსთან მოსაუბრეს. როგორმე თვალი უნდა აერიდებინა მისი ცხვირისთვის, თუ გაჭირდებოდა, ისევ მოტვლებილ თავზე ანდა ქონიან, დაკეცილ დაბაბზე ჯობდა შეხედვა. ოჰ ეს ცხვირი, წარმოუდგენელი სიმახინჯე, მუდამ აბნევდა ჯონ ბრაუნს. საკმარისი იყო თვალი ძოეკრა ამ ცხვირისთვის, რომ მერე ვერა და ვერ მოსწყვეტდა მზერას. ბრაუნი ორი წელი გაუბრუნდა ამ საფრთხეს, მაგრამ დღეს თვით უფროსმა გააბა მახეში.

„საერთაშორისო ბანკის“ რომელიმე თანამშრომელი, თუ ვინცობაა, თვალს შეაფლავდა უფროსის ცხვირს, თუნდაც უეხლიეთ, დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ სამსახურს უნდა გამოთხოვებოდა.

მსგავსი ცხვირი ალბათ ისტორიას არ ემახსოვრება. იგი მთელ სახეს მოიცავდა: ორივე ლოყას გადაფარებული, მოკაუჭებული, ღრმულეებიანი და ფერიმჭამელებით სავსე. დაბალი შუბლის ქვემოდან კი ბრწყინავდნენ ქინძისთავისოდენა თვალეები. პირი და ცხვირის ნესტოები სამ უზარმაზარ ორმოს წააგავდა. ცხვირის ფერი ხომ მთლად სასწაული იყო, ალბათ, დაუდგენელიც: არც ლილისფერი, არც წითელი, არც ლურჯი — ამ სამი ფერის შეზავება. ბანკის უფროსის, მსოფლიოში ამ ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის ცხვირის ფორმაში, ღმერთო შეგცოდნე და, იყო რაღაც უწმინდური, ბილწი და საზიზღარი, როგორც მომაკვდინებელი ცოდვა. და აძიტომაც მის მხილველს უბედურების წინათგრძნობა ეუფლებოდა.

მისტერ ბრაუნი ამოდ ებრძოდა ცდუნებას, რომ თვალი აერიდებინა უფროსის ცხვირისთვის, თან შიშით კანკალებდა, რომ მალე მასაც დაუშვებდნენ მარმარილოს მაღალი კიბეებიდან.

მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა.

— ჯონ, თქვენ გეკითხებით, რას აპირებთ ამ საღამოს?

მისტერ ბრაუნს უცებ მოაგონდა, რომ შობის წინა დღე იყო და ეშველა.

— ჩვეულებრივ ცოლ-შვილთან გავატარებ დროს, ოჯახში. შვიდი წლის ბიჭუნა მყავს, ჰერბერტი.

უფროსმა რაღაც წაიბუტბუტა, მოოქრულ სანთზე სიგარას მოუკიდა და გააბოლა. მის ბუტბუტში მუქარა არ ისმოდა; ბრაუნზე უკეთ ვერავინ ხვდებოდა, რა ხასიათზე იყო უფროსი. მან სასწრაფოდ მოქებნა ამოჩემებული წერტილი — სამელნის შუშაში არეკლილი უფროსის სახე.

— მიმიღებთ თქვენს ოჯახში? — ჰკითხა უფროსმა.

მისტერ ბრაუნი აცახცახდა. ჯერ ეგონა, მომეყურაო, მაგრამ მერე ძრწოლამ აიტანა. ძლივს წაიბუტბუტა: „რა თქმა უნდა... ეს ისეთი პატივია... მაგრამ, ვშიშობ, როგორ უნდა...“

— თუ ეს თქვენთვის არასასურველია... — ხმა გაეზარა უფროსს, რაღაც კიდევ უფრო შეაშფოთა ბრაუნი.

— როგორ გეკადრებათ, — სწრაფად

სცადა უფროსის დარწმუნება. თავში კი ერთი ფიქრი უტრიალებდა: ჰერბერტი! საჭირო იყო მოლისთან მოლაპარაკება, რომ ჰერბერტი...

თავბრუდახვეულმა ბრაუნმა მოიკრიბა გამბედაობა და სთხოვა უფროსს აღრე გაეშვა შინ, რათა ცოლი გაეფიქრებინა. უფროსმა რაღაც ბრაზიანად წაიბუტბუტა, თითქოს დაამაღლა: „ასეა, შემთხვევით სარგებლობ, ყოველივე ნათელია...“ როგორ ცდებოდა ის! მისტერ ბრაუნმა გიჟივით მოჰკურცხლა შინისაკენ 33-ე ავენიუზე.

— მოლი, მოლი... — დაიყვირა აქოშინებული, — მოლი...

ცოლმა იფიქრა, რაღაც უბედურება შეემთხვაო, ალბათ სამსახურიდან მოხსნესო და ფერწასული დაეშვა სავარძელზე. მისტერ ბრაუნმა სხაპასხუპით უამბო ცოლს ყოველივე და მოლიც მიუხვდა:

— შენ ჰერბერტი გაწუხებს, არა? — გააწყვეტინა ქმარს.

— ჰო, — ამოიოხრა ბრაუნმა.

მოლიმ სახეზე მიიფარა ხელები: „ღმერთო, რა საშინელი შობა დაგვიდგა“. მაგრამ უმალ იკბინა ენაზე, ღმერთსა ვცოდავო, და დაუმატა: „ო, მომიტევე!“

ოღნავ დამშვიდებული ცოლ-ქმარი საშობაო ვახშმის სამზადისს შეუდგა. ნაძვის ხეც მორთეს და ჰერბერტს დაუწყეს ლოდინი; ერთი სული ჰქონდათ, როდის მოვიდოდა სკოლიდან. დრო ნელა გადიოდა.

ჰერბერტი სკოლიდან რომ დაბრუნდა, მამამ მუხლზე დაისვა, დედაც გვერდით ამოუდგა, და მიუაღერეს. ეკითხებოდნენ — დედიკო და მამიკო ხომ გიყვარსო, ხომ დაიხსომებ, რასაც გეტყვითო, მერე მამამ აღწერა უფროსი, ბოლოს სიტყვა ჩამოაგდო უფროსის ცხვირზე. ჯერ თითქოს ზერელედ ყვებოდა, როგორც უმნიშვნელო ამბავს, თან წამდაუწუმ ეკითხებოდა, ხომ გასაგებიაო. მის ხმაში თანდათან იმატა სასოწარკვეთილებამ... დედა სდუმდა და თავის ქნევით ეთახხმებოდა მამას.

გაბრუებულმა ბავშვმა ბოლოს თვალეები ჭყიტა. როგორც იქნა გაიგო, რომ საღამოს მოვა ვიღაც უცხოზი, რომ იგი წარჩინებული ბატონია, მაძიკოს უფროსი, ყველა მას უჯერებს და მას აქვს ძალიან დიდი ცხვირი. კიდევ რას მოითხოვენ დედიკო და მამიკო? — ჰერბერტს არ შეეტყოს, რომ ეს ცხვირი ახცვიფრებს, როგორმე არ შეხედოს მას და, რა თქმა უნდა,

თითო არ მიანიშნოს. და რაც ყველაზე მთავარია, ჩუმად იყოს და ა'აფერი იკითხოს, თორემ დიდი უბედურება მოხდება. რაღა დარჩენოდათ, უფროსის მოსვლას უნდა დალოდებოდნენ.

მაგრამ რა მოასვენებდა გაურკვეველი შიშისა და ცნობისმოყვარეობისგან ქანც-გამოლეულ ბავშვს.

— დედა, — დაიძახა სუნთქვაშეკრულმა ჰერბერტმა.

მოლიმ ხუჭუჭა თმაზე გადაუსვა შვილს ხელი და მკაცრად ჩახურჩულა: „ჩუ!“ მისტერ ბრაუნმა გულთბილად მიიღო მის პაწაწინა ბინაში მოვლენილი საპატო სტუმარი. სტუმარმა გაიხადა ბეწვის ქურქი, მხიარულად მიესალმა მასპინძლებს და ძლივს გასაგონად თქვა:

— დღესასწაულს მოგილოცავთ, ქალბატონო!

უფროსს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს დიდად მოხარული იყო ამ საზოგადოებაში რომ მოხვდა. ისიც აღნიშნა, ეს დღე დაუვიწყარი იქნებაო ჩემთვის. არც ის გამოპარვია, რომ ჯონისა და მოლის დამოკიდებულება შესაშურია, პირველი შეხედვისთანავე ჩანს, რომ ისინი ბედნიერად და მეგობრულად ცხოვრობენ, თანაც შესანიშნავი ბიჭუნა ჰყავთ. ცხადია, ის ვერ ატყობდა, რომ მისტერ ბრაუნი, მოლი და ჰერბერტი, თუმცა ილიმებოდნენ, ხის თოჯინებივით გაუნძრევლად ისხდნენ. მოლი ღმერთს ევედრებოდა გულში, რომ ჰერბერტს არ დაეღუპა ოჯახი. ჰერბერტიც თავს ძალას ატანდა, ისეთი რამ არ ჩაედინა, რასაც უბედურება მოჰყვებოდა.

უფროსმა პორტვეინი გადაჰკრა, გაღიმებულმა კეთილისმყოფელი გოლიათივით გაუწოდა ჰერბერტს ლამაზი ყუთი და თვითონვე გახსნა. ყუთში ხის ფერადი კვადრატების სათამაშო მატარებელი იდო ვაგონების შემადგენლობით, სადგურითა და სადგურის უფროსით. შემდეგ მოლის უბოძა მოოქრული სამაჯური. აქამდე უკმაყოფილო მოლიმ გუნებაში თავი გაკიცხა. ცოლ-ქმარმა უამრავი მადლობა გადაუხადა სასურველ სტუმარს.

მაგიდას შემოუსხდნენ.

— დედა... — წაიხურჩულა ჰერბერტმა, რომელიც „ცხვირის“ წინ იჯდა და წარმოუდგენელი საშინელებისგან თვალები გაფართოებოდა.

მისტერ ბრაუნმა მაგიდის ქვეშ სასოწარკვეთილებით მოუჭირა ბავშვს ფეხზე ხელი. მოლიმაც ჩუმად წაუტყაპუნა ხელზე. საბედნიეროდ უფროსს არაფერი შეუშინებია.

იგი თავისთვის ლაუბობდა და იცინოდა. ინდაურის ჭამას შეუდგხენ. სტუმარმა საკადრისი პატივი დასდო შემწვარს და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მასპინძლებს ყელში ლუკმა არ გადასდითდათ. სტუმარი ხშირ-ხშირად ისველებდა პირს პორტვეინით და მოგონებებში იძირებოდა. მოიგონა, როგორ დაიწყო მისი კარიერა, ცხადია, მამისის — მრისხანე გარი გ-ს ხელმძღვანელობით, რომელიც თავიანთი ბანკის დამაარსებელს — ცინცინატ ბ-ს შვილიშვილად მოუდიოდა.

მისტერ ბრაუნი და მოლი, თითქოს სმენად გადაქცეულნი, მხოლოდ ილიმებოდნენ. მოლიმ ხილი შემოიტანა, შემდეგ ნაძცვარი, რომელსაც უფროსი თავშეუკავებელი აღფრთოვანებით შეეგება:

— ო, რა საუცხოოა!..

ჰერბერტმა ოდნავ გასაგონად ისევ წაილულულა:

— დედა... — და პაწია ხელი ოდნავ ამოსწია მაგიდის ქვემოდას. მაგრამ მშობლებმა მთელი ძალ-ღონის დაძაბვით, ქურდულად, ისევ აიძულეს ხმა ჩაეკმინდა.

როგორც იქნა დადგა სასურველი წუთი. ჰერბერტის ძილის დრო მოვიდა. მოლი წამოდგა და ბავშვი გაიყვანა. გამოთხოვებამ მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა ჰერბერტს არ განელებია სურვილი სტუმრისათვის ცხვირზე შეეხედა. დედამ რაც შეიძლება ჩქარა მოაშორა ბავშვი იქაურობას. შეიყვანა საძინებელ ოთახში, მაგრამ ჩაიკრა გულში, ჩააწვინა ლოგისში და ტკბილი ამბორით მალე ჩააძინა.

მისტერ ბრაუნს გულზე მოეშვა და ღრმად ამოისუნთქა. იგი ახლა უკვე გულიანად ილიმებოდა, საუბარიც შეეძლო უფროსთან მთელი გულისყურით.

— რას ინებებთ, ყავას თუ ჩაის?

უფროსმა ჩაი ისურვა. მისტერ ბრაუნი გავარდა სამზარეულოში და სწრაფად ააღუდა ჩაი. ამასობაში მოლიც დაბრუნდა, ბავშვის ოთახის კარი გამოხურა. მასაც გაცისკროვნებოდა სახე მთელი საღამოს გულისკანკალის შემდეგ. ხალისიანად შეუდგა მაგიდასთან ფუსფუსს. ზოგჯერ უმიზეზოდაც იცინოდა, თუმცა კისრის ძარღვები ისევ დაჭიმული ჰქონდა. უცებ წამოავლო ხელი საშაქრეს, შაქრის ნატეხი მაშით ამოიღო, წარჩინებული სტუმრის ფინჯანში რომ ჩაეგდო და ჰკითხა:

— თქვენ რამდენ... რამდენ ნატეხ შაქარს იყრით ცხვირში?..

თარგმნა მილიცა ჯაფარიძე



литературно-художественный
альманах
(на грузинском языке)

1 9 7 7
№ 6

Издательство «Мерани»

380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაეცა წარმოებას 1/XII-77 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 13/I-78 წ. ქალაქის ზომა 70 X 108¹/₁₆.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,202. ნაბეჭდი
თაბახი 21. ტირაჟი 10.000 შეკვ. № 953.

ფასი 1 მან.

მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქერიძე
მხატვარი აკაკი თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი იმნაიშვილი

□

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლი-
გრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объеди-
нения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

□

76132

6-10



ერეკლევი
სიბუღეტი

